# კვირის პალიტრა

№ 24 (485) ◆ 14 – 20 ივნისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




საქართველოში ხელფასების დაბეგვრის ყოვლად უაზრო, მაღალი განაკვეთი ქართველ ბიზნესმენებს წელში წყვეტდა. როგორც ჩანს, კახა ბენდუქიძემ თავისი პრინციპების განხორციელება კოდექსში მაინც მოახერხა...

გვ.3

ერთი რამ ცხადია – ეტყობა, ხელისუფლებამ საბოლოოდ გააცნობიერა, რომ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და მოწესრიგება უპირველესია. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძალოვან უწყებებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქუჩაში უმუშევარი ათასობით ადამიანი გამოჩნდება. მცირე მეწარმეობის აღორძინების გარეშე კი ამ ადამიანებმა შეიძლება მეორე რევოლუცია მოახდინონ...

## „ახალი კოზირები სამთავრობო მაგიდაზე“



**თემის გაგრძელება:** „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“, – სტალინის ეპოქის ეს ცნობილი ფრაზა დღესაც აქტუალურია... კადრები მართლაც ყველაფერს წყვეტენ. სანდო წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებაში კადრების დეფიციტია. პატიოსანი და ამავე დროს კვალიფიციური ხალხი სანთლით საძებარი გახდა...

რევოლუციური კადრები, სავარაუდოდ, ნელ-ნელა ჩამოსცილდებიან ხელისუფლებას და ადგილს პროფესიონალებს დაუთმობენ...

გვ.7,13

ვინ არიან ხელისუფლების „ფენიქსი“, „ჰარი პოტერი“, „იგროკი“, „ბულკი“ და უბრალოდ, ვანო...

## ხელისუფლებისთვის ყველაზე წარუმატებელი სფეროები

– ადამიანის უფლებების დაცვა, ენერგოკრიზისის აღმოფხვრა, სამუშაო ადგილების შექმნა

**საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი** გვ.35



## „შავ სალაროებს“ და კანონის ფეხებზე დაკიდებას არ შევეგუები

გვ.7

„აბაშიძის ფავორიტ ბიზნესმენებს ისევ მფარველობენ“

თუ ეს მილიარდნახევრიანი ბიუჯეტი ხალხს არ მოხმარდა, რა თავში იხლიან ასეთ ეკონომიკურ ზრდას?! ნოღაიდელი ძუნწობს, თორემ საკუთარი კეთილდღეობისთვის არაფერი ენანება. ის თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს.

## სიახლე დამნაშავეთა „ბიზნესში“

გვ.5

**ფრთხილად! „მოდაშია“ სანომრე ნიშნების „ვაზვრატი“...**

– გიჟივით დავრბოდი სადგურში. ამასობაში „მარშრუტკაც“ გაივსო და მგზავრები მეჩხუბებოდნენ, რატომ არ მიდიხარო. ცოტა ხანს მელოდნენ და სხვა ტრანსპორტში გადასხდნენ. მე კი დავრჩი უნომროდ და უმგზავრებოდ. ხელი რომ ჩავიქნიე, ორი ბიჭი მოვიდა და მითხრეს – 100 ლარს თუ მოგვცემ, გავიკითხავთ და ნომრებს გაპოვნინებთო...

*სამხედრო თემაზე:*

## როდემდე შეინარჩუნებს თბილისი „ოლიმპიურ სიმშვიდეს“?!

გვ.8,9

ნერვების ომში შეჯიბრი მიდის...

კოკოითი მომავალშიც ეცდება პროვოკაციული გამოსვლებით წონასწორობა დააკარგვინოს თბილისს და პირველი ძალისმიერი ნაბიჯი მას გადაადგმევინოს.

იქნებ მასაც უმტყუნოს ნერვებმა და ცხინვალისკენ მიმავალი თითქმის უკვე აღდგენილი ლიანდაგის აფეთქება ბრძანოს? ყოველ შემთხვევაში, 12 ივნისს მოსკოვში კოკოითმა ერთი დიდი შეცდომა უკვე დაუშვა.

## „ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები“

„მთავარი იყო, მათთვის საინტერესო ნომრიანი ფუთები ხელუხლებლად ჩაგეტანა ხოფაში. ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები. ერთხელ რამდენიმე ფუთის გახსნა მოვინდომეთ და ცვლის უფროსმა საკონტროლო პუნქტიდან სულ გინებით გამოგვყარა...“

გვ.6,11



**როგორ შეიძლება სარფის გავლით ყალბი პასპორტით საზღვარზე გადასვლა**

„არ იფიქროთ, ყველა იარაღი აჭარაში რჩებოდა. აჭარის საზღვრის მონაკვეთის გადმოკვეთის შემდეგ კონტრაბანდული იარაღის დიდი პარტიები აქ ხარისხდებოდა და შემდეგ მიემართებოდა ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩნეთში და სხვა მიმართულებითაც“.

## ტყეში ნავით გასეირნება ხომ არ გნებავთ?



გვ.5,12

ამ ტყეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი შველზე ნადირობდა, დღეს კი ლაგოდეხელები თევზს იჭერენ(!)

იქნებ ვიღაცას გულთან მიატანინოთ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი საქართველოს სატკივარი ...თუ გზა ჩაიქცა, ლაგოდეხი საქართველოს მოსწყდება... მაშინ, როცა ტყეც კი წყალს მიაქვს, მოსახლეობას სასმელი წყალი არ აქვს.

## რომ ჩამეძინოს?..



ყველა კაცი არტისტია, ყველა თავის როლს თამაშობს. ზოგი ცუდად, ზოგი კარგად, ზოგიც – გენიალურად. ...დრო რომ დგება, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე. ეს კანონზომიერია.

...ღამით დავდივარ, ვერ ვისვენებ. დაწექიო, მეტყვიან. რომ დამეძინოს? დრო მეცოტავება, მეშინია, რამე არ გამომრჩეს. მთავარია, არ ჩამეძინოს!..

თუკი უცხოეთში მოვხვდი, ყოველთვის ვცდილობ, ზოოპარკი მოვინახულო. მიყვარს ცხოველები, ისინი ხომ არასოდეს იტყუებიან...

გვ.18

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## მთავარია, პროვოკაციებს არ აჰყვეთ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამაჩაბლოს რეგიონში რუსეთის ტერიტორიიდან საბრძოლო ტექნიკისა და დამატებითი სამხედრო ძალების შემოსვლას ამ ეტაპზე საგანგაშოდ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ჩრდილო ოსეთიდან შემოტანილი იარაღი ქართული მხარის წინააღმდეგ არ გამოიყენება. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ქვეყნის ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების აქციებს კვლავაც გააგრძელებს. ასევე იგეგმება საქართველოდან ლტოლვილი ოსი ეროვნების მოსახლეობის უკან დაბრუნება და ფულადი კომპენსაციების დარიგება.

„ცხინვალში მღელვარებაა, თუმცა ღელავს არა ოსი ხალხი, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. იარაღი აჭარაში რომ იყო, იმდენს სამაჩაბლოში ვერასოდეს შეიტანენ, მაგრამ როგორც აჭარაში არ გამოადგა იარაღი ასლან აბაშიძეს, ისე არ გამოადგება არავის სამაჩაბლოს რეგიონში. იარაღის შემოტანა ჩვენი მეზობლის მხრიდან მთლად მეგობრული ნაბიჯი არ არის. თუმცა, მთავარია, პროვოკაციულ ქმედებებს არ ავყვეთ და დავეხმაროთ ჩვენს მოსახლეობას. ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან“, — განაცხადა პრეზიდენტმა და დადებითად შეაფასა ერგნეთის ბაზრობის დაკეტვისა და კონტრაბანდის შემოტანის აღკვეთის ფაქტები.

13 ივნისს მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს ესაუბრა ტელეფონით. საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა რუსეთის ტერიტორიიდან სამაჩაბლოს რეგიონში რუსული სამხედრო ძალების მობილიზების ფაქტიც იყო.

## საგარეო საქმეთა სამინისტრო აპროტესტებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო პროტესტს გამოთქვამს 11 ივნისს რუსეთის ტერიტორიიდან როკის გვირაბით სამხედრო ტექნიკის შემოყვანის გამო და რუსეთის ხელისუფლებას შესაბამის განმარტებას სთხოვს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარეს არც საქართველოს ხელისუფლებისთვის და არც შერეული სამშვიდობო კონტინგენტისთვის არ უცნობებია თავისი გეგმების შესახებ. საქართველოს საგარეო უწყება ასევე მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, რათა მათ მომხდარს სათანადო შეფასება მისცენ.

## პრეზენტაციები ბათუმსა და თბილისში

13 ივნისს დასრულდა ჩაქვში ორი დღით დაბანაკებული საპარლამენტო უმრავლესობის „ლაშქრობა“. დეპუტატების ერთი ნაწილი თბილისში გამომგზავრებამდე მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბათუმის ქუჩებში სეირნობდა, მერე კი რეგიონის მაღალმთიან რაიონებში სამარშრუტო შვეულმფრენის პირველი რეისის შესრულებას დაესწრნენ. შემდეგ დეპუტატთა ნაწილი აჭარაში დარჩა, ნაწილი კი პრეზიდენტთან ერთად თბილისში გამოემგზავრა.

13 ივნისს ბათუმი-სარფის მიმართულებით დაინიშნა ახალი რეისი, რომელსაც ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ავტობუსები შეასრულებენ. მიხეილ სააკაშვილმა პრეზენტაციაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პრეზიდენტი ახალი საგადასახადო კოდექსის პრეზენტაციას დაესწრო. „შერატონ-მეტეხი პალასში“ ბიზნესმენებს ახალი საგადასახადო კოდექსი პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებმა წარუდგინეს. ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნაზე ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით 22-კაციანი კომისია მუშაობდა. სავარაუდოდ, არსებული 21 გადასახადიდან მხოლოდ 9 დარჩება. შესაბამისად, მცირდება გადასახადების განაკვეთები და მარტივდება საგადასახადო რეგულირება.

ეკონომიკურ ექსპერტთა ერთი ნაწილი, როგორც პროექტს, ისე მის შემქმნელ ჯგუფს, სკეპტიკურად უყურებს. ექსპერტ ნიკო ორველაშვილის თქმით, „ამის მიღებას, სჯობს დარჩეს ის, რაც აქამდე გვქონდა. თუმცა, რაც გვქონდა და ჯერ კიდევ გვაქვს, თავისთავად არის საშინელება.“ ბიზნესმენების ერთი ნაწილი მიესალმება მთავრობის ამ წამოწყებას, რომელიც გადასახადების შემცირებაზეა გათვლილი და იმედს გამოთქვამს, რომ კანონი კიდევ უფრო დაიხვეწება. ეს კი ხელს შეუწყობს ახალი გადამხდელების ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში.

## ჩეჩნები აფხაზებს და ოსებს მხარს აღარ დაუჭერენ

11 ივნისს სოხუმში დიდი სტუმრობა იყო. აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ ყაბარდო-ბალყარეთის აფხაზ მოხალისეთა კავშირის და ადიღეისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის „ადგია ხასეს“ ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღო.

ვალერი არშბას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ აფხაზეთს ომის განახლების საფრთხე დაემუქრა, რაც თურმე ყაბარდო-ბალყარეთის აფხაზ მოხალისეთა კავშირის თავმჯდომარეს, ბესლან საგაჟეევსაც აღელვებს და იგი მზადყოფნას გამოხატავს მოძმეების დასაცავად(!). მისი თანამებრძოლი ანზორ ჩეხოევი კი ქართული მხარის მისამართით მუქარასთან ერთად „რჩევასაც“ არ იშურებს: „აქ ჩამოსვლისა და მოძმე ხალხის დაცვის მსურველი ახლა უფრო მეტია, ვიდრე 1992 წელს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას აქ თუნდაც ვარდებით შემოსვლას არ ვურჩევთ.“

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებებს საქართველოსთან კონფლიქტში მხარს არ უჭერს ჩეჩნეთის აუღიარებელი რესპუბლიკა იჩქერიის ხელისუფლება, პრეზიდენტ ასლან მასხადოვის ხელმძღვანელობით.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ საერთო არაფერი აქვს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან“, — ნათქვამია, კერძოდ, მასხადოვის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა აფხაზეთისა და რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შემდეგ (ვრცლად იხ. გვ. 14).

1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში აფხაზთა მხარეზე ჩეჩენთა აქტიური მონაწილეობის გამო, ასლან მასხადოვმა ქართველ ხალხს საჯაროდ მოუბოდიშა.

## „კოკოითს კარგი მომავალი არ ექნება...“

სამაჩაბლოს რეგიონში გართულებული სიტუაციისა და ცხინვალის მისადგომებთან ქართული დელეგაციების შეჩერების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კომენტარს აკეთებს — „სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარული პოლიტიკა ედუარდ კოკოითს წონასწორობას აკარგვინებს“, ასე ახსნა ჟვანიამ კოკოითის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სტუმრობის მიზეზი.

ჟვანიას შეფასებით, „აშკარაა, რომ კოკოითის უკმაყოფილებას საქართველოს ხელისუფლების მიმართ ოსი ხალხის მადლიერების გრძნობა იწვევს“.

ჟვანიას შეფასებით, „80-85 წლის ადამიანების დაპატიმრება მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მადლობას უხდიან საქართველოს პრეზიდენტს, იმაზე მეტყველებს, რომ კოკოითს კარგი მომავალი არ ექნება.“

## საპენსიო მარათონი

სამაჩაბლოში საპენსიო მარათონი იწყება. 1-ელი ივლისიდან თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის 14 ათასამდე პენსიონერი რუსეთის ფედერაციის პენსიას მიიღებს, მომავალი კვირიდან სამაჩაბლოში ასევე პენსიების გაცემას დაიწყებს საქართველოს საპენსიო ფონდი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის, ზაზა სოფრომაძის განცხადებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, 18 ლარის ოდენობით პენსიას ქალები 60, მამაკაცები კი 65 წლის ასაკიდან მიიღებენ.

მისი თქმით, ამჟამად ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე პენსიონერთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. საპენსიო თანხების პენსიონერებამდე მიტანას „სახალხო ბანკი“ და „საქართველოს ფოსტა“ უზრუნველყოფენ. პენსიის გაცემისთვის საჭირო სამუშაო პირობების შექმნაში ფონდს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები დაეხმარებიან. ისინი უზრუნველყოფენ შესაბამისი ფართის გამოყოფას.

თვითაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციის კომიტეტში მიღებული ცნობით კი ცხინვალში სამუშაო ვიზიტად იმყოფება რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სამხრეთ კავკასიის ოლქის საპენსიო ფონდის ხელმძღვანელი კონსტანტინე ანტონოვი, რომელიც სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქე პენსიონერების დოკუმენტაციის გადაფორმებას კოორდინირებს. ამ პროცესის დასრულება 1-ელი ივლისისთვისაა დაგეგმილი.

## ძველი ნაღმები აჭარაში

13 მაისს ჩოლოქთან აბაშიძის დანატოვარი ნაღმი აღმოაჩინეს, რომელიც ზღვის ნაპირზე ტალღებმა გამორიყა. აჭარის ყოფილმა ლიდერმა კიდევ ერთხელ შეახსენა თავი აჭარაში საპარლამენტო არჩევნების სამზადისში მყოფ ქვეყნის მთავრობას.

უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას განცხადებით, ჩოლოქი და მისი მიმდებარე ტერიტორია ერთი თვის წინ პრაქტიკულად სავსე იყო ნაღმებით. მისი თქმით, უშიშროების სამინისტროს სპეციალურმა ჯგუფმა ამ ადგილას ამოიღო 147 ნაღმი.

უგულავა აცხადებს, რომ დამსვენებლებს საფრთხე არ ემუქრება. განაღმვის პირველი ეტაპი დამთავრდა და ზღვის სეზონის დაწყებამდე მეორე ეტაპიც დასრულდება. „ჩვენი განაღმვითი ჯგუფი თბილისიდან ჩამოვა და კიდევ ერთხელ შეამოწმებს მთელ სანაპიროს“, — განაცხადა გიგი უგულავამ.

## ქართულ-აზერბაიჯანული ფორუმი

ორიოდე კვირის წინ თბილისში ჩატარებული ხმაურიანი ქართულ-რუსული ეკონომიკური ფორუმის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ აზერბაიჯანელ კოლეგებს უმასპინძლა.

საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობათა სამთავრობოთაშორისო კომისიის პირველ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: „დღეისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვა 100 მლნ დოლარს აღემატება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმ რესურსებთან შედარებით, რაც ჩვენს ქვეყნებს აქვს, ამიტომ ყველა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და გადავდგათ თამამი ნაბიჯები“.

ჟვანიას თქმით, მხარეები მოამზადებენ საკითხებს, რომლებიც 14 ივნისს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტის დროს განიხილება.

აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აიდინ-ოღლი აბასოვმა კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში აზერბაიჯანულ თეატრს კარგი პირობები აქვს შექმნილი და რომ თბილისში მალე ჰეიდარ ალიევის სახელობის პარკი გაიხსნება, სადაც აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტის ძეგლი დაიდგმება. სამწუხაროდ, აზერბაიჯანელი კოლეგებისთვის არავის შეუხსენებია, რომ ასეთივე ყურადღება არც საინგილოში მცხოვრებ ქართველებს აწყენდათ.

## აფხაზეთში იუნესკოს არ უშვებენ

აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სამმართველოს უფროსი ვადიმ ბჟანია კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთში არსებული ისტორიული ძეგლების განადგურების ფაქტებს და „უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის პრობლემის“ მოტივით იუნესკოს ექსპერტებს აფხაზეთში არ უშვებს.

მისივე თქმით, 1997 წელს იუნესკოს ორი ექსპერტი, ჯოვანი ბაკარდი და რაიმონდ ლემერი იუნესკოს მოთხოვნით აფხაზეთში იმყოფებოდნენ და ადგილზე შეისწავლეს ისტორიული ძეგლების მდგომარეობა, რის შესახებ ოფიციალური დასკვნის გამოგზავნასაც შეჰპირდნენ, მაგრამ სოხუმში მათი დასკვნა დღემდე არ მიუღიათ.

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ მე-10 საუკუნის ბედიის ტაძარი, რომლის გალავანში გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის ნეშტი განისვენებს, აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ააფეთქეს და ბედიის ტაძრის ტერიტორიაზე ამჟამად სამეცნიერო-კვლევით და აღდგენით სამუშაოებს სტავროპოლელი არქეოლოგ-რესტავრატორები აწარმოებენ(!).

## ვახტანგ აბაშიძე მაინც გადადგა

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ახალი თავმჯდომარე, დიმიტრი ქიტოშვილი ჰყავს.

კომისიის უკვე ყოფილი თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა. გადადგომა მან ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს გადაწყვიტა.

ქიტოშვილის თქმით, კომისიაში პრიორიტეტები — მედიის რეგულირება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სწორი სატარიფო პოლიტიკა და კავშირგაბმულობის სისტემის რესტრუქტურიზაცია იქნება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, ხელისუფლება კომუნიკაციების საქმიანობაში არ ჩაერევა და არც უნდა ერეოდეს, მაგრამ ამ სექტორის მოქმედებები და გადაწყვეტილებები გამჭვირვალე უნდა იყოს. „ის დიდი ფინანსური ინტერესები და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ამ სექტორში არის თავმოყრილი, უნდა დარეგულირდეს“, — აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა, როდესაც ახალი თავმჯდომარე თანამშრომლებს წარუდგინა.

## პანკისში იარაღი ისევ არის?

პანკისელები ეჭვის თვალით უყურებენ ხეობის ერთ-ერთ სოფელში, წინუბანში 12 ივნისს კახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და უშიშროების რეგიონული სამსახურის თანამშრომლების მიერ ყოფილი სკოლის შენობის ნანგრევებში დიდი ოდენობით იარაღის აღმოჩენის ფაქტს.

სამალავში აღმოჩენილია ავტომატური იარაღის მჭიდები და ტყვიები, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, ფეხოსანთა საწინააღმდეგო ნაღმები, ყუმბარმტყორცნები, სნაიპერული იარაღი.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, იარაღი ძალოვნებმა ამ ადგილას დილით თავად მიიტანეს. კახეთის მხარის გუბერნატორის, პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობა ხელს აფარებს დამნაშავეებს, მაშინ, როცა „ხეობის განიარაღება ისევ მათი და მათი შვილების უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება“.

## კრიმინოგენული ვითარება პიკს აღწევს

გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარება პიკს აღწევს. ამ პროცესის გამწვავებას 24 წლის ეკა ძიძარიას სიცოცხლე შეეწირა. გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ყაჩაღური ჯგუფი ძარცვის მიზნით თავს დაესხა ძიძარიების ოჯახს. თავდამსხმელებმა საკუთარ სახლში მოკლეს 24 წლის ეკა ძიძარია. მეზობლების მტკიცებით, თავდასხმა აშკარად ძარცვის მიზნით განხორციელდა, ძიძარია კი შესაძლოა იმიტომ მოკლეს, რომ მას თავდამსხმელების ამოცნობა შეეძლო. გარდა ამ სამწუხარო ფაქტისა, კვლავაც დაუდგენელი რჩება 8 ივნისს გალის რაიონის სოფელ რეჩხიდან 4-კაციანი ყაჩაღური ჯგუფის მიერ გატაცებული აბესალომ ჯაბუასა და ავთანდილ ბიბლაიას ადგილსამყოფელი.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის და ამჟამად გალის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის, რუსლან ქიშმარიას ინფორმაციით, „გაზელის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც „საქჰიდროპროექტის“ თანამშრომელს, აბესალომ ჯაბუას ემსახურებოდა, აფხაზმა მილიციელებმა გალის რაიონის სოფლების, ბედიისა და ჩხორთოლის დამაკავშირებელ გზაზე იპოვეს. რაც შეეხება გატაცებულებს, აფხაზი სამართალდამცველებისთვის მათი ადგილსამყოფელი, ჯერჯერობით, უცნობი რჩება და ალბათ აფხაზები ტრადიციისამებრ კიდევ დიდხანს გააჭიანურებენ გატაცებულთა ძებნის პროცესს.

## დაგმანეთ ფანჯრები

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი შემაშფოთებელ ინფორმაციას ავრცელებს. ტემპერატურის მატებასთან ერთად ინფექციონისტები ლეიშმანიოზის შემთხვევების მატებას ელიან. აღნიშნული დაავადების გავრცელება ვაკის, მთაწმინდისა და ორთაჭალის მთისწინა უბნებშია მოსალოდნელი, რადგან დაავადების გადამტანი კოღო ტყისპირა ადგილებში ბინადრობს. მისი ძირითადი რეზერვუარები კი მაწანწალა ძაღლები არიან.

ინფექციონისტთა განცხადებით, ლეიშმანიოზის შემთხვევათა 90%, ძირითადად, მცირეწლოვან ბავშვებზე მოდის. აღნიშნული დაავადების შემთხვევები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია რეგისტრირებული, რადგან მისი გამომწვევი მწერი დასავლეთ საქართველოში ვერ მრავლდება. დაავადების თავიდან აცილების მიზნით, სპეციალისტები მოსახლეობას ფანჯრებზე დამცავი ბადეების გაკეთებას და საღამოობით გრძელსახელოებიანი ტანსაცმლის ჩაცმას ურჩევენ.

## წარმატებული გადადგომა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია თანამდებობიდან გადადგა. იგი იურიდიულ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი იქნება.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ლადო ჭანტურიას გადაწყვეტილება „ძლიერი პიროვნების ძლიერ და უდავოდ დასაფასებელ ნაბიჯად“ შეაფასა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს „ძლიერი სისტემის ჩამოყალიბებისათვის“.

„უზენაეს სასამართლოში, ფაქტობრივად, ავტონომიური სისტემა შეიქმნა განათლებული და პროფესიონალი კადრებით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღირსეული ხალხის დაფასება“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი უახლოეს დღეებში დასახელდება.

## მშენებარე სახლი შეიძლება ჩამოინგრეს(?!)

ინფრასტრუქტურის მინისტრ თამარ სულუხიას განცხადებით, ჭავჭავაძის №2 ჩიხში მიმდინარე მშენებლობა კანონის უხეში დარღვევით მიმდინარეობს. ამ დღეებში მოსული ძლიერი წვიმის შედეგად მშენებლობის ადგილას ტერიტორიის დიდი ნაწილი ჩაინგრა. „საცხოვრებელი სახლი მცოცავ გრუნტზე შენდება(!), რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია“, — აღნიშნა სულუხიამ.

მისი თქმით, „არქმშენინსპექციამ“ მშენებლობის დამკვეთებს სამი დღის ვადა მისცა, რათა წარმოადგინონ ტერიტორიის მოსაწესრიგებელი საინჟინრო-საპროექტო გეგმა.

„უნდა გაირკვეს, რამდენად სწორად იყო პროექტი დაგეგმარებული და ვინ არის მშენებლობაზე პასუხისმგებელი“, — აცხადებს საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარე დავით ხუციშვილი და აღნიშნული საქმის პროკურატურისთვის გადაცემას გეგმავს.

# „საგადასახადო შეღავათები არავის, არანაირი დამსახურების გამო არ უნდა მიეცეს“

ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში მოვლენები უფრო და უფრო საინტერესო ხდება. აღსანიშნავია, რომ რაც მეტად აქტიური და რეალური ხდება ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, მით აშკარა და მჭიდრო კავშირი მკვიდრდება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის. გასულ კვირას, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან მეტად საგულისხმო განცხადება გაისმა — კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, მისი ბიზნესი გაკოტრების პირასაა და უახლოეს მომავალში ყველა გადასახადის გასტუმრებას ვერანაირად ვერ შეძლებს. ნეტავ რა პოზიციას დაიკავებს ამ შემთხვევაში ახალი ხელისუფლება, რომლის ურყევი ნებითაც რამდენიმე ათეული ათასი ლარი სახელმწიფო ვალის გამო ბევრი ბიზნესმენი თუ სახელმწიფო მოხელე განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. ამავე დროს, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული მოვლენები უფრო და უფრო ემსგავსება აჭარაში განვითარებულ სცენარს. ქართველებისა და ოსების კეთილგანწყობილმა ურთიერთობამ ე.წ. პრეზიდენტი კოკოითი ისე დააფრთხო, რომ ოსური სოფლების რამდენიმე მოხუცი მცხოვრები სააკაშვილის ოსური ლუდით დღეგრძელობის გამო ციხეში აღმოჩნდა. მაგრამ კოკოითის ისტერია მხოლოდ სადღეგრძელოებით არ არის გამოწვეული. უკვე აშკარა ხდება, რომ ოფიციალური რუსეთი ცხინვალთანაც ისეთსავე დამოკიდებულებას გამოიჩენს, როგორიც აბაშიძესთან გამოავლინა — ანუ კოკოითისთვის გაწეული დახმარება, საუკეთესო შემთხვევაში, ტრანსპორტისა და გამცილებლის — იგორ ივანოვის გამოგზავნა იქნება. თუმცა მანამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსულ სამხედრო წრეებში ჯერაც არიან ანტიქართულად განწყობილი ძალები. გამორიცხული არ არის, მათი მხრიდან გარკვეული პროვოკაციაც მზადდებოდეს. ამაზე როკის გვირაბით ცხინვალში შემოგზავნილი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებაც მეტყველებს.

საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით „პირობას“ ასრულებს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმას ეტაპობრივად ახორციელებს. გასული კვირის ბოლოს კი ამ გეგმის უმნიშვნელოვანეს, ეკონომიკურ მხარეს ჩაეყარა საფუძველი და საზოგადოებამ, როგორც იქნა, აღთქმული საგადასახადო კოდექსი იხილა...

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს**:

**— კიწმარიშვილსა და ჟვანიას შორის საზოგადოებაში მხოლოდ ვერსიის სახით არსებულმა დაპირისპირებამ გასულ კვირაში ერთგვარად, რეალური კონტური შეიძინა. როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლება გადასახადების გადაუხდელობას არც „რევოლუციურ ტელეკომპანიას“ აპატიებს — სხვაგვარად, ეროსი კიწმარიშვილს ღამის კურიერში ახსნა-განმარტებების გაკეთება არ დასჭირდებოდა...**

— თუ ქვეყანას სურს რაიმეს მიაღწიოს, საგადასახადო შეღავათები არავის, არანაირი დამსახურების გამო არ უნდა მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რევოლუციაც აზრს დაკარგავს, რომლის მოხდენაშიც თავად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა დიდი როლი ითამაშა. ვფიქრობ, ისიც სრულიად საკმარისი უნდა იყოს, რომ დეპუტატის მანდატები რევოლუციური დამსახურების მიხედვით დარიგდა და შედეგად, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური პარლამენტი მივიღეთ. სხვა რამეც მინდა ვთქვა — რევოლუციის შემდეგ ქართულ ელექტრონულ მედიაში ერთი, ძალიან ცუდი ტენდენცია შეინიშნება. წლების მანძილზე „რუსთავი 2“ ჩემთვის უაღრესად საყვარელ და პატივსაცემ, უფრო სწორად კი სანდო არხად რჩებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სხვა არხს არც ვუყურებდი. რასაც ბოლო პერიოდზე ნამდვილად ვერ ვიტყვი — ძირითადად ყველა ტელეარხი სამთავრობო გახდა და მათი ეკრანებიდან აბსოლუტურად ერთნაირი, მთავრობის საქები ინფორმაცია ისმის. განსხვავება მხოლოდ „რუსთავსა“ და „იმედს“ შორის არის ხოლმე, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მფლობელები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი, ტელებაზარზე შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ფაქტი, რომელიც ჩემთვის გახდა ცნობილი — ტელეკომპანია „მზის“ აქციებს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის ძმა დავით ბეჟუაშვილი ყიდულობს. რა გავლენას იქონიებს ეს მოვლენები მედიის კონცეფციაზე და რამდენად წაადგება ეს ქვეყნის განვითარებას, უახლოეს მომავალში დავინახავთ... რაც შეეხება გაკოტრებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აქ ლავირების გარკვეული საშუალებები არსებობს და შესაძლებელია, კიწმარიშვილსაც ამის იმედი ჰქონდეს — ამ მხრივ, რაიმეზე მსჯელობა დღეს, ცოტა არ იყოს, ძნელი და ნაადრევია.

**— შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირის განმავლობაში ცხინვალის მმართველობა მთელი დანარჩენი საქართველოს ინტენსიურ, „სპორტულ-შემეცნებით“ შეტევებს იგერიებდა. ცხინვალში არ შეუშვეს „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები, არ შეუშვეს უფრო მოზრდილი ფეხბურთელები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები... ყველაფერი კი, თანდათან ძალიან ემსგავსება ბათუმში განვითარებულ მოვლენებს. თუმცა ამჯერად ალბათ ყველაფერი ასე იოლად არ მოგვარდება...**



ბოლშევიზმის აღზევების პერიოდში ჩვენს სოფელში ოსი ბოლშევიკების რაზმი შემოჭრილა და კლიმიაშვილების საგვარეულო თითქმის მთლიანად, დიდიან-პატარიანად, ამოუხოცავს – მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ გადარჩა, ისიც შემთხვევით – თბილისში იყვნენ წამოსულები. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩემი წინაპრების წინაშე ეს უმძიმესი და უსასტიკესი დანაშაული არა ოსებმა, არამედ კრიმინალებმა ჩაიდინეს, რადგან კრიმინალს ეროვნება არ გააჩნია.

ოსებმაც, ქართველებმაც და აფხაზებმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ მათ შორის მტყუან-მართლის გარჩევა იარაღის საშუალებით არასოდეს მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დღეს საამისო ყველანაირი საშუალება აქვთ.

— არ მესმის, ვის არ გაუხარდებოდა ცხინვალში ქართველი ფეხბურთელების ნახვა — მით უმეტეს, რომ ოსები ყოველთვის თბილისის „დინამოს“ მხურვალე გულშემატკივრები იყვნენ. აღარაფერს ვამბობ ბავშვებზე, რომლებიც იქ კონცერტის ჩატარებას აპირებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, კოკოითი, ნორმალური ფეხბურთის ყურების ნაცვლად, საკუთარ კარში ბურთების გატანას ამჯობინებს — სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმ სამარცხვინო მდგომარეობას, რომელშიც მან თავი მოსკოვში, რუსეთის დუმაში მისვლით ჩაიყენა. სხვათა შორის, უკანასკნელ პერიოდში ასლან აბაშიძეც ასევე საკუთარ კარში იტანდა ბურთებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ კოკოითს საკუთარი მოსახლეობის, და თანაც მოხუცების, ციხეში ჩასმა უწევს, მოწმობს, რომ ქართველებისა და ოსების შერიგების იდეა უფრო და უფრო პოპულარული ხდება და მას ვერანაირი რეპრესიებით ვერ შეაჩერებენ. ვფიქრობ, მართებული იქნება, თუ ნათელს მოვფენთ იმ მიზეზებს, რის გამოც კონფლიქტი დაიწყო — ეს იყო თავს მოხვეული, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი და ჩვენი მაშინდელი პოლიტიკოსების ბრიყვული შეცდომების წყალობით განხორციელებული უდიდესი პროვოკაცია. ალბათ ყველას გვახსოვს, როგორ ჩასხეს ათასობით ადამიანი ავტობუსებში და ცხინვალის მისადგომებს მიაყენეს. მაშინ სისხლის ღვრა გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა გიორგი ჭანტურიას ვაჟკაცობა და პოლიტიკური გამჭრიახობა. იმ პერიოდში მე ლონდონში ვცხოვრობდი და თვალყურს ვადევნებდი ქართულ პრესას — შეძრული ვიყავი, ისეთი ანტიოსური განცხადებები თუ წერილები იბეჭდებოდა. რა, თუ ვიკვლევდით და ვიწივლებდით, რომ ოსები საიდანღაც იყვნენ ჩამოსული და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე დასახლებული, უკვე არსებული პრობლემა თავისთავად გადაწყდებოდა? პირიქით, უფრო დამძიმდებოდა და ასეც მოხდა — მაშინდელმა ქმედებებმა — როგორმე ოსები შეიარაღებულ კონფლიქტში გამოეწვიათ, სამწუხაროდ, ნაყოფი გამოიღო. ამ საქმეში კი, როგორც გითხარით, საბჭოთა სპეცსამსახურებს ლომის წილი მიუძღვის.

ალბათ პირველი, რაც ამ ძალად თავს მოხვეული კონფლიქტის გადასაჭრელად უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ ოსებს ვუთხრათ — კრიმინალს ეროვნება არა აქვს, რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილი შემზარავი დანაშაულობების თაოსნები ქართველები კი არა, უბრალოდ, გარეწრები იყვნენ — ჩვეულებრივი კრიმინალები. ბუნებრივია, აქ ვგულისხმობ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა-დაყაჩაღებისა და წამების ფაქტებს, რასაც, რა თქმა უნდა, ორივე მხარე სჩადიოდა. პირად მაგალითზე გეტყვით — ჩემი გვარი წარმოშობით სოფელ რუისიდან არის. ბოლშევიზმის აღზევების პერიოდში ჩვენს სოფელში ოსი ბოლშევიკების რაზმი შემოჭრილა და კლიმიაშვილების საგვარეულო თითქმის მთლიანად, დიდიან-პატარიანად, ამოუხოცავს — მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ გადარჩა, ისიც შემთხვევით — თბილისში იყვნენ წამოსულები. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩემი წინაპრების წინაშე ეს უმძიმესი და უსასტიკესი დანაშაული არა ოსებმა, არამედ კრიმინალებმა ჩაიდინეს, რადგან კრიმინალს ეროვნება არ გააჩნია.

**— ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ პერიოდში ტერმინს, „სამაჩაბლო“, ქართველი პოლიტიკოსები აღარ ხმარობენ. ანალოგიური ტენდენციაა ქართულ მედიაშიც. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დროა, სიმბოლოებზე უარი ვთქვათ?**

— პირადად თქვენთვის ან ზოგადად საქართველოსთვის რა უფრო მნიშვნელოვანია — შიდა ქართლის ამ კონფლიქტურ რეგიონს ერქვას სამაჩაბლო, რეალურად კი რუსეთი, უფრო სწორად, რუსი და ოსი კრიმინალები და კონტრაბანდისტები აკონტროლებდნენ, თუ ერქვას სამხრეთ ოსეთი, ან უბრალოდ ოსეთი და საერთო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყოს? ვფიქრობ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მეორეს ამჯობინებს. უფრო მეტსაც გეტყვით — დაე, ერქვას ოსეთის რესპუბლიკა და პრეზიდენტიც ჰყავდეს. რუსეთში ლამის რამდენიმე ათეული ასეთი რესპუბლიკაა და ყველა მათგანს ხალხისგან არჩეული და პუტინის ხელდასხმული პრეზიდენტი ჰყავს. რა, რუსეთი უფრო დაშლილი და დაქუცმაცებულია, ვიდრე საქართველო? ჩემი აზრით, არათუ ადგილობრივი პრეზიდენტის სტატუსი, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის სასურველია, თუ საქართველოს ოსი და აფხაზი ვიცე-პრეზიდენტებიც ეყოლება. ჯერ ერთი, მოლაპარაკებასა და თანაცხოვრების რაიმე ფორმაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუ აფხაზებსა და ოსებში თითო სანდო და პატრიოტულად განწყობილ ადამიანს ვერ ვიპოვით. მეორე — ასეთ შემთხვევაში ოსებიც და აფხაზებიც სრულად სავსებით დაიკმაყოფილებდნენ ეროვნულ თავმოყვარეობასა თუ პატივმოყვარეობას. ნამდვილად დროა, რომ სიმბოლოებსა და დეკლარირებულ ფასეულობებს მოვეშვათ და სიტუაცია რეალურად შევაფასოთ. რეალობა კი ის იქნება, როდესაც აფხაზეთსა და ოსეთს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რეალურად გააკონტროლებს — გვექნება ერთი საგარეო პოლიტიკა, ერთი ფულის ნიშანი და საფინანსო სისტემა, უსაფრთხოებისა და შეიარაღებული ძალების კონცეფტუალურად ერთიანი ორგანოები. დანარჩენი კი, სავსებით შესაძლებელია, ავტონომიურად, ადგილობრივად წყდებოდეს.

**— გასულ კვირაში კოკოითმა თბილისთან ვაჭრობის წამოწყებაც სცადა და კონფლიქტში დაზარალებული ოსი მოსახლეობისთვის მილიონობით დოლარი მოითხოვა. როგორც ჩანს, შესარიგებლად ოსი მოსახლეობაც მზად არის და კოკოითი ცდილობს მოვლენები სხვა დინებით წარმართოს...**

— ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ — ყველანაირი ფული და საშუალებები, რასაც სამხრეთ ოსეთისთვის გავიღებთ, ჩვენივე ტერიტორიისთვის, ერთიანი საქართველოსა და მისი მოსახლეობისთვის იქნება განკუთვნილი. რასაკვირველია, გზებიც უნდა გავიყვანოთ, სახლებიც ავაშენოთ და ინფრასტრუქტურებიც განვავითაროთ. სხვა საქმეა, რა უდევს გულში კოკოითს, როდესაც კომპენსაციასა და ზარალის ანაზღაურებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თუ მართლაც, სერიოზულად ვცდილობთ სამხრეთ ოსეთის შემორიგებას და მას ერთიანი საქართველოს ფარგლებში განვიხილავთ, იქ დახარჯული ყოველი ცენტი და კაპიკი საქართველოსთვის დახარჯულად უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ ახალი ხელისუფლებისადმი საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის — ყველაფერი თანდათან, მიზანდასახულად ვითარდება. ოსებმაც, ქართველებმაც და აფხაზებმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ მათ შორის მტყუან-მართლის გარჩევა იარაღის საშუალებით არასოდეს მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დღეს საამისო ყველანაირი საშუალება აქვთ.

თუმცა, ვფიქრობ, ცხინვალის შემთხვევაში პროპაგანდისტული მანქანა გაცილებით მძლავრად უნდა მუშაობდეს. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ ცხინვალის მოსახლეობა, პრაქტიკულად, მშიერი დარჩა. ახლა, ვიდრე კოკოითის დემაგოგიის წყალობით ქართველებზე გაბოროტებულან, არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ: რა უჯობთ — ჩაბნელებულ, კონტრაბანდისტულ და კრიმინალურ ანკლავში რუსეთის უკანონო შვილის სტატუსით ყოფნა, თუ საქართველოს შემადგენლობაში საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებითა და დაფინანსებით განვითარებულ, ყველა უფლებისა და სტატუსის მქონე მხარეში ცხოვრება...

**— საქართველოში არსებული რთული ვითარების ფონზე ქართველი პარლამენტარების გადაწყვეტილება, პლაჟზე სესიის ჩატარების თაობაზე, ცოტა არ იყოს, არასერიოზულად ჟღერს — მაშინ, როდესაც ქართველი პარლამენტარები ზღვაზე ნებივრობენ, ბიზნესმენები საგადასახადო კოდექსზე მსჯელობენ...**

— სიმართლე რომ ვთქვა, დღეს არსებული ქართული პარლამენტარიზმისგან მეტს არც მოვითხოვ. ეს ნდობის ფაქტორის მიხედვით შედგენილი პარლამენტი გახლავთ. დღევანდელ პარლამენტართა უმრავლესობა კი არა პარლამენტარი, არამედ ხმის მიმცემი მანქანაა — ასეთი მანქანები ქართულ სახელმწიფოებრიობას დღეს ძალიანაც სჭირდება, რადგან უამრავი საკანონმდებლო ცვლილებაა მოსახდენი და დებატებისა და თავის გამოჩენის დრო ნამდვილად არ გვაქვს. შესაცვლელია საგადასახადო კოდექსი, სამართალდამცავი ორგანოების სტატუსი და კომპეტენცია და უამრავი სხვა რამ. ალბათ ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ ყველა საჭირო საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდეგ ამ მოწვევის პარლამენტს ვადაზე ადრე დაითხოვენ და რიგგარეშე, უკვე ყოველგვარი რევოლუციური დამსახურებისა და პარტიული ნდობის ფაქტორის გარეშე ნამდვილ, ჭეშმარიტად ღირსეულ პარლამენტს ავირჩევთ. ეს ცოტა ძნელად ასასრულებელი და წარმოსადგენი რამ გახლავთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც არ უნდა მართებულად იქცეოდეს პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, კრიტიკული აზრი ქვეყნის განვითარებისთვის უაღრესად საჭირო და საშურია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ — ამ ეტაპზე პრეზიდენტის მოქმედება კრიტიკას ნამდვილად არ იმსახურებს.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს, მართალია, მისი დეტალურად გაცნობა ვერ მოვასწარი, მაგრამ რაც ვიცი, იმის მიხედვით თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე ლიბერალური კოდექსი პოსტსაბჭოთა სივრცეში — ისეთი, როგორიც საქართველოს ეკონომიკას დღეს სჭირდება. განსაკუთრებით, ხელფასების დაბეგვრის თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, საქართველოში ხელფასების დაბეგვრის ყოვლად უაზრო, მაღალი განაკვეთი ქართველ ბიზნესმენებს წელში წყვეტდა. როგორც ჩანს, კახა ბენდუქიძემ თავისი პრინციპების განხორციელება კოდექსში მაინც მოახერხა...

საქართველოსთვის რა უფრო მნიშვნელოვანია – შიდა ქართლის ამ კონფლიქტურ რეგიონს ერქვას სამაჩაბლო, რეალურად კი რუსეთი, უფრო სწორად, რუსი და ოსი კრიმინალები და კონტრაბანდისტები აკონტროლებდნენ, თუ ერქვას სამხრეთ ოსეთი, ან უბრალოდ ოსეთი და საერთო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყოს?

თუმცა საბოლოო ვარიანტი ეს მაინც არ არის. უკვე ამ კვირიდან დაიწყება ფართო მსჯელობა და დებატები მის დახვეწასთან დაკავშირებით. ერთი რამ ცხადია — ეტყობა, ხელისუფლებამ საბოლოოდ გააცნობიერა, რომ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და მოწესრიგება უპირველესია, რაც დღეს ქართულ სახელმწიფოებრიობას სჭირდება. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძალოვან უწყებებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქუჩაში უმუშევარი ათასობით ადამიანი გამოჩნდება. მცირე მეწარმეობის აღორძინების გარეშე კი ამ ადამიანებმა შეიძლება მეორე რევოლუცია მოახდინონ...

საქარეთველოში ხელფასების დაბეგვრის ყოვლად უაზრო, მაღალი განაკვეთი ქართველ ბიზნესმენებს წელში წყვეტდა... როგორც ჩანს, კახა ბენდუქიძემ თავისი პრინციპების განხორციელება კოდექსში მაინც მოახერხა...

ერთი რამ ცხადია – ეტყობა, ხელისუფლებამ საბოლოოდ გააცნობიერა, რომ საგადასახდო სისტემის ლიბერალიზაცია და მოწესრიგება უპირველესია, რაც დღეს ქართულ სახელმწიფოებრიობას სჭირდება. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძალოვან უწყებებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქუჩაში უმუშევარი ათასობით ადამიანი გამოჩნდება. მცირე მეწარმეობის აღორძინების გარეშე კი ამ ადამიანებმა შეიძლება მეორე რევოლუცია მოახდინონ...

***დაჩი გრძელიშვილი***

# იშხანში ერთი ბიჭი მეუფეს ელოდება...



გერგეტის სამება

სამშობლოს სიყვარული მარტო ფურცლებზე ჩამოწერილი გულში ჩამწვდომი ფრაზები არ არის, არც მარტო მკერდში მჯიღის ცემა და დემონსტრაციებზე ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი. საქართველოს სიყვარული ღრმაა და იგი საქმის უხმაუროდ კეთებას ითხოვს.

ასე, უპრეტენზიოდ შესდგომიან საღმრთო გზას საპატრიარქოს მოგზაურობისა და მომლოცველთა სამსახურის წარმომადგენლები. ერთი შეხედვით, თითქოსდა ჩვეულებრივი ამბავია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა და ტაძრების მოლოცვა, მაგრამ მასშია სწორედ ის საყრდენი და დედაბოძი, რომელზეც სამშობლოს სიყვარული უნდა აიგოს. ამ სამსახურის თანამშრომელმა **თამარ ცინცაძემ** გვიამბო:

— ყოველ შაბათ-კვირას დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სადაც მანქანა არ მიდის, ფეხით ავდივართ. გვინდა შევაყვაროთ ქართველებს თავისი ქვეყანა, ღვთაებრივი კუთხით დავანახვოთ სამშობლო. ადრეც ტარდებოდა ექსკურსიები ძეგლებზე, მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიული ნაწილი უგულებელყოფილი იყო. მაგალითად, გარეჯის არქიტექტურაზე გესაუბრებოდნენ და მამა დავითის ღვაწლი თითქმის მივიწყებული იყო. ჩვენ გვინდა ამ კუთხით გავაცნოთ ხალხს საქართველოს მონასტრების ისტორია. ნებისმიერი ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანს შეუძლია ჩვენთან ერთად იმოგზაუროს. რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველგან არ მიდის, ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი ასეთი სამსახური ჩამოყალიბებულიყო.

— **რაიონებში ალბათ უკვე იციან და გელოდებიან კიდეც.**

— ქვემო ქართლში არის ისტორიული ძეგლი ქოლაგირი, თამარის ციხეს ეძახიან. მღვდელმა გვთხოვა ჩავსულიყავით, რომ იქაურებს ეგრძნოთ — ისინი არავის დავიწყებია... ყველგან ჩავდივართ, სადაც შესაძლებელია.

— **თქვენ ბრძანეთ, სადაც შესაძლებელიაო. სად არ არის შესაძლებელი?**

— ჯერჯერობით ვერ შევდივართ აფხაზეთში, სამაჩაბლოში... ნელ-ნელა ალბათ შეიცვლება მდგომარეობა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ყურადღების მიღმა არ რჩება საქართველოს არც ერთი კუთხე, ქართული მონასტრები, რომლებიც დღეს ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული. ფოკაში, ფარავნის ტბასთან დაარსდა ქართული მონასტერი. ახლა იქ ქართველებიც ჩადიან. 1-ელ ივნისს, ნინოობას ჩვენც ჩავდივართ ხოლმე.

— **საქართველოს ფარგლებს გარეთ გადიხართ მოსალოცად?**

— გავდივართ და მერე როგორ? გვაქვს მარშრუტი ტაო-კლარჯეთში, ვნახულობთ ხახულს, ოშკს, იშხანს, ხანძთას, ბანას, ოთხთას, პარხალს... გვინდა იქაურ სიწმინდეებს ვაზიაროთ ჩვენი თანამემამულეები. ძალიან კეთილგანწყობილი ხალხი დაგვხვდა იშხანში. ჩვენ ვიგალობეთ, გვთხოვეს, კასეტები დაგვიტოვეთ, ჩვენც უნდა ვისწავლოთ ასეთი გალობაო. არ შეიძლება მათ სულში რაღაც ქართული არ იყოს ჩაბუდებული, იმდენი სიყვარული და სითბო გამოხატეს ჩვენდამი. ერთმა ბიჭმა გვითხრა: აქ საქართველოდან მეუფე იყო ჩამოსული, შემპირდა სასწავლებლად წაგიყვანო. ელოდებოდა...

— **საქართველოშიც არანაკლებ საჭიროა ქართველი მართლმადიდებლების აქტიურობა. უმოქმედობამ მარტო ტერიტორია და ტაძრები კი არა, შეიძლება სულიერება დაგვაკარგვინოს.**

— აქ, ისეთ ტაძრებში დავდივართ, სადაც წირვა-ლოცვა არ არის. დაუჯდომელს ან პარაკლისს ვკითხულობთ. კვირაობით მოკლე-მოკლე მარშრუტებზე დავდივართ, რომ წირვა-ლოცვასაც დავესწროთ. გავდივართ მცხეთაში, მარტყოფში, ბეთანიაში. ასეთი რამ მოვიფიქრეთ: ტაძართან არსებულ მაღაზიებში იყიდება ბილეთები. მსურველი მას შეიძენს და ჩვენთან ერთად წამოვა. შთაბეჭდილების წიგნში მათ გულში ჩამწვდომ სიტყვებს რომ ვკითხულობთ, ძალა გვემატება. თურმე რა კარგი სამსახური გვქონია... 15 დეკემბერს წავედით გარეჯში. დიდთოვლობის გამო 12 კილომეტრი ვიარეთ ფეხით. მონასტერში რომ შევედით, 4 საათი იყო. ბერებს გაუკვირდათ. დიდი სიხარული გამოხატეს, დაგვაპურეს, დაგვაძინეს, მეორე დღეს გამოგვიშვეს უკან...

— **ქართული კულტურის ძეგლები ბევრგან საშინელ მდგომარეობაშია, დასასუფთავებელია მათი შემოგარენიც. თუ შეგწევთ ძალა, ეგებ ძეგლების მოვლა-პატრონობასაც გაუკეთოთ ორგანიზება.**

— ეს ჩვენი ტკივილია. ვფიქრობთ, ძეგლების დასასუფთავებლადაც მოვაწყოთ გასვლები. როცა მას უვლი და ზრუნავ, იბადება განცდა, რომ ის შენი ძეგლია, მაშინ აღარ გჭირდება ვინმემ შეგახსენოს, გიყვარდეს საქართველოო. ეს უკვე თავისთავად იქნება გააზრებული. ერთხელ მიხვალ, მეორედ, დაალაგებ, დაასუფთავებ, ილოცებ, ფიქრსაც, ლაპარაკსაც სხვანაირად დაიწყებ. მინდა ყველას დავანახვო, რომ საქართველო ჩვენია... სტუდენტების ერთი ჯგუფი მოვიდა, გვთხოვა, მივეხმარებით ბერებს ან სახურავს გადავუხურავთ, ან დავუთესავთ რამესო... როცა ეს განცდა ჩნდება, ცხადია, სამშობლოსათვის საქმის გაკეთების სურვილიც არსებობს.

დადიან ქართველი მოგზაურები და მომლოცველები ბეთანიაში, რუისში, ურბნისში, იყალთოში, შუამთაში, გურჯაანის ყველაწმინდაში, ბაგრატის ტაძარზე, ნიკორწმინდაში, ფოკაში, ბოდბეში, უფლისციხეში, ხირსაში, 12 ასურელი მამის საფლავებზე, ტაო-კლარჯეთში, კახში, იერუსალიმში... როცა მათი მოგზაურობის ამბავს ვისმენ, პირზე ქართველი პოეტის სიტყვები მადგება: „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“

***ლელა ჯიყაშვილი***

# „ნათელი იგი...“ — ფილმი, რომელიც ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებს ეძღვნება

შაბათს, კინოს სახლში ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი წარუდგინეს მაყურებელს. „ნათელი იგი...“ — ასე ჰქვია ფილმს, რომელიც მამა-შვილ ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებს ეძღვნება.

ცნობილმა ფილოსოფოსმა ნიკო ჭავჭავაძემ და მისმა ვაჟიშვილმა, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ ნათელი კვალი დაატყვეს ჩვენს ეპოქას. მამა-შვილის ბიოგრაფია საქართველოს ბედის თანხვედრია თითქოს. ფილმში ერთ ამოსუნთქვად ქცეულა უნიკალური ფოტო და ვიდეოკადრები, ამ ორი სასიქადულო მოღვაწის ქვეყნისათვის თავდადებას რომ ასახავს პირველ ყოვლისა.

ნიკო ჭავჭავაძე რეპრესირებული ოჯახის შვილი, დაობლებული, მეორე მსოფლიო ომში მრავალჭრილობამიღებული (13 ჭრილობა ჰქონდა) და მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი საბჭოთა „ჩაბეტონებული“ სისტემის გარემოცვაში ახერხებდა „პიროვნებად ყოფნას“. ამასვე ასწავლიდა თავის თანამედროვეთ და ბუნებრივია, საკუთარ შვილსაც...

ფილმის სცენარის ავტორები და რეჟისორები არიან ბატონი ნიკოს ქალიშვილი, ნინო ჭავჭავაძე და ირაკლი პაპავა.

— ყველანი, ვინც ამ დარბაზში ბრძანდებით, ამ ფილმის მონაწილენი ხართ, რადგანაც ყველა თქვენგანი იცნობდით მათ და ცხადია, შეგიძლიათ იამაყოთ ამით. მამა-შვილ ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეების და მათ მსგავსთა ღირსეული ღვაწლი რომ არ გვიმაგრებდეს გულსა და ზურგს, ალბათ კარგა ხნის წინ ვიქნებოდით იავარქმნილნი... — განუცხადა მაყურებელს ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელმა და წამყვანმა, ცნობილმა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა.

დოკუმენტური ფილმი „ნათელი იგი...“ კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის სიმღერის „კახეთის“ ფონზე იწყება ჭავჭავაძეების საგვარეულო გერბის აღწერით, რომელზე გამოსახული გვირგვინი ღირსების სიმბოლოა, ირემი სიკეთისა, ხმალაღმართული ხელი კი მებრძოლი სულის...



ნიკო ჭავჭავაძე

ფილმის ავტორები თავდაპირველად ჭავჭავაძეთა დიდ წინაპარს, გენერალ ნიკო ჭავჭავაძეს წარმოგვიდგენენ, რომელიც მეფის რუსეთს დაღესტანში გაუმწესებია მთიელი ხალხის დასამონებლად. ნიკო ჭავჭავაძეს კი ისე შეუყვარებია დაღესტნელებისთვის თავი, რომ სულ მალე შემოურიგებია მთიელები, დაღესტნელების სათარეშოდ ქცეულ კახეთს შვებით ამოუსუნთქავს — მტრები კეთილმოსურნე მეზობლებად ქცეულან. ნიკო ჭავჭავაძეს ეკუთვნის უკვდავი ფრაზა: „თუ გინდა, რომ ერი მართო, ის ერი უნდა გიყვარდეს!“



ზურაბ ჭავჭავაძე

სულისშემძვრელია ფილმში გაჭენებული ცხენის ფლოქვების ხმაურში შემოჭრილი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც თეთრ რაშზე ამხედრებულ რაინდს ჰგავდა, უსამართლო ბრძოლას რომ ეწირება და აკი, შეეწირა კიდეც.

უნიკალური კადრები ერთმანეთს ცვლიან: სოხუმი. 1988 წლის 3 დეკემბერი. ზურაბ ჭავჭავაძე აფხაზურ ენაზე მიესალმება სოხუმელებს; ისევ სოხუმი. ამჯერად მამასთან ერთად წარმართავს სოხუმში უდიდეს მიტინგს 9 აპრილამდე ორი კვირით ადრე... გასაოცარი უნარი ჰქონდა მამა-შვილს — თითქოს რაღაც საიდუმლოს ფლობდნენ სხვა ეროვნების ადამიანებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობისა...

***დოდო იორდანიშვილი***

# „მზის გულზე დგომას მივეჩვიეთ, დედების ტირილს — ვერა...“



ვარაზისხევში, აფხაზეთ-სამაჩაბლოში დაღუპულთა მემორიალთან საპატიო ყარაული დადგა. ქვეყანა დამარცხებულის უმწეობას იშორებს და ომში დაღუპულების ხსოვნას ნათელით მოსავს, — ომში დამარცხება დასასრული არ არის, შეიძლება წააგო, მაგრამ დაამტკიცო, რომ შენი მიწა სიცოცხლეზე მეტად გიყვარს და მომავლის იმედი არ დაგიკარგავს. წავაგეთ კრწანისიც, მაგრამ სამასი არაგველისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელები იბრძვის. პატარა ვარაზისხევმა ეროვნული ცნობიერების სიმი დაჭიმა. მემორიალზე 4600 კაცის სახელი მხოლოდ ხსოვნის სიმბოლო არ არის, ის სიმბოლოა იმის, რომ ქვეყანა ცოცხლობს და მთავარ მოვალეობას გახსენებს — როგორმე დაიბრუნო მიწა, რომელსაც ამდენი სიცოცხლე შეეწირა. ეს ადგილი სამშობლოს სახელობის ტაძარივით არის, მარადიული ცეცხლის გარშემო სანთლებიც ანთია. საპატიო ყარაული ვაჟკაცურად იკავებს ცრემლს, როცა იქ შვილმკვდარი დედები მოდიან და შვილებს უცნობი მამებისთვის ყვავილები მოაქვთ... დაცვის პოლკის ოცეული ყოველ საათში ცვლის ყარაულს. 18 წლის ბიჭები მემორიალთან დგომამ კაცებად აქცია:

— ეს ქვეყნის უპირველესი პოსტია, ისევე როგორც სამხედრო ნაწილის უპირველესი პოსტია საბრძოლო დროშასთან გუშაგად დგომა. თუ დროშა დაიკარგა, ნაწილი იშლება. ასეა ქვეყანაშიც: თუ ომში დაღუპულების ხსოვნა დაიკარგა, ქვეყანაც იშლება. სახელმწიფო ვალდებულია, ომში დაღუპული ახსოვდეს. ამ ხალხმა სიცოცხლე გაწირა, ზოგს ცხოვრებაში იქნებ რაიმე ეშლებოდა კიდეც, მაგრამ ყველამ იცოდა, ომში თუ მიდიხარ, შეიძლება მოკვდე... ესე იგი, შინაგანად სიკვდილისთვის მზად იყვნენ. ზოგჯერ გაიგონებ, უაზრო ომში დაიღუპნენო. როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი, როცა შენს მიწას ვიღაც გართმევს, ბოლმა გაწვება, იღებ იარაღს და მიდიხარ.

— **მემორიალთან ბევრი ხალხი მოდის?**

— მოდიან. ამ ადგილას დიდი მოძრაობაა. ხანდახან მანქანის დასაყენებელი ადგილიც არ არის. ზოგს ყვავილები მოაქვს, ზოგი ჩვენთან სალაპარაკოდ მოდის — თქვენი ჭირიმე, კარგ საქმეს აკეთებთო. ჩვენ ვინ ვართ, სიცოცხლე ამ ხალხმა გაწირა, ვისი გვარიც აქ წერია.

საქართველოში ოჯახი არ არის, ამ ომებში ახლობელი რომ არ დაეკარგა. მათ შორის, ჩვენებიც არიან. ზოგის სახელი აქ არც წერია. ომში დაღუპვის ცნობები დღემდე მოაქვთ.

— **რა უფრო ძნელია, შუაგულ მზეში დგომა, თუ ამ ბიჭების დედების ყურება?**

— წვიმაში და მზეში გაუნძრევლად დგომას მივეჩვიეთ. ეს ჯარისკაცის მოვალეობაა. გარდა ამისა, საყარაულო ადგილს ალბათ მალე გადახურავენ. უფრო ძნელი საყურებელი დედის ცრემლია. ზოგს შვილის საფლავიც არ აქვს, ამქვეყნად მხოლოდ აქ დაწერილი სახელი და გვარიღა დარჩა. სურათები მოაქვთ, ტირიან, კედლებს კოცნიან...

ამ ბოლო დროს ნეფე-დედოფლებიც მოდიან.

— **წინასწარ მოემზადეთ ამ სამსახურისთვის?**

— ფიზიკურად კი. შინაგანად ალბათ ყველა ჯარისკაცი მზად არის ამისთვის.

— **რამდენი ირიცხებით საპატიო ყარაულში?**

— 6 ჯარისკაცი და ერთი ოცმეთაური. ყველა ჯარისკაცს დღეში 4 საათი უწევს ყარაულში დგომა. უკვე ამზადებენ საპატიო ყარაულის საგანგებო ოცეულს. ორ ჯგუფად გავიყოფით და დღეგამოშვებით ერთმანეთს შევცვლით.

— **იღლებით?**

— ჯერ არავის დაუწუწუნია. ეს ბიჭები მეტსაც იმსახურებენ, მაგრამ სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია მათთვის...

— **ჯარისკაცებზე სახელმწიფო ახლა განსაკუთრებულად ზრუნავს. არის კიდევ ქართულ ჯარში დიდი პრობლემები?**

— ჯარი ისე არ არსებობს, პრობლემა არ ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა დაშლილი ქვეყანაა. შეიძლება ამაზე ყველა ჯარისკაცი არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველა ფიქრობს. თორემ ისე რა უნდათ ჯარში, ფულს გადაიხდიან და შინ დარჩებიან, ყველა მეომარი ხომ არ იქნება? გვინდა ყველამ იცოდეს — ჩვენი იმედი უნდა გქონდეთ, თავის დაზოგვას არ ვაპირებთ...

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „გარემოების მსხვერპლი თუ ჩვეულებრივი დამნაშავე“ — 71 ხმა
2-3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „იძულებული ვიქნები, შური ვიძიო, თუნდაც სიცოცხლის ფასად“ — 46
2-3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 46
4. **ეთერ ერაძე** — „ეს რა ჩაიდინე, კაენ!“ — 30

მკითხველის პრემია **ვაჟა გავაშელს** გადაეცემა.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 346-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# სიახლე დამნაშავეთა „ბიზნესში“

## ფრთხილად! „მოდაშია“ სანომრე ნიშნების „ვაზვრატი“...

გატაცებული მანქანების ბიზნესი საქართველოში ჯერ კიდევ მომგებიან საქმედ ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ „ინომარკებზე“ მონადირეთა ბევრი ჯგუფი დააკავეს და ცხინვალისა თუ სომხეთის ტერიტორიებზე გადასასვლელი შემოვლითი გზებიც ააფეთქეს, მანქანის ქურდები მაინც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას. მეტიც, როგორც „კვირის პალიტრამ“ აღმოაჩინა, დამნაშავეებმა „ბიზნესში“ სიახლის შეტანაც მოახერხეს. სიახლის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მოპარული მანქანების გარდა, მოგება თურმე ნომრების მოპარვასაც მოაქვს.

დამნაშავეთა სამიზნედ ამჯერად საქალაქთაშორისო რეისებზე მომუშავე სამარშრუტო ტაქსები და ავტობუსები იქცა. მძღოლები ამბობენ, რომ სანომრე ნიშნების ქურდობამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. მათი ინფორმაციით, თითქმის არ არსებობს მძღოლი, მანქანის ნომრები რომ არ მოეპარათ. არიან ისეთებიც, რომლებსაც რამდენჯერმე მოჰპარეს ნომრები და მხოლოდ გასამრჯელოს გადახდის შემდეგ დაუბრუნეს. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ დაზარალებულს, გოგი აბესაძეს გავესაუბრეთ:

— ნომრების ქურდობა თითქმის ხუთი თვის წინ დაიწყო. თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ნომრებს ბიჭბუჭები ხსნიდნენ, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდით. სულ მალე ნომრების ქურდობა ეპიდემიასავით გავრცელდა და დღე არ გავა, ვინმეს სანომრე ნიშნები არ მოუხსნან.

— **ამას რა მოგება მოაქვს, ხომ შეიძლება პოლიციაში განაცხადო და ახალი ნომრები მიიღო?**

— პოლიციაში განცხადებას რა აზრი აქვს, ქურდებმა იციან თავიანთი საქმე. ისეთ დროს იპარავენ, რომ პოლიციაში სირბილს აზრი არ აქვს. ჩემს მაგალითს მოგიყვანთ — პირველად ოთხი თვის წინ მომიხსნეს სანომრე ფირნიში. თბილისი-სამტრედიის მარშრუტზე ვმუშაობდი. სამტრედიის სადგურზე ვიდექი. ორ მგზავრსღა ველოდებოდი და თბილისისკენ ვაპირებდი წამოსვლას. ჯერ ვიფიქრე, ვინმე მეხუმრება-მეთქი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, ნომერი მართლაც მოხსნილი იყო, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. თბილისში რაღას წავიდოდი, ნებისმიერი ინსპექტორი გამაჩერებდა.

— **ორივე ნომერი მოხსნილი იყო?**

— მხოლოდ უკანა მოეხსნათ. გიჟივით დავრბოდი სადგურში. ამასობაში „მარშრუტკაც“ გაივსო და მგზავრები მეჩხუბებოდნენ, რატომ არ მიდიხარო. ცოტა ხანს მელოდნენ და სხვა ტრანსპორტში გადასხდნენ. მე კი დავრჩი უნომროდ და უმგზავრებოდ.

— **ცუდ დღეში ჩავარდნილხართ. ეს ისტორია რით დამთავრდა?**

— ხელი რომ ჩავიქნიე, ორი ბიჭი მოვიდა და მითხრეს — 100 ლარს თუ მოგვცემ, გავიკითხავთ და ნომრებს გაპოვნინებთო. მივხვდი, იმათი მოპარული იყო, მაგრამ ჩხუბს რა აზრი ჰქონდა? 70 ლარი აღმომაჩნდა ჯიბეში. მივეცი და ხუთ წუთში მომიტანეს ჩემი ნომრები.

— **ნომრებს როგორ ხსნიან, ამ დროს იქ ხომ ყოველთვის არის ვიღაც?**

— მძღოლი შეიძლება სასადილოში იყოს შესული. მგზავრებმა კი რა იციან, ვინ არის. ჰგონიათ, რომ მძღოლი ხსნის ნომერს. წარმოიდგინეთ, რამდენი ავტობუსი და „მარშრუტკა“ დადის საქართველოში. ერთ დღეში სამი-ოთხი ნომერი რომ მოხსნან, კარგი მოგება დარჩებათ(!). დღეში სამასლარიანები იქნებიან. ჩვენ კი, გამოდის, ქურდებისთვის ვმუშაობთ.

ამას წინათ, ჩემმა ძმაკაცმა მგზავრებით რომ გაავსო „იკარუსი“, მერელა გაიგო, რომ ნომრები მოეპარათ. ორი დღე ირბინა ნომრების დასაბრუნებლად. ამასობაში, დღეებიც გაუცდა და ფულიც დაეხარჯა. ამ დღეშია თითქმის ყველა მძღოლი. ბევრია ისეთიც, რომლებმაც ნომრები ვერ იპოვეს და ახლის აღება დასჭირდათ.



— გიჟივით დავრბოდი სადგურში. ამასობაში „მარშრუტკაც“ გაივსო და მგზავრები მეჩხუბებოდნენ, რატომ არ მიდიხარო. ცოტა ხანს მელოდნენ და სხვა ტრანსპორტში გადასხდნენ. მე კი დავრჩი უნომროდ და უმგზავრებოდ. ხელი რომ ჩავიქნიე, ორი ბიჭი მოვიდა და მითხრეს — 100 ლარს თუ მოგვცემ, გავიკითხავთ და ნომრებს გაპოვნინებთო...

— **ნომრები რატომ ვერ იპოვეს, ქურდები ხომ „ვაზვრატზე“ მუშაობენ?**

— ნომრებს მხოლოდ ქურდები კი არ იპარავენ. სამგზავრო ტრანსპორტს შორის დიდი კონკურენციაა და ზოგჯერ კონკურენტები იშორებენ ერთმანეთს თავიდან. როცა მგზავრების შოვნა ჭირს, შეიძლება რომელიმე მძღოლმა ვინმეს ცოტა ფული მისცეს და მის კონკურენტზე ნომერი მოაპარვინოს. ნომერს მოჰპარავენ და გადააგდებენ. ამიტომ ჯობს, ქურდებმა მოგვპარონ, ვიდრე კონკურენტებმა.

— **პოლიციაში მისვლა არ გიცდიათ?**

— პოლიციელებს რომ შევჩივლეთ, გვიპასუხეს, თქვენს ნომრებს ხომ არ ვუყარაულებთო(?!). არადა, რომ მოინდომონ, რა უნდა მაგათ დაჭერას, მაგრამ ეტყობა, არც აწყობთ... თვითონაც ხეირობენ ალბათ. ისევ შოფრები ჩალიჩობენ. ზოგმა „მიასვარკა“, ზოგმა — მეორე წყვილი გააკეთებინა და საბარგულში ინახავს. თუ მოჰპარეს, ახალს დააყენებენ. მაგრამ ყველაფერ ამაში ფულიც იხარჯება და დროც. როცა ნაქირავებ „მარშრუტკაზე“ მუშაობ და ათასი ხარჯი გაქვს, მოპარული ნომრების „ვაზვრატისათვის“ საჭირო თანხა უკვე ძნელი გასაღებია. თანაც, კიდევ ვიმეორებ, ეს ერთხელ რომ ხდებოდეს, კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ არავის აქვს გარანტია, რომ ნომრების დაბრუნებიდან მეორე დღესვე ისევ არ მოგპარავენ და ფულის დახარჯვა ხელახლა არ მოგვიხდება.

***დავით დევიძე***

# ტყეში ნავით გასეირნება ხომ არ გნებავთ?



ჭიაურის ტყეში თევზზე „ნადირობენ“

## ამ ტყეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი შველზე ნადირობდა, დღეს კი ლაგოდეხელები თევზს იჭერენ

### თუ გზა ჩაიქცა, ლაგოდეხი საქართველოს მოსწყდება

ის, რაც ცეცხლითა და მახვილით მოსულმა მტერმა საუკუნეების მანძილზე ვერ წაგვართვა, დღეს წყალს მიაქვს. ბოლო წლებში თითქმის ტრადიციად ქცეული სახელმწიფოებრივი გულგრილობის გამო, საქართველოს ულამაზესი და ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ლაგოდეხის რაიონი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისგან მოწყვეტისა და თითქმის სრული დაჭაობების საფრთხის წინაშეა. მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული მრავალსაუკუნოვანი ჭიაურის ტყე, სადაც ოდესღაც დიდგვაროვანი ქართველები ნადირობდნენ, ტყე, რომელსაც შემოსეული მტრისგან აწიოკებული ქალები და ბავშვები აფარებდნენ თავს, ახლა წყალში იძირება. სამწუხაროდ, ეს პრობლემა არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. ჭიაურის ტყე უკვე რამდენიმე წელია მდინარის კალაპოტად იქცა(!). ამის შედეგად ნადგურდება ფლორისა და ფაუნის უნიკალური ნიმუშები. ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობა შველას ითხოვს. არსებული სიტუაციის უფრო ახლოს გასაცნობად კახეთისკენ გავეშურე.

სიღნაღიდან ალაზნის ველზე გაჭიმული ჭიაურის ტყე უგრძეს მსხვილ ზოლად მოჩანს. აქედან თვალი ვერ ამჩნევს იმას, რაც ახლოს მისვლისას გაგაოგნებს. შეგძრავთ იმის დანახვა, თუ როგორ კვდებიან ხეები ზეზეურად. ტყის უზარმაზარი ტერიტორია წყალშია. ხეების მეტი ნაწილი ლპება. იქ კი, სადაც წყალი შედარებით ახალი ჩამდგარია, ხეები ჯერ კიდევ ყვავის, თუმცა, არავინ იცის, როდემდე გაუძლებენ წყლისა და ჭაობის მცენარეების შემოტევას. ტყეს შუაზე ყოფს გზა, რომელიც ლაგოდეხის რაიონს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს. არის საშიშროება, რომ გზის ქვეშ წყლით გაჟღენთილი მიწა ჩაიქცეს და მაშინ გზასაც და მიწის დიდ ნაწილსაც მდინარე შთანთქავს, რაიონი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ლაგოდეხელები ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია უბედურების თავიდან აშორება, ოღონდ ამისთვის სასწრაფოდაა დასაწყები სათანადო ზომების მიღება.

ჭიაურის ტყის გამკვეთი გზის პირას მეთევზეები ჩამომსხდარან(?!), პირდაპირ გზიდან ისვრიან ანკესს და თევზაობენ. ერთ-ერთს ვესაუბრები:

— **ტყეში ბევრი თევზია?**

— მგონი უფრო მეტიც, ვიდრე მდინარეში. ნაწვიმარზე მდინარე აიმღვრა და ტყეც მღვრიეა. რომ დაიწმინდება, შეგიძლია გზის პირას ჩამოჯდე და მოცურავე თევზებს უყურო, ზოგან კენჭებთან ერთად, საცოდავად გაშიშვლებული ხეების ფესვებსაც დაითვლი. საცაა წაიქცევიან და თან წაიყოლებენ ტკივილს. კაცი არ გამოჩნდა მათი მშველელი. ხეები თუ არა, ხალხი მაინც არ უნდა შაიბრალონ (კახურად მოუქცია), მალარიის კოღო ჩადგა ტყეში, საღამოს აქ მანქანითაც ვერ გაივლი, შაჰაბასის ლაშქარივით გუნდ-გუნდად დაქრიან კოღოები, თუ დაგესიენ, ყელს გამოგღადრავენ.

— **ეი. ტყეში თევზაობა სულაც არ გეპიტნავებათ.**

— ტყეში თევზაობა ვის გაუგია, აქ სანადიროდ უნდა დადიოდე, უკუღმა მიგვდის საქმე. ბუნება ნადგურდება. ნაწვიმარზე ტყეში წყალი მატულობს, გზას ფარავს, მსუბუქი მანქანები გზაზე ველარ გადადიან, ავარიები, ათასი უბედურება ხდება.

ეს რაიონი უძველესი ჰერეთის ტერიტორიაა. დღეს საინგილოს დაკარგვას მივტირით და ვწუხვართ, რომ იგი სხვა ქვეყნის ტერიტორიად იქცა, იმას კი არ ვჩივით, საკუთარი უგულისყურობით რაც დაგვრჩა, იმასაც რომ ვაპარტახებთ. ტყე კი არა, სოფლებიც იძირება წყალში...

საუბრისას თითქოს მოჩვენებები დამეწყო: ტყის სიღრმიდან, რეზინის გასაბერმა ნავმა გამოცურა. მასში მჯდომმა ასე 15-ოდე წლის ბიჭმა ნავი ტბასავით დამდგარ წყალში გააჩერა, ანკესი ისროლა და ორიოდე წუთში თევზი დაიჭირა. ბიჭს დავუძახე. მოცურდა. ნავში ბლომად თევზი ეყარა. ტყეში ნავით გასეირნება ხომ არ გინდაო — ღიმილით შემომთავაზა. თავაზიანად ვუთხარი უარი.

***(გაგრძელება იხ. გვ. 12)***

# შოკური თერაპიის მოლოდინში...

ახალი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი პოლიციურ საქმიანობას საკადრო წმენდით იწყებს. ყოფილი გენპროკურორი სამინისტროში რეფორმების დასრულებას შოკური თერაპიის მეთოდით აპირებს. მინისტრის მოადგილეებისა და სხვადასხვა განყოფილების უფროსების სავარძლებს ახალი პირები იკავებენ. ერთადერთი, ვინც პოლიციურ უწყებაში ადგილი შეინარჩუნა, გია ბარამიძის მოადგილე ირაკლი კლდიაშვილია.

იგი მოადგილეობასთან ერთად თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობასაც შეითავსებს. სად გადაიყვანენ სამმართველოს ყოფილ უფროსს — ლევან მაისურაძეს, ჯერჯერობით, უცნობია.

ოქრუაშვილი სამინისტროში მოადგილის თანამდებობაზე ყოფილ ვიცე-პრემიერს — გია არევაძეს იწვევს. მართალია, არევაძე პოლიციის კადრი არ არის, მაგრამ მიიჩნევენ, რომ მინისტრის მოადგილედ მის გადაყვანას არევაძის წარსულმაც შეუწყო ხელი. ოქრუაშვილი და არევაძე ერთად მუშაობდნენ საკრებულოში და როგორც ამბობენ, არევაძე ახალი მინისტრისთვის საიმედო კადრია.

შსს-ში ამბობენ, რომ თანამდებობებს დაატოვებინებენ თითქმის ყველა მაღალჩინოსან პოლიციელს. მაგრამ უმთავრესი ცვლილება ჯერ კიდევ წინ არის. იგულისხმება შსს-ს კადრების საერთო შემცირება, რასაც გია ბარამიძის აზრით, რამდენიმე წელი მაინც სჭირდებოდა, მაგრამ ჩანს, ოქრუაშვილი მოვლენებს დააჩქარებს და წლის ბოლომდე 15 ათასი პოლიციელი დაემშვიდობება პოლიციელის მუნდირს.

საკადრო ცვლილებების გარდა, ახალ მინისტრს კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორებაც მოუწევს. ეს დღეისათვის სამინისტროს ყველაზე დიდი პრობლემაა. ერთი სიტყვით, ოქრუაშვილს ერთდროულად ორ კურდღელზე მონადირის როლი არგუნეს. როგორ განვითარდება მოვლენები, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. არადა, ფაქტია, რომ ბოლო დროს კრიმინოგენული სიტუაცია აშკარად დამძიმდა, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ „კვირის პალიტრისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, მაისის თვეში 619 დანაშაულია დაფიქსირებული. მათგან მხოლოდ 214-ია გახსნილი, რაც თავისთავად საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებს. ამასთან, როგორც ირკვევა, დანაშაულთა რაოდენობამ შარშანდელ იმავე თვის მონაცემებს 162 ერთეულით გადაამეტა. რატომ გაიზარდა დანაშაულობათა რაოდენობა თბილისში? ამ კითხვაზე პოლიციის მაღალჩინოსნები პასუხს არ იძლევიან. მიზეზი მარტივია — საკადრო ცვლილებების მოლოდინში მათ ამ თემაზე ლაპარაკი არ სურთ. მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ თანამდებობას შეინარჩუნებს. სამმართველოს კულუარებში თავს იმითაც იმშვიდებენ, რომ მხოლოდ სტატისტიკაზე დაყრდნობით პოლიციელთა მუშაობის არაეფექტიანობაზე მსჯელობა არ შეიძლება: „მართალია, შარშან, მაისში, უფრო ნაკლები დანაშაული დაფიქსირდა, — გვითხრა პოლიციის ერთმა ოფიცერმა, — მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს და აქედან ვერც დასკვნებს გააკეთებთ. მაშინ ხომ საერთოდ არ ფიქსირდებოდა(?!) დანაშაულთა რაოდენობა. მაჩვენებლებს ხელოვნურად ამცირებდნენ, რათა ექსპრეზიდენტის რისხვა არ გამოეწვიათ...“

ასეთი არგუმენტი სიმართლისგან არცთუ ისე შორს დგას. მაგრამ ის ფაქტი, რომ პოლიციას გაუხსნელ საქმეთა რაოდენობა თავზე საყრელად აქვს, უწყებაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე მეტყველებს.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას პოლიციელები სკეპტიკურ პროგნოზებს აკეთებენ. ისინი, უპირველესად, უწყებიდან პროფესიონალი კადრების გადინებას გულისხმობენ. „ისეთი ხალხი მიდის პოლიციიდან, უწყების მთავარი დასაყრდენი რომ იყო, — ამბობს პოლიციის ოფიცერი გელა საღირაძე, — მათ ადგილებს არაპროფესიონალები იკავებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ ახალი მინისტრი პატიოსან კადრებს შემოიკრებს, მაგრამ პატიოსნება ერთადერთი კრიტერიუმი არ არის, რომლითაც პოლიციაში მუშაობა შეიძლება. ოქრუაშვილმა პროფესიონალებიც უნდა შეინარჩუნოს და რეფორმაც ბოლომდე მიიყვანოს. მან არც მწვადი უნდა დაწვას და არც შამფური. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ნახეთ კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება...“

რამდენად მოხერხდება ეს, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

***დავით დევდარიანი***

# „ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები“



სარფის სასაზღვრო-საკონტროლო-გამშვები პუნქტი

## როგორ შეიძლება სარფის გავლით ყალბი პასპორტით საზღვარზე გადასვლა

1999 წლის შემოდგომა. რუსმა მესაზღვრეებმა ქართველებს საქართველო-თურქეთის საზღვრის მონაკვეთი გადააბარეს. უნდა ითქვას, რომ რუსებმა გამართული და ყოვლად დაცული საზღვარი დატოვეს — თავისი ელექტროსისტემებით, სიგნალიზაციით, კეთილმოწყობილი საგუშაგოებითა და ყაზარმებით. საქართველო-თურქეთის საზღვარი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე დაცულ საზღვრად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს წარსულს ჩაჰბარდა — დღეს იქაურობა გაპარტახებულია. ელექტროსიგნალიზაცია მხოლოდ სარფის ორკილომეტრიან მონაკვეთზე მუშაობს. დანგრეულია კეთილმოწყობილი საგუშაგოები, ხოლო მიწები — გაყიდული. განიავდა მესაზღვრეების საბინაო ფონდი და რაც ყველაზე სავალალოა, საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს სისტემიდან უკანონოდ დაითხოვეს უამრავი ქართველი მესაზღვრე. თურმე, ისინი ცხვირს იქ ყოფდნენ, სადაც „არაფერი ეკითხებოდათ“ და ამიტომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობისთვის დაითხოვეს. სწორედ ორმა მათგანმა მიგვიწვია ბათუმში და სენსაციური, ექსკლუზიური ინფორმაციის მოწოდებასაც დაგვპირდა.

ბათუმში ავდარი დამხვდა — მატარებლიდან ჩამოსულს წვიმის პირველი წვეთები დამეცა. ჩემი მასპინძლები ბაქანზე მელოდებოდნენ. სასტუმროში დაბინავების შემდეგ პირველი რესპონდენტი მეწვია. ოთახში შუახნის მამაკაცი მორიდებით შემოვიდა. იგი ყოფილი უფროსი ზემდეგი **მიშა ვასაძე** (მეტსახელად „დუშმანა“) აღმოჩნდა. თავიდან ნერვიულობდა, კრიჭაშეკრული ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ მოგვიანებით გათამამდა და თავისი სატკივარი გამანდო: — მას შემდეგ, რაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს, არმიაში ვარ. გავხდი კადრის ზემდეგი, ვიყავი ანგოლასა და კუბაში, ვიბრძოდი ავღანეთში. მოგვიანებით, სამხედრო სამსახური ბათუმში განვაგრძე. ჯერ ბათუმში დისლოცირებულ რუსეთის დივიზიაში ვიყავი, 1994 წელს კი ბათუმის სასაზღვრო რაზმში გადავედი. როდესაც რუსმა მესაზღვრეებმა საქართველო დატოვეს, რუსის ჯარში მომსახურე ქართველ მესაზღვრეებს ასლან აბაშიძემ გვთხოვა, სამსახური საქართველოს სასაზღვრო ნაწილში გაგვეგრძელებინა. მიუხედავად იმისა, რომ რუსები კარგ პირობებს გვთავაზობდნენ, ჩვენ საქართველოს ახალჩამოყალიბებულ აჭარის რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს სისტემაში დარჩენა და სამსახურის გაგრძელება გადავწყვიტეთ. გვიჭირდა, მაგრამ ყველა სიძნელეს ვუმკლავდებოდით. გავიდა ხანი და აჭარის რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს უფროსად, მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკი, თენგიზ კონცელიძე დაინიშნა (ამჟამად უკვე გენერალი, დღესაც აგრძელებს საქმიანობას) და ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მისი მითითებით დაიწყო ჩვენზე ზეწოლა. პირდაპირ არ გვეუბნებოდნენ, მაგრამ გვაგრძნობინებდნენ, რომ ჩვენს თანამდებობებზე ასლან აბაშიძის ახლობლები და ნათესავები უნდა დაენიშნათ. ამით, ბუნებრივია, საზღვარს აბაშიძისა და კონცელიძის ხალხი გააკონტროლებდა. ერთხელ ხულოს რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსის (ახლა უკვე ბათუმის უშიშროების სამსახურის უფროსი), გურამ ბოლქვაძისა და ნუგზარ ბეჟანიძის (კონცელიძის მაშინდელი მოადგილე) საუბარს შევესწარი. ბოლქვაძე ეუბნებოდა, ეს ხალხი (ანუ ჩვენ) უნდა ვაიძულოთ, რომ წავიდნენო. მართლაც, ამ საუბრის შემდეგ რამდენიმე დღეში „არასანდოობის“ მოტივით ჩვენი გათავისუფლება დაიწყეს. მათ შორის მეც აღმოვჩნდი. ქურდობა დამაბრალეს და სამსახურიდან გამაგდეს. ასე ნელ-ნელა მოიშორეს „არასანდო“ ხალხი რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს სისტემიდან. სამაგიეროდ, მოიყვანეს თავიანთი ნათესავები, ზოგიერთს კრიმინალური წარსულიც ჰქონდა და დაიწყო საზღვარზე განუკითხაობა — ნარკოტიკების, იარაღის შემოზიდვა, კონტრაბანდული ტვირთების გამოტარება, ტრეფიკინგი და სხვა დანაშაულები, რომლის სათავეშიც თენგიზ კონცელიძე იდგა. „წარმატებული“ მუშაობისთვის ასლან აბაშიძემ მისთვის გენერლის წოდება მოსთხოვა შევარდნაძეს და მიზანს მიაღწია კიდეც.

— **ახლა სად არის აჭარის რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს უფროსი?**

— თავის ადგილზეა, თითქოს არაფერი მომხდარა, ისე მართავს სასაზღვრო სამმართველოს. არადა, სისხლის სამართლის დანაშაულს რომ თავი დავანებოთ, არც მორალური უფლება აქვს, რომ ამ თანამდებობაზე იყოს.

როდესაც სასაზღვრო სამმართველოში ვმსახურობდი, ჩემი თვალით მინახავს, კონტრაბანდისტები კონცელიძეს იმპორტულ იშვიათ იარაღს რომ მიართმევდნენ, ოღონდ მას შემდეგ, რაც გენერალს ფულსაც გადაუხდიდნენ. ერთხელ კაბინეტში შევედი მასთან, სეიფზე ამერიკული, უახლესი მარკის სნაიპერული შაშხანა, მის გვერდით კი საუცხოო „კოლტის“ მარკის პისტოლეტი დავინახე. რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც კონტრაბანდული წესით იყო შემოტანილი. არ იფიქროთ, ყველა იარაღი აჭარაში რჩებოდა. აჭარის საზღვრის მონაკვეთის გადმოკვეთის შემდეგ კონტრაბანდული იარაღის დიდი პარტიები აქ ხარისხდებოდა და შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩნეთში და სხვა მიმართულებითაც. იარაღის, ნარკოტიკების კონტრაბანდიდან და ტრეფიკინგიდან შემოსული დიდძალი ფული, რა თქმა უნდა, მხოლოდ კონცელიძეს არ რჩებოდა. თანხის დიდი ნაწილი აბაშიძის დაცვის უფროსის პირად სალაროში მიედინებოდა. აბაშიძის დაცვაში ოთხი ათასი კაცი იყო. ხელფასი თვეში სამასიდან ოთხას დოლარამდე ჰქონდათ; ანუ წელიწადში ამ ხალხის შენახვა აბაშიძეს სულ მცირე 12 მილიონი დოლარი უჯდებოდა. კონტრაბანდულ თანხებს ემატებოდა მესაზღვრეებისთვის გასაცემი ბინების ღირებულებაც, რომელსაც სამმართველო ბათუმის მერიის ხელშეწყობით მოქალაქეებზე ყიდდა. და კიდევ, საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირების დროს ჩრდილო კავკასიიდან ასამდე კბილებამდე შეიარაღებული ბოევიკი შემოიყვანეს. ჩემი თვალით ვნახე, მათ დისლოკაციის ადგილი თენგიზ კონცელიძემ მიუჩინა. ისინი ბეშუმის სასაზღვრო საგუშაგოს ახლოს გადამალეს. როცა ასლან აბაშიძე ბათუმიდან გაიქცა, კონცელიძემ ბოევიკები თურქეთში გააპარა.

არ იფიქროთ, ყველა იარაღი აჭარაში რჩებოდა. აჭარის საზღვრის მონაკვეთის გადმოკვეთის შემდეგ კონტრაბანდული იარაღის დიდი პარტიები აქ ხარისხდებოდა და შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩნეთში და სხვა მიმართულებითაც...

კონცელიძის არაოფიციალური მოლარე სამმართველოს დაზვერვის უფროსი ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ზაურ მოსიძე იყო (დღესაც მუშაობს). მას სარფის, ასევე „ბათუმი-პორტის“ სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტების ცვლის უფროსებზე შეწერილი ჰქონდა „სტავკა“. ყველა პირნათლად იხდიდა. ძნელი მისახვედრი არ არის, მოსიძეს ვისთან მიჰქონდა ფული...

ჩემი შემდეგი რესპონდენტი აჭარის რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს ყოფილი მესაზღვრე, კაპიტანი **ედნარ კახაძე** აღმოჩნდა: — დავამთავრე სიმფეროპოლის სამხედრო სასწავლებელი. თავიდან ბათუმში დისლოცირებულ 25-ე ბრიგადაში ვმსახურობდი ოფიცრად, შემდეგ კი სასაზღვრო ძალებში გადამიყვანეს და ვმსახურობდი „ბათუმი-პორტის“ სასაზღვრო საკონტროლო-გამშვებ პუნქტში. საზღვარზე სამსახური უკეთესი იყო შემოსავლის თვალსაზრისით. ოფიცრის ხელფასი ხომ გვქონდა, გარდა ამისა, როდესაც ნავსადგურში გემი შემოდიოდა, მეზღვაურები საჩუქრად ხან საწვავს, ხან რამდენიმე შეკვრა სიგარეტს გვაძლევდნენ. ერთხელ, რეიდზე მდგარი გემის შესამოწმებლად სამი მესაზღვრე გავგზავნე. რომ დაბრუნდნენ, მითხრეს, მეზღვაურები დაახლოებით 80-100 ლიტრ საწვავს გვაჩუქებენო. არ დამიმალავს განყოფილების უფროსისთვის. ან რატომ დავმალავდი, როდესაც თვითონ გვეუბნებოდა, მეზღვაურებს არაფერი წაართვათ, თუ თვითონ დაგასაჩუქრებენ, მაგას არ დაგიშლითო. როდესაც გემიდან ნაჩუქარი საწვავი გადმოვზიდეთ, საზღვრის დაცვის სამმართველოს დაზვერვის უფროსმა ოფიცერმა და სხვა ხელმძღვანელებმა საქმე შეგვითითხნეს და სამსახურიდან გაგვაგდეს.

ამასთან დაკავშირებით ჩემი ვერსია მაქვს. პორტს თავისი დაცვა ჰყავდა. მიუხედავად ამისა, პორტის ტერიტორიაზე საშვების გარეშე შედიოდნენ და გამოდიოდნენ მანქანები. რა გაჰქონდათ, არავინ იცის. ავდექი და როგორც განყოფილების უფროსის მოადგილემ, შლაგბაუმთან ჯარისკაცი დავაყენე და პორტიდან გატანილი ტვირთების აღრიცხვა დავავალე. ალბათ ეს არ მოეწონათ პორტის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელებს და ჩემი განთავისუფლება სთხოვეს სამმართველოს ხელმძღვანელობას.

— **მაინც რამდენი გრჩებოდათ?**

— ცვლაში დიდი-დიდი, 120 ლარი დაგვრჩენოდა. აქედან 30 ლარი განყოფილების უფროსისთვის უნდა მიგვეცა, თორემ არ გვამუშავებდა.

— **„ბრალიან“ მესაზღვრეებს რამდენი რჩებოდათ?**

— მაგას ვინ მეტყოდა, მაგრამ ხომ ყველაფერს ვხედავდით — შემოდიოდა გემი, რომლის ტვირთამწეობა 450 ტონას არ აღემატებოდა. საბუთებშიც ასევე იყო დაფიქსირებული. მაგრამ წყალში ჩაჯდომის დონით გამოცდილი თვალი შეამჩნევდა გემს, რომ მას გაცილებით მეტი ტვირთი შემოჰქონდა, ვიდრე საბუთებში იყო დაფიქსირებული. ხშირი იყო ყალბი, „პერეკლეიკიანი“ პასპორტებით საზღვარგარეთ გასვლის ფაქტებიც („პერეკლეიკიანი“ პასპორტი ნიშნავს სხვის პასპორტში საზღვარგარეთ წამსვლელის ფოტოს ჩაკვრას. — ზ. ჩ.). დავიჭერდით ყალბპასპორტიანს, წაიყვანდა ზაურ მოსიძე, ჩააგდებდა კარცერში და იწყებოდა ფულის ამოქაჩვა დამნაშავისაგან. მოსიძისგან თავის დახსნა 700-1000 დოლარი ღირდა...

მთავარი იყო, მათთვის საინტერესო ნომრიანი ფუთები ხელუხლებად ჩაგეტანა ხოფაში. ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები. ერთხელ რამდენიმე ფუთის გახსნა მოვინდომეთ და ცვლის უფროსმა საკონტროლო პუნქტიდან სულ გინებით გამოგვყარა...

ედნარ კახაძემ ნაწილობრივ აღიარა, რომ „უბრალო“ მესაზღვრეებიც იღებდნენ ქრთამს, ოღონდ არა იმდენს, რამდენსაც მათი ხელმძღვანელები. ქრთამს საჩუქარს უწოდებენ. თუნდაც საჩუქარი იყოს, საზღვარზე ხელგაწვდილი დგომა ქართველი მესაზღვრისთვის, მით უმეტეს, ოფიცრისთვის, დამეთანხმებით, ულირსი საქციელია.

ახლა ჩვენს რიგით მესამე რესპონდენტს, მესაზღვრე **ჯემალ დუმბაძეს** მოვუსმინოთ: — გენერალი კონცელიძე არ გვენდობოდა, ამიტომ სამსახურიდან წასვლა გვაიძულეს. ჩვენ ბევრი ისეთი რამ ვიცოდით, რაც არ უნდა გვცოდნოდა.

— **კონკრეტულად, რა იცოდით?**

— საზღვრის დაცვის ხელმძღვანელობა გვიკრძალავდა ტვირთების შემოწმებას. აშკარად საეჭვო ტვირთების შემოწმების უფლებას არ გვაძლევდნენ. 2000-2002 წლებში შუა აზიიდან ტრანზიტით, საქართველოდან თურქეთში ბამბა გადიოდა. ყოველი შეკვრა დანომრილი იყო. ბამბა შუა აზიიდან, ძირითადად, ქართველ მძღოლებს მოჰქონდათ. მათგან ვიცი — როდესაც ბამბას თურქეთში, კერძოდ, ქალაქ ხოფაში ჩამოსცლიდნენ, ტვირთის მიმღები თურქები დიდხანს ეძებდნენ ზუსტად იმ ფუთებს, რომელთა ნომრებიც წინასწარ ჰქონდათ ჩამოწერილი. იპოვიდნენ და შვებით ამოისუნთქავდნენ. კიდევაც რომ დაგეკარგა რამდენიმე ათეული ფუთა, არაფერს გეტყოდნენ. მთავარი იყო, მათთვის საინტერესო ნომრიანი ფუთები ხელუხლებად ჩაგეტანა ხოფაში. ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები. ერთხელ რამდენიმე ფუთის გახსნა მოვინდომეთ და ცვლის უფროსმა საკონტროლო პუნქტიდან სულ გინებით გამოგვყარა...

...ცოტა არ იყოს, დავიღალე. ჩემს მასპინძლებს მოვუბოდიშე და შესვენება ვთხოვე. ქალაქში გავედი. გულმა ვერ მომითმინა და პლაჟზე გავისეირნე. ნაპირთან მივედი, მიმოვიხედე. ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ჩავიჩოქე, წყალში ხელი ჩავყავი და ჩავილაპარაკე — გამარჯობა, ზღვაო, შენი. ზღვამ ხმაურით მიპასუხა და რძისფერმა ქაფმა ფეხსაცმელები დამისველა. წყალი ჯერ კიდევ ცივი მეჩვენა. ცას უიმედოდ ავხედე. გამოდარებას პირი არ უჩანდა. ჩამოწოლილ ღრუბლებს კაცი ხელით მისწვდებოდა.

ჩემს მასპინძლებთან ერთად ვისადილე და მორიგ რესპონდენტთან შესახვედრად მოვემზადე. ამჯერად ზემდეგს, საკომენდანტო ასეულის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს, **ჯუმბერ ტოგონიძეს** გავესაუბრე: „ბავშვი მყავდა მძიმე ავადმყოფი. შეტევები ღამის საათებში ემართებოდა. კრუნჩხვები ჰქონდა. ამიტომ ღამით შინ აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი. გენერალს ჩემი გასაჭირი გავანდე, მაგრამ მითხრა — შენი ბავშვი არ ვიცი მე, თუ სამსახური არ გინდა, გადი მეორე ოთახში და დამიწერე განცხადება ბინის ჩაბარების თაობაზეო. არადა, ეს ბინა რუსმა სამხედროებმა მომცეს. ერთი სიტყვით, თენგიზ კონცელიძემ სამსახურიდანაც მომიშორა და ბინის წართმევაც მოინდომა, რათა შემდეგ სამოქალაქო პირებზე გაეყიდა. მესაზღვრეებისთვის ბინების წართმევის მეთოდი და შემდეგ მათი გაყიდვის მექანიზმი კარგად ჰქონდა დამუშავებული აჭარის საზღვრის დაცვის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელობას. ბინა არ ჩავაბარე და მიჩივლეს. სასამართლო კონცელიძის იყო და რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა, თქვენთვის ძნელი მისახვედრი არ იქნება“.

ყოფილმა მესაზღვრემ **ზებურ ბალაძემ** ასეთი რამ გვითხრა: „საუწყებო ბინების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით ერთ ყველასათვის ცნობილ ფაქტს გავიხსენებ. თენგიზ კონცელიძემ და ბათუმის მერიის საბინაო-კომუნალური სამსახურის უფროსმა ბადოევმა დაახლოებით სამი წლის წინ ხულოსა და ქედის რაიონში მცხოვრებ თითქოს სტიქიით დაზარალებულ თორმეტ ოჯახს ხიმშიაშვილის ქუჩაზე სასაზღვრო ძალების საბინაო ფონდიდან თორმეტი ბინა გამოუყო. სინამდვილეში კი ის ბინები თითოეული სამიოთხი ათას დოლარად გაიყიდა.“

იმ დღეს კიდევ რამდენიმე მესაზღვრეს ვესაუბრე. მათი განცხადებები იდენტური იყო იმ რესპონდენტების განცხადებებისა, რომლებსაც უკვე მოვუსმინე. ამიტომ მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ.

მესამე დღეს ჩემმა მასპინძლებმა ჩემივე თხოვნით ერთ-ერთ კაფეში ე. წ. შუამავალს შემახვედრეს. იგი მესაზღვრეებთან არის თურმე გარიგებული და ნებისმიერი საქმის მოკვარახჭინება შეუძლია. ჩემი „თხოვნა“ შემდეგში მდგომარეობდა: ყალბი საბუთებით საზღვარზე გადაყვანას „ვითხოვდი“. შუამავალი მევლუდი ორმოც წლამდე წაბლისფერთმიანი მამაკაცი აღმოჩნდა. პაროლების გაცვლის შემდეგ მევლუდმა მითხრა: — თბილისელი კაცი ხარ და არ იცი როგორ უნდა წახვიდე თურქეთში ან საბერძნეთში უპასპორტოდ და უვიზოდ? თბილისში ხომ უამრავი ოფისია, რომლებიც თითქმის ყოველდღე ისტუმრებენ კომფორტაბელური ავტობუსებით ხალხს საბერძნეთში. მისულიყავი მძღოლთან და ის გაგიკეთებდა „პერეკლეიკიან“ პასპორტს, ვიზასაც იქვე გაგიჩალიჩებდნენ.

— **ისეთი წარსული მაქვს, საბერძნეთში კი არა, სამართალდამცველებმა რომ გაიგონ, ბათუმში ვარ, მაშინვე დამაკავებენ. (ძალით ვამძიმებ სიტუაციას და შუამავლის მაქსიმალური შესაძლებლობების გარკვევას ვცდილობ. — ზ. ჩ.).**

— რაღაცას მოგიხერხებ. მესაზღვრე ძმაკაცები მყავს და გადაგიყვან სარფით. მერე კი თავს თვითონ მიხედე. ხუთასი დოლარი დასჭირდება ამ საქმეს. ცოტა ძვირი კია, მაგრამ რევოლუციის შემდეგ „სტავკები“ გაიზარდა...

თითქმის ერთი საათი ვისაუბრეთ მე და მევლუდმა. ხუთასი დოლარის მოსატანად წასვლა მოვიმიზეზე და შუამავალს დავშორდი.

ამის გარდა, კიდევ ბევრი რამ გავიგე. თურმე ასლან აბაშიძის გაქცევის შემდეგ მესაზღვრეები იძულებულნი გამხდარან კონტროლი გაეძლიერებინათ, მაგრამ სანდო შუამავლების მეშვეობით კონტრაბანდის შემოტანა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალების საზღვარზე გადაყვანა დღესაც შეიძლება. ჩემმა მასპინძლებმა სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტი შორიახლოდან დამათვალიერებინეს. ძაღლსაშენში კარანტინი იყო — ორ ძაღლს ლეკვები დაუყრია.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# „შავ სალაროებს“ და კანონის ფეხებზე დაკიდებას არ შევეგუები

## „აბაშიძის ფავორიტ ბიზნესმენებს ისევ მფარველობენ“



გასულ კვირას საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა აჭარაში გადაინაცვლა და არჩევნების დასრულებამდე ალბათ სწორედ იქ განვითარდება ყველაზე საინტერესო მოვლენები.

ბათუმში ჩასული სააკაშვილი კმაყოფილებას ვერ მალავდა. აჭარული „ვარდების რევოლუცია“ მისი ყველაზე „მგრძნობიარე“ წარმატებაა და ამიტომაც იქ ჩასულს ზოგჯერ ცრემლიც ეძალება ხოლმე. პრეზიდენტი კმაყოფილია და ამის ნიშნად ვარშალომიძეს ერთგულებას უფასებს. მისი თანაინსტიტუტელი — აჭარის მინისტრთა კაბინეტს გაუძღვება.

პრეზიდენტის ძველი თანამებრძოლის, **კობა დავითაშვილის** აზრით, ქვეყნის მეთაურმა საკუთარი ხალხის ნათქვამი ავიც უნდა გაიგოს და კარგიც. სანამ ხელისუფლება აჭარაში წარმატებით ტკბობას ეძლევა, სახელისუფლებო სიის ყოფილი პირველი ნომერი ოპოზიციონერის რკინის ქალამნებს იცვამს და ხელისუფლების სასიკეთოდ (რომ ის არ დაჭაობდეს და კმაყოფილება თვითკმაყოფილებაში არ გადაეზარდოს) მის კრიტიკას აგრძელებს.

**— ბატონო კობა, როგორი ვითარებაა აჭარაში? როგორც ამბობენ, სავარძლებისთვის ჭიდაობა და ძიძგილაობა საშიშ ფაზაში შესულა.**

— ბათუმის ბაზრის დირექტორობაზე რომ კაბინეტში შევარდნები და გაწევ-გამოწევებია, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი შეიქნება აჭარის დირექტორობაზე. დღეს სწორედ აჭარის დირექტორობისთვის მიდის ბრძოლა, რომელიც წესების გარეშე მიმდინარეობს. მიმართავენ ნებისმიერ ხერხს, — შავ პიარს, პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრებას, ნარკოტიკის ჩადებასა თუ სხვა რამეს და, სამწუხაროდ, ამას ხელისუფლება აკეთებს — ის ხალხი, აბაშიძის შემდეგ რომ მოვიდა აჭარის მთავრობაში.

ეს მაფიქრებინებს, რომ აჭარაში რაღაც ვერ არის კარგად. „აღორძინების“ აქტივისტთა ყველაზე ოდიოზური პირები აქტიურად ებმებიან ნაციონალურ მოძრაობაში, ანუ ინტენსიურად მიმდინარეობს „ამღორძინებლების“ ნაციონალებად გადაღებვა. რესპუბლიკელები საარჩევნო კომისიიდან გამოყარეს და მათ ადგილას თბილისიდან ჩასული ხალხი ჩასვეს. ანუ ხალხი, რომელიც ასლან აბაშიძის დროს იყო ოპოზიციაში, ისევ ოპოზიციაში დარჩა. აბაშიძის წასვლისთანავე მისი სკამისთვის დაწყებულმა ძიძგილაობამ არჩევნების წინ ახალი ძალით იფეთქა. ხომ ხედავთ, თანამებრძოლებიც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; ანუ აჭარაში არსებითად არაფერი შეცვლილა — გრძელდება წილებში ჩაჯდომა. აბაშიძის ფავორიტ ბიზნესმენებს მფარველობენ, წინასაარჩევნოდ მათგან ფულს იღებენ, რითაც თავიანთ ვოიაჟებს აფინანსებენ და ჯიპებით დაგრიალებენ. ეს ძალზე ნოყიერ ნიადაგს ქმნის ახალი ასლან აბაშიძის შესაქმნელად. შესაძლოა, ის არც კობა ხაბაზი იყოს, არც ლევან ვარშალომიძე და ვიღაც სხვა გამოჩნდეს. აჭარაში საარჩევნო კამპანია ტრადიციულად მიდის — აჰა, შენ 2 კილოგრამი შაქარი, 2 კილოგრამი ფქვილი და ხმა მომეციო.

მიხეილ სააკაშვილი ვერ ხედავს ამ საშიშროებას, დარწმუნებულია, წინ მხოლოდ წარმატებები მელისო. ცხოვრებაში წარმატებას წარუმატებლობები მოსდევს, რასაც მიშას ნამდვილად არ ვუსურვებ. ხვალ რომ ჩვენს პრეზიდენტს ფეხი გადაუბრუნდეს სამაჩაბლოში ან სხვა სოციალურ საკითხთან დაკავშირებით და სიტუაცია აირიოს (ეს ხომ უკვე მოხდა ზვიად გამსახურდიას დროს), ხომ უნდა არსებობდეს დამცავი მექანიზმი? გამსახურდიას დროს ასლან აბაშიძესაც არ ჰქონია დიდი უფლებები, მაგრამ მერე როგორც კი დრო იხელთა, აჭარაში დიქტატურა დაამყარა და ჩოლოქი ჩაკეტა. ვინ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ეს ოდესმე აღარ განმეორდება?

ავტონომიის არსებობა სწორედ ამ საფრთხეს შეიცავს. ხელისუფლებას დღეს აქვს ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალება და უკან არ უნდა დაიხიოს. ვირი ერთხელ რომ გაივლის წუმპეში, მეორედ იმ ადგილს ერიდება. ჩვენ, ქართველები, როგორ ვართ ისეთი უჭკუოები, ერთხელ ნაწვნევი სიმწარე რომ აღარ გვახსოვს? ხომ დავრწმუნდით, რა პრობლემებსაც ქმნის აჭარაში ავტონომიის არსებობა, მაგრამ ჭკუას რატომღაც არ ვსწავლობთ. მონუსხულებივით ვიქცევით. ვიღაცების ერთგული სამსახურის დასაფასებლად და სავარძლების საბოძებლად რატომ უნდა დარჩეს აჭარა ავტონომიად?

ხელისუფლება მეტისმეტად თვითკმაყოფილია, რაც კარგის ნიშანი ნამდვილად არ არის — ამას ეიფორია და დაჭაობება მოსდევს. ჩემი მიზანიც ის არის, არ მივცე ხელისუფლებას მოდუნების საშუალება, რათა მას მუდმივად ჰქონდეს კონკურენციის განცდა.

ამას წინათ, პრეზიდენტი ძალზე აღშფოთდა — ვინც სულხან მოლაშვილის გათავისუფლებას მოითხოვს, თავად არის კორუფციასთან წილნაყარიო. მაგრამ, პრეზიდენტო, თქვენ გაუშვით შევარდნაძე და აბაშიძე, ე. ი. თქვენც კორუფციასთან ხართ წილნაყარი.

**— თქვენ მხარი დაუჭირეთ მოლაშვილის გათავისუფლებას?**

— მოლაშვილის გათავისუფლების მოთხოვნაზე ხელი არ მომიწერია, მაგრამ ვფიქრობ, კანონის დამრღვევმა პასუხი უთუოდ უნდა აგოს. პასუხისმგებლობა კი ზემოდან უნდა იწყებოდეს. შევარდნაძე სულაც არ არის ჩემი ახირება, მაგრამ ეს კაცი უთუოდ უნდა გასამართლდეს. როდესაც შევარდნაძე მშვიდად არის, ხოლო მის მინისტრებს სჯიან, როდესაც აბაშიძე მოსკოვში ნებივრობს და მის ხელქვეითებს იჭერენ, უსამართლობის განცდა მიჩნდება. მესმის, რომ „რაღაცისთვის“ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ არ შეიძლება გამორჩევა — ერთი გაუშვა, მეორისგან კი ფული ამოიღო. არ არის საჭირო კაცის დაჭერა და მერე რეკეტი. თუ კაცი საკუთარი ქონების წარმოშობას ვერ დაასაბუთებს, მერე ჩასვი ციხეში. ამბობენ, რომ ბევრმა მაღალჩინოსანმა ციხიდან გამოსასვლელად ბიუჯეტში გადახდილი თანხისოდენა ფული „ისე“ გადაიხადა, ზოგმაც კი პროკურატურაში გამოძახებამდე მიიტანა ფული. სად არის ეს თანხა დღეს? ბიუჯეტში ხომ არ შესულა? მარწმუნებდნენ, ის ფული კარგი მიზნებისთვის განსაზღვრულ რაღაც „ფონდში“ ჩაიდოო. „შავ სალაროებს“ და კანონის ფეხებზე დაკიდებას არ შევეგუები. ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია.

**— სხვათა შორის, სახელისუფლებო გუნდიდან უკვე გაისმის განცხადებები — ჩვენი სახელით ფულის გამოძალვა ხდებაო. ითქვა, მავანნი ფულის გამოძალვას გია ბარამიძისა და ლევან ვარშალომიძის სახელითაც ეწეოდნენო.**

— ამას წინათ, ზარ-ზეიმით გამოცხადდა, საგზაო პოლიციელებს ხელფასს 150 დოლარს ვაძლევთო. ისეთი მანქანით და ნომრებით დავდივარ, მაჩერებენ. ყველას ვკითხე, რამდენი გაქვთ ხელფასი-მეთქი. თბილისში მითხრეს — 300 დოლარიო, იგოეთში — 100 დოლარიო. გურიაშიც — 100 დოლარი ჰქონიათ, ქედაში კი მითხრეს, არც ერთ კაპიკს არ გვაძლევენო. ვინ მისცა თავის თავს უფლება, რომ ოფიციალურად გამოცხადებული 150 დოლარი კი არ მისცეს კაცს, არამედ 100, 80 ან არაფერი? სად მიდის დანარჩენი თანხა? თუ საგზაო პოლიციელებს თავად ვუბიძგებთ ქრთამის აღებისკენ?

დღეს ბიუჯეტი ხარკის აღების ხარჯზე ივსება. მერე კი, რომელთა სახელითაც ფულს კრეფენ, მათთვის ფულის მიცემა ენანებათ ან ავიწყდებათ. ხალხისთვის ვერ იმეტებენ, თორემ მომსახურებისა და სხვადასხვა ხარჯებისთვის, საიდანაც ფულის გაკეთება შეიძლება, მილიონებია გათვალისწინებული (ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ვგულისხმობ).

ბიუჯეტის მიღებისას ისევ გადავადდა მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერთათვის 50%-იანი დანამატის გაცემა. ამისთვის 6 მილიონი ლარი იყო საჭირო, მაგრამ ატირდა მთავრობა — ამდენი ფული არ გვაქვსო. როდესაც მივუთითე ფინანსთა სამინისტროს, „სხვადასხვა მომსახურების“ ხარჯებში 12 მილიონი რომ გაქვთ, მოიკელით და გაჭირვებულ ხალხს მიეცით-მეთქი, შორს დაიჭირეს. იმიტომ, რომ მეტად გაზულუქებულიყვნენ. თუ ეს მილიარდნახევრიანი ბიუჯეტი ხალხს არ მოხმარდა, რა თავში იხლიან ასეთ ეკონომიკურ ზრდას?!

**— ცნობილი ამბავია, რომ ნოღაიდელს კაპიკს ვერ გააგდებინებ...**

— იმ საქმეზე, რაზეც უნდა, გააგდებინებ, რაზეც არ უნდა, იმაზე ვერაფერს გახდები. საკუთარი სამინისტროსთვის რატომ არ დაიზარა დაფინანსების 6-ჯერ გაზრდა? ნოღაიდელი ძუნწობს, თორემ საკუთარი კეთილდღეობისთვის არაფერი ენანება. ნოღაიდელმა იცის, როგორ ცხოვრობს ხალხი მთიან აჭარაში და მათთვის რომ ფული ენანება, ბოროტებაა და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, ის თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს.

**— როგორ ელით საარჩევნო პროცესების განვითარებას აჭარაში?**

— ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს რესპუბლიკელების 7%-იან ბარიერს მიღმა დატოვება და ძალზე მიკვირს მათი საქციელი. საარჩევნო უბნებიდან ხალხს რომ გამოგიყრიან და ნარკოტიკს ჩაგიდებენ, რაღად გინდა ასეთ ხელისუფლებასთან ყოფნა? თუკი ასეთი მეთოდებით გებრძვიან, რაღა გინდა ასეთ უმრავლესობაში? დათო ბერძენიშვილი უმრავლესობაში ყოფნას ასე ხსნის — ლევან ბერძენიშვილი ღირსია განათლების რეფორმა გაატაროს, რომან გოცირიძე კი იმსახურებს საფინანსო რეფორმის გამტარებლის სახელსო — ეს არ არის პოლიტიკური აზროვნება. კომიტეტის თავმჯდომარეების პოსტების შენარჩუნების გამო არ ღირს ყველაფრის დათმობა. რესპუბლიკელთა ასეთი საქციელი, რბილად რომ ვთქვა, ცოტა „უცნაურად“ მეჩვენება.

**— აჭარაში ჩასვლისას პოლიტიკოსებს რატომღაც ცრემლების ღვრა დაგჩემდათ. ბერძენიშვილის შემდეგ პრეზიდენტმაც იტირა და თქვენც. ბერძენიშვილის და პრეზიდენტის ატირება გასაგებია, თქვენ რატომღა იტირეთ?**

— ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ გამოვიყენო — „აჭარაში ჩავედი და საქართველო ვნახე“. ამან ამიჩვილა გული. სხვათა შორის, ამ ხალხზე უსამართლო ჭორები ვრცელდება. თბილისში ბათუმით მაშინებდნენ, ბათუმში ღორჯომით (იქ ფუნდამენტალისტი მუსლიმანები არიანო). ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. აჭარაში შევქმენით „საქართველოს ერთიანობის კავშირი“ და იმედი მაქვს, აჭარელი ხალხის თანადგომით ავტონომიას გავაუქმებთ.

**— ბატონო კობა, დასასრულ მინდა გკითხოთ, რას ნიშნავდა ძალოვანი მინისტრების ადგილმონაცვლეობა?**

— პასუხისმგებლობის, ანუ დაგროვილი ცოდვების ჩამოწერა მოხდა.

**— ლაპარაკი იყო ბარამიძის შეცდომებზე. გამოდის, რომ სხვებიც არ იყვნენ მამა აბრამის ბატკნები.**

— რა თქმა უნდა, ყველას თავისი წილი ცოდვა აქვს, მაგრამ დღეს ეს აღარ ჩანს.

**— თქვენს ბოლოდროინდელ აგრესიულობას იმით ხსნიან, რომ ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი თანამდებობა არ გერგოთ. თურმე პრეზიდენტიც ძველებურად აღარ გწყალობთ და ნაწყენიც ყოფილა, დავითაშვილი ჩემი სახელით ლაპარაკობსო...**

— თუ თავდაცვის მინისტრობა და კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა მაღალი თანამდებობა არ არის, არ ვიცი... მე ამ თანამდებობებს მთავაზობდნენ. ჩემსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა მართლაც გამწვავდა მას შემდეგ, რაც პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა. ჩვენი ურთიერთობა ამ ცვლილებების გაუქმების შემდეგ აღდგება. რაც შეეხება პრეზიდენტის სახელით ლაპარაკს — ეს თავად პრეზიდენტმა მითხრას და გავცემ პასუხს... მე სხვისი სახელით ლაპარაკი არ მჭირდება.

*იზო რუკაძე*

# „ახალი კოზირები სამთავრობო მაგიდაზე“

## ვინ არიან ხელისუფლების „ფენიქსი“, „ჰარი პოტერი“, „იგროკი“, „ბულკი“ და უბრალოდ, ვანო...

„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“, — სტალინის ეპოქის ეს ცნობილი ფრაზა პოსტკომუნისტურ და კაპიტალიზმის შენების გზაზე დამდგარ საქართველოში ისევ აქტუალურია. დიახ, კადრები მართლაც ყველაფერს წყვეტენ. სანდო წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებაში კადრების დეფიციტია. პატიოსანი და ამავე დროს კვალიფიციური ხალხი სანთლით საძებარი გახდა და, შესაბამისად, პრეზიდენტსაც არჩევანის საშუალება ნაკლებად აქვს. შედეგად კი უკვე ამორჩეულ რამდენიმე სანდოსა და კვალიფიციურს „წრეზე ატრიალებენ“. რევოლუციაში მონაწილეობა თანამდებობის მისაღები ბილეთი რომ არ უნდა გამხდარიყო, ამას თავად რევოლუციის ბელადებიც აცხადებდნენ (ახლა ლად წამოსკუპდნენ თანამდებობებზე ქორფა-ქორფა ბიჭები. თუმცა, ამბობენ, ბიჭბუჭებმა უცოდინარობითა და გამოუცდელობით თავი ქვეშევრდომებსაც მოაბეზრეს, ხალხსაც და „ზემოთაცო“. აბა, რომელ ხელისუფალს გაუხარდება, მის დანიშნულ კაცს კინწისკვრითა და პანღურით რომ გამოაგდებენ „სამუშაოს შესრულების“ დროს (ქალაქის „მთავარ სანიტარს“ ვგულისხმობ. — ი.რ.). ამ ბიჭებს ისევ მიშას სიყვარულის გამო იტანდნენ, მაგრამ ზღვარი ხომ ყველაფერს აქვს, მათ შორის, მოთმინებასაც...



„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“, — სტალინის ეპოქის ეს ცნობილი ფრაზა დღესაც აქტუალურია...
კადრები მართლაც ყველაფერს წყვეტენ. სანდო წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებაში კადრების დეფიციტია. პატიოსანი და ამავე დროს კვალიფიციური ხალხი სანთლით საძებარი გახდა...
რევოლუციური კადრები, სავარაუდოდ, ნელ-ნელა ჩამოსცილდებიან ხელისუფლებას და ადგილს პროფესიონალებს დაუთმობენ...

ემოციები გვერდზე უნდა გადავდოთ და დონეზე და პატიოსან პროფესიონალებს მივცეთ ასპარეზი, რომლებიც საქართველოშიც მოიძებნებიან. — ი.რ.), მაგრამ ხელისუფლება პირველ ეტაპზე იძულებული გახდა, ბილეთი მაინც გაეცა. დღეს კი მთავრობა პოსტრევოლუციური ეიფორიიდან გამოსვლას ცდილობს. სააკაშვილი კარგად იცნობს თეზისს — რევოლუციას რომანტიკოსები აწყობენ, შედეგით კი არამზადები სარგებლობენო. ამიტომ ცდილობს არამზადებს ხელისუფლებაში მისასვლელი ხვრელები გადაუკეტოს, უკვე იქ მოხვედრილები კი „ტკბილი სიტყვით“ ძალაუფლებას ჩამოაცილოს. აბა, არამზადები სჭირდება კორუფციისგან გამოხრულ და ძალაგამოცლილ ქვეყანას?

ასე რომ, რევოლუციური კადრები, სავარაუდოდ, ნელ-ნელა ჩამოსცილდებიან ხელისუფლებას და ადგილს პროფესიონალებს დაუთმობენ. ამბობენ, რაკი სააკაშვილი „არამზადებს“ ერიდება, ახალ კადრებს ხელაღებით აღარ არჩევს, ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრისო, მაგრამ პრეზიდენტმა გამონაკლისი მაინც დაუშვა ახალი ეკონომიკის მინისტრის, კახა ბენდუქიძის სახით. სააკაშვილს მის დანიშვნაზე ბევრი არ უფიქრია. გაცნობისთანავე მოეწონა, „საქმის კაცად“ ჩათვალა და პოსტიც შესთავაზა.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის მინისტრს ჟვანია თავგამოდებით მფარველობს, კულუარებში ნიკა გილაურის შემცვლელის ვინაობა უკვე სახელდება. ის ბენდუქიძის მსგავსად რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, კომპანია „სისტემის“ ვიცე-პრეზიდენტი, 33 წლის ლევან ვასაძეა, რომელიც გასულ კვირას ჩამოვიდა საქართველოში და ქართულ სახელისუფლებო წრეებსაც შეხვდა.

შეცვლას უწინასწარმეტყველებენ სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით შერვაშიძესაც. კულუარებში ხუმრობენ, შერვაშიძე კონფლიქტურ რეგიონებში მზვერავის ფუნქციას იმდენად კარგად ასრულებს, ფიქრობენ, სოფლის მეურნეობას ჩამოაცილონ და „ტალანტის შესაბამისად“ დაასაქმონ. მის ადგილზე კი რუსეთში მოღვაწე კიდევ ერთი ქართველის, ვინმე იაკობაშვილის დანიშვნას აპირებენო.

რაკი ხელისუფლებისათვის აქამდე ჯერ კიდევ დიდი ფუფუნებაა სანდო და კვალიფიციური ხალხი, ერთდროულად ...

ხელისუფლების ბოლოდროინდელი მანევრებიდან ყველაზე საინტერესო მაინც ერთი შედეგით გაუგებარი „სამთავრობო რულეტკა“ იყო. მავანთა არგუმენტი, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლებაო, არ გამართლდა. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი მხოლოდ არითმეტიკაში არ იცვლება, თორემ პოლიტიკაში, ისე როგორც ნებისმიერ თამაშში, ადგილს, გადაადგილებასა და პოზიციის დაკავებას მთავარი კი არა, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს და საბოლოო შედეგსაც (ანუ ჯამს) სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს.

ამბობენ, რომ შს სამინისტროში წლობით ჩამოყალიბებული აღებმიცემობის სქემებს გიორგი ბარამიძემ თავი და ბოლო ვერ გაუგო, კორუფციულ პირამიდას გასაღები ვერ მოუძებნა და ამიტომ მისცეს გივი თარგამაძეს კანცელარიიდან მწვანე შუქი, ბარამიძე ზომიერად გაეკრიტიკებინა, რითაც მისი ადგილმონაცვლეობისათვის საფუძველი შეიქმნა.

ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრად დანიშვნა, ექსპერტების აზრით, საკმაოდ გონივრული საკადრო ცვლილებაა. ოქრუაშვილს ხელიც მტკიცე აქვს და არც დამნაშავის დაჭერისას უჩვილდება გული, მაგრამ ყოფილ გენპროკურორს კიდევ ერთი პლუსი აქვს — მას რებუსების ამოხსნა და სხვადასხვა კომბინაციის გათვლა-გაანგარიშება ჰყვარებია (ერთი-ორჯერ ამ ნიჭის წყალობით კაზინოშიც რომ მოუგია ფული, ამას მისი ნათლიმამა კობა დავითაშვილიც დაგიდასტურებთ). ჰოდა, რა ღმერთი გაუწყრება, რომ გაქნილი კრუპიეების გაცუცურაკების შემდეგ პოლიციელთა კორუფციული სქემები ვერ ამოხსნას? ახალ თანამდებობაზე ოქრუაშვილის დანიშვნით სააკაშვილმა, როგორც ამბობენ, ორი კურდღელი დაიჭირა — გარდა იმისა, რომ სტრუქტურას პროფესიონალი (ამასთან, იურისტი) ხელმძღვანელი დაუნიშნა, სანდო კაცსაც გაუზარდა უფლებები. სააკაშვილი ოქრუაშვილს კარტ-ბლანშს აძლევს. მინისტრის სავარძელთან ერთად მან დიდი ძალაუფლებაც მიიღო და არმიაც (შინაგანი ჯარი). ოქრუაშვილის გაძლიერებით კი საკმაოდ გაძლიერდა პრეზიდენტის პოზიციები და დასუსტდა ჟვანია, რომლის კადრი გიორგი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროში, ანუ ქვეყნის მთავარსარდლის (სააკაშვილი) უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა (თუმცა გიორგი ბარამიძის პირადი თვისებებიდან, კერძოდ, ერთგულებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, პრეზიდენტს საფრთხე მაინც არ დაემუქრებოდა).

პროკურატურაში წარმატებულ საქმიანობას უწინასწარმეტყველებენ ზურაბ ადეიშვილსაც.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# როდემდე შეინარჩუნებს თბილისი „ოლიმპიურ სიმშვიდეს“?!



დიდი ლიახვის ხეობაში მდგარი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ საგუშაგო საქართველოს ინტერესებს ნამდვილად არ ემსახურება

სეპარატისტების ლიდერმა კოკოითმა 12 ივნისს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: — საქართველოს პარლამენტმა უნდა აღიაროს ოსების გენოციდი, ლტოლვილის სტატუსი მიანიჭოს ოსი ეროვნების პირებს და გადაუხადოს 34 მლრდ რუბლის (1991 წლის კურსით) კომპენსაცია(?). მხოლოდ ამ მოთხოვნების უპირობო შესრულების შემდეგ გააგრძელებს ცხინვალი თბილისთან მოლაპარაკებებს. თანაც კოკოითმა გამოსვლის წინ მკაცრად დააფიქსირა თავისი პოზიცია — სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციას აუცილებლად შეუერთდებაო.

გამოდის, რომ როგორც არ უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები, ცხინვალის დღევანდელ სეპარატისტულ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, მაინც რუსეთის ერთ-ერთი რაიონი გახდეს, რაც აზრს უკარგავს შემდგომ მოლაპარაკებას, რადგან თბილისი ამას არ შეურიგდება.

კოკოითის მთავრობა საომრად ხომ არ იწვევს საქართველოს ხელისუფლებას, რათა საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში რუსეთიდან და ჩრდილო ოსეთიდან მიღებული იარაღით საბოლოოდ დაძლიოს ქართული წინააღმდეგობები (მაგალითად, თამარაშენი-კეხვის მონაკვეთი) და აფხაზეთის დარად (როგორც ეს მდ. ენგურის გასწვრის ხდება) ერთგვარი საზღვარი გაავლოს.

დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები დიდი ხანია, ყელზე ადგას სეპარატისტების ხელისუფლებას, მაგრამ იქაურების გაყრა ცხინვალს უომრად არ შეუძლია; თუმცა არც ის უნდა, შეიარაღებული კონფლიქტის გამღვივებლად დააფიქსირონ.

ამიტომაც კოკოითის ხელისუფლება მომავალშიც ეცდება, პროვოკაციული გამოსვლებით წონასწორობა დააკარგვინოს თბილისს და პირველი ძალისმიერი ნაბიჯი მას გადაადგმევინოს.

თბილისი კი სიმშვიდეს ინარჩუნებს. როდესაც ცხინვალის გარშემო სანგრებს თხრიან, საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტართა უმრავლესობა აჭარაში მოსახლეობას ხვდებიან.

ასეთი რეაქცია შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ნერვების ომში შეჯიბრი მიდის — სააკაშვილმა ასეთ „ნერვების ომში“ უკვე დაამარცხა აჭარის ლიდერი აბაშიძე და იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხიდები საკუთარი ხელით ააფეთქებინა.

დაუშვებს თუ არა იმავე შეცდომას კოკოითი? იქნებ მასაც უმტყუნოს ნერვებმა და ცხინვალისკენ მიმავალი თითქმის უკვე აღდგენილი ლიანდაგის აფეთქება ბრძანოს?

ყოველ შემთხვევაში, 12 ივნისს მოსკოვში კოკოითმა ერთი დიდი შეცდომა უკვე დაუშვა — პრესკონფერენციაზე ადიდა და აქო მისი მხარდამჭერი შერეული სამშვიდობო ძალების რუსული კონტინგენტი, ხოლო მწვავედ გააკრიტიკა კონფლიქტის ზონაში მოქმედი ეუთოს მისია და მისი სამხედრო დამკვირვებლები.

ამით კოკოითმა გაანაწყენა ევროპის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც სეპარატისტული ხელისუფლების სახელს ნამდვილად დიდ დარტყმას მიაყენებს მთლიანად ევროპაში.

ექიმების, მასწავლებლებისა თუ სპორტსმენების (მათ შორის ოსი ეროვნების) ცხინვალში შეუშვებლობით კოკოითის მთავრობა ძალიან ბევრს კარგავს, რადგან სეპარატისტების საწინააღმდეგოდ ნელ-ნელა მწიფდება საზოგადოებრივი აზრი (იმავე რუსეთშიც).

ჩანს, კოკოითის მთავარი დასაყრდენი გენერალ ნაბდზოროვის რუსული და ჩრდილო ოსური ბატალიონებია. მათ 11 ივნისს, ღამით როკის გვირაბით ჩრდილო ოსეთიდან შემოსული გრძელი საავტომობილო კოლონაც დაემატა. რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ ეს კოლონა თავისად გაასაღეს — ჩვენი ბატალიონებისთვის საწვავი და სურსათი შემოიტანესო, მაგრამ 150-ავტომობილიანი კოლონით, რომელთა შორის უმეტესობა სამხედრო „ურალი“ და „კამაზი“ იყო, სავარაუდოდ, საბრძოლო საჭურვლის დიდი მარაგი შემოვიდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სეპარატისტების არსენალის შევსებაში ისევ ჩაერთო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე საერთო საჯარისო არმია. ცნობისთვის: სწორედ ამ არმიის დანაყოფები იბრძვიან ჩეჩნეთში და მის მალალჩინოსნებს არ უჭირთ იარაღისა და საბრძოლო საჭურვლის ჩამოწერა ომში გახარჯვის მიზეზით.

ასეთ შემთხვევაში, კოკოითის მთავრობისადმი დახმარება უფრო დაბალ დონეზეც შეიძლება განხორციელდეს. 58-ე არმიაში ოსი ეროვნების ბევრი ოფიცერი და ზემდეგი მსახურობს. მათი მეშვეობით ისე შეიძლება გადმოიზიდოს საბრძოლო საჭურველი, რომ მოსკოვში, გენშტაბმა კი არა, ვერც ერთმა სულიერმა ვერ გაიგოს.

კოკოითის სეპარატისტულ მთავრობას შეიარაღებულ დახმარებას დაჰპირდნენ სეპარატისტი თანამოძმეები აფხაზეთიდან და დნესტრისპირეთიდან, ხოლო ვინმე ალექსეი ვაშენკო, რომელიც თავის თავს რუსეთის სახელმწიფო დუმის კავკასიის საკითხებში სამუშაო ჯგუფის მდივანს უწოდებს, აცხადებს, — კოკოითის დასახმარებლად ჩრდილოკავკასიელ მოხალისეებს შევკრებო.

ეს ე.წ. ფსიქოლოგიური ომი გათვალისწინებულია ოფიციალური თბილისის დასაშინებლად. ამ ფსიქოლოგიურ შემოტევაში იმედის სხივად მოჩანს ჩეჩნეთის იატაკქვეშა მთავრობის (იგულისხმება პრეზიდენტი მასხადოვი) მიერ გავრცელებული ინფორმაცია — რუსეთის ქვეშევრდომობის მოსურნე ოსებსა და აფხაზებს ჩეჩნები აღარ დაეხმარებიან საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველადო.

ქართული მხარის მიერ ბოლო დღეებში მიღწეული ერთგვარი წარმატების მიზეზი არის ის, რომ მოხერხდა წლობით უყურადღებოდ მიტოვებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის თითქმის მთლიანად დაკომპლექტება კარგად აღჭურვილი შინაგანი ჯარების დანაყოფებით, რომლებიც ცხინვალის გარშემო რამდენიმე პოსტზე განლაგდნენ. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ როტაციის უფრო უხმაუროდ განხორციელება, ან საჭირო იყო თუ არა მძიმე ტექნიკის ასე დემონსტრაციულად გორში გადაყვანა?

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სიტუაციის დაძაბვამდე ქართულ მხარეს ჯერ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა, თუნდაც ერედვიდან დიდი ლიახვის ხეობაში გადასასვლელი გზა გაერემონტებინა, რადგან ცხინვალიდან ჩაკეტილ თამარაშენსა თუ კეხვში მოხვედრა დაუბრკოლებლად ვერ ხერხდება.

კოკოითის მთავრობამ, რომელსაც კეხვიდან თამარაშენამდე უსაფრთხოდ და უჩუმრად გასვლის საშუალება არა აქვს, სატვირთო ავტომობილები ცხინვალში სათადარიგო, შორი გზით შეიყვანა.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა „დიდი ქარიშხლის“ წინ. მაგრამ იქნება კი ეს „დიდი ქარიშხალი“? აჭარის მაგალითი ერთგვარად გვაიმედებს, რომ დიდ პოლიტიკაში რუსეთ-აშშ-ის დონეზე მიღწეული გარკვეული შეთანხმება საშუალებას მოგვცემს, უსისხლოდ მოვაგვაროთ ცხინვალის რეგიონის პრობლემა.

და ერთიც — აფხაზეთის დაბრუნების გასაღები ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარებაში დევს. თუ საქართველო შეძლებს მის წარმატებით გადაწყვეტას, აფხაზეთის დაბრუნება რეალური გახდება.



# დიდი შირაქი დიდი ბომბებისგან გაიწმინდა

## ყველაზე დიდი და საშიში ავიაბომბების განადგურებამ უდიდესი ტრაგედიისგან გვიხსნა

ბიჭის დაბადებით გახარებული მამა თოფის გასროლით გამოხატავს სიხარულს, პატარა გიორგი ოქროპირიძის თბილისში დაბადება კი მისმა პაპამ, ავიაციის ვიცე-პოლკოვნიკმა დიდი შირაქის ველზე ძალზე ორიგინალურად აღნიშნა უზარმაზარი ბომბის აფეთქებით.

10 ივნისს შირაქში გაანადგურეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და საშიში საავიაციო ვაკუუმური ბომბების ბოლო პარტია, რითაც კახეთის ამ რაიონის მცხოვრებლებს უდიდესი საშიშროება ასცდათ.

„კვირის პალიტრას“ მიეცა შესაძლებლობა, დასწრებოდა ამ მართლაც შთამბეჭდავ სანახაობას — ბომბების მოსახლეობისგან მოშორებით, მთის ძირში ამოთხრილ დიდ ორმოებში აფეთქებას.

მოულოდნელი აფეთქება ტრაგედიაა, ხოლო სულ სხვაა — დაგეგმილი და განხორციელებული, უვარგისი და საშიში ბომბების აფეთქებით უტილიზაცია.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, დიდ შირაქში, ყოფილი საბჭოთა სამხედრო აეროდრომის ახლოს საავიაციო საბრძოლო მასალების უზარმაზარი საწყობი იყო. აქ შენახულ ათასობით ბომბსა და რაკეტას, ომის დაწყების შემთხვევაში, სამიზნე ირანში ან თურქეთში უნდა „ენახა“, მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი, დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომი ერთბაშად დატოვა Су-24 ტიპის რუსული საფრონტო ბომბდამშენების პოლკმა, ხოლო ბომბებისა და რაკეტების უდიდესი ნაწილი ადგილზე დარჩა. მართალია, მართვადი რაკეტების გარკვეული რაოდენობა საგანგებოდ გამოიყვანეს მწყობრიდან, მაგრამ საცავში მაინც რჩებოდა საავიაციო დაზიანების საშუალებების უდიდესი მარაგი.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ამ პერიოდში ბომბებისა და რაკეტების დიდი ნაწილი შენახვის ცუდი პირობებისა და ხანდაზმულობის გამო გამოუსადეგარი გახდა. არასრულფასოვანი დაცვისა და კორუფციის მიზეზებით, საწყობიდან ბომბების ნაწილი გაქრა და გაიყიდა მეზობელ ქვეყნებში, ხოლო ღია ცის ქვეშ დაწყობილ სხვა ბომბებს გასაყიდად დააძრეს ალუმინისგან დამზადებული ფრთები, რაკეტებს დახსნეს ძვირფასი ლითონების შემცველი რადიოელექტრონული მოწყობილობების ბლოკები.

თავდაცვის სამინისტრომ შარშან, ბოლოს და ბოლოს, გადაარჩია ჯერ კიდევ ვარგისი ბომბები და რაკეტები და სხვა ბაზებში გადაიტანა, თუმცა ადგილზე კვლავ რჩებოდა რამდენიმე ასეული გამოუყენებელი საბრძოლო საშუალება, რომლებიც დიდ საფრთხეს უქადდა მოსახლეობას.

რამდენიმე თვის წინ ეუთომ (OSCE) ფინეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ლუქსემბურგისა და თურქეთის მთავრობების მიერ გადმორიცხული თანხებით დააფინანსა დიდი შირაქის ბომბსაცავში შენახული უვარგისი საავიაციო დაზიანების საშუალებების განადგურების პროგრამა.



კახეთში განადგურებული ბოლო ვაკუუმური ბომბი

საქართველოს მხრიდან ზემოხსენებული პროგრამის კოორდინატორის, სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას“ გენერალური დირექტორის მოადგილის, დევი ფირცხალავას თქმით, შარშანდელი სექტემბრიდან დღემდე განადგურებულია სხვადასხვა სახეობისა და ტიპის 580 ერთეული საავიაციო დაზიანების საშუალება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ამდენივე (თუ ბევრად მეტი არა) ადამიანის სიცოცხლე იქნა შენარჩუნებული. მით უმეტეს, რომ აქედან 45 ერთეული ის ბომბი გახლდათ (მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო ПТАБ-2,5, რომლებიც კონტეინერებიდან იყო ამოღებული და შესაბამისად ფეთქებად მდგომარეობაში იყო მოყვანილი), რომლებიც სამართალდამცავებმა ამ რაიონის სოფლებში, კერძო პირების ეზოებში იპოვეს. სავარაუდოა, მოსახლეობა კვლავ ინახავს მოპარულ ფეთქებადსაშიშ საშუალებებს და თუ არ ჩააბარებენ, შეიძლება აფეთქდეს და დიდი ტრაგედია დატრიალდეს.

ამ 580 ბომბიდან ყველაზე საშიში, სწორედ ის 16 ერთეული ОДАБ-500ПМ-ია, რომლებსაც ამერიკელები „ვაკუუმურს“ უწოდებენ. მისმა მსგავსებმა ასიათასობით ვიეტნამელი და ავღანელი შეიწირეს.

***ჩვენი დოსიე:*** *საბჭოთა წარმოების მოცულობითი აფეთქების 520 კგ-იანი საავიაციო ბომბის ОДАБ-500ПМ-ის სიგრძე 2,3 მ-ია, დიამეტრი — 50 სმ. მასში მაღალი წნევით ჩატუმბულია 193 კგ თხევადი აირი ჰიპერილენი. ამ ბომბს თვითმფრინავი პარაშუტით აგდებს, დაშვებისას მიწას ჯერ ბომბის თავიდან გამოსული დეტექტორი ეხება, რის შემდეგ მაღალი წნევით გამოსული აირი წამში ავსებს შენობის ყველა ოთახსა თუ სარდაფს, ხდება ბომბის ამფეთქის ინიცირება და აფეთქების არეალი ყველა იმ ადგილს მოიცავს, სადაც აირმა შეაღწია; ანუ თუ ფუგასური ბომბის აფეთქებას შეიძლება სარდაფში ან გამოქვაბულში გადავურჩეთ, ვაკუუმური ბომბისგან ამას არ უნდა ველოდეთ.*

სწორედ ასეთი საშიში ბომბების განადგურება მოუწიათ „დელტასა“ და თავდაცვის სამინისტროს მენალმეებს, თანაც ზოგიერთი ბომბის დაზიანებული კორპუსიდან აირი ატმოსფეროში იჟონებოდა. ბომბების სპეციალურ ორმოში მოთავსების შემდეგ იქ ჩასული სპეციალისტები, რომლებიც ბომბებზე ასაფეთქებელ მოწყობილობას ამაგრებდნენ, ფაქტობრივად, სიკვდილ-სიცოცხლის პირზე იდგნენ — ჯერ ერთი, ორმოში დაგროვილი აირი მათ სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და მეორეც, სულ მცირე ნაპერწკალიც საკმარისი გახლდათ, რომ უბედურება დატრიალებულიყო.

საბედნიეროდ, უვარგისი ბომბების ლიკვიდაციის ძალზე საშიშმა პროცესმა დიდ შირაქში მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა აეროდრომის სიახლოვეს მდებარე ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ამ აფეთქებებმა მათ მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა; თუმცა აფეთქებები ჯერ 4-5 კმ-ის, ბოლოს კი 17 კმ-ის დაშორებით ხორციელდებოდა. გასაგებია, რომ შუშების ზრიალი არავის სიამოვნებს, მაგრამ ფაქტია, ამ ბომბების განადგურების შემდეგ სწორედ ამავე სოფლების ახალგაზრდები გადაურჩნენ ტრაგედიებს, რომლებიც დაუცველ ბომბსაცავში ჯართად ჩასაბარებელ ლითონს დაეძებდნენ.

P.S. დიდი შირაქის საავიაციო ბომბსაცავის პრობლემა მოხსნილია, მაგრამ კახეთს კვლავ ემუქრება აფეთქებების საფრთხე — ამჯერად საგარეჯოს ყოფილი რუსული სამხედრო-საინჟინრო საწყობის მიდამოებში, რომელიც „უხვადაა“ დანაღმული. ყველაზე არაჰუმანური, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით ამ ადგილის გასუფთავება ძალზე საშური საქმეა, რასაც უფრო მეტი ყურადღება ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს.

# ჯარიც და ხაზინაც ივსება

## სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს

ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა ეს — ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლამ თუ კიდევ სხვა ფაქტორებმა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯარში გაწვევა ბევრად უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე ეს გასულ წლებში ხდებოდა.



ამ მუზარადებსა და ავტომატებს მალე პატრონი გამოუჩნდება

პრეზიდენტის ბრძანებულებით, საგაზაფხულო გაწვევის პროცესი 26 აპრილიდან 31 ივლისამდე განისაზღვრა. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს სამხედრო ძალები 8 430 ახალწვეულით უნდა შეივსოს. აქედან 4000 თავდაცვის სამინისტროში გამწესდება, 2800 — შინაგანი ჯარების ფორმას ჩაიცვამს, ხოლო 1000 — მესაზღვრისას. უშიშროება 130, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური კი 500 ახალწვეულს მიიღებს.

გაწვევის დაწყებიდან თვე-ნახევარია გასული და უკვე 3000-მდე ახალგაზრდა შეუდგა სამხედრო სამსახურს, რაც არც ისე ცუდი შედეგია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაწვევის ერთი წლით გადავადების ბეგარა — 200 ლარი — 2700-მდე ადამიანმა გადაიხადა, რამაც ნახევარ მილიონზე მეტი ლარით შეავსო ქვეყნის ბიუჯეტი.

გაწვევის წარმატებით მიმდინარე პროცესში კახეთი და, კერძოდ, საგარეჯოს რაიონი ლიდერობს, სადაც წვევამდელთა 60%-ია სამხედრო ნაწილებში გაგზავნილი; მაგრამ კვლავ რჩება ბევრი დაბრკოლება. ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორის და, ამასთანავე, ცენტრალური გამწვევი კომისიის წევრის ირაკლი სესიაშვილის თქმით, ყველაზე დიდი პრობლემები დედაქალაქშია. ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილების ზოგიერთი წარმომადგენელი ცენტრალურ გამწვევ კომისიას უმალავს მათ რაიონში წვევამდელთა ზუსტ რაოდენობას. საფიქრალია, რომ ეს განყოფილებები ადრევე გაურიგდნენ წვევამდელებს და მათ საბუთებს სპეციალურად მალავენ. არადა ის წვევამდელები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ზოგიერთის მოქრთამვით წლების განმავლობაში არ „დაემუქრებათ“ გაწვევა, სისხლის სამართლის პოტენციური დამნაშავეები ხდებიან, რადგან გამწვევი კომისიის რამდენიმე გამოძახების უგულებელყოფისთვის შეიძლება გამოცხადდეს მათი ძებნა.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოქმნის გაწვევის შესახებ კანონში არსებული 10-დღიანი ვადა, როდესაც უწყების მიღებიდან 10 დღეში წვევამდელი ან ჯარში უნდა წავიდეს, ან გადაიხადოს 200 ლარი გაწვევის ერთი წლით გადასავადებლად. ცუდად ინფორმირებული წვევამდელები და მათი მშობლები უწყისის მიღებიდან 10 დღის გასვლის შემდეგ გამოთქვამენ 200 ლარის გადახდის სურვილს, რასაც კანონი არ ითვალისწინებს.

არანაკლებ გაუგებრობას ქმნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების რაიონული ფილიალების სამხედრო კათედრები. 1996 წლის პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ამგვარი ფილიალების სამხედრო კათედრები უკანონოა და არ იცავენ ახალგაზრდას სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან. თუმცა ამგვარი სამხედრო კათედრები მაინც ფუნქციონირებენ, რითაც ფილიალების ხელმძღვანელები ამ საქმეში გაურკვეველ აბიტურიენტებს არწმუნებენ, ჯარში გაწვევისგან დაგიხსნითო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ამ შემაფერხებელი გარემოებების მიუხედავად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საგაზაფხულო პროცესი მაინც წარმატებით მიმდინარეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებას ნელ-ნელა უბრუნდება ქართული არმიის იმედი.

# კორუფცია თავდაცვის სამინისტროში... რუსეთში

## მარაგდებიან თუ არა რუსეთის არმიაში უკანონოდ ჩამოწერილი იარაღით სეპარატისტები საქართველოში?!

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში არსებულ სეპარატისტულ მთავრობებს ძალაუფლების განსამტკიცებლად წლების განმავლობაში იარაღს რუსეთიდან უგზავნიდნენ. ასეა დღესაც: რუსეთის ფედერაციის ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკიდან იარაღისა და საბრძოლო საჭურვლის პარტიები შედის ცხინვალში. ადრე ამაზე კრემლი თვალს იბრმავებდა, ამჯერად კი რუსეთის დედაქალაქში დიდი სკანდალი მომწიფდა — რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აღმოაჩინეს დიდი ოდენობით გაფლანგვა და სახსრების არასწორი ხარჯვა.

რუსეთის კონტროლის პალატამ გამოავლინა, რომ 2001-2002 წლებსა და 2003 წლის პირველ ნახევარში სერგეი ივანოვის თავდაცვის სამინისტრომ უხეშად დაარღვია საფინანსო დისციპლინა. მარტო 2003 წელს არამიზნობრივად დახარჯა 14 მლრდ რუბლი, რაც თითქმის ნახევარი მლრდ დოლარის ეკვივალენტია! ამასთან, სამხედრო ფინანსისტებმა ახალი წლის დადგომისთანავე სასწრაფოდ დაწვეს ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც მათ დანაშაულს ხდიდა ფარდას. მარტო ავიაციის დარგში, თავდაცვის სამინისტრომ მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევით ჩამოწერა 196 თვითმფრინავი, საიდანაც 93 ჯერ კიდევ საფრენად ვარგისი იყო, და მათი საერთო ღირებულება 4,65 მლრდ(!) დოლარს შეადგენდა.

რუსეთის კონტროლის პალატა არ აზუსტებს, თუ რა რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალია ჩამოწერილი რუსეთის არმიაში, თუმცა ბომბდამშენებისგან განსხვავებით, ვითომდა ჩეჩნეთის ომში დახარჯული ტყვია-წამლის დიდი ნაწილი აფხაზეთსა და ცხინვალში ხვდება(!).

რუსული წყაროების მიხედვით, პრეზიდენტ პუტინთან დაბარებულ თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვს თავის მართლება უცდია, მაგრამ პუტინს მისთვის არ მოუსმენია. ამიტომაც შესაძლოა, უახლოეს პერიოდში პოსტი დაატოვებინონ რუსეთის მთავრობის ყველაზე „უხუცეს“ მინისტრს. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თვით ისეთი ავტოკრატული მმართველი, როგორიც პრეზიდენტი პუტინია, ბოლომდე ვერ აკონტროლებს თავისი არმიის გენერლებს, რის გამოც რუსეთის გენშტაბის გენერლების ნაწილი მზადაა, ქრთამის ან „ველიკოდერჟავული“ პოლიტიკური მოსაზრების გამო მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სეპარატისტულ მოძრაობებს მეზობელი საქართველოს ტერიტორიაზე.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ფართომასშტაბიანი დესანტირება რუსეთში

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გასულ კვირას განახორციელა ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე ფართომასშტაბიანი საჰაერო დესანტირება. სტრატეგიული დონის სწავლება, სახელწოდებით „მობილურობა-2004“, 9 ივნისს დაიწყო — რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საჰაერო-სადესანტო ჯარებმა და საზღვაო ქვეითებმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან საბრძოლო ტექნიკა და 800 მედესანტე გადასვეს პარაშუტებით.

ამ სწავლების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლდათ, რომ სადესანტო ჯგუფი რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონიდან შორეულ აღმოსავლეთში, რამდენიმე ათასი კმ-ის სიშორეზე იქნა გადასროლილი. ფაქტობრივად, ეს გახლდათ სტრატეგიული მნიშვნელობის დესანტის გადასხმა, რითაც მოსკოვმა უპირველესად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს მიანიშნა, რომ ჯერ კიდევ შემიძლია ამ სიშორეზე სამხედრო დანაყოფების სწრაფი და ოპერატიული გადასროლაო.

## რუსული ბომბდამშენი ამერიკის თავზე

აშშ-ის საჰაერო სივრცეში რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი იფრენს, ანუ განხორციელდება ის, რაზეც ჯერ კიდევ სტალინი ოცნებობდა. საგულისხმოა, რომ რუსული




სტრატეგიული ბომბდამშენი Ty-95MC ატომური ბომბების გარეშე ჩაფრინდება აშშ-ის ქ. პორტლენდში — მისი ეკიპაჟი, ცნობილი რუსი პილოტის, ვალერი ჩკალოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, იმ მარშრუტით იფრენს, რომელიც პირველად გასული საუკუნის 30-იანი წლების დამლევს ძირდაუშვებლად გაიარა АНТ-25 ტიპის ერთძრავიანი თვითმფრინავით ჩკალოვის ეკიპაჟმა.

## ისრაელის შეიარაღებაში ფრთოსანი რაკეტები გამოჩნდა

ისრაელის არმიას დღემდე არ ჰქონია „მიწა-მიწა“ ტიპის ისეთი ფრთოსანი რაკეტები, რომლებიც ბეირუთს ან დამასკოს მისწვდებოდნენ.

ამიტომაც ოფიციალურმა თელ-ავივმა ორჯერ თხოვნით მიმართა ვაშინგტონს, ცნობილი ამერიკული ფრთოსანი რაკეტების, „ტომაჰავკების“, მიყიდვის თაობაზე, მაგრამ თეთრი სახლისგან ორჯერვე უარი მიიღო.

ინგლისურ პრესაში გამოჩნდა დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადებული მასალა, რომლის თანახმადაც, ებრაულმა კომპანია IMI-მ უკვე გამოსცადა 250-300 კმ ფრენის რადიუსის მქონე ახალი ფრთოსანი რაკეტა, რომლითაც ებრაელ სამხედროებს შეეძლებათ უზუსტესი დარტყმები მიაყენონ მეზობელი ქვეყნების სტრატეგიულ ობიექტებს.

## პენტაგონს ბიოტერორისტების ეშინია

სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე პენტაგონის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ცნობილ მეცნიერებს, დახმარებოდნენ აშშ-ის მთავარ სამხედრო უწყებას ბიოტერორისტებთან ბრძოლაში.

ამერიკელი გენერლების აზრით, ბიოტერორიზმი ერთ-ერთი ყველაზე საშიში მეთოდია, რომლითაც შეიძლება განხორციელდეს ახალი გრანდიოზული მასშტაბის ტერორისტული აქტი ამერიკულ მეგაპოლისებში. აშშ-ის ხელისუფლება არც იმას მალავს, რომ ამგვარ ტერაქტს მისი ქვეყნის მოსახლეობა უახლოეს დღეებშიც კი უნდა ელოდოს, რადგან სხვადასხვა სადაზვერვო წყაროებიდან მიღებული ოპერატიული მასალებით, „ალ-ქაიდამ“ უკვე დაამთავრა მზადება აშშ-ში ასეთი ტერაქტის მოსახდენად.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# გახსნეს ვეებერთელა სეიფი და გაშეშდნენ...

## ყოფილი ქურდის აღსარება

***მე მას დიდი ხანია ვიცნობ. ვიცოდი, რომ ახალგაზრდობაში ერთი-ორჯერ ცუდ საქმეზე წაუცდა ხელი, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის პერიოდში, შემდეგაც, იმდენად მოკრძალებულად იქცეოდა, ისე მუხლჩაუხრელად შრომობდა, რომ ვერც ერთხელ ვერ შევკადრე ამ თემაზე საუბარი. უკვე სამოცდაორს მიტანებულმა თვითონ გამოთქვა ამის სურვილი და სიმართლე გითხრათ, გაოგნებული დავრჩი მოსმენილით.***

— დიდი ომი ახალი დამთავრებული იყო. ცხოვრება ძალიან ჭირდა და თოთხმეტი წლისა მამის გვერდით დავდექი დაზგასთან. მამა დურგალი იყო და ჭიათურაში მუშაობდა. ამის გამო სკოლის მიტოვება მომიხდა და სამი წლის შემდეგ, როცა ცოტა სული მოვითქვით, ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, რომ სახლში ერთი ხელოსანიც საკმარისი იყო. მე წულუკიძეში (ახლანდელი ხონი) იმხანად ახალგახსნილ სატრაქტორო კურსებზე უნდა შევსულიყავი. მექანიზატორები დიდ პატივში იყვნენ მაშინ და არც მე მითქვამს უარი. მით უმეტეს, რომ კურსებთან ერთად იქვე საშუალო სკოლაც იყო და მის დამთავრებასაც მოვახერხებდი.

თვრამეტი წლის გაურყვნელი ბიჭი ჩავედი ხონში და ისე ვიყავი სწავლას მოწყურებული, ტრაქტორისტის კურსების დამთავრების შემდეგ სკოლაში გადავედი. ეს სკოლის დირექტორმა, დედასავით თბილმა და მზრუნველმა, იმხანად საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქალბატონმა გალინა რუხაძემაც მირჩია. მითხრა: — ცოდვა იქნები, ტრაქტორისტად რომ დარჩე, ნიჭიერი ბიჭი ხარ, უმჯობესია, სწავლა გააგრძელოო და მეც წიგნებს უფრო ჩავებღაუჭე, ვიდრე ტრაქტორის საჭეს, რომელიც ჩემი თანატოლებისაგან განსხვავებით, სულაც არ მიზიდავდა. სკოლა ფრიადებზე დავამთავრე და ვიდრე გამოსაშვებ გამოცდებს ჩავაბარებდით, ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ ცოტა წაგვექეიფა. უმრავლესობა ჩემსავით მუშაობდა და ფულიანებმა ჯიბეზე გავიკარით ხელი. იმ დღეს ადგილობრივი ფეხბურთის გუნდი სამტრედიის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდა და ნაქეიფარებმა სტადიონს მივაშურეთ. თამაშის დამთავრების შემდეგ, გამოსასვლელში ვილაცამ, ასე, შუახნის მამაკაცმა, ჩემს მეგობარს შეაგინა. როგორც შემდეგ გავიგე, არცთუ უმიზეზოდ. მაგრამ მე ხომ ეს არ ვიცოდი და „დაჩაგრულს“ გამოვექომაგე. იმ კაცმა კი, ბაყბაყდევს რომ ჩამოჰგავდა, ყურებით ამწია და თოჯინასავით ამათამაშა. საცოდავად ვსხმარტალებდი ჰაერში. ვგრძნობ, ყურებიდან უკვე სისხლი მომდის, ის კი სიცილით კვდება. ჩემი მშველელი არავინაა. მეგობარი, რომლის გამოც ამ დღეში აღმოვჩნდი, გაპარულა. გამახსენდა, ჯიბეში კაკლის სამტვრევი პატარა ჯაყვა მედო (ნედლი კაკლის სეზონი იყო და ყველა ბიჭს ჰქონდა მაშინ ჯიბეში ასეთი დანა). გამწარებულმა ამოვიღე და იმ კაცს მუცელში ვუჩხვლიტე. სხვა რა გზა ჰქონდა, თავი გამანება და ჭრილობაზე იტაცა ხელი. მე კი ვიმარჯვე, გავიქეცი და დავემალე. იმავე დღეს მილიციამ ძებნილად გამომაცხადა. ვიცოდი, დამიჭერდნენ, გამასამართლებდნენ და ციხეს მომისჯიდნენ. მე კი საშუალო სკოლის ატესტატის აღება მინდოდა. პირველი გამოცდა ქართულ წერაში მქონდა და ისე შევძვერი კლასში, მილიციას არაფერი გაუგია. მეორე გამოცდაზე ერთმა უმცროსკლასელმა გოგომ რაღაც საეჭვოდ დამადგა თვალი. თურმე დაჭრილის ნათესავი ყოფილა. გაქცეულა და მისთვის უთქვამს, შენი დამჭრელი გამოცდაზეა მოსულიო. ამავე დროს დირექტორმა მითხრა, — ოღონდ მილიციას ნუ დაემალები და მე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თავდებად დაგიდგები. გამოცდებს ჩააბარებ, სიმწიფის ატესტატს მიიღებ და პირობას გაძლევ, მოსამართლეს ყველა შეღავათს გამოვაყენებინებო. მართალია, უარი ვერ შევკადრე, მაგრამ მე უკვე სხვა ადამიანი ვიყავი. იმ დროს ხონში თითქმის ყოველი მეორე ბიჭი ქურდი იყო. თუმცა ჯერ არაფერი მომეპარა, მაგრამ ვძველბიჭობდი. დირექტორს ვუთხარი, მე გამიჭირდება საკუთარი ფეხით მისვლა, გამოცდას ჩავაბარებ და მერე გამოუძახეთ-მეთქი მილიციას. ამით ჩემი ამფსონების თვალში ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ვაპირებდი, თითქოს ისე დამიჭირეს, გასაქცევი არ მქონდა და რაღა მექნა-მეთქი. თუმცა გამოცდაზე შესვლის წინ გადაწყვეტილება შევცვალე და ამხანაგები გავაფრთხილე, მილიციის დანახვისთანავე მანიშნეთ-მეთქი. დაფასთან ვდგავარ და საგამოცდო ბილეთს ვპასუხობ (როგორც მახსოვს, საკმაოდ კარგად). უცებ კარი გაიღო და იმწამსვე დაიკეტა. ამით მე მანიშნებდნენ, რომ სკოლის ეზოში მილიცია შემოვიდა. არც ვაციე, არც ვაცხელე, მეორე სართულის ღია ფანჯრიდან გადავხტი და გავიქეცი.

წარმოიდგინეთ იმ მასწავლებლებისა და მოსწავლეების სახეები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ. ამის შემდეგ გამოცდაზე მისვლას როგორღა გავბედავდი, ან დირექტორს რა პირით დავენახვებოდი? დამრჩა ოცნებად სიმწიფის ატესტატის აღება.

მალე დამიჭირეს და სამი თვე ქუთაისის ციხეში მაყურყუტეს. იქ გავიარე „დახელოვნების“ სკოლა და იმდენად საფუძვლიანად, რომ გამოძიებამ ვერაფრით გამტეხა. ერთი რომ ვთქვი, დანა არ დამირტყამს-მეთქი, აღარ გადავთქვი. მოწმე კი არ ჰყავდათ. ჯაყვა იმდენად პატარა იყო, არავის დაუნახავს ჩემს ხელში. ასე რომ, ბრალდება ვერ დამიმტკიცეს და



გამათავისუფლეს. ეს კი დიდად დამიფასა დამნაშავეთა სამყარომ და ჭიათურელი ანზორია უკვე ავტორიტეტად ვიქეცი (სინამდვილეში, ბატონი ანზორი საჩხერელია. — ვ. გ.). ეს ხონსა და ქუთაისში, თორემ არც ჭიათურაში, არც საჩხერეში არავინ არაფერი იცის. მე მათთვის ისევ ის წესიერი და ზრდილობიანი ბიჭი ვარ, როგორსაც სულ ცოტა ხნის წინ მიცნობდნენ. არადა, ზემო იმერლებიც ხომ ხვდებოდნენ ქუთაისის ციხეში? იქ ესმოდათ ჭიათურელი ანზორიას ქება და ვერავინ ხვდებოდა, ვისზე იყო ლაპარაკი. ამან დამღუპა. გავყოყოჩდი და ქურდების სინდიკატში შევედი. იგი ჩემმა მეგობარმა შექმნა. აი, იმან, ვისი გულისთვისაც ამ შარში გავეხვიე. სხვათა შორის, იმ ბიჭმა ძალიან ცუდი როლი ითამაშა ჩემს შემდგომ ცხოვრებაშიც. ეს ის დრო იყო, როცა სახლებს ჯერ კიდევ არავინ უკეთებდა გისოსებს. რკინის კარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასე რომ, ხის კარ-ფანჯარა ჰქონდა ყველა მაღაზიას. მე კი ხის ხელოსანი ვიყავი. ზუსტად ვიცოდი ხის სუსტი ადგილები. დანის ორი დასმა და კარიდან გულს გამოვიღებდი. ამის შემდეგ კი მისი გაღება იოლი იყო. ათობით მაღაზია გავქურდეთ. მართალია, ნაქურდალს ჩალის ფასად ვაძლევდით ბარიგას, მაგრამ იმ

> **სამეულს ნაყაჩაღარით დაუვსიათ ჩემოდნები და ჩანთები და ახლა ბუღებივით მიშტერებიან კუთხეში საცოდავად მიყუჟულ, ისედაც დამფრთხალ ქალებს. ესენი ხომ სამნი არიან, ქალებიც სამნი არიან და სასოწარკვეთილი დედა და ბებია იხვეწებიან, ჩვენ თუ გინდათ ყელი გამოგვჭერით, ოღონდ გოგონას არაფერი ავნოთო. გაჩუმება არაკაცობა იქნებოდა და ბიჭებს ვუთხარი — ქალებს ხელი არ ახლოთ, თორემ აქვე გაგაგორებთ-მეთქი და ისინიც ძალაუნებურად შედგნენ...**

დროის პირობაზე საკმაო ფული დაგვიგროვდა. მაშინ ერთი ოჯახიც გავძარცვეთ. ეს ამბავი ახლაც ტკბილ-მწარედ მახსენდება, რადგან იმ ღამეს სიკეთეც გავაკეთე.

ხონში, ქუთაისიდან შესასვლელ გზაზე, ერთი მდიდარი ოჯახი ცხოვრობდა. მისი უფროსი ექიმი იყო და გერმანიაში მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით. სახლში კი ქალები: პოლკოვნიკის ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედა, მეუღლე და თუ არ მეშლება, 13-14 წლის ქალიშვილი ცხოვრობდნენ. ეს სახლი ამოვიღეთ მიზანში. თავდაპირველად, უარი განვაცხადე ამ საქმეზე. მიმაჩნდა, რომ მაღაზია სახელმწიფოს ქონება იყო და მის გაქურდვას კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ კერძო საკუთრების ხელყოფას დიდ ცოდვად ვთვლიდი, თუმცა „ოპერაციის“ დაგეგმვაში მაინც მივიღე მონაწილეობა.

ჩვენს „მასპინძლებს“ ვეებერთელა ეზო ჰქონდათ. აქეთ, ღობის მხარეს დიდი ჭადრის ხე იდგა. ამ ხესა და სახლის კიბეს შორის, ღობის მხარეს, გრძელ, მსხვილ მავთულზე ვეებერთელა ნაგაზი მიებათ. ეს ძაღლი თავიდან უნდა მოგვეშორებინა და ჩვენც ასეთი რამ მოვიფიქრეთ: დიდ გოდორში ჩავაგდებდით ხორცის მოზრდილ ნაჭერს, მერე ავძვრებოდით ეზოს გარეთ გამოშვერილ ჭადრის ტოტზე და გოდორს თოკით ჩავუშვებდით. ძაღლი ხორცის სუნს იკრავდა და გოდორში ჩახტებოდა. გოდორს მაშინვე მაღლა ავწევდით, შეშინებული ძაღლი მხოლოდ ერთს წაიწკმუტუნებდა და ამის შემდეგ ხმის გამღები აღარ იყო. ეს ნაცადი ხერხი იყო, ქუთაისის ციხეში მასწავლეს.

ასე რომ, სახლში შეღწევის გეგმა არსებობს. ოთხკაციანი ჯგუფიც დაკომპლექტებულია. ავტომანქანა „ზიმიც“ შოფრიანად ეზოს გარეთ დაგველოდება, მაგრამ არაფრით არ მინდა სახლში შესვლა. ფოსტაში წავედი და დეპეშის ტექსტი შევადგინე. თითქოს ჩემები მატყობინებდნენ, დედა გარდაიცვალა და ჩამოუსწარიოო. ამ დეპეშით მივადექი ჩემს კომპანიონებს „ოპერაციის“ ჩატარების დღეს და მოვუბოდიშე, ჩემი წაუსვლელობა არ იქნება და ჩემს ნაცვლად სხვას გამოგინახავთ-მეთქი. მართლაც, ასეთი კაცი ადვილად ვიშოვე და ზესტაფონამდე მიმავალ მატარებელში ავედი. ზესტაფონში ჩასული კი მივხვდი, რომ სოფელში წამსვლელი აღარ ვიყავი. სული და გული ისევ ხონში მქონდა. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა. ავდექი და ქუთაისში მიმავალ მატარებელში გადავჯექი. ქუთაისიდან კი ტაქსით წავედი ხონში და შუაღამის სამი საათი იქნებოდა, პოლკოვნიკის ეზოს რომ მივუახლოვდი. „ზიმი“ იქვე დგას, გზის გადაღმა, ბუჩქებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენები უკვე სახლში არიან შესული. ტაქსი გავუშვი. ვერ მოვითმინე და ეზოში შევიპარე. ახლა აქ „ატასნიკი“ (გარედან მოთვალთვალე) უნდა ყოფილიყო სადღაც და თუ ვერ მიცნობდა, ბიჭებს მისცემდა სიგნალს. მაგრამ ვნახე, ჭიშკართან ჩასძინებია. ისე გემრიელად ფშვინავდა, ნაგანი რომ გამოვაცალე ხელიდან, მხოლოდ მაშინ შეკრთა. დავამშვიდე — მე ვარ-მეთქი და სახლში შევედი. სამეულს ნაყაჩაღარით დაუვსიათ ჩემოდნები და ჩანთები და ახლა ბუღებივით მიშტერებიან კუთხეში საცოდავად მიყუჟულ, ისედაც დამფრთხალ ქალებს. ესენი ხომ სამნი არიან, ქალებიც სამნი არიან და სასოწარკვეთილი დედა და ბებია იხვეწებიან, ჩვენ თუ გინდათ ყელი გამოგვჭერით, ოღონდ გოგონას არაფერი ავნოთო. გაჩუმება არაკაცობა იქნებოდა და ბიჭებს ვუთხარი — ქალებს ხელი არ ახლოთ, თორემ აქვე გაგაგორებთ-მეთქი და ისინიც ძალაუნებურად შედგნენ. ქურდობით არასოდეს მიტრაბახია. კაცი რომ სხვის ნაოფლარს მოიპარავს, ამით როგორ უნდა იტრაბახოს. არც ეგრეთ წოდებულ „კანონიერ“ ქურდობაზე მიოცნებია. ჩემგან „კანონიერი“ ქურდი მაინც ვერ გამოვიდოდა, რადგან პროფესიონალი მუშა ვიყავი. დურგლობის სამი, ტრაქტორისტობის კი ერთწლიანი სტაჟი მქონდა. თავის დროზე, პიონერიც ვიყავი და კომკავშირელიც. მიუხედავად ამისა, ისეთი ავტორიტეტი მქონდა, სადავო საქმეებში ბოლო სიტყვას მე ვამბობდი და ყველა მიჯერებდა, მაგრამ ახლა ცოტა ძნელად დამემორჩილნენ. დამემუქრნენ, იცოდე, ამას არ შეგარჩენთო. დავავლეთ ხელი ჩემოდნებს და ოთხმა კაცმა, თუ არ მეშლება, ხუთ-ხუთი გზობა გავაკეთეთ. დალოცვილი მანქანა იყო „ზიმი“. მაინც სად დაიტია ამდენი ტვირთი? ერთი სიტყვით, ნაყაჩაღარი დავაბინავეთ და ჩემმა გუშინდელმა კომპანიონებმა „კანონიერი“ ქურდები მოიწვიეს ჩემთან საქმის გასარჩევად. ქურდებმა კი მარტივად გადაწყვიტეს დავა:

— რა გარანტია გაქვთ, რომ ეს საქმე არ გაიხსნება, ამდენ საქონელს გასაღება ხომ უნდა? ბარიგა, ბაზარი... შესაძლოა მანქანის მძღოლმაც ჩაგიშვათ. ქალების გაუპატიურების შემთხვევაში დახვრეტა არ აგცდებოდათ (მაშინ კანონი ბევრად უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ახლაა). ჰოდა, ანზორიას გადაურჩენიხართ. ამიტომ, რაკი საქმეზე ოთხნი იყავით, მეხუთედ ისიც უნდა მიითვალოთ და სრული წილი მისცეთ.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, იმათ „ზაკონიკების“ ნათქვამი რომ აუხდათ. ქალების აღწერილობის მიხედვით სამეულის ფოტოები შეადგინეს და იმ ამბიდან მესამე კვირის თავზე დაიჭირეს. მათ მიაყოლეს „ატასნიკიც“, რომლის სახე ქალებს მართალია არ უნახავთ, მაგრამ რაკი მეოთხე იყო, ქალებმა იფიქრეს, სწორედ ეს იქნებოდა ჩვენი მხსნელიო და სასამართლოზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, თავი მოიკლეს, არ დაიჭიროთო.

გულში მეცინება, მაგრამ რაკი ბრალდებულები არ მადებენ ხელს, ხომ არ ვიტყვი, მე ვარ ის კაცი-მეთქი. ერთი სიტყვით, ბიჭებმა იმ ყაჩაღობასთან ერთად მაღაზიების გაქურდვაც ისე აღიარეს, რომ მე არსად ვუხსენებივარ. იმ სამეულს, სახლში რომ შეიჭრნენ, ოცდახუთ-ოცდახუთი წელი მისცეს. შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს და არც ერთი აღარ დაბრუნებულა ცოცხალი. „ატასნიკს“ კი ქალების დაჟინებული მოთხოვნით თხუთმეტი წელი აკმარეს, შემდეგ პოლკოვნიკი ჩაერია გერმანიიდან და გაუნახევრეს. საბოლოოდ კი სამ წელიწადში გამოვიდა ციხიდან. „ატასნიკი“ იმხანად გახსნილ ხონის კოლონიაში იხდიდა სასჯელს და დაზარალებულ ქალებს ყოველდღე ცხელი კერძი მიჰქონდათ თავიანთ „გადამრჩენელთან“.

ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღემდე სიამაყით ვიხსენებ ამ ამბავს. ბოლოს და ბოლოს, ქურდი ხარ თუ ყაჩაღი, გული ხომ უნდა გქონდეს? ხომ უნდა ჰკითხო თავს — რას ვიზამდი მაშინ, ეს ჩემს სახლში რომ მომხდარიყოო და პასუხსაც შესაბამისს მიიღებ. ხოლო ასეთი ბინძური საქმის მოწმე თუ შეიქენი, არც მაშინ უნდა დაიხიო უკან, ჩაურევლობა ნიშნავს, რომ შენც ისეთივე ბილწი ხარ.

ერთი სიტყვით, ჩემი ყველა დანაშაული გახსნილია. დამნაშავეები სასჯელს იხდიან. რაკი აქამდე არ მახსენეს, ე. ი. აღარავის გავახსენდები. არმად ნაშოვნი ბოლო კაპიკიც დავამღერე, რადგან შინ, ჩემს მშობლებთან ნაქურდალ ნემსსაც ვერ გამოვაჩენდი. ხონიდან წავედი და ისევ მამის გვერდით დავდექი სადურგლო სახელოსნოში. დარწმუნებული ვიყავი, ხელი აღარაფერზე აღარ წამიცდებოდა. მით უმეტეს, რომ პატიოსანი კაცის სახელი მქონდა ჭიათურა-საჩხერეში, ჩემს კაიკაცობაში ეჭვს როგორ შეიტანდნენ... მალე მუშაახალგაზრდობის სკოლაში, ხის ხელობის მცოდნე ოსტატი დასჭირდათ და პირველს მე დამადეს ხელი. ახლა ერთდროულად ოთხასი ბავშვი „პატივცემულ მასწავლებელს“ მეძახის და ქურდობაზე როგორღა ვიფიქრებ?

ასე გავიდა ხუთ წელზე მეტი. როგორც მოწინავე ოსტატს, სხვადასხვა რესპუბლიკურ შეკრებაზე დამატარებდნენ. კომუნისტური პარტიის რიგებში ჩემი მიღების შესახებაც დაისვა საკითხი. კვლავ დავუბრუნდი სკოლას. აგერ-აგერ, სიმწიფის ატესტატსაც ავიღებ და რაკი გონებაც მიჭრის და შრომითი სტაჟიც დიდი მაქვს, ნებისმიერ ინსტიტუტში ჩავირიცხები-მეთქი. საუბედუროდ, თურმე მხოლოდ მე ვფიქრობ ასე. არსთა გამრიგეს ჩემი ბედი სულ სხვაგვარად განუკარგავს და რომ მგონია, ჩემი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა-მეთქი, ერთ ღამეს ორმა ძველმა ამფსონმა მომაკითხა. მათგან ერთი ხონელია, მეორე — თერჯოლელი. ეს ის ხონელია, რომლის გამოც სამი თვე ვიყურყუტე ქუთაისის ციხეში. მაშინ ის ხონიდან მალე წავიდა და ახლა მეტრაბახება, სეიფების გახსნაში რომ დაოსტატებულა. ერთი-ორჯერ ციხეც მოუვლია და ახლაც მარნეულის კოლონიიდან გამოქცეულა. დიდ გასაჭირში აღმოვჩნდი. მართალია, ძველებურად ცხოვრებას აღარ ვაპირებდი, მაგრამ ამათ ჩემი წარსულის შესახებ იცოდნენ. ამიტომ ხელს ვერ ვკრავდი. გამოვუცხადე, ჩემი ხელფასიდან ორმოცდაათ მანეთს ოჯახს ვახმარ (ცოლ-შვილი ჯერ არ მყავდა, მაგრამ ოჯახში ექვსნი ვიყავით და მაინცდამაინც დალხინებულად არ ვცხოვრობდით), დანარჩენით კი როგორც გაგვწვდება, ისე გიმასპინძლებთ-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, საჭმელს არავინ მოგაკლებთ და რამდენ ხანსაც გინდათ, შეგინახავთ, აქ ჩემზე ეჭვს არავინ მოიტანს-მეთქი.

ერთ დღეს მუშათა სასადილოში ხონელმა ყური მოჰკრა, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოში ხელფასი რომ რიგდებოდა და გადამეკიდა — გინდა თუ არა, ის სალარო უნდა გვანახვო, საიდანაც ფულს არიგებენო. ვიფიქრე, ჯანდაბას ამის თავი, იქნებ ამით მოვიშორო-მეთქი. ვანახვე, მაგრამ იმ პირობით, რომ მე უმალვე უკან გამოვბრუნდებოდი, მაგრამ როცა სალარო დავანახვე და უკან დაბრუნება დავაპირე, გამომიცხადა: — წადი, მაგრამ აქ რომ დაგვიჭირონ, ხომ იცი, ჩვენი წესებით პასუხი უნდა აგოო და მაშინ მივხვდი, რომ გადავჩვეულვარ ქურდულად აზროვნებას. ერთი სიტყვით, ხონელმა ყურებით დამიჭირა. იძულებული გავხდი, „ატასნიკის“ მოვალეობა მეკისრა — გვიან ღამით ბიჭები სალაროს სარკმელში შეძვრნენ. სამი სეიფი გააღეს, მაგრამ ფულს ვერ მიაგნეს და ვიდრე მეოთხე სეიფს ხსნიდნენ, ლამპიონის შუქზე ჩვენკენ მომავალი დაცვის უფროსი ტარასი შევნიშნე. ბიჭებს სასწრაფოდ ვანიშნე და ჯიბეცარიელები დავეშვით თავდაღმართში. აბა, იმათ ჩემი ხელფასი რას ეყოფოდა და სხვა გზა რომ ვერ გამოვნახე, სამი მაღაზია გავქურდეთ. ერთგან ყარაულს გადავეყარეთ და პატარა შეტაკებაც მოგვიხდა, ორი დღის შემდეგ ამ საქმეზე ადრე საეჭვო საქმეებში შემჩნეული მაღაროს მუშა დაიჭირეს. ყარაულს ათქმევინეს, — სწორედ ეგ იყო, მაღაზიის გატეხას რომ აპირებდაო. საწყალი გაასამართლეს და ათი წელი მიუსაჯეს. შემეცოდა, მაგრამ ხომ ვერ ვიტყოდი, მე ვიყავი-მეთქი.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები“

## როგორ შეიძლება სარფის გავლით ყალბი პასპორტით საზღვარზე გადასვლა

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

როგორც მომვლელებმა გვითხრეს, ლეკვები ბადრი პატარკაციშვილს უყიდია. გვერდით სირაქლემების სადგომი იყო. უზარმაზარ ეზოში სირაქლემები დააბოტებდნენ და ფოტოობიექტივს მისჩერებოდნენ. ისევ წვიმამ დასცხო და უკან, ბათუმისკენ გამოვეშურეთ. საღამოს საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსს, **თენგიზ კონცელიძეს** ვესტუმრეთ:

— **ბატონო თენგიზ, როგორ გახდით გენერალი და როგორ დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე?**

— არ ვიცი, როგორ გავხდი გენერალი და ვერც იმას გეტყვით, როგორ დავინიშნე სამმართველოს უფროსად(?!). ახლა მხოლოდ ერთი საფიქრალი მაქვს, კერძოდ, დაფინანსება. ბიუჯეტიდან მიზერულ დაფინანსებას ვიღებთ, მხოლოდ ხელფასისთვის გვყოფნის.

— **ყოფილი კოლეგები ბრალად გდებენ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას, უწყების ბინების სამოქალაქო პირებზე გაყიდვას. უწყებაშიც ახლო ნათესავები გყოლიათ მიღებული.**

— ბინებზე ანალოგიური საჩივარი სამხედრო პროკურატურაშიც შეიტანეს. გამოძიება მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, დარღვევას ვერ აღმოაჩენენ. რაც შეეხება სასაზღვრო ძალებიდან ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურის დათხოვნას, ისინი კანონიერად გავათავისუფლეთ სასაზღვრო ძალებიდან. ნათესავებზე კი მოგახსენებთ, რომ ბათუმი პატარა ქალაქია. ყველა ერთმანეთის ნათესავია და თითო-ოროლა კაცს ჩემს ნათესავსაც ნახავთ.

— **და მაინც, როგორ შეძლო ასლანის გენერალმა თანამდებობის შენარჩუნება?**

— მე ავუხსენი აბაშიძეს, რომ საზღვრის დაცვა უმნიშვნელოვანესი საქმე იყო და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტში ვერ ჩავერეოდი, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— **თქვენი ყოფილი თანამშრომლები კონტრაბანდული იარაღის შემოტანა-მფარველობაშიც გადანაშაულებენ.**

— იარაღი საზღვარზე არასოდეს გამიტარებია. მით უმეტეს, კონტრაბანდული და საერთოდ, კანონი არასოდეს დამირღვევია, რითაც ვამაყობ.

ჩვენ სამმართველოს დაზვერვის უფროს ოფიცერს, **ზაურ მოსიძესაც** მივმართეთ რამდენიმე კითხვით:

— **ბატონო ზაურ, როგორც მესაზღვრეები აცხადებენ, არაოფიციალურად სამმართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტების ცვლის უფროსებისთვის ფული გქონიათ შეწერილი. ფულს იღებდით თურმე ყალბი, „პერეკლეიკიანი“ პასპორტების მფლობელებისაგანაც...**

— მოლარეობის ბრალდება სისულელეა.


საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსი, გენერალი თენგიზ კონცელიძე

ვერავინ იტყვის, რომ რაიმე უკანონობა ჩამედინოს...

როდესაც თბილისში მოვფრინავდი, ბათუმის აეროპორტში მესაზღვრეებისა და მებაჟეების გადამეტებული ყურადღება ვიგრძენი. სანამ თვითმფრინავი აფრინდებოდა, ჩემმა მასპინძელმა ყოფილმა მესაზღვრეებმა შემატყობინეს — „სამმართველოში თქვენი სტუმრობის შემდეგ გენერალმა ყველა ცვლის უფროსი გამოიძახა და თქვენი სიტყვიერი პორტრეტი გადასცა. გააფრთხილა, ჟურნალისტია ჩამოსული, შეიძლება კონტრაბანდული ტვირთის გადმომტანად გაგეცნოთ და ხელი არაფერზე წაგიცდეთო“. ამის შემდეგ მესაზღვრეების ცნობისმოყვარეობის მიზეზი ნათელი გახდა.

P. S. თუ საქართველო-თურქეთის საზღვრის აჭარის მონაკვეთზე, როგორც ამბობენ, ყველაფერი წესრიგშია, რატომ მოიწვია სასწრაფო თათბირი გენერალმა, რომელსაც ცვლის უფროსები კატეგორიულად გაუფრთხილებია, „ხელი არაფერზე წაგიცდეთო“.

P. P. S. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში „კვირის პალიტრამ“ სტატიების ციკლით ამხილა საქართველოს სასაზღვრო ძალებში არსებული კორუფცია. დასკვნით სტატიაში თქვენი მონა-მორჩილი წერდა: „მე მაშინ გაგანებებთ თავს, როდესაც საქართველოს საზღვრები „პრახადნოი დვორი“ აღარ იქნება“. გვერწმუნეთ, ჩვენ არავის პიროვნული ინტერესი არ გვამოძრავებს. მხოლოდ ის გვინდა, ჩვენი ქვეყნის საზღვრები (ქვეყნის სახე) ყოველთვის შეუვალი და დაცული იყოს, რისთვისაც გაზეთის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაფერს ვიღონებთ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***







**CSTI კომპიუტერული მეცნიერებისა და კმტი ტექნოლოგიების ინსტიტუტი და კოლეჯი**

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. პროგრამირება; 2. კომპიუტერული მეცნიერებანი (კომპ. გრაფიკა, ქსელის ადმინისტრირება); 3. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 4. მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები; 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 6. უცხო ენები (ტექნიკური თარგმნა, ინგლისური ენა და ლიტერატურა).

კოლეჯი

1. ინფორმატიკა — მათემატიკა; 2. უცხო ენები.

საბუთები მიიღება ყოველდღე 10-18 სთ-მდე. ინსტიტუტში ფუნქციონირებს კომპიუტერული კურსები შესაბამისი სერტიფიცირებით.

მის: აღმაშენებლის გამზ. №124, II სართ. ტელ: 95-40-39; 94-03-60


# გახსნეს ვეებერთელა სეიფი და გაშეშდნენ...

## ყოფილი ქურდის აღსარება

*(დასაწყისი იხ. გვ. 10)*

ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა და (1960-61 წლები იყო) ფულის გამოცვლის კამპანია დაიწყო. იმ დილით ფოსტის თანამშრომელი, ჩემი მეზობელი თინა მეტრეველი შემხვდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ და შემომჩივლა — ბანკი საქმეს ვერ ერევა, იმდენი ხალხი მოგვაწყდა ფოსტაში, რომ ფულის თვლას ვერ ავუდივართო. ეს იმდენად მაცდუნებელი ინფორმაცია იყო, რომ სულმა წამძლია და მე, ჩემი სტუმრები და ერთი ჭიათურელი მეგობარი გვიან ღამით მივადექით ფოსტას. შენობა ერთიანად გისოსებში იყო ჩასმული და ამიტომ თეატრის მხრიდან ქვის კედლის გამონგრევა დავიწყეთ. ღამეა, მაგრამ შენობის მეორე სართულზე ტელეგრაფი მუშაობს. ბიჭები შიგნით გადავაძვრინე, მე კი გარეთ დავრჩი. იმ ოთახში ვერაფერი იპოვეს, სამაგიეროდ, მეორე ოთახში გახსნეს იატაკზე რატომღაც ზურგით დადებული ვეებერთელა სეიფი და გაოცებისგან გაშეშდნენ. სეიფი ფულით იყო სავსე. ის იყო, ფულის ჩასაყრელად პერანგების გახდას შეუდგნენ, რომ სიხარულისგან დარეტიანებული ერთი მათგანი სულის მოსათქმელად ოთახის კარს მიეყრდნო, რომელზეც სიგნალიზაცია ყოფილა დამონტაჟებული. იმავე წამს განგაშის ისეთი ზარი ჩაირთო, ფული ვიღას ახსოვდა. ვირთხებივით გადმოცვივდნენ ბიჭები კედლის ნახვრეტიდან და თეატრის უკან, ტყით დაფარულ მთას შევაფარეთ თავი. მერე ქალაქს გავერიდეთ და სათითაოდ, ცალ-ცალკე დავბრუნდით საერთო საცხოვრებელში. ფოსტაში სასწრაფოდ მისულა მილიცია, შეუმოწმებიათ კარი, ფანჯრები და რაკი მათზე ზემოქმედების კვალი ვერ აღმოუჩენიათ, უფიქრიათ, სიგნალიზაციაში ტექნიკური გაუმართაობააო და გამოურთავთ. თურმე, მიბრუნდი და წამოიღე ის ფული, ვინაა პატრონი, მაგრამ იმ ღამით იქ რაღა დაგვაბრუნებდა. მეორე დილით მოლარე შევიდა ოთახში და სეიფი ღია დახვდა. ახლა ამ ქალმა ატეხა განგაში, სეიფი დაკეტილი დავტოვეო. მიდგნენ-მოდგნენ და მეორე ოთახის კედელზე აღმოაჩინეს ჩვენი ნამოქმედარი. ფული გადათვალეს და კაპიკიც არ აკლდა. ამიტომ მილიციას მაინცდამაინც თავი აღარ გამოუდვია და ჩვენც გავთამამდით. იმ დღეებში ითქვა: — გვერდით ოთახში რომ შესულიყვნენ, იარაღს ნახავდნენ და აუცილებლად წაიღებდნენო. ავდექით და ორი კვირის თავზე იმავე მეთოდით ის ოთახი „დავლაშქრეთ“ და იარაღთან ერთად უამრავი ვაზნაც წამოვიღეთ. მაშინ ამ საქმეზე ორი სოფლელი მოსწავლე დაიჭირეს, რომელთაც იმ ღამით ფოსტის ტერიტორიიდან რამდენიმე ცალი ფიცრის ჩამონახერხი შინ წაეღოთ. ბავშვები აიძულეს ეთქვათ, იარაღი ჩვენ მოვიპარეთო, მაგრამ ამისთვის ნივთმტკიცებაც ხომ იყო საჭირო და ისიც დაამატებინეს — ყვირილაში გადავყარეთო(?!). სასამართლომაც „დაუჯერა“. არადა, ვინ იპარავს იარაღს ყვირილაში გადასაყრელად?

ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ხონელს მონღოლეთში მცხოვრები თავისი რუსი საყვარელი ჩამოუვიდა. ყალბი საბუთები გააკეთეს და ის იყო, ქუთაისის აეროპორტში თვითმფრინავში უნდა ასულიყვნენ, რომ ვიღაცამ იცნო და მილიციას აცნობა. ხონელმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ესროლეს და ფეხში დაჭრეს. გამომძიებელმა შენიშნა, რომ ხონელს სახელოებდამოკლებული კოსტიუმი ეცვა და გამოტეხის მიზნით უთხრა, ამას წინათ რომ ფოთელი ძმები დახოცეს, მკვლელი შენ ხარ, რადგან ერთ-ერთის კოსტიუმი გაცვიაო. ამაზე წამოეგო ხონელი. იფიქრა, დამხვრეტენო და სიტყვასიტყვით ჩაუჭიკჭიკა ყველაფერი — როგორ მოიპარა კოსტიუმი მაღაზიიდან სხვა ნივთებთან ერთად; ვინ იყო მასთან ერთად და კიდევ სხვა ცოდვები. ყველა დაგვიჭირეს. ხონელს თხუთმეტი, მე — თორმეტი, დანარჩენ ორს კი ათ-ათი წელი მიუსაჯეს. სხვათა შორის, მაშინ ციხეში ვნახე ის სოფლელი მოსწავლეები, რომლებიც ჩვენს ნაცვლად დაიჭირეს ვითომ ფოსტის იარაღის ქურდობისთვის. საცოდავებს ორი წლის შემდეგ ისევ მელნით დასვრილი პერანგები ეცვათ. ბევრი ვიყვირე, ესენი რა შუაში არიან-მეთქი და მიპასუხეს, თუ იარაღი არ მოუპარავთ, ფიცრის ჩამონახერხები ხომ მოიპარეს. აქლემისა და ნემსის ქურდი კი ორივე ქურდია და ერთნაირად ისჯებაო.

P.S. შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: მე ჯერ შორეულ აღმოსავლეთში გადამასახლეს სასჯელის მოსახდელად, მერე კი ხონის კოლონიაში. გავიდა ხანი და გავიქეცი. დიდი წვალების შემდეგ ერთ გვიან ღამით ჩემიანებს მივადექი საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში. ცოტა მეუცნაურა, მამაჩემმა იმ ღამით ღვინო რომ დამაძალა. სხვა დროს ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ დიდი ხნის უნახავს ასე მესიყვარულება-მეთქი და მეც ისე გამოვთვერი, რომ მკვდარივით ჩამეძინა. დილით, თვალი რომ გავახილე, მამაჩემი და მილიციის თანამშრომლები მადგნენ თავზე.

მაინც არ ვემდური მამას, სპეტაკი კაცი იყო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

***ვაჟა გაგაშელი***

# „ფშავს“ „მებადური“ მოჰყვება

## ასე აღნიშნავს „ყაზბეგი“ იუბილეს

ქართული ლუდის მწარმოებელმა კომპანია „ყაზბეგმა“ არსებობის 10 წლის იუბილეზე ახალი ბრენდი წარმოადგინა. ხორბლის გაუფილტრავი ლუდის „ფშავის“ პრეზენტაციაზე ქართველი ლუდის მოყვარულები ახალი სასმლის დაჭაშნიკებისას აღტაცებას ვერ მალავდნენ. „ყაზბეგი“ უმოკლეს დროში მომხმარებელს კიდევ ერთ სიახლეს — ლუდ „მებადურს“ შესთავაზებს.



ხორბლისგან ლუდის დამზადება საქართველოს მთიანეთში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაა. ხორბლის ლუდს რბილი და ხავერდოვანი გემო აქვს. ხორბლის ლუდი არ იფილტრება და ამიტომაც იგი მღვრიე ოქროსფერია, ქაფიც განსაკუთრებულად მკვრივი და მაღალი აქვს. კომპანია „ყაზბეგის“ წარმომადგენელთა თქმით, ხორბლის ლუდი ტექნოლოგიურად ბევრად რთული დასამზადებელია. „ფშავის“ რეცეპტურა ორიგინალურია. „ჩვენ ლუდს მხოლოდ ქართული ხორბლისგან დავამზადებთ, რადგან მას საუკეთესო ხარისხი და დაბალი წებოვნება აქვს, აცხადებენ „ყაზბეგში“. „ფშავი“ წინასწარი პროგნოზებით მალე ძალიან პოპულარული გახდება. როგორც „ფშავის“ ეტიკეტის დიზაინის ავტორმა გიორგი გიგაშვილმა თქვა, „ფშავს“ ყველა იმ ლუდისგან სრულიად განსხვავებული გემო აქვს, რომელიც კი დღემდე დაულევია. პრეზენტაციაზე სხვებთან ერთად ისიც სიამოვნებით აჭაშნიკებდა ახალ პროდუქციას, რომელმაც კარგი გამომშრალი თევზი მოანდომა. „ყაზბეგის“ ახალმა ბრენდმა იგივე სურვილები აღუძრა არტ-იმედის გენერალურ დირექტორს, მომღერალ მერაბ სეფაშვილსაც. „ძალიან მიყვარს ლუდი, „ფშავი“ შესანიშნავია, თევზი მომანდომა, ძალიან გემრიელია, „ფშავს“ ხუთიანს ვუწერთ პლუსით“ — თქვა მერაბმა და მორიგი წარმატებების სურვილით ლუდის ბოკალი „ყაზბეგის“ „მამას“ გოგი თოფაძეს მიუჭახუნა. სხვათა შორის, ჩვენში გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს ლუდით ცუდ სადღეგრძელოებს ამბობენ, ქართული ტრადიციების უარყოფად შეიძლება ჩაითვალოს. ლუდი საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული, იქ, სადაც ვაზი ვერ ხარობდა. ლუდს სალოცავებში ხარშავდნენ და ამ საპატიო საქმეს ყველა გვარიდან თითო წარმომადგენელს ანდობდნენ. ლუდის მხარშველი საქმის კარგი მცოდნე და სიწმინდითა და პატიოსნებით გამორჩეული კაცი უნდა ყოფილიყო. მთაში ბევრი საყოფაცხოვრებო რიტუალიც ლუდთან იყო დაკავშირებული. ახალ წელს ოჯახის ერთი წევრი მიდიოდა ხატის სალუდეში. ხევისბერი ყველას ჯალაბს დაულოცავდა, ჩაყრიდა ლუდში პურს და გაატანდა სახლში. ოჯახი რომ სახლს აიშენებდა და ჯალაბი შიგ პირველად შევიდოდა, აუცილებლად ლუდს მოხარშავდნენ და ოჯახის ანგელოზს ბედნიერებას შესთხოვდნენ. ლუდი თავისი „ავტორიტეტით“ სხვა ტრადიციულ ქართულ სასმელებს თითქმის არაფრით ჩამოუვარდება და თუ ოქროსფერი ქაფიანი „ფშავით“ სავსე კათხით ერთმანეთს სიკეთეს უსურვებთ, სულაც არ იქნება აუგი საქციელი. საქართველოში ნომერი პირველი მელუდე „ფშავით“ „ყაზბეგის“ პროდუქციის მომხმარებელს უსურვებს დღეგრძელობას. „ყაზბეგი“ ძალიან უფრთხილდება მომხმარებლის ნდობას. კომპანიის წარმატებაში უდიდესი როლი სწორედ ამ ნდობამ ითამაშა, ამიტომაც ვცდილობთ, სულ ახალ-ახალი პროდუქცია შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებელს. „სიურპრიზებს ხშირად შემოგთავაზებთ“ — აცხადებს თოფაძე. ძველ „პა-სეანსელ“ „კიჭას“, ლევან ლელაშვილს წინ რამდენიმე დაცლილი ლუდის კათხა ედგა, გაეცინა, ყველა მე არ დამილევიაო — მითხრა და სიამოვნებით გამიზიარა შთაბეჭდილებები. „ხორბლის გაუფილტრავი ლუდი პირველად გერმანიაში დავლიე. ამ ლუდის დასალევად მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩადიან მიუნხენის ლუდის ფესტივალზე. ვისურვებდი საქართველოშიც ჩამოვიდნენ უცხოელები „ფშავის“ დასალევად. მაგარი რამე იქნება, ისეთივე მაგარი, როგორიც თვითონ „ფშავია“. ახალი ბრენდის დაჭაშნიკებას საქართველოს საზღვრებს გარეთაც შეძლებენ. „ფშავი“ ისევე, როგორც კომპანია „ყაზბეგის“ სხვა პროდუქცია, ექსპორტზეც გავა.

***ეკა ლომიძე*** R

# ტყეში ნავით გასეირნება ხომ არ გნებავთ?



თუ გზა ჩაიქცა, ლაგოდეხი საქართველოს მოსწყდება

წვიმის დროს ტყეში წყალი მატულობს და გზას ფარავს. არის საშიშროება, რომ გზის ქვეშ წყლით გაჟღენთილი მიწა ჩაიქცეს

## ამ ტყეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი შველზე ნადირობდა, დღეს კი ლაგოდეხელები თევზს იჭერენ

ჭალის ტყეში, საერთოდ, წყლის და ნესტის ჩადგომა უცხო არ არის, მაგრამ ეს შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ორი-სამი კვირა და არა 8 წელი. ამდენი ხანია ეს ტყე წყალში იძირება და კაცი არ არის განმკითხავი. გარეული ღორით, ირმებით, შვლებით უმდიდრესი ტყე იყო. ახლა კი უპრეცედენტო რამ ხდება — ტყეში ნავებით დადიან. საქმე გვაქვს ეკოლოგიურ კატასტროფასთან...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ნუ გეშინია, ნიანგი ჯერ არ გამოჩენილა, დათვი და მგელი კიდევ, აქ დიდი ხანია არ ბინადრობსო — დამამშვიდა ბიჭმა. ჯიბიდან სპირტიანი პატარა შუშა ამოაძვრინა და მხარზე კოღოს ნაკბენი დაიზილა. მივხვდი, მალარიის კოღო ანოფელესის ეშინოდა.

**— რომელი სახეობის თევზია გავრცელებული ამ ტყეში, დიდები თუ იზრდებიან?**

— ორკილოიანი თევზი ხშირად დამიჭერია. ძირითადად აქ ჭანარი, გოჭა, ქაშაყი ბინადრობს, ლოქოსაც ვიჭერთ ხოლმე. ტყის ჭიაღუით თევზი ისე სუქდება, მდინარისკენ პირის მიბრუნებაც არ უნდა.

**— ახლა გაყიდი ამ თევზს?**

— რატომ უნდა გავყიდო? წავალთ, ვიქეიფებთ ბიჭები და იმ კაცის სადღეგრძელოს დავლევთ, ვინც ამ ტყეს გადაარჩენს.

იცი, ტყის შუაგულში რა ხდება? უზარმაზარი ხეებია ჩაწოლილი, ჩამპალი, ვერც გამოათრევ, საწვავად რომ მაინც გამოიყენო. უფროსებისგან ვიცი, რომ აქ ოდესღაც ხოხობი და სხვა ულამაზესი ფრინველი ბინადრობდა, პაპაჩემის ნანადირევი მეც მახსოვს. ახლა კიდევ ტყეში თევზია. თევზს ალაზანშიც დავიჭერთ. ნეტავი ვინმე ამ ტყეს უშველიდეს. სათევზაოდ რომ მივდივარ ხოლმე, ვნატრობ, ნეტავ წყალი დამშრალი დამხვდებოდეს-მეთქი.

საუბრისას ლაგოდეხის რაიონის გამგებელი თამაზ გოძიაშვილი და პარლამენტარი, ლაგოდეხელი გურამ კაკალაშვილი შემოგვიერთდნენ. რამდენიმე დღის წინ სწორედ ბატონმა გურამმა გადასცა „კვირის პალიტრას" ლაგოდეხელების დანაბარები — თქვენ მაინც მოგვხედეთ, იქნებ ვილაცას გულთან მიატანინოთ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი საქართველოს სატკივარი — ჭიაურის ტყეო.

**თამაზ გოძიაშვილი:** — ჭიაურის ტყე ჭალის ტყის ტიპს განეკუთვნება. ასეთი ტყეები იშვიათია საქართველოში. იგი ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდათ. ბავშვობა აქ გაატარა, აქ ნადირობდა დიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ჭალის ტყეში, საერთოდ, წყლის და ნესტის ჩადგომა უცხო არ არის, მაგრამ ეს შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ორი-სამი კვირა და არა 8 წელი. ამდენი ხანია ეს ტყე წყალში იძირება და კაცი არ არის განმკითხავი. გარეული ღორით, ირმებით, შვლებით უმდიდრესი ტყე იყო. ახლა კი უპრეცედენტო რამ ხდება — ტყეში ნავებით დადიან. საქმე გვაქვს ეკოლოგიურ კატასტროფასთან. სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს ტყეში მდინარის დინება. მერე უნდა გაიჩეხოს გამხმარი ხეები და რაც გადარჩა, იმას დავეხმაროთ, ახალიც უნდა დაირგოს.

**გურამ კაკალაშვილი:** — თუ დროზე არ ეშველა ამ საქმეს, მაქსიმუმ ორ წელიწადში აღარც გზა იქნება. ეს გზა მაღალზე იყო, თანდათან დაბლა იწევს. წლების მანძილზე ძველი ხელისუფლების მხრიდან ამ პრობლემის მოსაგვარებლად ყურიც არავის შეუბერტყავს. ვიფიქრეთ, უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოვიპოვებდით თანადგომას. სად არ ვიყავით, არაფერი გამოვიდა. ყველგან გვისმენდნენ და გვპასუხობდნენ, ვნახავთ ყველაფერს და კომისიას შევქმნითო. სანახავად მართლა მოდიოდნენ, მაგრამ ამის მერე აქეთ აღარავინ იხედებოდა.

**— რომელი მდინარე მოედინება ტყეში?**

— მდინარე კაბალია ჩამდგარი. წინათ ის ალაზანს უერთდებოდა, მაგრამ მთიდან წამოღებული ნაშალით 16 კილომეტრზე საკუთარი კალაპოტი ამოავსო, ალაზანს ველარ შეუერთდა და ტყეზე გადმოვიდა. 8000 ჰა ფართობის ტყე დაიტბორა, ამას ემატება სახნავ-სათესი მიწები, რომელიც უკვე ჭაობად იქცა და გავრცელდა მალარია.

ზაფხულში აქ მოსალოდნელია ეპიდემია. არავინ გვაქცევს ყურადღებას, არც ტყის გადარჩენაზე ფიქრობენ და არც მალარიის საწინააღმდეგო აცრებს ატარებენ.

ეს რაიონი უძველესი ჰერეთის ტერიტორიაა. დღეს საინგილოს დაკარგვას მივტირით და ვწუხვართ, რომ იგი სხვა ქვეყნის ტერიტორიად იქცა, იმას კი არ ვჩივით, საკუთარი უგულისყურობით რაც დაგვრჩა, იმასაც რომ ვაპარტახებთ. ტყე კი არა, სოფლებიც იძირება წყალში.

**— როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს?**

**თამაზ გოძიაშვილი:** — 20 წელია მდინარეების კალაპოტი არ გაწმენდილა მთიდან ჩამოტანილი ქვაღორღისაგან. ბოლო წლებში, მთაში ტყეების მასობრივი ჩეხის შედეგად, მდინარეების სათავეებში იზრდება ნაშალის რაოდენობა. გახშირებულ წვიმებს კი იგი ბარში ჩამოაქვს. ამის გამო პირველად მდინარე კაბალმა და აფენმა 7-8 წლის წინ ამოავსეს თავისი კალაპოტი. მას მერე ტყეში მოედინებიან, თანაც, გზადაგზა უერთდებათ პატარა მდინარეები და ღელეები. თავიდანვე შეიძლებოდა ამ პრობლემის გადაჭრა. მაშინ 150-200 ათასი ლარიც ეყოფოდა კალაპოტების ნაშალისგან გასუფთავებას. ახლა მარტო გასუფთავებას მილიონ-ნახევარი ლარიც არ ეყოფა, მაგრამ ეს ფული აუცილებლად უნდა გამოინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალი კატასტროფული და შეუქცევადი გახდება. დაჭაობების პროცესი ელვის სისწრაფით მიიწევს მოსახლეობისაკენ.



დაჭაობების პროცესი ელვის სისწრაფით მიიწევს მოსახლეობისაკენ

**— თუ მდინარეებს ძველ კალაპოტში დააბრუნებენ, ტყეში წყალი მალე დაშრება?**

— სამ თვეში დაშრება. ოღონდ მდინარეების კალაპოტი ყოველწლიურად უნდა გაიწმინდოს. ახლა მთავარია გადაუდებელი საქმე გაკეთდეს, თორემ აქ გაჩნდება გაუვალი ჭაობი. ახლომახლო სოფლებიდან უკვე ხალხი გარბის. კომუნისტების დროს საქწყალმშენი ყოველწლიურად მხოლოდ ლაგოდეხის რაიონისთვის 7 მილიონ მანეთს ხარჯავდა. ეს თანხა ნაპირსამაგრებს, დაშრობებს, კალაპოტების გასუფთავებას ხმარდებოდა. როგორც ვიცი, 20 წელია კაპიკი არ გამოყოფილა ამ საქმეებისთვის. მართალია, სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ რაღაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს.

ლაგოდეხელები შიშობენ, რომ დატბორვის საშიშროება ლაგოდეხის ნაკრძალსაც ემუქრება. თუ ერთხელ მაინც შეგივლიათ თვალი ამ საოცარი ნაკრძალისთვის, რამდენიმე წუთით მაინც გაგივლიათ მის წიაღში, ალბათ ამ საშიშროების წარმოდგენაც კი შეგძრავთ.

ლაგოდეხის ნაკრძალი საუკუნის წინ დაუარსებია პოლონეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ გენერალ მლოკოსევიჩს. ჭიაურის ტყე, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და ღირსებებით ბევრად აღემატებოდა ნაკრძალს, ბუნებას უბოძებია ჩვენთვის საუკუნეების წინათ. იქნებ მათ მოვლასა და გადარჩენაზე მაინც გვეზრუნა, სანამ ურემი ბოლომდე გადაბრუნებულა, სანამ ბოლომდე აღმოვჩენილვართ ლაფში.

ლაგოდეხში კიდევ ერთი ფაქტი გაგაოცებთ. მაშინ, როცა ტყეც კი წყალს მიაქვს, მოსახლეობას სასმელი წყალი არ აქვს. ონკანებში წყალი მოდის, მაგრამ მას არავინ სვამს. წყალმომარაგების სათავო ნაგებობა თურმე იმდენად გაპარტახებულია, რომ იქ ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით, ლაგოდეხის სანეპიდსადგურის ხელმძღვანელს სხვა გამოსავალი რომ ვერ უპოვია, პირდაპირ გამოუცხადებია: — ხალხო, წყალი არ დალიოთ, მოიწამლებითო. ამიტომაც ლაგოდეხელები სასმელად წყაროს წყალს იყენებენ. ღვთის მადლით, რაიონში მრავლადაა წყაროები, თუმცა უჭირთ წყალზე სიარული და იმედოვნებენ, რომ ერთ დღეს მათ ტანჯვასაც მოეღება ბოლო. თუმცა, ჭიაურის ტყის მიმართ სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში გამოჩენილი უგულისყურობისა და ფუჭი დაპირებების გამო, ხალხს თითქმის არავისი აღარ სჯერა.

*ეკა ლომიძე*

№5, ივნისი, 2004 ფასი 80 თეთრი

მართლმადიდებლური ჟურნალი

გამოვიდა ივნისის ნომერი

## რას გვეტყვი, მამაო?

**— რატომ ანთებენ ეკლესიაში სახარების კითხვისას სანთელს? შეიძლება თუ არა ეს სანთელი სახარების კითხვის დასრულებისას ჩავაქროთ, შინ წავიღოთ და ხატებთან ავანთოთ?**

— წირვა-ლოცვის დროს, სახარების კითხვის დაწყების წინ, მოძღვარი ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს: „სიბრძნით აღემართებით და ისმინეთ წმინდა სახარება". ეს იმას ნიშნავს, რომ მრევლის მთელი გონებრივი სიბრძნე, ყურადღება და გულთაპყრობა სახარების შემეცნებისკენ უნდა იყოს მიმართული. მართლმადიდებელი ამ დროს ყველა სხვა ფიქრისა და საზრუნავისგან უნდა გათავისუფლდეს და წმინდა სახარება დაწმენდილი სულითა და გონებით მიიღოს. სანთელი ჩვენს ასეთ მზადყოფნას განასახიერებს და სიმბოლურად გვინათებს გზას უფლის სიბრძნეში ჩასახედად. ეს გვეხმარება, რომ სახარების კითხვის დროს ყველა ზედმეტი მოძრაობისგან თავი შევიკავოთ. სახარების კითხვის დასრულებისთანავე შეგიძლიათ ის სანთელი იქვე, ტაძარში, ხატებთან დაწვათ. თუ სურვილი გაქვთ, შინაც წაიღეთ და ლოცვის დროს ოჯახის ხატების წინ დაანთეთ.

**— ვართ ხანში შესული ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმარი. გვითხრეს: ცოლქმრობა ღვთისგან რომ იყოს ნაკურთხი, ჯვარი უნდა გქონდეთ დაწერილიო. რამდენად სწორია ეს? ჯვრისწერა მაინცდამაინც ეკლესიაში უნდა შესრულდეს?**

— ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრის კავშირი მართლაც არ არის ღვთისგან ნაკურთხი, თუმცა თქვენ ამაში ბრალი არ მიგიძღვით, რადგან სახელმწიფომ არ მოგცათ ამის საშუალება. უფლის წინაშე რომ სათნო გამოჩნდეთ, მართლაც სასურველია, ჯვარი დაიწეროთ და ეს ყველაფერი უხერხულობის გარეშე შეგიძლიათ აღასრულოთ, — მართალია, ხორცი ბერდება, მაგრამ სული მუდმივად ახალგაზრდა რჩება და თუ მას უფლის წინაშე მართლად უნდა წარდგენა, უხერხულობის გრძნობა არ უნდა იპყრობდეს. ხოლო ჯვრისწერის საიდუმლო მართლაც ეკლესიაში უნდა აღესრულოს, რადგან სჯულის კანონში წერია, რომ ჯვრისწერა მხოლოდ იქ აღესრულება, სადაც არის ტრაპეზი, ანუ სადაც უფლისთვის წირვა-ლოცვა შეიწირება.

**— ეკლესიაში სიარულის სურვილი მაქვს, მაგრამ შევდივარ თუ არა, ხატების შიში მიპყრობს. ეს რას ნიშნავს, როგორ მოვიქცე?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ იმ უხილავი ბოროტი ძალის ზემოქმედებას განიცდით, რომელიც თქვენი ცხოვრების წესის, ან გაუცნობიერებელი შეცდომების გამო თქვენს ცხოვრებაში ერევა. ეკლესიაში მისვლით ამ ბოროტ ძალას შეეწინააღმდეგეთ და ისიც გამალებით ცდილობს, ხელი შეგიშალოთ. ეს ბუნებრივია — იგი თქვენი სახით საყრდენს კარგავს. თქვენი სიკეთე და სურვილი, ახლოს იყოთ უფალთან, მას არ მოსწონს. მაგრამ ნუ შეშინდებით, თქვენ, ეკლესიაში მისვლით, უკვე აღმოგაჩნდათ ძალა, მას შეეწინააღმდეგოთ, შეებრძოლოთ. რაც უფრო ხშირად ივლით ტაძარში, გახდებით მრევლი, მით უფრო დაასუსტებთ მას და ბოლოსდაბოლოს, იძულებული იქნება, თქვენგან წავიდეს, თავისი გავლენისგან გაგათავისუფლოთ. მარხვა, წირვა-ლოცვაზე სიარული, აღსარების მრავალჯერ თქმა და წმინდა ზიარება თქვენ გაგაძლიერებთ, მას დაასუსტებს და მოგშორდებათ კიდეც.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ახალი კოზირები სამთავრობო მაგიდაზე“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

თავის დროზე, რისკიანმა ოქრუაშვილმა კორუმპირებული ღლავები საკნებში სასამართლო პროცესების (ზოგჯერ სანქციისაც) გარეშე გამოკეტა. ამ ეტაპზე პროკურატურაში ინტელექტუალური მუშაობა არის დასაწყები. წინ ხმაურიანი სასამართლოებია. პროკურორებმა პროცესებზე არგუმენტირებული ბრალდებები უნდა წამოაყენონ (წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს კომპენსაციები ექნება სახდელი უკანონო პატიმრებისათვის). ჰოდა, როგორც ამბობენ, ინტელექტუალურ საქმიანობაში ადეიშვილს ბადალი არ ჰყავს. ახლა მოუწევს გენპროკურორს თავისი ინტელექტის გამოჩენაც და ცოტა „წაჰარიპოტერებაც“.

დიდი განსჯის საგანი შეიქნა ვანო მერაბიშვილის ადგილმონაცვლეობაც. უშიშროების სამინისტროში გადაყვანა ერთხანს მერაბიშვილის ჩამოლაბორანტებად აღიქვეს, მაგრამ ბევრისთვის გასაოცრად, პრეზიდენტმა თანაგუნდელს კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა — ვიცე-პრემიერად დანიშნა. ამით ვანო მერაბიშვილს ძალოვნების ზედამხედველობაც დაევალა და პრემიერ ჟვანიასთან ძალიან ახლოს ყოფნაც. ვანო იქნება პრეზიდენტის თვალი და ყური.

ვანო მერაბიშვილის უშიშროების სამინისტროში მისვლას შეეწირა დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალერი ჩხეიძე. ბოლო დროს ჩხეიძის მიმართ პრესა და საზოგადოება არცთუ კეთილგანწყობილი იყო — მას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავკაცობის დროინდელი ბევრი ცოდვაც გაუხსენეს, მაგრამ ალბათ მხოლოდ ესეც არ იქნებოდა მისი გათავისუფლების მიზეზი. სააკაშვილი ქართული მიწების დაბრუნებას აპირებს და ამის გამო რუსებთანაც არცთუ იოლი დიალოგი მოუწევს. ასეთ ვითარებაში შესაძლოა, პრეზიდენტმა არც ისურვა (ლოგიკურად) საბჭოთა „КГБ“-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ქვეყნის მთავარ მზვერავად ჰყოლოდა.

ვალერი ჩხეიძის ადგილზე უკვე დაინიშნა მერაბიშვილის მეგობარი ბათუ ქუთელია, რომელიც რამდენიმე წლის წინ ინგლისში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო პოლიტიკის დეპარტამენტის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის რანგში მსახურობდა...

სააკაშვილის სასამართლო ხელისუფლებაში საკუთარი ადგილი ვერ ნახა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ლადო ჭანტურიამ. როგორც თავად ამბობს, ქვეყნის მთავარი მოსამართლე დუმილმა დაღალა(?!) და ახლა სხვა საქმის კეთებას აპირებს. საქმე კი მართლაც სახეირო გამოუჩნდა — გერმანიაში მიიწვიეს და, სავარაუდოდ, ის ამ წინადადებას დათანხმდება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე კი კოტე კემულარიას, დათო უსუფაშვილსა და მარიკა ვერულაშვილს მოიაზრებენ.

კოტე კემულარიას მუშაობა სალომე ზურაბიშვილს არ მოსწონს და მისი შეცვლის სურვილი დაუფარავადაც გამოხატა. რაკი ელჩობა ვერ შეიფერა, სააკაშვილი თავის კადრს არ გაწირავს — კემულარიას საქართველოში მაინც მოუძებნიან შესაფერის ადგილს, მაგრამ რამდენად გაიმეტებენ მისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას, ძნელი სათქმელია. ყველაზე მეტად პრეზიდენტს ამ პოსტზე მარიკა ვერულაშვილის დანიშვნა უნდა უნდოდეს. ყოფილი პრესმდივანი კვლავაც ინარჩუნებს პრეზიდენტის კეთილგანწყობას. მარიკა ვერულაშვილმა ისიც მოახერხა, სააკაშვილისთვის თავი არ მოებეზრებინა და ისიც, რომ პრეზიდენტს მის ერთგულებაში ეჭვი არ შეჰპარვოდა. ამ საკადრო ცვლილების შესაძლებლობას ისიც ამყარებს, რომ გადეპუტატებამდე მარიკა ვერულაშვილი ირწმუნებოდა, — მოსამართლეობას ვაპირებო. მავანთა აზრით, დათო უსუფაშვილს შესაძლოა რესპუბლიკელობამ შეუშალოს ხელი. რესპუბლიკელები სააკაშვილის მხარდამჭერები კი არიან, მაგრამ აჭარაში მათი დამოუკიდებელი პოლიტიკა პრეზიდენტს თვალში ნამდვილად არ უნდა მოსდიოდეს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ სააკაშვილს არ სჭირდება ისეთი კაცი, რომელიც სიურპრიზებით „გაანებივრებს“.

საინტერესო სიახლეები ელის კახა ბენდუქიძეს. სავარაუდოდ, მას კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურებას უწინასწარმეტყველებენ. რაკი გამინისტრებული ბიზნესმენი გვიმტკიცებს, რამდენიმე წელში ეკონომიკის სამინისტრო საჭირო აღარ იქნებაო, მავანნი მის შესაძლო გაპრემიერმინისტრებაზეც ლაპარაკობენ. როგორც ამბობენ, ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ შესაძლოა ბენდუქიძე მეორე ვიცე-პრემიერად დაინიშნოს. სავარაუდოდ, ბენდუქიძეს ფინანსური და ეკონომიკური პროფილის სამინისტროებს ჩააბარებენ. თუ მართლაც ასე მოხდა, ჟვანიას კიდევ ერთ თანაგუნდელს შეეკვრება ხელ-ფეხი — „ჯიუტი ნოღაიდელი“ იძულებული გახდება „ჯიუტ ბენდუქიძეს“ (შესაბამისად, სააკაშვილს) დაემორჩილოს.

თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ჟვანია? ენდომება კი მას ახლებურად გადაწყობილი მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობა, სადაც ძალოვნებს მერაბიშვილი გააკონტროლებს, ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს კი ბენდუქიძე?.. დღეს მწარე რეალობა ასეთია — ჯერჯერობით ჟვანია მთავრობაზე გავლენას კარგავს, პარლამენტის თავმჯდომარე არ ელაპარაკება და კობა დავითაშვილი ლუდით სვამს მის სადღეგრძელოს. პრემიერს ისღა დარჩენია — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს, სინამდვილეს შეეგუოს და თანაგუნდელებს თვინიერების მაგალითი უჩვენოს. თუმცა, მეორე ვერსიით, ჟვანია უთუოდ შეეცდება სააკაშვილს თავისი საჭიროება დაუმტკიცოს. იმ მოენეების გასაუვნებლად, რომლებიც პრეზიდენტს პრემიერის „არასანდოობაში“ არწმუნებენ, — ჟვანია სააკაშვილის ერთგულებასაც დაგვიმტკიცებს და მისი დაღმასვლაც წარმატებული პერიოდით შეიცვლებაო, — ირწმუნებიან ისინი, რომელთაც პრემიერ-მინისტრის ნიჭიერებისა სჯერათ. მათივე ვერსიით — ჟვანიას ფერფლიდან ფენიქსივით აღდგომაც შეუძლია და რას დააკლებს „ბულკივით“ კაცი — კახა ბენდუქიძე?!

***იზო რიკაძე***

## რა მოხდება სამაჩაბლოში — სპეცსამსახურების ექსპერტ-ანალიტიკოსის ანალიზი



# „რუსებს ნერვებმა უმტყუნა და იმაზე მეტი წამოროშეს, რაც უნდა ეთქვათ“

ცხინვალის რეგიონში დაძაბულობა ნელ-ნელა კულმინაციისკენ მიდის. რევოლუციური ვარდების ექსპორტს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში, ჯერჯერობით, წინააღმდეგობას უწევენ. როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერჯერობით უცნობია.

როგორი იქნება სამაჩაბლოს ხვალინდელი დღე? სპეცსამსახურების ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ პროგნოზებს აკეთებენ. თუმცა, ერთი რამ დავას არ იწვევს — სამაჩაბლოს საკითხი უახლოეს დღეებში ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს.

ამ თემაზე „კვირის პალიტრას“ სპეცსამსახურების ექსპერტ-ანალიტიკოსი **გიორგი დავითულიანი** ესაუბრება: — აჭარის მოვლენების შემდეგ მართლაც დადიოდა ხმა, რომ ჯერი სამაჩაბლოზეა მიმდგარი. ამ ხმას საფუძველი ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შეუმზადა, საზოგადოებაც მზად აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დამდგარიყო. მაგრამ პოლიტიკა მხოლოდ ჩვენს სურვილებზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ უახლოესი მოვლენების პროგნოზირება დღეს ძალიან ძნელია.

— **როგორც ჩანს, რუსებიც არ აპირებენ ასე იოლად სამაჩაბლოს საქართველოსთვის გადმოცემას.**

— როცა სამაჩაბლოს გადმოცემის საკითხი დადგება, ამას რუსებს არავინ შეეკითხება. ვგულისხმობ იმ რუსებს, დუმაში რომ აფრქვევენ ჩვენს საწინააღმდეგო განცხადებებს. მით უმეტეს, არავინ არაფერს შეეკითხება იმ კაზაკებს, თავისი ჭკუით ოსების დასახმარებლად რომ ჩამოდიან ცხინვალში. ოფიციალურმა რუსეთმა პუტინის სახით არაერთხელ განაცხადა, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოს შიდაპრობლემაა და ჩარევას არავინ აპირებს.

— **ამას რუსეთი მაშინაც აცხადებდა, როცა ჯერ ცხინვალი დავკარგეთ და შემდეგ — აფხაზეთი, თან სწორედ რუსეთის წყალობით.**

— დღეს მსოფლიოს სხვა პოლიტიკური მოტივაცია წარმართავს. ასე რომ, ამ შემთხვევაში პუტინი რასაც ამბობს, იმას ფიქრობს, მაგრამ დღეს არც ის არის მთავარი. დარწმუნებული ვარ, რუსები არასოდეს შეურიგდებოდნენ იმ მოვლენებს, რაც დღეს საქართველოში ხდება, მაგრამ ამჯერად პირობებს რეალურად უკვე ამერიკა კარნახობს.

— **მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთიდან ცხინვალში სამხედრო ძალები შემოდის, არც ისე მარტივად უნდა იყოს საქმე.**

— მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. რუსული ძალების ესკალაცია ცხინვალში შეიძლება ბევრ რამეზე იყოს გათვლილი. მართალია, გააქტიურება სახეზეა, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, ეს რუსეთის მხრიდან პოლიტიკური თამაშია. გვაქვს ინფორმაცია, რომ „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე პუტინმა და ბუშმა საქართველოზე ისაუბრეს. ეს ჩვეულებრივი გარიგებაა. როცა რუსეთი იძულებულია რაღაც დათმოს, ცხადია, აუცილებლად მოითხოვს კომპენსაციას. მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთი სამაჩაბლოს ფასს ზრდის (მაზანდას უწევს), როცა იქ საკუთარი ძალების ფარულ დემონსტრირებას ახდენს, მაგრამ რუსეთი ამ ძალებს მაშინვე გაიყვანს, როცა კი გარიგება დასრულდება.

— **ანუ ვაჭრობა დამთავრდება რუსეთ-ამერიკას შორის?**

— ცხადია. ეს დუმის ყველაზე ანტიქართულად განწყობილმა დეპუტატებმაც კარგად იციან. ამიტომაც გაისმა გასულ კვირას ფრაზა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გაყიდვის შესახებ. როცა რუსმა დეპუტატებმა ამ რეგიონების ყიდვა შემოგვთავაზეს, გგონიათ, შემთხვევითი იყო? მათ ნერვებმა უმტყუნა და იმაზე მეტი წამოროშეს, ვიდრე საჭირო იყო.

— **გამოდის, სამაჩაბლოში სერიოზული კონფლიქტის დაწყება გამორიცხულია?**

— შეიძლება პატარა პროვოკაცია მოხდეს, მაგრამ ამას სერიოზული სახე არ ექნება. ეს ცხინვალის დღევანდელმა ხელისუფლებამაც კარგად იცის. ხშირად მიწევს ამ რეგიონში და ჩრდილო ოსეთში ყოფნა. იცით, ბოლო რვა თვის მანძილზე რა სურათი გამოიკვეთა? ბიზნესმენთა უმრავლესობა, რომელიც ცხინვალში მუშაობს, დღეს იქ აღარ არის. ყველამ ვლადიკავკაზში არჩია გადასვლა. ვლადიკავკაზში აქვთ ბინები ნაყიდი ასევე ცხინვალის ე. წ. ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ისინი გაქცევისთვის მზად არიან.

— **ერთი სიტყვით, თქვენი პროგნოზის მიხედვით, ჩვენთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება?**

— ჯერჯერობით, ყველაფერი აქეთ მიდის. ვნახოთ, რა მოხდება...

***დავით დევიძე***


# სახსრების ტკივილი ამინდის ცვალებადობისას

***მეტეოდამოკიდებულება და მეტეომგრძნობელობა - ნიშნავს ადამიანის მდგომარეობის გაუარესებას ამინდის მიხედვით. ყველაზე ხშირად მეტეოდამოკიდებულება ვლინდება სახსრებში ტკივილის გაძლიერებით ართროზით დაავადებულებში. შესაძლებელია თუ არა მათი დახმარება? თანამედროვე მედიცინა სამართლიანად თვლის, რომ შეიძლება.***

სახსრებში მტვრევის, ტკივილის შეგრძნება (როგორც წესი, მხრების, იდაყვის, მენჯ-ბარძაყის ან ხერხემლის არეში), დამახასიათებელია ართროზებით დაავადებულთათვის. მათ სახსრის ხრტილის დეგენერაცია აღენიშნებათ, აგრეთვე, პერიოდული გამწვავება და ე.წ. აქტიურ ფაზაში გადასვლა, რომელიც ავადმყოფს მეტად უსიამოვნო შეგრძნებებს ანიჭებს. სხვა შემთხვევებში ართროზი შესაძლოა, პრაქტიკულად სიმპტომების გარეშე მიმდინარეობდეს. ეს არ ხდის მას უსაფრთხოს, მაგრამ პაციენტს ძლიერ ტკივილსა და ცხოვრების ჩვეული რითმის დარღვევას გარკვეული პერიოდით თავიდან აცილებს.



ხშირ შემთხვევაში, გამწვავებები თავს იჩენს უშუალოდ ამინდის ცვლილებისას, რაც ავადმყოფს აიძულებს ამინდის პროგნოზს გულდასმით ადევნოს თვალყური, თუნდაც ნებისმიერ ფერმერზე უფრო ყურადღებით. უმეტეს შემთხვევაში, გამწვავებას ჰაერის ტემპერატურის დაწევა, ნესტიანობის მომატება და ნალექები, აგრეთვე ატმოსფერული ფრონტების მოახლოება იწვევს. თანაც, განსაკუთრებით მგრძნობიარე პაციენტებმა, ეს ცვლილებები, შესაძლოა, 72 საათით ადრე იგრძნონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ართროზის სიმპტომები ამინდის შეცვლიდან მხოლოდ ერთ დღე-ღამეში გაივლის, ავადმყოფები ხანგრძლივი უარყოფითი განცდებისთვის განწირულნი არიან.

მეტეოპათიური სინდრომის (სწორედ ასეა მიღებული ამინდის ცვლილებებთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადებების გამწვავების აღნიშვნა) გამომწვევი მექანიზმები ჯერჯერობით გარკვეული არ არის. მკვლევართა უმრავლესობის ვარაუდით, მის განვითარებაში ჩართულია გარემოს ცვალებადი პირობებისადმი ორგანიზმის ადაპტაციის რთული მექანიზმი.

სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობებთან ბრძოლა არც ისე იოლია. სახსრებისა და კუნთების ტკივილების სამკურნალოდ რეკომენდებულმა კლასიკურმა პრეპარატებმა - არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებმა, შესაძლოა, ტკივილი გაგიყუჩოთ, მაგრამ ხრტილის შეცვლილ სტრუქტურაზე ზემოქმედების უნარი მათ არ შესწევთ. ისინი არ მოქმედებენ ართროზის გამომწვევ მიზეზზე, კერძოდ კი, სასახსრე ხრტილის დეგენერაციაზე. აგრეთვე გვერდითი მოვლენებიც, თავისი უარყოფითი ზემოქმედებით საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, კუჭის წყლულის რეციდივებსა და სისხლდენებზე - ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

ამ არცთუ ისე უსაფრთხო თერაპიის ალტერნატივა შეიძლება გახდეს ნატურალური ქონდროპროტექტორები. ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს პრეპარატი **„მუვ ფრი“** - უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ის მიერ წარმოებული ნატურალური ქონდროპროტექტორი. პრეპარატი სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტებით და რეკომენდებულია **ართრიტის ფონდის** მიერ ართროზის სხვადასხვა ფორმების სამკურნალოდ.




პრეპარატს აქვს გელკაფსულების სახე, რომლებიც აბსოლუტურად არ აღიზიანებენ კუჭის ლორწოვანას და თითქმის 100%-ით შეიწოვება სისხლში წვრილი ნაწლავიდან და უზრუნველყოფს მაქსიმალურ თერაპიულ ეფექტს. **„მუვ ფრი“** - ნატურალური ქონდროპროტექტორია, რომელსაც რაიმე გვერდითი მოვლენა და უკუჩვენება არ გააჩნია და ამით პაცინტების ფართო კონტინგენტისთვის ხანგრძლივი დროით მკურნალობის საშუალებას იძლევა.

**„მუვ ფრის“** ეფექტურობა დამტკიცებულია სერიოზული გამოკვლევებით, აგრეთვე, ავადმყოფთა მადლიერებით, რომლებიც პრეპარატით მკურნალობას აგრძელებენ.

დღეს, ვიტამინ-ცენტრი **„ჯეოვიტი“** გთავაზობთ **„მუვ ფრის“** ახალ, უფრო დახვეწილ ფორმულას - **„მუვ ფრი“** სამმაგი ეფექტით.

„მუვ ფჰი“

***„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!***

ჯეოვიტი
GEOVIT

**ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“**
**მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),**
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
**www.schiffvitamins.com**

# საქართველო მოსკოვის დროზე გადადის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ „ჩაწოლილი“ ეროვნული ეკონომიკის ფეხზე დაყენება დამოუკიდებლად შეუძლებელია, ამიტომ უცხოური და, უპირველესად, რუსეთის ინვესტიციების მოზიდვა გადაწყვიტა. ეს ქვეყნის სუვერენიტეტს არ ავნებს. კაპიტალს ეროვნება არ გააჩნიაო, — განაცხადა მან.

რუსეთის ინვესტორებს კარგა ხანია თვალი უჭირავთ ქართულ საწარმოებზე, ახლა მათ კაპიტალის დაცვის მტკიცე გარანტიები მიიღეს. რუსეთში ამ გარანტიებისა სჯერათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკის მინისტრად რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მეწარმე კახა ბენდუქიძე დაინიშნა. მართალია, კახა ბენდუქიძეს ოლიგარქად მოიხსენიებენ, მაგრამ მას არც ბიზნესის მასშტაბები და არც ოლიგარქებისთვის დამახასიათებელი ნიშნები არ ახასიათებს: საკუთრებას დაუფარავად იძენდა, თაღლითობაში შემჩნეული არ ყოფილა, პოლიტიკაში არ ერეოდა, რუსეთის სხვა მაგნატებისგან განსხვავებით, მთავრობის წინაშე გაჯგიმული არ იდგა, თამამად ეჭირა თავი, თამამადვე მსჯელობდა და იქცეოდა. მის გადასვლასთან დაკავშირებით, ეკონომიკის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელმა ევგენი იასინმა თქვა: — დარწმუნებული ვარ, კახა ავთანდილოვიჩის ხელში საქართველო რუსული კაპიტალისთვის ოაზისად იქცევა, თუმცა მისი მხრიდან რაიმე შეღავათზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო.

თურმე მოსკოვში დიდი ხანია არსებობს საქართველოს იმ საწარმოთა ნუსხა, რომელთა განვითარებას რუსი ბიზნესმენები პერსპექტიულად მიიჩნევენ. მაგ. ჰოლდინგი „პრომიშლენიე ინვესტორი“ სამი წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკაში 200 მლნ დოლარის ჩადებას აპირებს. ამ სტრუქტურის ხელმძღვანელმა სერგეი გენერალოვმა განაცხადა, — მონაწილეობას მივიღებთ ქართული პორტების — ფოთისა და ბათუმის პრივატიზებაშიო. რუსეთის ინვესტორები მუშტრის თვალით უყურებენ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას, „ჭიათურმარგანეცს“. უკვე შესყიდულად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ავიაციის ფლაგმანი „აირზენა — ქართული ხაზები“. მაისში, ქართულ-რუსული ბიზნესფორუმის დროს შედგა მოლაპარაკება რუსული ყველგანმავალი „ნივის“ ამწყობი საწარმოს საქართველოში გახსნის თაობაზე. იქვე გადაწყდა საქართველოს გაერთიანებული ბანკის კაპიტალში რუსეთის „ვნეშტორგბანკის“ შესვლის საკითხი. ეს გარიგებები ჯერ აფიშირებული არ არის, რადგან ქართულ-რუსული ეკონომიკის თანამშრომლობის რეანიმაციას სკეპტიკურად უყურებენ არა მარტო რუსოფობი პოლიტიკოსები, არამედ ზოგიერთი ეკონომისტიც. მაგრამ პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი ბრძანებით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „ეკონომიკურ გეოგრაფიაში“ მის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების სერიოზულობას: „ქვეყნის რეალური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით“, 27 ივნისიდან საქართველოს დრო ერთი საათით უკან გადაიწევს. თბილისი მოსკოვის დროზე გადადის.

***იბეჭდება შემოკლებით***
***ნეზავისიმაია გაზეტა №116***

# პირველი ლედი „გაწირეს“...



პირველ ლედიზე თავდასხმის შემთხვევაში, მომხდარისგან შეშლილი ქმრის ყოველგვარ საქციელს მსოფლიო საზოგადოებრიობა გაამართლებდა. ის, რომ სააკაშვილმა სანდრა რულოვსი გაწირა — აშკარაა.“ გაზეთი თვლის, რომ სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავ ორგანოებს და სამშვიდობოებს საფუძველი ჰქონდათ, ჰოლანდიის მოქალაქე არ შეეშვათ თავის ტერიტორიაზე და სასაცილოდ მიაჩნიათ სააკაშვილის მიერ კოკოითისთვის საქართველოს ხელისუფლებაში მაღალი პოსტისა და ხელშეუხებლობის შეთავაზება იმ შემთხვევაში, თუ ის კონსტრუქციულ პოზიციას გამოიჩენს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. გაზეთი წერს იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც სამხრეთ ოსეთს უწევს აფხაზეთი და დნეპრისპირეთი, რფ-ის სახელმწიფო დუმა და რუსეთის პრესა. გაზეთი პრეტენზიას უცხადებს ეუთო-ს მისიას — „მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ოფიციალური ცხინვალი, კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ქ-ნი რულოვსის ჩამოსვლისა, მაგრამ მისიის წარმომადგენლებმა არათუ განუმარტეს, რომ ამ დაძაბულ სიტუაციაში მისი ვიზიტი მიზანშეწონილი არ იქნებოდა, არამედ თავად გამოჰყვნენ. გარდა ამისა, მათ არავითარი რეაგირება არ ჰქონიათ ოსეთის თავზე ქართული შვეულმფრენის არასანქცირებულ გადაფრენაზე, პირიქით, გახარებულიც კი დარჩნენ იმით, რომ სანდრა რულოვსმა მაინც მიაღწია ქართულ სოფლებამდე“. დაბოლოს, გაზეთს მოჰყავს ფრაქცია „როდინას“ ლიდერის დმიტრი როგოზინის სიტყვები: „სამხრეთ ოსეთს ჩრდილო ოსეთთან უნდა გაერთიანება და ეს მათი უფლებაა“.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ქართულ მხარეს სამშვიდობოების შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა უნდოდა, — წერს გაზეთი „მოლოდიოჟ ოსეტიი“.

გაზეთი უარყოფითად აფასებს სანდრა რულოვსის ვიზიტს სამხრეთ ოსეთის სოფლებში: „საქართველოს ლიდერმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს „მეგობრული ვიზიტი“ წმინდა წყლის პროვოკაცია იყო და მისი მეუღლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესები უფრო მაღლა დააყენა. საქართველოს სერიოზული მიზეზი სჭირდებოდა ცხინვალში ჯარის შესაყვანად.

***რეგნუმ. რუ***

ჩეჩნეთის აუღიარებელი რესპუბლიკა იჩქერიის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ხალხს, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, მაგრამ არ მივემხრობით მათ, ვისაც ომის წამოწყება მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ თავისი ხალხი თბილისის ხელისუფლებას მოწყვიტოს და იმპერიული მოსკოვის სამარცხვინო და სასტიკ კაბალაში მოაქციოს. მიუხედავად თანამედროვე ზიგზაგებისა, საქართველო ათასჯერ უფრო ადამიანური და ჰუმანურია, ვიდრე რუსეთი და რადგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებს აუცილებლად ვინმეს „დერჟავული“ ქვეშევრდომობის ქვეშ უნდათ ცხოვრება, მაშინ ამ მისწრაფებას არაფერი აქვს საერთო თავისუფლებასთან. თანაც აფხაზებისა და ოსებისთვის საქართველოს ქვეშევრდომობაში ცხოვრება გაცილებით იოლი იქნებოდა. თუმცა ეს თავად ოსებისა და აფხაზების გადასაწყვეტია. ჩვენ კი, ჩეჩნებს, ჩვენი სადარდებელიც გვყოფნის“.

***სააგენტო „ჩეჩენპრესი“***
***იბეჭდება შემოკლებით***

# ღრუბლები საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავზე



მიუხედავად იმისა, რომ 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას, კაბინეტის მეთაურს ტრიუმფატორობა არ ეტყობა. თბილისში ჭორი დადის — ნახევარ წელიწადში ჟვანიას პოსტს კახა ბენდუქიძე დაიკავებსო. პარლამენტში გამართულმა დებატებმა ცხადყო, რომ „ჟვანიას ხალხი“ ეკონომიკის ახალ მინისტრს ეჭვის თვალით უყურებს. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მისი ეკონომიკური პროგრამა, რომლის მთავარი თეზისია: „საქართველოში ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდის-ნამუსის გარდა“. საპარლამენტო სხდომაზე ბენდუქიძე ცენტრალურ ფიგურად იქცა, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის გარშემო კამათის შემდეგ, იმის გამო, რომ ხალხის რჩეულებმა აქტიურად და უცერემონიოდ დაიწყეს ეროვნულობის საკითხის განხილვა, მან პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. საქმე ის გახლავთ, რომ დეპუტატმა გოჩა ფიფიამ თავისი მოხსენება მიუძღვნა მთავრობის წევრების მშობელთა ეთნიკურ წარმომავლობას — კერძოდ, ეს ჟვანიას ეხებოდა. „ნორმალურ ქვეყანაში ასეთი გამოსვლისთვის ციხეში ჩასვამდნენ“, — განაცხადა აღშფოთებულმა ბენდუქიძემ. მაგრამ ჟვანიას (რომელმაც განაცხადა, დედა სომეხი მყავს და ამით ძალიან ვამაყობო) ასეთი მხარდაჭერით არაფერი მომატებია — საეჭვოა, რომ ბენდუქიძის მიერ პრემიერის დასაცავად გამოყენებული დემარში ორ პოლიტიკოსს შორის არსებული უნდობლობის ყინულს გაალღობს. ჟვანია ნერვიულობს — მიზეზიც აქვს. საქართველოში ყველამ იცის, რომ მას მიხეილ სააკაშვილთან იდეალური ურთიერთობა არა აქვს. ამ ბოლო დროს პრეზიდენტი არც მალავს გაღიზიანებას მთავრობის მეთაურის მიმართ. ისიც ვალში არ რჩება — ხომ შეადარა სააკაშვილი ჩე გევარას „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში?! ჟვანიას ბენდუქიძით შეცვლის შესაძლებლობაზე პირველად სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელი და სააკაშვილის მეგობარი ეროსი კიწმარიშვილი ალაპარაკდა. ივნისის დასაწყისში მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბენდუქიძისთვის პრემიერ-მინისტრის პოსტის შეთავაზება უნდოდა. ხოლო 10 ივნისს, პარლამენტის სხდომის წინ ხმა დაირხა — სპეციალურად ბენდუქიძისთვის კიდევ ერთი ვიცე-პრემიერის თანამდებობას შემოიღებენ, რომელიც ეკონომიკურ ბლოკს უხელმძღვანელებსო. ამით პრემიერი შეკვეცილი უფლებამოსილების წარმომადგენლობით ფიგურად გადაიქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ეს არ მომხდარა, უკანასკნელი მოვლენების ლოგიკა ცხადყოფს — ჟვანიას გავლენა ნელ-ნელა, მაგრამ აშკარად მცირდება. ამის ნათელი მაგალითი კი მთავრობის ძალოვან ბლოკში მომხდარი „შენაცვლებებია“. თითქოს სიმბოლური გადაადგილებები მოხდა: შს მინისტრი თავდაცვის მინისტრი ხდება, თავდაცვის მინისტრი — უშიშროების საბჭოს მდივანი, უშიშროების საბჭოს მდივანი — უშიშროების მინისტრი, უშიშროების მინისტრი — გენპროკურორი, ეს უკანასკნელი კი — შინაგან საქმეთა მინისტრი. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არაფერიაო, მაგრამ „შენაცვლების“ აზრი კი ისაა, რომ „ჟვანიას კაცმა“, გიორგი ბარამიძემ, კონტროლი დაკარგა ყველაზე ქმედით ძალოვან სტრუქტურაზე — შსს-ზე და შინაგან ჯარებზე. ახლა ის თავდაცვის უწყების „სამოქალაქო“ მეთაურია. რასაკვირველია, თანამდებობა სოლიდურია, მაგრამ არა დღევანდელი საქართველოსთვის. ჯერ ერთი, ჯარმა უკვე არა ერთხელ ცხადყო, რომ არ ჩაერევა შიდაპოლიტიკურ პროცესებში, მეორე — გენშტაბის უფროსისგან განსხვავებით, თავდაცვის მინისტრს რეალურად მხოლოდ თავისი პირადი დაცვის მბრძანებლობა შეუძლია. ამავე დროს, შსს-ში ყოფილი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი მიდის. ის კი, არა მარტო კორუფციასთან მთავარი მებრძოლია, არამედ სააკაშვილის უახლოესი მეგობარიც. სახელმწიფო უშიშროების მინისტრად და ძალოვანი ბლოკის მაკონტროლებელ ვიცე-პრემიერად ნიშნავენ პრეზიდენტის კიდევ ერთ მეგობარს, ვანო მერაბიშვილს. პრემიერის შეურიგებელი მტერი, დეპუტატი ზვიად ძიძიგური ამბობს, — ჟვანიას საქართველოში არავინ ენდობა, პრეზიდენტიც კიო. უნდა ითქვას, რომ ჟვანიას არა მარტო საქართველოში, რუსეთშიც არ ენდობიან. კრემლის ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროს ცნობით, სააკაშვილი გაცილებით მისაღები ფიგურაა მოსკოვისთვის, ვიდრე მისი მთავრობის მეთაური. ჟვანიასადმი სკეპტიკური განწყობა განსაკუთრებით მისი მოსკოვში ბოლო ვიზიტის დროს გამძაფრდა — თანამოსაუბრეებს არ მოეწონათ მისი ამბიციურობა, ამპარტავნება და არაკონსტრუქციულობა. მოსკოვი სიხარულით შეხვდებოდა მის ბენდუქიძით შეცვლას, რადგან ეს საქართველოს ეკონომიკაში რუსული ინვესტიციების მასირებული ჩართვის წინაპირობა იქნებოდა. სააკაშვილს ეს კარგად ესმის. ჟვანიაზე ნადირობაა გამოცხადებული, მაგრამ ის დანებებას არ აპირებს და კონტრშეტევაზე გადადის — „ჟვანიაფობია“ უკვე 14 წელია გრძელდება, მას შემდეგ, რაც მე საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი გავხდი. ამ დროის მანძილზე ხან ერთი, ხან მეორე ავადდება ამ სენით. მაგრამ ჯერ არც ერთი პაციენტი არ გადარჩენილაო, — განაცხადა მან პარლამენტის სხდომის დაწყებამდე. მიხეილ სააკაშვილი კი „ჟვანიაფობიის“ თემაზე დებატებს არ შესდგომია და საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე, ჩაქვში გაემგზავრა.

***იზვესტია. რუ***
***ალექსანდრ იაშვილი***

ადიღეს, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის საერთაშორისო ორგანიზაციების საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილისადმი მიმართვაში ნათქვამია: „საქართველოს მხრიდან ახალი აგრესიის შემთხვევაში, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები მზად არიან, ისევე როგორც 1992-93 წლებში, დადგნენ სუვერენული აფსნის (აფხაზეთი) დასაცავად. საქართველოს ხელმძღვანელობას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია აფხაზეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარებაში.“

თავის მხრივ, აფხაზეთმა მზადყოფნა გამოთქვა სამხრეთ ოსეთის დასახმარებლად.

***როსბალტ. რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***


**ქ. თბილისის საერო ორსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი კოლეჯით**

აცხადებს მიღებას

1. უმაღლესში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები კურსზე, დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე პირები, ექიმები, ბიოლოგები და ბიოქიმიკოსები კურსზე.

2. სამედიცინო კოლეჯში.

სამკურნალო და ფარმაციის სპეციალობებზე 9 და 11 კლასის ბაზაზე.

საბუთები მიიღება 20 აგვისტომდე 10-დან 18 საათამდე. ჩარიცხვა უგამოცდოდ. კურსდამთავრებულებზე გაიცემა სახელმწიფო დიპლომი და დასაქმდებიან ფირმა „ავერსი“-ს აფთიაქებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას. მისამართი: ალ. ყაზბეგის (ყოფ. პავლოვის) გამზ. 39, მე-60 საშუალო სკოლა, მეტრო „გიცირიძე“. ტელ: 39-76-74

**სახელმწიფოს ლიცენზირებული საქართველო-ისრაელის სტომატოლოგიის ინსტიტუტი და მრავალპროფილიანი სამედიცინო კოლეჯი**

მინიმალური გადასახადი

სახელმწიფო დიპლომი

დასაქმება

34

(164-ე საშ. სკოლა) www.medical.edu.ge

☎ 61-54-23 (დღისით)
61-69-77
71-55-11 (ღამით)

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პაწაწინები გვინიოხოხნენ

4 წლის **დემეტრე ბაქრაძემ** მეტროთი მგზავრობისას შენიშნა, რომ დიქტორის სიტყვების შემდეგ კარები იხურებოდა. გაოცებული დედას მიუბრუნდა და ეკითხება:

— დედიკო! ეს კარები იმ ქალს უჯერებს?!

***

ერთხელ პატარა **თათას** ტილები დაესია. ბებიამ ტილები მოაცილა, მაგრამ ანა მაინც დაეჭვდა: — ერთი ტილი იქნებ მაინც დამრჩაო, — და ბებიას უთხრა:

— ბები, თავში თუ მარტო მამალი ტილი დამრჩა, მაინც გამოიჩეკება?

***

6 წლის **გიორგი თორაძე** ტელევიზორში პარლამენტის სხდომის რეპორტაჟს უყურებს. თავმჯდომარე პარლამენტარებს მოუწოდებს, კენჭი უყარონ წინადადებას.

გიორგი გაფაციცებით მისჩერებია ეკრანს და როცა თავმჯდომარე მეხუთედ თუ მეექვსედ იმეორებს, კენჭი ვუყაროთო, მამას ეუბნება:

— მამიკო, რამდენი ხანია იძახიან, კენჭი ვუყაროთო და კენჭებს რატომ არ აჩვენებენ?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„არც თაგვია და არც ჩიტი, თუმც ორივეს იგი ჰგავს, დღისით არ ჩანს, ღამით დაფრენს, თოფით იმას არვინ ჰკლავს. მისი სახით კოღო-ბუზებს საშინელი მტერი ჰყავს“.**

I



II

**გამოტოვებული ადგილების ნაცვლად შეარჩიე შესაბამისი ფრაგმენტები**



## ვინც სხვას ჰკარავს, ის თავისასაც ჯარგავს

ზღაპარი

ერთხელ ქოსატყუილა მდინარის ნაპირას მიდიოდა. შორიდან მან ერთ კაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც უნაგირით შემკული მოპარული ცხენი მოჰყავდა. უცებ ქოსატყუილამ ცალი წაღა გაიხადა, შუა გზაზე დააგდო და თვითონ ბუჩქებში დაიმალა. ცხენის ქურდმა წაღა შენიშნა, აიღო, ცხენი იქვე ხეზე მიაბა და მეორე წაღის მოსაძებნად წავიდა.

ქოსატყუილა ეცა ცხენს, უნაგირი მოხსნა, წყალში გადააგდო, ხოლო ცხენი ტყეში გადამალა. ქურდმა მეორე წაღა ვერ იპოვა და უკანვე დაბრუნდა. ცხენი რომ ვერსად ნახა, გაიფიქრა: ალბათ თოკი გაწყვიტა და შინ გაიქცაო. იგი მდინარის ნაპირს გაჰყვა. ხედავს, უნაგირი წყალს მიაქვს. ჩემი ცხენი თურმე წყალს წაუღიაო, გაიფიქრა. ტანისამოსი გაიხადა და უნაგირის ამოსატანად წყალში გადაეშვა. მიუახლოვდა და ის იყო ხელი უნდა ჩაევლო, რომ უნაგირი მორევმა ფსკერისკენ ჩაითრია.

— გამწარებული კაცი ხელცარიელი ამოვიდა ნაპირზე და ტანისამოსისაკენ გაიქცა, მაგრამ აღარც ტანისამოსი დახვდა ადგილზე. ქოსატყუილას მისი მოპარვაც მოესწრო.

— ასე შიშველ-ტიტველი სად წავიდე, ვის დავენახვოო! — ჩაილაპარაკა დაღონებულმა ქურდმა.

მართალი უთქვამთ: ვინც სხვას ჰპარავს, ის თავისასაც დაკარგავსო.

**ისრების მიხედვით გაიარე ნავის ლაბირინთში**



III ანა, გამოცანა

**1) რუსული ზღაპრის მიხედვით, ვინ ცხოვრობდა ქათმის ფეხებზე შემდგარ ქოხში?**

ა) ბაბა იაგა; ბ) უკვდავი კაშჩეი; გ) ალიონუშკა; დ) ბაყბაყდევი.

**2) რა ჰქვია სხვაგვარად არქიტექტორს?**

ა) ფერმწერი; ბ) ხუროთმოძღვარი; გ) გრაფიკოსი; დ) მოქანდაკე.

**3) რომელია ზედმეტი?**

ა) ცბიერი; ბ) მიამიტი; გ) გაიძვერა; დ) ფლიდი.

**4) ფიანდაზი არის:**

ა) ნაგვის ასახვეტი პატარა ნიჩაბი; ბ) გრძელი ანდაზა; გ) ფანდურის ერთ-ერთი სახეობა; დ) იატაკზე დასაგები გრძელი და ვიწრო ქსოვილი.

**5) რომელი მეფის ასული იყო თამარი?**

ა) გიორგი III-ის; ბ) დავით V-ის; გ) დემეტრე I-ის; დ) ბაგრატ IV-ის.

**6) ვინ გადაარჩინა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს საგანძური?**

ა) ივანე ჯავახიშვილმა; ბ) ექვთიმე თაყაიშვილმა; გ) დავით სარაჯიშვილმა; დ) პეტრე მელიქიშვილმა.

**7) რომელი სიტყვა ნიშნავს საქონლის შემოტანას საზღვარგარეთიდან?**

ა) ექსპერტი; ბ) ექსპრომტი; გ) ექსპორტი; დ) იმპორტი.

**8) რომელი ქრისტიანული დღესასწაულია 28 აგვისტოს?**

ა) სულთმოფენობა; ბ) ამაღლება; გ) ხარება; დ) მარიამობა.

**იპოვე 10 განსხვავება**





პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — + და სია აჩვენეთ მშობლებს

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. კომბლე
6. ირემისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნაზუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. წიქარა
26. ალადინი
27. ღორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. ქოჩორა რიკე
30. უშნოსწორო ბაყაყი
31. ბულბული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ტყე
48. არვიციას ამბავი
49. ჯიუტი სილუკა
50. შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# „ტაში, ბიჭო, გიორგუნა, არ გოუშვა ეს გოგუნა!...“

ბესარიონ ხიდეშელი, ანუ ბესო ბაბუა, როგორც მას დიდ-პატარა ეძახის, საცაა ცხრა ათეულს მიუკაკუნებს და თავად რომ ჰკითხო, აღარ უნდა სიცოცხლე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეუღლე, ბებია მატრონა გარდაიცვალა... „კაი შვილები და შვილიშვილები მყავს, მარა ცოლი მაინც სხვა რამე ყოფილა, მით უმეტეს, სიბერეში... ე-ეჰ, რაც მე იმისთვის მიწყენინებია, ახლა ვიხსენებ და სინანულის ცრემლი მომდის, ველაპარაკები მის სურათებს, ვეჩურჩულები, ვებოდიშები, მარა, რაღა დროს? რას ვერჩოდი, რა მინდოდა, დაბუნჩულებდა თავისთვის ეზო-გარემოში, შრომობდა, სტუმარს, მოყვარეს, პატივს სცემდა, მტერს არ გაახარებდა, შვილები პატიოსნად დამიზარდა... მე კი ზედმეტად არ გავუცინებდი, არ მივეფერებოდი!..“ — ჩივის ბესო ბაბუა.

...არა, არ იფიქროთ მართლა გულცივი იყოს ბერიკაცი, პირიქით, მასავით ტკბილი ენა და სიკეთით სავსე იშვიათად თუ ვინმე იქნება.

— ბესო ბაბუა, გამიგია, რომ საქართველოში 50 წელი გაატარა მატრონა ბებიამ, მაგრამ თურმე ქართული მაინც ვერ ისწავლა და ეს სულაც არ უშლიდა ხელს ადამიანებთან ურთიერთობებში...

— 19 წლის იყო, პირველად რომ ჩამევიდა საქართველოში. მზეს ეუბნებოდა — შენ ჩადი და მე ამოვალო! — წელს ქვევით სცემდა ოქროსფერი ნაწნავები. იმისთანა ცისფერი თვალები ჰქონდა, დიდხანს ვერ გოუსწორებდი მზერას — არ ჩავვარდეო შიგ! რომ დევინახე, ქვე შემემენთო ცეცხლი, მარა რავა გავამხელდი გულისნადებს, ბოვშვი იყო ჩემთან შედარებით. მე ომგამოვლილი, 33 წლის ვიყავი უკვე. „ძიაძია“ დამიძახა პირველად...

— როგორ მოხვდა მატრონა ბებია საქართველოში?

— ჩემმა ბიძაშვილმა — სამსონამ ფრონტზე გეიცნო მისი უფროსი და ტატიანა და ქვე დაორსულა ორ თვეში... რაჭველისგან ქვე გასაკვირია ამისთანა ტემპით მუშაობა, მარა იმისთანა კაი იყო ტანიაც, გახელდა ალბათ სამსონა, გადეირია... ექთანი იყო ტანია და მიტო წასულა ომში, მარა ერთი წელიც არ დარჩენილა ფრონტზე, გოუშვეს დეკრეტში და გააჩინა 42-ში ბიჭი, სამსონა ჰქვია იმასაც, მარა ჩვენ სოსიკუნას ვეძახით... ჩემს ბიძაშვილს წერილი გამოუგზავნია ფრონტიდან — მე შეიძლება ვერც ქვე დავბრუნდე და უპატრონეთ ჩემს ცოლ-შვილს, უკვალოდ მაინც არ გადავშენდებიო! მოჰყვა ორ კვირაში იმ წერილს თურმე დარცხვენილი ტანიაც ბოვშით — თვარ მიმიღებთ, ქვე გავბრუნდები უკანო! — ვინ გოუშობდა, პატარა სამსონე ალი-კვალი მამისი იყო...

— თქვენი ბიძაშვილი დაიღუპა ომში?

— რავა დეიღუპა... ჩამევიდა და ხუთი შვილი გოუჩნდათ ომის მერე. ისე მომრავლდნენ, თელი სოფელი ეგენი არიენ და გოუმარჯოთ ღმერთმა. მეფესავითაა სამსონა, ტახტი დოუდგეს ბუხართან და აღარ აინტერესებს ქვეყანაზე არაფერი, თვარა ჩიტის რძეს მიართმევენ ოქროს ფიალით, მარა ცოლი იმასაც მოუკვდა და ძაან განიცდის....

— მატრონა ბებია დასთან ჩამოვიდა ალბათ სტუმრად...

— დედ-მამა და ძმები დაბომბვის დროს დაღუპვიათ. მატრონა სასწაულად გადარჩენილა და რადგან სრულწლოვანი არ იყო, ბავშვთა სახლში ჩაუბარებიათ... ტანიას ისიც დაღუპული ეგონა და სხვებთან ერთად იხსენიებდა საკურთხისას, მარა სასწაული მოხდა: სამკერვალო სასწავლებელი დოუმთავრებია მატრონას და მოსკოვის რომელიღაც ფაბრიკაში მუშაობდა. ჰოდა, ქე გამოხატეს ერთ დღესაც „პრავდაში“. ხომ გახსოვთ ეს გაზეთი?

— როგორ არ მახსოვს...

— გინდოდა თუ არა, მთელ საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა და შენც უნდა გამოგეწერა... ჰოდა, ჩვენ გვქონდა კანტორაში ეგ გაზეთი, ტანიაც მაგ გაზეთს კითხულობდა სულ. მერე ჩვენ გვიყობოდა ქვეყნიერების ამბებს. რომ დეინახა ერთ დღეს წინა გვერდზე გამოწკიპული მატრონა, იკივლა ერთი და ქე წოუვიდა გული... დავტრიალდით, ავტეხეთ ტელეგრამების გაგზავნა-გამოგზავნა, წერილების ავიაკონვერტით გაქანება და ჩამევიყვანეთ ასე მატრონა საქართველოში. 1948 წელი იყო, კარგად მახსოვს... მაშინვე ჩამივარდა გულში და მომედო ცეცხლი, მარა გავამხელდი? თელი სოფელი აღნიშნავდა დების შეხვედრას, იყო გადაპატიჟებაგადმოპატიჟება, მარტო მე ვიყავი ცხვირჩამოშვებული და რაც მეტად ახლოვდებოდა მატრონას მოსკოვში გამგზავრების დრო, უფრო და უფრო გლახათ ვხდებოდი, — აღარც ვსვამდი, აღარც ვჭამდი, აღარც ვმღეროდი და ვცეკვავდი...



— როგორ გამჟღავნდა, რომ სიყვარულის ბრალი იყო ყველაფერი?

— მატრონა მიხვდა ისევ, ქალს რას გამოაპარებ? ჯერ „ძიაძიას“ ძახილს დაანება თავი და მერე ისეთი თვალებით მიცქერდა, კიდევ მეტად დამადნო... სამსონესას შევიკრიბეთ იმ საღამოსაც, საცეკვაოდ რომ გამომიწვია მატრონამ, ჯერ უარზე დავდექი, მარა ვინ მომეშვა და ქვე გავშალე ხელი. გავედევნე ჩემს მზეთუნახავს, თლათ დამავიწყდა სხვაც რომ იყო ჩვენ გარდა ქვეყანაზე და რამ გამომაფხიზლა, თუ იცით? — დასცხეს ტაში და სიმღერა სტუმრებმა: ტაში, ბიჭო, გიორგუნა, არ გოუშვა ეგ გოგუნაო! მივხვდი, რომ შემატყვეს სიყვარული, დევირცხვინე და გევიქეცი პატარა ბიჭივით, ტყვიასავით მომყვა უკან სტუმრების ხარხარი...

— თქვენ კი გაიქეცით, მაგრამ მატრონა რომ მაინც დარჩენილა?

— მისი დამსახურებაა თლათ... ჩევიკეტე საძინებელში და არ გოვუღე კარი არავის, სირცხვილით აღარ ვიცოდი რა მექნა, სოფლიდან გაქცევას ვგეგმავდი, რომ გამთენიისას ფანჯარაზე მომიკაკუნა: შემომიშვი, თვარა თავს დევიხრჩობო! რავა არ შემოვუშობდი?!

...დილით ატყდა ამბავი სამსონისას — მატრონა მოგვტაცესო! — გაღმელი ბიჭი ემუქრებოდა მოტაცებით და იმაზე იფიქრეს, წამოავლეს თოფებს ხელი და გავარდნენ სროლით. რომ არ მივწეოდი გზაში, ტრაგედიას დაატრიალებდნენ — მე მევიტაცე თქვენი მატრონა და მომკალით-თქვა!.. არადა, იქით მომიტაცა — თქვენთან ვამხელ ახლა პირველად რავარც იყო სინამდვილეში და ამისთვისაც სისხლს ვუშრობდი — თამამი ხარ, რავარც მე შემომივარდი სახლში, რა ვიცი, სხვასთან რას იფიქრებ-თქვა...

— გაძლევდათ ეჭვიანობის საბაბს?

— არა, ბოშო, გადასარევი ქალუკა იყო. კაცისკენ ზედმეტად არ გეიხედავდა და შინ მოსულ სტუმარსაც არ უსწორებდა თვალს, მარა კაცია უმადური... ოთხი გოგუნას მერე შეგვეძინა ბიჭუნა და გოგუნეებს სულ იმას უჩიჩინებდა მატრონა — კაცი არ შეიცოდოთ და არც შეიყვაროთო! ოთხივე მართლა მეიტაცეს, თვარა თანხმობა არც ერთს უთქვამს კაცისთვის ნებით... ეგ კი არა, რძალიც არ წამოჰყვა ჩემს ვახტანგუნას, სანამ მე არ მივედი და შევეხვეწე — გაგვაბედნიერე-თქვა!..

— ე. ი. ყველას სცოდნია თქვენი ამბავი?!.

— ისევ ჩემ გამო, თვარა მატრონა რავა იტყოდა ჩემს ძვირს სადმე. იმას შემევევლე, ის მიწაში უნდა იყოს და მე — მიწის ზემოთ? რავარც ჩიტივით მოფრთხიალდა, ისე უცნაურად გამიფრინდა, დეიძინა საღამოს და... დილით სამოთხეში იყო უკვე...

— მატრონამ ქართული არ იცოდა, თქვენ თუ იცოდით რუსული?

— რაც იმან იცოდა ქართულად, ის ვიცოდი მე რუსულად — მარა ამას ჩვენი ბედნიერებისთვის ხელი არ შოუშლია. ქართულად სულ რამდენიმე სიტყვას ამბობდა: — მობრძანდი, დაბრძანდი, შემოგევლე, ინებე, მიირთვი, კარგად ბრძანდებოდე, იცოცხლე... ქი და არა! — მარა, მეზობლები სულში იძვრენდნენ და არავის დოუჩივლია — მაგისი ვერაფერი გაგვიგიაო!.. 90 წლის რომ მევიყარე, ესეც სულ ჩემი მატრონას წყალობით, ხომ ხედავთ, თმაც კი არ გამჭაღარავებია ბოლომდე!..

— ბესო ბაბუა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეებმა როგორ იცხოვრეთ 50 წელიწადი?

— რომ არ ეყურებოდა ჩემი, მიტო გამიძლო! — ხელი ჩაიქნია მოხუცმა და ისევ ცრემლი მოადგა თვალზე...

...მე ბესო ბაბუას მოსახელე შვილიშვილმა, უმცროსმა ბესარიონ ხიდეშელმა გამომაცილა და ერთი „საიდუმლოც“ გამანდო: ისე უყვარდა მატრონა ბებია, სიბერეშიც კი ეჭვიანობდა მასზე და მკვდარსაც ის დაატირა: სად მიდიხარ უჩემოდ, ვინმე ოხერს არ გადაეყაროო?

მართლაც საოცრებაა სიყვარული!...

***ინგა ჯაყელი***

# ობლის კვერი

## გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი



*ვაჟას ქალი — გულქანი ღრმა სიბერემდე მარტო ცხოვრობდა ფუძნარში. აივანზე ტახტი ედგა, თავის ხელით მოქსოვილი ფარდაგი ეფარა ზამთარ-ზაფხულ. ხშირად იქ იჯდა და ქსოვდა. თან ტყემლის ჩრდილში პალოზე დაბმულ კრუხს უთვალთვალებდა — ეს სატიალე ქორი წიწილებს მტაცებსო. ნასახლარები ტყეს დაებურა. ფუძნარის ნახევრად ჩამონგრეული ეკლესია იდგა მარტო უტეხად და გულქანის ბუხრიდან ამოდიოდა კვამლი: ეგ იყო მთელი სოფელი...*

*მივიდოდით ყიჟინით, დაუპატიჟებლად, შემოვუსხდებოდით აქეთ-იქიდან და ბარე მეათედ ვაამბობინებდით ძველ — „ახალ“ ამბებს მამამისის, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან. ფშაურკილოგარეული მადლიანი ლაპარაკი იცოდა. სათქმელი რომ ამოეწურებოდა, ახლა სხვას გადასწვდებოდა, მოჰყვებოდა იმ მთისას, ამ ბარისას...*

*ერთხელ ულამაზესი შიბი (თვალმარგალიტით მორთული დიდი ყელსაბამი) მაჩვენა. ფაქიზად ნაჭედი, ვერცხლის ფულებით დამშვენებული. ესაო, — მითხრა, — ერთი კაი ძია მყავნდა, დავითო ჯანაშვილი ერქვინა, იმან დამიფეხვაო (გამომიძერწაო). ეგ ეშმაკის მოგონილი დამაშორეო — გამომართვევინა ჩამწერი (თავის ხმის მოსმენას ვერ იტანდა, სულ ეგონა, სხვა ახმოვანებდა მის ნათქვამს. — ავტ.).*

*და აი, რა მიამბო:*

...უიღბლო ბალღობა გამოიარა ოქრომჭედელმა დავითომ. ადრე დაობლდა მამით. შუაფხოელი ბადრიაანთ ქალი წვალებით ზრდიდა ქალ-ვაჟს. ერთ ბურუსიან დილას ახალგამოღვიძებულ ბიჭს ტყაპუჭი შემოახვია დედიძმამ. ცხენზე შემოისვა და სოფელ არტანში (თიანეთის მაზრა) ჩამოიყვანა. იქ ჭიჩოელი ფშავლები ეგულებოდა, შორეული ნათესავები. იფიქრა — ღონიერი ოჯახები აქვთ, იმათ მივაბარებ, გაზრდიან, კაცი დადგებაო. გაზაფხულის პირმცინარე მზე მიუძღოდა ბიძა-დისწულს. ნაზვავარზე შემღვრეულიყო იორი. სიმწვანე მოსძალებოდა დაბურულ მთებს, ლურჯ-წითლად ღაღანებდა არჯაკელი. ტყიდან იისა და შროშანის სურნელი იფრქვეოდა. თეთრ წამწამებს ახამხამებდა ყვითელგულა გვირილა. ბიჭს არაფერი იზიდავდა. ცრემლები ყელში ჰქონდა მობჯენილი. ქარვისფერგულიანი ქადები გამოუცხვეს ობოლს. მთელ ღამე ოხშივარი ასდიოდა სახინკლე ქვაბებს. თვალი მაინც არ მოუხუჭავს. რიჟრაჟზე ფეხშიშველა გაეკიდა დედიძმას — შინ წამიყვანეო. პირი იბრუნა კაცმა, მათრახიანი ხელით სიმწრის ოფლი მოიწმინდა, დეზი ჰკრა ყორანას და შორითღა გაისმა ნალების წკარუნი...

ერთ კვირაში ზაფრანისფერი დაედო უცხოობაში დარჩენილი ხუთი წლის ბიჭის ღაჟღაჟა ლოყებს. ლოდივით დაუმძიმდა პატარა გული. იმ ოჯახში ოთხი საკუთარი შვილი ჰყავდათ. უმცროსი — კესანე აკვანში იწვა. მუქლურჯთვალებს აბრიალებდა, უცინოდა სტუმრად მოსულს, თოთო ხელებს უწვდიდა. დავითოს მხოლოდ მაშინ გადაეყრებოდა ნაღველი, არწევდა, უმღეროდა... ბიჭს ახალი ტანსაცმელი შეუკერეს, ქალამნები ამოუსხეს, დედობილმა ერთ ღამეში სამი წყვილი ჭრელი წინდა დაუქსოვა. თაფლი, ყველი, ერბო და ფურნის პური მიუმარჯვა. ახალფეხადგმულ კესანეს უტოვებდა. მალე გოგონამ ტიკტიკი დაიწყო. დავითოს ნაღველი გადაავიწყდა... ამასობაში ბიჭი წამოიზარდა. ოქრომჭედელს მიაბარეს შეგირდად. გაიტაცა დავითო ჭედურობამ. ისწავლა უნაგირის, აღვირის მორთვა, შიბების, ბეჭდების, ვერცხლის ქამრების, ყაწიმების დამზადება. ოქრომჭედელი ამაყობდა შეგირდით. 12 წელი გვერდიდან არ მოიშორა. მერე გაუშვა იალაღზე... როცა შინ დაბრუნდა, დავითო ჯანაშვილი ფშავში უკვე განთქმული იყო ხელობით. დედა ცოცხალი აღარ დახვდა. დაც გათხოვილიყო. ბიძაშვილმა მამა-პაპის ფუძეზე ადგილი არ მისცა. უკან მაინც არ გაბრუნდა. მაღაროსკარში ერთი პატარა ქოხი გამართა და იქ გააგრძელა თავისი საქმე. სამი წლის მერე ლაშარობაზე ჩავიდა არტანში. თეთრშუბლა ხარი დაკლა მამობილმა. ხატში მრავლად იერეოდა მლოცავი. ყველგან მწვადის, სანთლის, არყისა და ერბოსგულიანი ქადის სურნელი ტრიალებდა. კესანე მოიკითხა დავითომ. თავნება გოგო მშობლების რისხვას გაჰქცეოდა. წაწალი შეჰყვარებია კესანეს. აღარ გათხოვილა სხვაზე. გაჯავრებულან მშობლები, მოუკვეთიათ სახლიდან. მისულა სახელგატეხილი კესანე ხატში, აღთქმა დაუდვია მარადიულ ქალწულობაზე და ხატის მოწმინდარად (ხატის მსახური ქალი) დამდგარა. დავითო სუფრიდან წამოიჭრა, შემოირბინა არემარე, ათას კაცში გამოარჩია თეთრრიდემოსხმული კესანე: ქადასანთლით ხელში ფეხშიშველი მიუყვებოდა აღმართს — ემუდარა დავითო დაზე უტკბესს — შინ დაბრუნდიო, ჩემთან წაგიყვანო — ვერ დაიყოლია თავწვერა გოგო. კესანეს სურვილი ჰკლავდათ ჟიპიტაურით შეღაჟღაჟებულ ვაჟებს, ვერ კი უბედავდნენ სათქმელს. იმის გამოჩენაზე აქეთ-იქით გაშლილი სუფრებიდან მათი სევდანარევი სიმღერა ისმოდა მხოლოდ:

*ცათა ქვეშ დავდგი სასწორი*
*სამის ღერწამის წილისა,*
*სიყვარული და სირცხვილი*
*ორივ ავწონე იმითა.*
*სიყვარულ მეტი მოვიდა,*
*სირცხვილზე სამი წილითა.*

მაღაროსკარში დაბრუნებულმა დავითომ ამოხვეტა ქისიდან ვერცხლის ფულები, სამი კვირა უკირკიტა, ორმოცდაათი მარტო ისარგაყრილი გული ამოკვეთა, შიბი აკინძა და კესანეს გაუგზავნა... ამბობდნენ, ზეზეურად დაჭკნა კესანე, იმ შიბით მორთული ჩაასვენეს საფლავშიო...

ჩარგალში მიმავალი ვაჟა წასდგომია ერთხელ თავს დავითო ჯანაშვილს. მოსწონებია მისი ნახელავი. ხანჯალი მიუტანია გასალამაზებლად. იმასაც მოუსევადებია ვერცხლით ხანჯლის ტარი და ქარქაშის ბუნი. წაუყვანია ვაჟას ეს ჯეელი ჩარგალში — ბიძაშვილი უნდა მოგათხოვოო. გადაირია თურმე ქალის დედა — ქალს მაგას როგორ გავატან, გუთნის დაჭერა არ სცოდნია და თიბვა-ხვეტაო. ოქრომჭედლობა რა ეშმაკად უნდა, მაგით პური როგორ უნდა ჭამოსო. გაჯავრებულა ვაჟა, ეს ქალი რაზიკაანთია და ჩვენ ჭკვაზე კიდეც გავათხოვებთო (ქალს მამა აღარ ჰყავდა. — ავტ.). პურმარილი მის სახლშივე გაუწყვია. ერთი წლის მერე რაზიკაანთ დიდი ქორწილიც გადაუხდიათ დანიშნულებისთვის...

გულქანმა განაგრძო:

...ეგრე დავნათესავდით. ძალო ჩემი კაი ხანს იყო მომდურებული მამაჩემზე. ის კიდე აინუნშიაც არ აგდებდა. სათავნოს (მზითევის) წასაღებად რო მოვიდნენ, მაყრებიდან ერთ ჯეელს კიდე მოეწონა ჩვენი სხვა ბიძაშვილი და იმანაც ითხოვა. ქალის მამა უარზე იდგა. იმათ ამბავშიც ჩაერია ვაჟა და ის ქალშავაც ეგრე გაათხოვა... კაფიაც შაუმღერა ქორწილში:

*ჩემო ბიძაშვილ, ქალებო,*
*ჩიქილა აიფარეთო,*
*იზრდებით ყანასავითა,*
*მენამც გულს შამამყარეთო.*

ეს შიბი იმ ჩვენმა სიძემ დამიფეხვა. იმისნაირია, თავის ნადობს რო გაუკეთა. სხვა ამნაირი აღარ გამიკეთებიაო — იტყოდა ხოლმე. წითელი ცხენი მყავდა, რო შავჯდოდი და აჟღარუნდებოდა ეს ფულები, ისე გაფრინდებოდა, წინწილ დადგის ნალისია (ნალებს ნაპერწკლები სცვიოდაო. — ავტ.).

იმ დავითომ სახლის აშენება დაიწყო, ისეთი მაღალი იყო, მამაჩემს ამბავი ამოუტანეს ჩარგალში — ცას უპირობენ წვდენასაო. ვაჟამ ულვაშებში ჩაიცინა: მარჯვე გამოდგა ჩემ მოწონებულ სიძეო.

დავითოს ოჯახი ფუტკარივით გამრავლდა. ისეთ შვილიშვილები დაზარდა, მზეს რო ეტყვიან — შენ ჩადი და მე ამოვალო. ჩემი მამაბიძანი გავლა-გამოვლაზე იმ სახლში ათევდნენ ღამეს. ბაჩანა ათი წელიწადი ასწავლიდა მაღაროსკარში, სულ იქ ცხოვრობდა. მერე შიგ სკოლა გახსნეს (ბარისახოს ძველი სკოლა. — ავტ.)

ეგრე ცხვა, ცხვა, ობლის კვერი, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგი გამოცხვა...

***ეთერ თარიმანი***

უცნობი წერის მოთხრობები უკვე დაიბეჭდა ჩვენს რუბრიკაში. ამჯერად მის ესეებს გთავაზობთ, რომელთა მიზანია „კვირის პალიტრის" მკითხველმა მეტად გაითავისოს სახარებისეული სიბრძნე და ყოველდღიურ ცხოვრებაში წესად დაიმკვიდროს ოცსაუკუნოვანი მოძღვრება სიმდაბლისა და სინანულის შესახებ.

# უცნობი წერი
# ნათელღებულნი

*ვუძღვნი ნანას, სოფიას და მაკას*

## უზნეო „ღმერთები"

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობიდან სამოცდათ წელს, ტიტუს მხედართმთავრობით, რომაელებმა იერუსალიმი აიღეს, მის ტაძარში ზევსის ბომონი დადგეს. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, ზევსი წინასახეა ანტიქრისტესი.

საშინელი დევნის მიუხედავად, რომის იმპერიაში ქრისტიანობა სწრაფად ვრცელდებოდა. ვერც მასობრივად ცეცხლზე დაწვა, ვერც ცირკის არენაზე ველურ მხეცებთან შეგდება ვერ აშინებდა სამწყსოს ქრისტესაკენ სწრაფვას. დიდად სახელოვანი რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი საშინელ ედიქტს გამოსცემს: ყველა ქრისტიანი მოიძიონ და დახოცონ. ხოლო მათი ქონება მისცენ დამსმენებსა და მძებნელებს.

იმ დროის მოღვაწე ფილოსოფოსი ცელსი აქვეყნებს ნაშრომს: „ჭეშმარიტი სიტყვა" — გმობს სახარებას. ცდილობს იდეოლოგიით ებრძოლოს ქრისტიანობის გავრცელებას და მისი მიმდევრობა სამარცხვინოდ, უბირთა საქმედ შერაცხოს.

რომის იმპერია თავის „ღმერთებიანად" კარგავდა ძალაუფლებას. რა არ იღონეს, როგორ არ ეცადნენ უზნეო „ღმერთები", მაგრამ... „ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია (იოანე 1,5).

## ნათელღებულნი

ნათლობა არის საიდუმლო — ადამიანი იბადება მეორედ წყლისა და სულიწმიდისაგან.

როგორ შეიძლება ადამიანი დაიბადოს მეორედ? იგი იშვება დედის მუცლიდან და მოჰყვება პირველადი ცოდვა: „რამეთუ ესერა უჰშჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან" (ფს. 50,5). პირველადი ცოდვა არის მცნების, პირობის დარღვევა, რომელიც ღმერთმა დაუდო სამოთხეში ადამს: არ მიეღო ნაყოფი ხისაგან, ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა.

მცნების — მორჩილების დარღვევის გამო ადამიანი გამოიდევნა სამოთხიდან. სხეული სიკვდილს და ხრწნას დაემორჩილა. გარდაცვალების შემდეგაც არ არსებობდა ხსნა — სული ჯოჯოხეთში მიდიოდა.

ბიბლიის მთლიანობა იყოფა ორად, ძველ და ახალ აღთქმად. რას ნიშნავს ძველი აღთქმა? ძველი აღთქმის არსი მოლოდინია მესიისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა ადამის მოდგმას ცოდვით დაცემის შემდეგ — დამმარცხებელი სატანისა, გამომხსნელი კაცთა მოდგმისა ეშმაკის ტყვეობიდან. ძველი აღთქმა აღსრულდა, მოიწია ახალი აღთქმა, ოდეს სიტყვა ღვთისამ ხორცი შეისხა ყოვლადწმინდა მარიამისაგან, იშვა მესია — უფალი იესო ქრისტე — სრული კაცი და სრული ღმერთი. ჯვარცმითა და აღდგომით დაამარცხა სიკვდილი, შემუსრა ჯოჯოხეთი, დააარსა ეკლესია, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან. იდება ახალი აღთქმა, ახალი პირობა. ნათლისღება არის ამ ახალი აღთქმის მიღება, რის შემდეგაც ხდება ძველი აღთქმისეული პირველშეცოდების ჩამორეცხვა, განბანვა წყლით. ნათლისღების ფორმულაა: „ნათელს იღებს მონა ღვთისა (ანუ მხევალი) სახელითა მამისათა, ამინ. და ძისათა, ამინ. და სულისა წმიდისათა, ამინ. აწ და მარადის და უკუნისი უკუნისამდე. ამინ. ნათელღებული სულიწმიდის მადლით იმოსება და იშვება მეორედ, უკვე ქრისტიანი, სრულუფლებიანი წევრი ეკლესიისა.

ეკლესია არის უხილავი და ხილული. ხილული მებრძოლ ეკლესიას ეწოდება. უხილავი კი, მოზეიმეს — ზეციურს. ნათელღებული ხდება მებრძოლი ეკლესიის წევრი, რომლის მიზანიც არის მოზეიმე ეკლესიის წევრობა, ანუ ახალი იერუსალიმის მოქალაქეობა... და ეს გზა (ღვთისაგან ადამიანისთვის მინიჭებული ძალმოსილება ცათა სასუფევლის დამკვიდრებისა) მებრძოლი ეკლესიიდან მოზეიმეში გადასვლა არის ახალი აღთქმა, ახალი პირობა ღმერთსა და ადამიანს შორის.

„მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმა შეიმოსე ნათელი სამოსლად, მრავალ-მოწყალეო ქრისტე ღმერთო ჩუენო!"

**მეორედ მოსვლის შემდეგ ზეციურ (მოზეიმე) ეკლესიაში, ანუ ახალსა ქალაქსა იერუსალიმში, მზე და მთვარე აღარ იქნება. იქ თვით სიყვარული იქნება მზე. მისი ნათელი მოეფინება ქალაქს. წამი ან წუთი არ იქნება (მარადიულობასთან წამი ან წუთი რა მოსატანია), ღმერთის დიდებას რომ არ ჭვრეტდეს და არ ნეტარებდეს.**

## სიმონ ფარისეველი და მეძავი

*(ლუკა 7,36-50)*

გალილეის ერთ-ერთი ქალაქის წარჩინებულმა ფარისეველმა — სიმონმა მიიწვია იესო სახლში, „რათა ჰსჭამოს პური მის თანა". იესო იღებს მიწვევას, მიდის სტუმრად.

„და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა", ყველასათვის ცნობილი მეძავი. გაიგო რა იესოს სტუმრობა სიმონთან, აიღო ალაბასტრი ნელსაცხებლისა (ალაბასტრი იყო ჭურჭელი, რომელშიც ინახავდნენ სურნელოვან ზეთებს. იმ დროისათვის საკმაოდ ძვირი ღირდა), შევიდა სახლში, დაჰვარდა იესოსთან და იწყო ტირილი. ცრემლით უსველებდა ფეხებს, თმით უმშრალებდა, ჰსცხებდა ნელსაცხებელს.

ფარისეველი და მისი სტუმრები ქალის საქციელით გაოცებულნი არიან, განმკიცხავი თვალებით შეჰყურებენ. ქალის თვალები კი საოცრად დამდაბლებული (მეძავი მდიდარი იყო და ლამაზი) მარტო ღმერთკაც იესოს ხედავს, გულმხურვალე ცრემლით ევედრება ცოდვათა მიტევებას.

ამ ყოველივეს შემყურე, სიმონის გაცივებული გული ოდნავადაც არ გათბა, არ შეიძრა. პირიქით, ფარისეველთა ჩვეული ამპარტავნებით გულსა შინა განიკითხავს იესოს: „ესე უკეთუმცა იყო წინასწარ-მეტყველი, უწყოდიმცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილარს". უფალი გულთამხილველია, ხედავს კაცის ფიქრებს. მიუგო: „ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერხთა ჩემთა არ მეც; ხოლო ამან ცრემლითა დალტუნა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარჰხოცნა. ამბორისყოფა არა მომეც მე; ხოლო ესე, ვინათგან შემოვიდა, არა დაჰსცხრების ამბორის-ყოფითა ფერხთა ჩემთათა. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე; ხოლო ამან ნელსაცხებელი ჰსცხო ფერხთა ჩემთა". მაშინდელ ისრაელში წესი იყო: სტუმარს, მასპინძელი ან მისი მოსამსახურენი, ფეხებს ბანდნენ, თავზე ზეთს სცხებდნენ. ამპარტავნების გამო ადვილი მისახვედრია, თუ როგორ პატივს მიაგებდა სიმონ ფარისეველი იესოს.

ამპარტავნება სიძვასთან შედარებით მძიმე შეცოდებაა. მას მხოლოდ ძალუძს არსების მყისიერი გადაგვარება: ნათლიდან — ბნელად, სიკეთიდან — ბოროტებად, რაღა ბევრი ვსთქვათ, იგია პირველმიზეზი კოსმოლოგიური ჰარმონიის რღვევისა, რომელიც უცილობლად აღდგება ჩვენი უფლის მეორე მოსვლით.

სიძვა ხორციელია, ამ ვნების მოყვარულმა კარგად იცის, რომ მეძავია და სინანულის ცრემლიც ადვილად იპყრობს. „ჰრქუა დედაკაცსა მას, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; გუალე ვიდოდე მშვიდობით"



ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

## სამარიტელი დედაკაცი

*(იოანე 4,3-28)*

ასირიის მეფე სალმანსარმა — ისრაელის დამპყრობმა, წმინდა მიწაზე ბაბილონიდან წარმართები ჩაასახლა. დროთა განმავლობაში, ადგილობრივი, ებრაული მოსახლეობა და წარმართები ერთმანეთს შეერივნენ, სამარიელებად ჩამოყალიბდნენ. აღიარებდნენ მოსეს ხუთწიგნეულს, წინასწარმეტყველთა წიგნებს არ სცნობდნენ. იუდეველებს სძულდათ სამარიელები, მათთან საუბარიც კი დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

...ერთხელაც მოწაფეებთან ერთად დაუტევა იესომ ურისტანი და წარვიდა გალილეად. გზად სამარია უნდა გაევლოთ.

როდესაც მივიდნენ სამარიაში, იესომ, გზისა სვლისაგან დამაშვრალმა, ქალაქის მახლობლად, ჭასთან, შეისვენა. ხოლო მოწაფეები საზრდელის საყიდლად გაგზავნა.

„მოვიდა დედაკაცი სამარიით ვსებათ წყლისა, ჰრქუა მას იესო: მასუ მე წყალი".

„ვითარ შენ ურია ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან?" — ქალი გაოცებულია: იუდეველმა, რომელსაც სამარიელის შეხებაც კი ეკრძალებოდა, ჭურჭლიდან წყლის დალევა სთხოვა.

„უკეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისა, და ვინ არს, რომელიც გეტყვის შენ: მეც მე წყალი, რათა ვსუა, შენმც სთხოვო მას, დაგეცამცა წყალი ცხოველი". წყალი ცხოველი — რომელი არს რწმენა ღვთისა, მომნიჭებელი უკვდავებისა და სულიწმიდის მადლმოსილი, უბიწო, სიყვარულისა. დედაკაცს არ ესმის, ხორციელად ხედავს: ჭა ძალიან ღრმაა, მას კი ჭურჭელი არა აქვს.

„ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, ჰსწყუროდეს კუალადცა; ხოლო რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა ჰსწუროდეს უკუნისამდე".

„უფალო! მეც მე წყალი ესე".

„წარვედ და მოჰხადე ქმარსა შენსა".

„არა მივის ქმარი".

„კეთილად ჰსთქუ, ვითარმედ არა მივის ქმარი — რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ, რომელი გივის, არა არს ქმარი შენი". დედაკაცი ხვდება, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არ ესაუბრება. მას ხუთი ქმარი ჰყავდა, მეექვსე კი საყვარელია.

სიყვარული ორგვარია. არსებობს სიყვარული მიწიერი — „ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, ჰსწყუროდეს კუალადცა". მიწიერი სიყვარული წარმავალია, მოკვდავი — ადამიანის სხეული ბერდება და კვდება, ასევე ემორჩილება ხრწნილებას ხორცისმიერი სიყვარულიც, რამეთუ ვნება შაგრენის ტყავივით ნელ-ნელა ილევა, გალევის შემდეგ კი კვლავ გწყურია.

„რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა ჰსწყუროდეს უკუნისამდე" — სიყვარული მარადიული და უკვდავი, უბიწო სულიწმიდის მადლმოსილი სიყვარული.

„ჰრქუა მას დედაკაცმან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვიან ქრისტე: ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი".

„ჰრქუა მას იესო: მე ვარ, რომელი გეტყვი შენ".

...და იქმნა წყალი ცხოველით ნათელღებული სამარიტელი დედაკაცი. არღარა ჰსწყუროდა მას უკუნისამდე.

უფალო იესო ქრისტე! მასვი მეც წყალი ცხოველი.

## სიმდაბლე ძე კაცისა

ვნების შვიდეულის ხუთშაბათს, ჟამს საიდუმლო სერობისა, მივიდა იესო იერუსალიმში. მოუმზადეს მოციქულებმა ტრაპეზი პასექისა.

აღმოსავლური წესით ტრაპეზის წინ ხელფეხი უნდა დაებანათ. ფეხბანას სახლის პატრონის მოსამსახურე ან მონა ასრულებდა. საიდუმლო სერობისთვის მოციქულებს ოთახი დროებით ჰქონდათ ნაქირავები, ფეხის დამბანი არავინ იყო, მათ შორის რომელიმეს უნდა აეღო საკუთარ თავზე.

რამდენიმე დღის წინ გალილეადან იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე, მოციქულებს ცილობა ჰქონდათ ერთმანეთში: „ჩვენგან ვინმე უდიდეს იყოს?" საუბარი კამათში გადაიზარდა. ხოლო იესოს ვითარცა ესმა, ჰრქუა მათ: „რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაი იყოს ყოველთა მონა".

სიტუაცია მეორდება. მოციქულები ერთმანეთს შეჰყურებენ. ვინ არის მათ შორის უმცირესი (თავისუფალი ებრაელისათვის სხვისი ფეხბანა დამამცირებლად ითვლებოდა)? მაცხოვრის გარდა, ყველანი ფეხზე დგანან. იესო აღჰსდგა სერობისა მისგან, წელზე მოირტყა არდაგი „და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა". ბანს იუდასაც, რომელმაც წინა დღეს ოცდაათ ვერცხლად გაყიდა.

ჰოი! სიმდაბლე ძე კაცისა — სამების მეორე პირისა.

ადამიანები მესიას ელოდნენ, რომელიც, მათი წარმოდგენით, მეფის სასახლეში უნდა დაბადებულიყო. იესოსთვის კი ერთი ოთახიც არ აღმოჩნდა, ბაგაში ძროხებისა და ცხვრების სადგომში, სიღარიბეში იშვა. ასევე სიმდაბლით მიიღო სიკვდილი. რომის იმპერიაში ჯვარცმით სიკვდილს უმდაბლეს ფენას, ავაზაკებსა და მონებს უსჯიდნენ.

„რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს" (ლუკა 18,14).

რა უაზროდ მაღლობს დაცემული ადამიანის ბუნება!

ჰე უფალო! მომმადლე სული სიწმინდისა და სიმდაბლისა...

## რწმენა, იმედი და სიყვარული

„ხოლო არ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. სამი ესე: ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს" (კორ. 13.14).

„სამი ესე" ადამიანის ბუნების ღვთაებრივი განვითარების თვისებებია. რწმენა და იმედი ლუციფერსაც აქვს. ნათელზე გამარჯვების იმედი რომ არ ჰქონდეს, მის წინააღმდეგობას აზრი დაეკარგებოდა.

...მაგრამ არა აქვს მთავარი — სიყვარული. სარწმუნოების და სასოების გვირგვინი სიყვარულია, რამეთუ „ღმერთი სიყვარული არს".

მეორედ მოსვლის შემდეგ ზეციურ (მოზეიმე) ეკლესიაში, ანუ ახალსა ქალაქსა იერუსალიმში, მზე და მთვარე აღარ იქნება. იქ თვით სიყვარული იქნება მზე. მისი ნათელი მოეფინება ქალაქს. ვინც ღირსი გახდება მოზეიმე ეკლესიის წევრობისა, მისთვის სარწმუნოება და სასოება განქარდება, დარჩება ოდენ სიყვარული, რამეთუ შეიქმნება მხილველი უფლისა და დიდებისა მისისა. წამი ან წუთი არ იქნება (მარადიულობასთან წამი ან წუთი რა მოსატანია), ღმერთის დიდებას რომ არ ჭვრეტდეს და არ ნეტარებდეს.

უფალო! მომიხსენე სიყვარულის ქალაქსა შინა, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

„გევედრები და გაფუცებ, ძმანო პატიოსანნო, რომელნი იკითხვიდეთ წიგნს ამას, რათა შემინდოთ ცთომილებანი და სიმრუდენი, ვინაითგან ვითარცა კაცი, ცოდვილი ვარ და ვცდები, რამეთუ არავინ არს სრული, გარნა ღმერთი მხოლო" (წმ. ანთიმოზ ივერიელი).



# რომ ჩამეძინოს?..

საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ უპირველესად ხელოვნება და ხელოვანი ხალხი შეაბარბაცა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღირებულებები გაუფასურდა. ვინც სულიერ საუნჯეს ფლობდა, ისევ სულიერი დარჩა, ვინც სიკეთითა და სინაზით სავსე იყო, არ გაბოროტებულა, ვინც იცოდა „ვისი გორისა“ იყო, ისევ იცის... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გავიფიქრე, როდესაც ცნობილ მსახიობს — **კახი კავსაძეს** შევხვდი. თბილისში ყველას სმენია ბატონი კახის სულიერი ძალის, „ქირსა შიგან გამაგრების“ უნარის შესახებ. სწორედ შინაგანი სამყაროს დამსახურებაა, რომ მას არც ასაკი ეტყობა და არც დაღლა. კახი კავსაძემ გვიამბო:

— ხშირად მიხდება რუსეთში ჩასვლა. კაკ პოჟივაეტე? — მეკითხებიან კოლეგები თანაგრძნობით. კაკ ეტო, კაკ პოჟივაიუ. პოჩემუ ვი მენია ჟალეეტე? ნავერნოე ხუჟე მოსკვი, ნო ლუჩშე როსიი-მეთქი, ვპასუხობ.

ასეა, გავიდნენ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფლებში მოსკოველები და ნახონ, როგორ ცხოვრობენ „რასიელები“. ჩვეულებრივად ვცხოვრობთ ქართველები. ძალიან მაინტერესებს ერთი, როდის ვცხოვრობდით ძალიან კარგად. მე არ მახსოვს! მამა ჯარში წავიდა, მერე რეპრესირებული იყო. ჩვენ დედასთან ვცხოვრობდით. ძალიან გვიჭირდა, არასდროს არაფერი არ გვქონდა. მერე არტისტი გავხდი. არც მაშინ მქონია რამე... ერთადერთი ის იყო კარგი, რომ ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრება მიხაროდა.

**— ახლა არ გიხარიათ ცხოვრება?**

— ახლა? რა გითხრათ... ახლა მიხარია ჩემი ქვეყნის წარმატება, ჩემი შვილების, შვილიშვილების კარგად ყოფნა. ახალგაზრდობის დროინდელი სიხარული სულ სხვაა. ის იმედების, პერსპექტივების განცდა იყო. მაშინ მომავლით ვცხოვრობდი. ახლა დღევანდელი დღითა და წარსულით უფრო ვცხოვრობ, ვიდრე მომავლით. თანაც, ახლა აღარც ჯანი მომდევს, ამდენი დრო გავიდა. რაღაც-რაღაცებში დავრწმუნდი. მე რომ მეგონა, ისე არ ყოფილა ყველაფერი. როცა მომავალი წინ არის, იმედით ცხოვრობ. მერე გითავდება იმედის „საგზალი“, მერე მოთმინებაც გითავდება... ერთ წელიწადში 70 წლის ვხდები. ამ ასაკის კაცს რომ



კახი მუსას როლში

ვნახავდი, ვიფიქრებდი, რა ამბავია, რამდენი უცოცხლია-მეთქი. არადა ახლაც ზუსტად ისევე მინდა სიცოცხლე, როგორც ახალგაზრდობაში მინდოდა. ერთხელ აკაკი ვასაძე შემხვდა ქუჩაში. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, მეც მის თეატრში ვმუშაობდი (ხომ წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერებაა ჩემთვის, იმ სცენაზე რომ ვიდექი, სადაც აკაკი ვასაძე და აკაკი ხორავა თამაშობდნენ). ბატონმა აკაკიმ მკითხა: — რას შვრები, რას აკეთებო. ვუთხარი, — ახლა რეპეტიციაზე მივდივარ, მერე გადაღება მაქვს, მერე სპექტაკლი მაქვს, მერე კიდევ გადაღება მაქვს დილამდე... მიყურა, მიყურა და, — ყოჩაღ შენ, რომ უძლებ, მე ახლა ერთ საქმეს თუ გავუძლებ, თორემ ორი და სამი ერთად სად შემიძლიაო. გამიკვირდა, როგორ არ შეუძლია რეპეტიცია, სპექტაკლი და გადაღება ერთ დღეში-მეთქი. ახლა ვხვდები ყველაფერს. ჩვენ ხომ ასე ვცხოვრობთ. კაცი მაინცდამაინც ორმოში უნდა ჩავარდეს, რომ მიხვდეს, იქ ორმო ყოფილა. ახლა ჩემთვისაც შეუძლებელია ორი-სამი საქმის ერთად კეთება. წინაც ცოტა დამრჩენია — ჰა-ჰა, 5-6 წელი...

**— რას ბრძანებთ, ბატონო კახი, 30 წელიწადი მაინც კიდევ უნდა გაგვახაროთ.**

— არ მითხრათ ეგეთი რამ. ეს სამარცხვინო იქნება. არც ერთი ჩემი ძმაკაცი თუ აღარ იქნება ამქვეყნად, როგორ შეიძლება მე გამოვეკერო ცას?! დრო რომ დგება, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე. ეს კანონზომიერია. ისე კი სცენაზე თამაშის სურვილი არ ქრება. ერთხელ, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე შეხვდნენ ერთმანეთს. ხორავამ უთხრა: — კაცო, შენ კიდევ არტისტობო? დიახ, ვარტისტობ, სულ რომ აღარ არსებობდეს თეატრი, ფარდაგს დავაფენ მიწაზე და იმ ფარდაგზე „ვიარტისტებო“, — მიუგო ვასაძემ. ცხოვრება ისეთი რამაა, ზუსტად ვერაფერს იტყვი, რა როგორ იქნება. ისიც არ ვიცით, რეალურად რა ხდება. ზოგჯერ შემიძლია სიზმარი ისე განვიცადო, რომ დავფიქრდე, ეს რეალობა ხომ არ იყო-მეთქი...

**— ასეთი განცდა მას მერე გაგიჩნდათ, რაც არტისტი გახდით?**

— ყველა კაცი არტისტია, ყველა თავის როლს თამაშობს. ზოგი ცუდად, ზოგი კარგად, ზოგიც — გენიალურად. მე დაბადებიდან მქონდა იმისი შეგრძნება, რომ რეალური და ირეალური თანაარსებობს. მიყვარს ცხოველებზე დაკვირვება. აი, ისინი თამაშობენ თავის როლს ცხოვრებაში არაჩვეულებრივად. ლომი სწორუპოვარია ლომის როლში, ზოგი ადამიანი კი ადამიანის როლს ვერ თამაშობს.

**— მსახიობის პროფესია, ფაქტობრივად, შეწირვას მოითხოვს. ხომ არ გგონიათ, რომ რეპეტიცია, გადაღება, სპექტაკლი — ასე დატვირთული დღე არ გაძლევდათ შვილებთან ყოფნის საშუალებას?**

— ძალიან ვაკლდი ოჯახს. მაშინ მეგონა, სახელმწიფოებრივი საქმე იყო, სპექტაკლი რომ მქონდა. არტისტს ჰგონია, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო მისი, არამედ მის გარშემომყოფთა ცხოვრებაშიც. თუ ოჯახის წევრები ერთმანეთს ვერ უგებენ, ინგრევა კიდეც ოჯახი. ჩემს საყვარელ ადამიანებს იმის გამო მოვაკელი ყურადღება, რომ ხან გადაღებაზე ვიყავი, ხან — რეპეტიციაზე. ჩემს დანაკლისს ოჯახში მეუღლე ანაზღაურებდა... ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. ბელა რომ ცოცხალი ყოფილიყო, რა მიჭირდა... მაინც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიმძაფრდება მონატრება, ერთიანობის შეგრძნებაც კი. სხვანაირად აღარაფერს ექნებოდა მნიშვნელობა, არც საფლავს, არც ფოტოებს. ერთ ამბავს გიამბობთ: ცივი და ბნელი წლები რომ იყო, ნავთქურით ვთბებოდით. უეცრად გადაგვიყირავდა ნავთქურა, ნავთი დაიქცა და ცეცხლი მოეკიდა. დიდი ალი ავარდა. პირველი, რაც თავში მომივიდა, ბავშვების გადარჩენის ფიქრი იყო. როგორმე უნდა გამეყვანა შვილიშვილები სამშვიდობოს. მეორე ფიქრი იყო, რა გავიტანო?! ზამთარი იდგა, არც ტანსაცმელზე მიფიქრია, არც რაიმე ფასეულობაზე... სურათები უნდა გადავარჩინო-მეთქი. ეს არის წარსული, განვლილი ცხოვრება შენში კი რჩება, მაგრამ ფოტო გეხმარება წარსულთან კვლავ იქონიო კავშირი. ერთხელ, აფხაზეთიდან დევნილებმა გარდაცვლილის მოგონება გამოაქვეყნეს, ფოტო არ ჰქონდათ. ეს დიდი ტრაგედიაა. ერთ დღესაც შეიძლება დაფიქრდე: როგორი სახე ჰქონდათ ჩემს მშობლებს, ახლობლებსო. მეორე ტრაგედიაა უსაფლაობა. აი, მე მამაჩემის საფლავი არა მაქვს. 25 წლის რომ ვიყავი, მინდოდა ჩამომესვენებინა. ვიცოდი, სად გარდაიცვალა — გადასახლებაში, სვერდლოვსკთან, „სტანცია სოსვაში“. მითხრეს, ეჭვი არასოდეს მოგასვენებს, რომ შეიძლება მამაშენი კი არა, სხვა ჩამოასვენეო... გადავიფიქრე მერე. დღესაც გული მტკივა, რომ მამის საფლავი არ მაქვს...

**— ბევრს მოგზაურობთ, რამდენად გიჩნდებათ სამშობლოს მონატრების გრძნობა?**

— რუსთაველის თეატრი ადრეც ხომ დადიოდა გასტროლებზე. 1966 წლიდან ვმოგზაურობ. გამოვაცხადებდი ხოლმე დასის წევრებთან: „უცხოეთში ყოფნას ორი კვირა გავუძლებ. მეთხუთმეტე დღეს იუმორის გრძნობას ვკარგავ. დღეს მეთხუთმეტე დღეა და არ მეხუმროთ!“ ჩემს შვილთან და შვილიშვილებთან მივდივარ ხოლმე ამერიკაში, ჩემთვის ყველაზე ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. დედა მე არ მყავს, მამა და ცოლი. ისინი არიან ჩემთვის ყველაფერი. შვილიშვილებთან ვგრძნობ ყველაზე ლაღად თავს და იქაც კი ვიჭერ ჩემს თავს იმაში, რომ თბილისში მინდა დაბრუნება. ერთმა ემიგრანტმა მითხრა: — რა გინდა, კახი, იმ თბილისში, დარჩი აქ, ნახე, მე როგორ მომემართა ხელიო. არა-მეთქი. მერე ჩემთვის ვფიქრობდი, — რატომ არ ვრჩები ამერიკაში? ჩემი საუკეთესო ხალხი იქაც არის და აქაც დავტოვე. მაინც თბილისში არის ჰაერი, რომელიც მაცოცხლებს, აქ არის საქმე, რომელიც მიყვარს...



შვილიშვილებთან ირინასთან, ნატალიასთან და ერეკლესთან ერთად

**— სცენაზე ამერიკაშიც ხომ ითამაშეთ?**

— კი, ბატონო, ვითამაშე, მაგრამ მაინც იქ ვიყავი. მე კი თბილისში მინდოდა.

**— პაატა ციქურიშვილის თეატრს დიდი წარმატება აქვს ამერიკაში, „სტუმარ-მასპინძელიც“ კი დადგით. როგორ მიიღო იქაურმა მაყურებელმა ვაჟა-ფშაველა?**

— მგონი, უკეთაც კი მიიღეს, ვიდრე ქართველი მაყურებელი მიიღებდა. ვაჟა-ფშაველა ამბობს, რომ არსებობს კანონი (რომელიც კაცმა დაწერა), საზოგადოება და პიროვნება. კანონსა და საზოგადოებას შორის იჭყლიტება პიროვნების ღირსება. ღირსების ხელშეუხებლობა კი ამერიკელისათვის უფრო ახლობელია, ვიდრე ჩვენთვის. ისე გადაგივლიან საქართველოში, არც გაკითხვინებენ, რატომო.



პაატა ციქურიშვილი ჯოყოლას როლში

**— ამ სპექტაკლისთვის თქვენ ინგლისური ენაც კი ისწავლეთ, არა?**

— ინგლისური არ მისწავლია, მაგრამ ვისწავლე ის, რაც სცენაზე უნდა მეთქვა.

**— არ გაგიჭირდათ?**

— ძალიან ძნელი იყო. მთავარი ის არის, რომ ქართული კულტურა მივიტანეთ მაყურებლამდე ქართველებმა. აფიშაზე სულ ქართული გვარები იყო: პაატა ციქურიშვილი, ირინა ციქურიშვილი, ირაკლი კავსაძე, კახი კავსაძე, გოგი მესხიშვილი, გია ყანჩელი, ვატო კახიძე. „შერეკილები“ რომ დადგეს, დაემატა რეზო გაბრიაძე, ჯანო კახიძის მუსიკა. ვაშინგტონში უკვე იციან, ვინ არიან ქართველები. ამას წინათ პაატა ციქურიშვილის მამას უნდოდა ამერიკაში შვილის სანახავად წასვლა. როცა კონსულს უთხრა, — იქ ჩემი შვილია „სინეტიკ სიეთაშიო“, გაგიჟდა — თქვენ იმისი მამა ხართო?! ყველა იცნობს ამ თეატრს. ახლა ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ დადგეს. დღე და ღამე მუშაობდნენ. უნდოდათ, მეც მეთამაშა, მაგრამ მტკიცე უარი ვუთხარი: — თუ გინდათ, რომ საბოლოოდ სისხლი ჩამიქციოთ ტვინში, მაშინ მომეცით როლი-მეთქი. დიდი წარმატება ხვდათ წილად. დაიწერა კიდეც — პაატა ციქურიშვილი გენიოსიაო. ჩემს შვილზე ძალიან კარგი რეცენზია დაიწერა. ცოტა მერიდება, მე რომ ვიმეორებ: ირაკლი კავსაძე პილატეს როლის უბრწყინვალესი განმასახიერებელიაო.

**— ირაკლის არა აქვს „თხუთმეტი დღის შემდგომი“ მონატრების გრძნობა?**

— ის იმდენად გადავარდნილია თავის საქმეში, ბევრს არაფერს გამოხატავს. მინახავს მის თვალებში დიდი განცდა, მაგრამ ამაზე არც იმას უნდა ლაპარაკი, არც — მე. შვილიშვილი, რომელსაც ორ თვეში 11 წელი შეუსრულდება, ამბობს: — თბილისში მინდაო. აქეთ მოუწევს გული რძალსაც. ირაკლი ხმას არ იღებს, რადგან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო, — ფეხი დაჰკრა და წავიდა.

**— თქვენი თაობის ბევრი გამოჩენილი ქართველი უცხოეთში მოღვაწეობს. რაზე საუბრობთ, როცა იქ ერთმანეთს ხვდებით?**

— ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, როგორც ბიჭები, არა, უფრო მეტიც, როგორც „ბიჭუშკები“. მე და ვახტანგ მიქელაძე კლასელები ვიყავით. გია ყანჩელი ზუსტად ჩემხელაა,



კახი და ირაკლი

როგორც 55 წლის წინ ველაპარაკებოდით ერთმანეთს, ისევე ვლაპარაკობთ. მიხარია, რომ ქართველების ნიჭი და შრომა ასე ფასდება უცხოეთში... პაატა ციქურიშვილი ხომ ასაკით პატარაა, მის მეუღლეს თეატრალური ოსკარი „ელენ ჰეიზი“ აქვს სამჯერ მიღებული ქორეოგრაფიაში, ორი „ელენ ჰეიზი“ — პაატამაც მიიღო. განა საამაყო არ არის?

ციქურიშვილის თეატრი შემოწირულობებით არსებობს. ჩვენი შეწირულობა ის არის, რომ არც მე, არც გოგი მესხიშვილს, არც გია ყანჩელს, არც ვატო კახიძეს კაპიკი არ აგვიღია. ერთადერთი — გზის ფულს მინაზღაურებდნენ.

**— ბატონო კახი, თქვენ არაერთი საინტერესო შეხვედრა გქონიათ უცხოელებთანაც...**

— არასოდეს დამავიწყდება ელიზაბეტ ტეილორთან შეხვედრა. მაშინ „ლურჯ ფრინველს“ იღებდნენ. მასში ჯეინ ფონდაც მონაწილეობდა, ავა გარდნერიც. ლიფტში შევხვდით ერთმანეთს მე და ელიზაბეტ ტეილორი. ულამაზესი იყო, თანაც უბრალოდ ლამაზი ქალი კი არ ვნახე, ვიცოდი, ვინ იყო — ელიზაბეტ ტეილორი. ხელი ლოყაზე მოვუთათუნე და ქართულად ვუთხარი: — რა ლამაზი ხარ, შე ბოზო-მეთქი (ბოზი აღმოსავლურად ლამაზს ნიშნავს). ჩემთან ერთად იდგა ჯემალ გაგნიძე. ეს რა თქვიო, შეიცხადა და ხელები სახეზე აიფარა, — ეს რა უთხარიო?! ნუ გეშინია, ქართული არ იცის-მეთქი.

**— თქვენს ფილმებს ხშირად ნახულობთ?**

— არა, როგორ შეიძლება ჩემს თავს ვუყურო? თუკი შემთხვევით ვნახავ, ერთადერთი იმას ვფიქრობ, როგორი ახალგაზრდა ვიყავი-მეთქი. ისე, ამას წინათ ფილმი ვნახე — „მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო“, იქ ერთ ეპიზოდში საჭმელს ვჭამ. ეკრანზე ჭამა ურთულესი რამ არის. მომეწონა, კარგად ვასრულებ.

**— ბატონო კახი, როცა იღლებით, გული დასასვენებლად სად მიგიწევთ?**

— ზოოპარკში. თუკი უცხოეთში მოვხვდი, ყოველთვის ვცდილობ, ზოოპარკი მოვინახულო. ვაშინგტონშიც მოვკიდე ჩემს შვილიშვილს ხელი და ზოოპარკში წავედით. დიდხანს ვუყურებ ცხოველებს. ერთხელ ლონდონში, მაიმუნის გალიასთან შევჩერდი. იჯდა, ვითომ ჩაფიქრებული, ხელი თავზე ჰქონდა შემოდებული. ერთი ტყუილიც არ იყო მის გამოხედვაში. ისე ფიქრობდა, თითქოს სამყაროს მოწესრიგების გზას ეძებდა. ერთი საათი ვუყურებდი. ჩვენ შორის ორი ბარიერი იყო — მინა და ძალიან თხელი გისოსები. უცებ წამოხტა მაიმუნი და სადაც სახე მქონდა მიდებული, ისე მოახტა ფეხებით, როგორც ტყვია. თითქოს მეუბნებოდა, — წადი, მოშორდი აქედანო. მიყვარს ცხოველები, ისინი ხომ არასოდეს იტყუებიან.

**— ყველაზე მეტად რა გენატრებათ?**

— შვილიშვილები. ცოტა ხანში წავალ კიდეც სანახავად, ბაბუს მეძახიან... დასავლურად. აი, გივი ბერიკაშვილს პაპიკო, — ასე მიმართავენ... უფროსი შვილიშვილი 20 წლისაა. როცა რაღაც უნდა (მოგეხსენებათ, რა უნდათ ხოლმე 20 წლის შვილიშვილებს ბაბუისაგან), ბაბუს მეძახის, როცა არაფერი — კახის.

**— ამდენი ფრენა გიწევთ, არ გეშინიათ ჰაერში ყოფნის?**

— არა, არც მიფიქრია მაგაზე. ერთხელ მე და ბელამ ვიმგზავრეთ ერთად ლენინგრადიდან. რომ ჩავსხედით თვითმფრინავში, იმ წუთშივე ჩამეძინა. გამაღვიძა და მითხრა: არა გრცხვენია, კახი, ასე უსინდისოდ რომ დაიძინე, ხომ იცი, რომ მეშინია. ხათრით ცოტა ხანს მაინც ნუ დაიძინებო! მაშინ უცებ ვიძინებდი... ირაკლის სჭირდა ხოლმე ასეთი რამ, დადიოდა, დადიოდა ოთახში. დაისვენე, შვილო, დაწექი, — ვეტყოდი. არ წვებოდა: რომ დამეძინოსო! ბიჭო, უნდა დაგეძინოს-მეთქი... არა, არ უნდა დამეძინოსო... ახლა მე მჭირს მსგავსი რამ. ღამით დავდივარ, ვერ ვისვენებ. დაწექიო, მეტყვიან. რომ დამეძინოს?

დრო მეცოტავება, მეშინია, რამე არ გამომრჩეს. მირჩევნია, სკამზე ჩავთვლიმო 10-15 წუთი... მთავარია, არ ჩამეძინოს!..

***ლელა ჯიყაშვილი***

CMYK



1 იტალიის უდიდესი მდინარე
2 აპოლონისა და მუზების მთა
3 ასოების შემსწავ. წიგნი
4 ძვირფასი სახსოვარი
5 ქვის ფილა, რელიეფური გამოსახულებით
6 იტალიის ტელეკომპანია
7 სისხლის მწოველი მკურნალი



8 შესაფუთი მასალა
9 ველოდრომი
10 „ვაზ-2121“
11 3,14
12 საფარიკაო იარაღი
13 საჭადრაკო ფიგურა
14 ქალაქი გერმანიაში XVIII-ის უნივერსიტ.-ით
15 შხამიანი გომბეშო
16 კოცნა
17 ბუნებრივი წყალსაცავი
18 თვალის გუგა
19 ამურის შესატყვისი ბერძნულ მით-ში
20 დანიელი ფიზიკოსი
21 სასვენი ნიშანი
22 კარის „ალება“ სპორტში
23 მავნე მცენარე
24 მიმართვა მამაკაცისადმი გერმანიაში
25 3-4-წლიანი ცხენების შეჯიბრი
26 ცეცხლის ენა
27 ინფორმაციის ერთეული
28 მეტად ჯიუტი რამ
29 მსახიობი ფილმში „გლადიატორი“
30 სითხის გამოსავალი დროის ერთეულში
31 ინგლის. როკ-ჯგუფი „... ცეპელინი“
32 ინდოეთის განმანთავისუფ. მოძრაობის ბელადი
33 შვეიცარიის დედაქალაქი
34 მემკვიდრეობის მატარებ. ნაწილი



35 ერთუჯრედიანი ცხოველი
36 საწერი სითხე
37 ძველებ. ინგლისური ოქროს ფული
38 უდიდესი ნეტარება ბუდიზმში
39 ირანის ვალუტა
40 საკომუნიკაციო საშუალება
41 დიონისეს დღესასწაული
42 სპორტული განყოფილება
43 მდინარე სანქტ-პეტერბურგში
44 მიწის თხილი
45 ძველებ. ფრანგული ხურდა ფული
46 მოძრაობის მოქმედების სიჭარბე
47 აუცილებ. არჩევანი გამომრიცხ. შედეგებიდან
48 დასპირტული არომატი
49 რუსი ფერმწერი
50 სადილის შემდგომი ჩაროზი
51 მწვანილი
52 სიგნალი რინგზე
53 ახალი ზელანდიის ... ამერიკელი
54 ნოტი
55 რემარკი „... ცხოვრებისა, ... სიკვდილისა“
56 „... მარია“
57 კუზიანი ხარი
58 ქიმიური ელემ. ჩინ.
59 კორეული ავტომობ.
60 მდინარე საქართველ.
61 კუკურუზის შეყვარებ.
62 თივის ბაზარი



63 შოტლანდიელი ფილოსოფოსი
64 მაუგლის მეგობარი
65 ქრთუქული განმანათლებელი
66 პოპულარული მარგარინი



67 სისხლის „სპონსორი“
68 ჭადრაკ. ფიგურების განლ. გრაფიკული წარმოდგენა
69 ბინძური თავლით განთქმული მეფე

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. სიგარა; 2. სირია; 3. გორდა; 4. ანგინა; 5. ვი; 6. მირონოვი; 7. ყირგიზი; 8. ხანა; 9. ალოე; 10. არა; 11. ბეტა; 12. გული; 13. ტაპიორი; 14. საირმე; 15. ბრა; 16. იუმორი; 17. მორი; 18. ვეგა; 19. აგული; 20. ბე; 21. ლიე; 22. რაული; 23. ლალა; 24. ღები; 25. ბული; 26. აული; 27. რქა; 28. კარგო; 29. „არგო“; 30. გო; 31. ფრი; 32. ბზა; 33. ანი; 34. „დაისი“; 35. აისი; 36. სესია; 37. ირისი; 38. ბასი; 39. ინა, 40. ეტლი; 41. რაგბი; 42. ტროა; 43. ბანდერასი; 44. ცენტი; 45. ოტია; 46. საქსი; 47. რამსი; 48. ტია; 49. ბაია; 50. „მი“; 51. პოლ; 52. იო; 53. ნეონი; 54. ონი; 55. კამბალა; 56. ტაქტი; 57. ლაი; 58. ტაო; 59. კოლო; 60. ფრეიდი; 61. დაფნა; 62. რე; 63. სანდრა; 64. ფხა; 65. „მასანდრა“; 66. ახნი; 67. ფრე.

1. სიყვარული ბრმაა; 2. თავზეხელაღებული; 3. ვუნდერკინდის ოცნება; 4. მსოფლიო მოგზაური; 5. არის კონტაქტი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა რამაზ ალანიამ

# თქვენთვის

## მართლა ასეა საქმე, კაცებო?

ჩემს რესპონდენტს თითქოს ახალი და უჩვეულო არაფერი უთქვამს და მისი ცხოვრებაც საოცრად ჰგავს ათასობით ქალისას.

რას ვიზამთ!

მას შემდეგ, რაც უფალმა ადამის ნეკნისგან ქალი შექმნა, თითქოს დაკანონდა, რომ კაცი ძლიერია, ე. ი. მმართველი, ქალი კი — სუსტი, ანუ სამართავად ადვილი... სხვათა შორის, თითქმის მეოცე საუკუნის ბოლომდე იტანდნენ მორჩილად ქალები თავიანთი „ძლიერი ნახევრების“ ყველა გამოხდომას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მათაც გაუჩნდათ პრეტენზია „მჩაგვრელების“ მიმართ და ჯეროვანი ყურადღება, პატივისცემა და დაფასება მოითხოვეს მათგან. დღემდე კამათობენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები თუ ანალიტიკოსები — მაინც რა მოხდა და რა შეიცვალა, რატომ და როდის დაკარგა მამაკაცმა ის ავტორიტეტი, რომელიც ორთა ურთიერთობაში მის ერთპიროვნულ ლიდერობას განაპირობებდა...

ვფიქრობთ, ამის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებონ, რადგან მხოლოდ სუსტ კაცს გაექცევა ხელიდან ოჯახური თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვის სადავეები...

თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ ასეთ ფილოსოფიურ განწყობაზე 32 წლის მაკა ს-ძემ დამაყენა, რომელიც რედაქციაში გვესტუმრა და საკმაოდ პრეტენზიულად განგვიცხადა: თქვენ ხშირად წერთ მამაკაცებზე და ცდილობთ, ყველა მათ შეცდომას გამართლება მოუძებნოთ. არადა, არც ერთი მათგანი დანდობის ღირსი არაა, მით უმეტეს, არც შებრალებისო.



განრისხებულ ქალთან კამათს აზრი არ ჰქონდა და ამიტომ არ დამიწყია იმისი მტკიცება, ყველა კაცი ერთნაირი არა არის-მეთქი. სტუმარს ყავა შევთავაზე და მისი თავგადასავლის მოსასმენად გავემზადე...

— 18 წლისა ძალით გამათხოვა მამაჩემმა 14 წლით უფროს კაცზე — არა მაქვს შენი დევნისა და პატრონობის თავი, ჯობს პატრონს ჩაგაბაროო, გამომიცხადა ერთ დღეს. მუხლებში ჩავუვარდი და ცრემლად დავიღვარე, მაგრამ არაფერი გამივიდა. ჯაბა 32 წლის იყო, ერთად მუშაობდნენ და რადგან ფული და მოწყობილი სახლ-კარი ჰქონდა, ეს მიიჩნია ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისად...

ქორწილში თვალცრემლიანი ვიჯექი, რის გამოც პირველივე ღამეს მცემა ქმარმა, ალბათ შეყვარებულს მისტიროდიო. შეიძლებოდა ასეთი კაცი შემყვარებოდა?! — ზიზღით ამევსო სული...

მამაჩემი მიხვდა, რაც ხდებოდა ჩემს თავს და მკაცრად გამაფრთხილა: არც იოცნებო შინ დაბრუნებაზე, განათხოვარ ქალს შინ არ დაგისვამო!..

ჯოჯოხეთური ორი წელი გავატარე ქმართან, რომელმაც ინსტიტუტიც მიმატოვებინა — რა ვიცი, იქ ვის ხვდები და რას სჩადიხარო?!

კიდევ კარგი, არ დავფეხმძიმდი, თორემ საძულველი კაცის შვილიც შემძულდებოდა ალბათ... არც ცემა დამკლებია და არც ლანძღვა ამ ხნის განმავლობაში. მემუქრებოდა, — თუ ჩემი არ იქნები, ისე დაგასახიჩრებ, არც სხვას ენდომებიო.

ერთ დღეს მივხვდი, თუ თავს არ ვუშველიდი, დავიღუპებოდი... ვაღიარებ, გავქურდე ჯაბა, საკმაოდ დიდი თანხა წამოვიღე და ჩემს თანაკლასელს ვთხოვე თავშესაფარი სხვა ქალაქში...

**— ძებნა არ დაგიწყეს?!.**

— როგორ არა და მალევე მიპოვეს კიდეც პოლიციის დახმარებით, მაგრამ ჩემმა მეგობარმა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, დამაკვალიანა, სასამართლოში სარჩელი შემატანინა მამისა და ქმრის წინააღმდეგ და მომაგებინა კიდეც პროცესი. ამის შემდეგ მამაჩემი ინფარქტით გარდაიცვალა. ჩემი უმცროსი დებიც გადაურჩნენ ჩემს ხვედრს, სიყვარულით დათხოვდნენ და დღეს ბედნიერები არიან...

**— თქვენ?!**

— მე ბედნიერება ვერსად ვიპოვე და სწორედ ამან მომიყვანა თქვენამდე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დამკვიდრება ძალიან გამიჭირდა, მაინც ჩემი გავიტანე — ინსტიტუტშიც აღვიდგინე თავი, დღე ვსწავლობდი, ღამით კი ერთ-ერთი რესტორნის სამზარეულოში ჭურჭელს ვრეცხავდი. ბავშვებსაც ვამეცადინებდი მათემატიკაში, ოჯახებში დავდიოდი. ნელ-ნელა ფული მოვაგროვე — ბინა ჯერ დავიგირავე, მერე ერთოთახიანის ყიდვა და გარემონტებაც შევძელი. ეკონომისტი ვარ და სამი წლის წინ ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში დავიწყე მუშაობა. თანამშრომლებს უკვირდათ — ახალგაზრდა ქალი ვიყავი, მაგრამ კარჩაკეტილად ვცხოვრობდი. არ ვსვამდი, არ ვეწეოდი, არც საყვარელი მყავდა და ამიტომ „მონაზონი“ შემარქვეს. მამაკაცებს მოვწონდი, მაგრამ ხომ გაგიგიათ — რძით დამწვარი წყალს სულს უბერავდაო? იმდენად დამიმახინჯა სული ჯაბასთან გატარებულმა ორმა წელიწადმა, ძალადობას ველარ ავიტანდი...

გურამი ორი წლის წინ მოვიდა ფირმაში, ჩვენი შეფის მეგობარია და იმან ჩამოიყვანა მოსკოვიდან, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ცოლს დაშორებული იყო, მისი 7 წლის ბიჭი დედასთან იზრდებოდა...

სწორედ იმის გამო დავუახლოვდი გურამს, რომ ჩემსავით ოჯახდანგრეული იყო, მეგონა, უფრო გამიგებდა...

მალე ცოლობაც შემომთავაზა. გულახდილად ვუამბე ყველაფერი — ვუთხარი, რომ განათხოვარი ვიყავი...

რომ ვერ წარმოვიდგენდი, ისეთი მძაფრი რეაქცია ჰქონდა — თუ ასე იყო შენი საქმე, რა წმინდანს თამაშობდი, სხვისი ნათრევი ქალი ცოლად არ მჭირდება, მხოლოდ საყვარლად თუ დაგისვამო!.. არ დაურტყამს, თორემ სხვა არაფერი დაუკლია, არადა, რითი მჯობდა, განა თავადაც დანგრეული არ ჰქონდა ოჯახი? მე არაფერი ჩამიდენია ისეთი, თავი დამნაშავედ მეგრძნო... არა, კაცები არ არიან ერთგულებისა და პატივისცემის ღირსი...

ახლა გადავწყვიტე, ბავშვი გავაჩინო, თანაც ერთი კი არა, ორიც... თუ ჩემი არ მომეცემა, სხვისას ვიშვილებ და გავზრდი, მათ მოვუვლი და ვემსახურები. ეს აჯობებს, ვიდრე ისეთი უმადური კაცის სამსახურში ყოფნა, რომლის ფიქრით, ქალი ვალდებულია ბინძური საცვლები და წინდები ურეცხოს. თავად კი თუ დასჭირდა, კიდევაც დაამცირებს და კიდევაც უღალატებს!..

...მონუსხული ვუსმენდი მაკას, მთელი საკაცეთი უმადურ და ეგოისტ არსებებად დამიხატა. იმ წუთში თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ გათხოვება არ ვიფიქრე და „დაჩაგრულ ქალთა“ სიაში არ აღმოვჩნდი!..

მაკას წასვლის შემდეგ კი მოვეგე გონს და მამაკაცის ყურადღებით და სიყვარულით განებივრებული ბევრი ბედნიერი ქალიც გავიხსენე, მაგრამ ისიც ხომ რეალობაა, რაც მაკამ გვიამბო და საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტიც?!

***ინგა ჯაყელი***

## გვწერენ

## დიდი მადლობა ყველას...

*ალბათ, არანაირი დარდი არ უტოლდება დედის დარდს. როცა შვილს უჭირს, მაშინ დედისთვის არ არსებობს ნათელი დღე და სიხარული.*

*ეს წერილი საბერძნეთში მცხოვრებმა ლოლა სანთელაძემ გამოგვიგზავნა. იგი ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველია და „კვირის პალიტრას“ საქართველოს „წარმომადგენლად“ მიიჩნევს, ამიტომაც გადაწყვიტა, ჩვენთვის გაეზიარებინა დარდიც და სიხარულიც.*



...წერილის მოწერა გადამაწყვეტინა იმ უზარმაზარმა სიხარულმა, რომლის იმედიც გადაწურული მქონდა.

უკიდურესმა გაჭირვებამ საქართველო (ქუთაისი) დამატოვებინა. კარგა ხანია, რაც საბერძნეთში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

მყავს ტყუპი ვაჟი. ახლა ისინი 29 წლისანი არიან. ერთს, გიორგის, დაბადებიდან აქვს ლიმფოსტაზის (სპილოს) დაავადება, რის გამოც მარჯვენა ქვედა კიდური იმხელა შეექნა, რომ მისი ტარება ბავშვმა ველარ შეძლო. იგი ძირითადად, უმოძრაოდ იყო.

მე და ჩემი მეუღლე პატიოსანი შრომით ოჯახს ვარჩენდით, არასოდეს შეგვიწუხებია სხვა. გიორგი 25 წლის რომ გახდა, მდგომარეობა ძალიან გაურთულდა. საზღვარგარეთ სასწრაფო მკურნალობა სჭირდებოდა. ჩემს ოჯახს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. ჩემი ცხოვრება გიორგის გამო მუდამ სევდიანი იყო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა შვილის სიცოცხლე სასწორზე დაიდო. ვისთან აღარ მივდიოდი, რომელ ორგანიზაციას არ მივმართე თხოვნით, — ეგებ რაიმე თანხით დამხმარებოდნენ. ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მესმოდა: — 10 თეთრითაც რომ დაგეხმაროთ, საშუალებაც არა გვაქვსო. არადა, იმ პერიოდში ჯანმრთელობის და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა: — ამა თუ იმ ავადმყოფისთვის ამდენი და ამდენი თანხა გადავრიცხეთო. გამოდის, რომ მხოლოდ ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად არ გამოიძებნა არანაირი საშუალება. ღამეებს ტირილში ვატარებდი. ბოლოს, იმდენად გავმწარდი, გადავწყვიტე საბერძნეთში წასვლა, რათა იქიდან დავხმარებოდი შვილს.

წავედი. გული დამძიმებული მქონდა — შევიძლებდი კი იმდენი ფულის თავმოყრას, გიორგისთვის საზღვარგარეთ ოპერაცია გამეკეთებინა? თან ხანგრძლივი მკურნალობაც იყო საჭირო. ნათქვამია, იმედი არ კვდებაო. მართლაც, მხსნელებად მომევლინენ ქართველი გოგონები — ჟანა და ნანა ჩაკვეტაძეები. ისინი იმხანად გერმანიაში სწავლობდნენ. მათი დახმარებით, გიორგის ბედით დაინტერესდნენ გერმანელი ექიმები, ორი გერმანელი კორესპონდენტი ჩავიდა ქუთაისში, გადაუღეს სურათი გიორგის, მის სახელზე გაიხსნა ანგარიში... გერმანიაში მკურ-



ნალობამ საოცარი შედეგი გამოიღო — გიორგი განიკურნა და 29 წლის ასაკში დაქორწინდა კიდეც. გიგზავნით ჩემი შვილის ფოტოებს ავადმყოფობის პერიოდში და განკურნების შემდეგ, ქორწინების დღეს გადაღებულს. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ვუთხრა ჩემს უცნობ რძალს (მე ჯერ კიდევ არ მინახავს იგი), თეა თურმანიძეს მადლობა იმისათვის, რომ ჩემს შვილს სიყვარული და სიხარული აჩუქა, მე კი — სიცოცხლე გამიხანგრძლივა.

მინდა მადლობა ვუთხრა საბერძნეთში ჩვენი საელჩოს ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით, ვლადიმერ გვასალიას...

დაბოლოს, ღმერთს ვთხოვ ყველა ავადმყოფის განკურნებას, ყველა ქართველს შესძლებოდეს თავის სიზმრადქცეულ სამშობლოში დაბრუნება.

„კვირის პალიტრას“ კიდევ ერთხელ მოვახსენებ ულრმეს მადლობას გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

***პატივისცემით***
***ლოლა სანთელაძე, ათენი***

## მამაკაცის იდეალი



მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქალის ხასიათის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მამაკაცზე ჯადოსავით მოქმედებს. ექსპერტების აზრით, იდეალური ქალია ის, ვინც:

— აშკარად არ გამოხატავს მამაკაცზე მბრძანებლობის სურვილს;

— ზომიერად ჭირვეულია;

— საყვარელი მამაკაცის სურვილებს ულაპარაკოდ ასრულებს;

— სექსუალურად თავისუფალია;

— კეკლუცია და მამაკაცის მოხიბვლა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ბევრ რამეში ცოლიანი და უცოლო მამაკაცების შეხედულებები განსხვავებულია.

ცოლიანები იდეალური ქალისთვის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევენ — შრომისმოყვარეობას, კარგ დიასახლისობას, გულისხმიერებას და ნაკლებად ახსენდებათ ქალის სილამაზე.

უცოლო მამაკაცი კი ყველაზე მეტად ყურადღებას აქცევს მანდილოსნის გარეგნობას, ქალურობას, ინდივიდუალიზმს.

## მოდაშია სამშვენისი



ამ სეზონში დიზაინერებმა მამაკაცის გარდერობში შეიტანეს ძვირფასი ქვები. მოდაშია: ბრილიანტით მოოჭვილი საათი, ბეჭედი (განსაკუთრებით საქორწინო), ყველანაირი ყელსაკიდი, ჯვარი, მანჟეტის საკინძი...

ეტიკეტის თანახმად, მიღებული არ არის, ქალმა ბრილიანტის სამკაული საღამოს 7 საათზე ადრე გაიკეთოს, მამაკაცისთვის კი ასეთი წესი დადგენილი არ არის — თუ სურს, დილიდანვე აბრდღვიალოს პატიოსანი თვლებით მოკაზმული სამშვენისი.

თავმოყვარე მამაკაცი უქოლგოდ წარმოუდგენელიაო, — ბრძანეს მოდის მეტრებმა და კვლავ მოდაში შემოვიდა ქოლგა. ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში ქოლგის ტარება მეფეთა უპირატესობა გახლდათ. მათი ეს საჩრდილობელი 2 კგ-ს იწონიდა და 1,2 მ სიგრძისა იყო. თანამედროვე ქოლგა თავისუფლად კი თავსდება ავტომობილის უკანა სავარძელზე, მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის შეუფერებელია.

ამ სეზონში მოდურია ვიწრო ჰალსტუხი, რომელიც ისე უნდა შეისკვნათ, რომ ტრადიციულად შარვლის ქამარს კი არ ფარავდეს, არამედ ქამრამდე კარგა მაღლა იყოს.





თამუნა გ-ს ამბავი, ერთი შეხედვით, „სიყვარულის სამკუთხედზეა“ აგებული...

# ჯიუტად ველოდები სიყვარულს...

— დედა პატარაობიდანვე დამოუკიდებლობას მაჩვევდა. თითქოს წინდაწინ გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, — ჰყვება თამუნა, — მისი გარდაცვალების შემდეგ ბიძამ წამომიყვანა თბილისში, სკოლა აქ დავამთავრე, უმაღლეს სასწავლებელშიც იმ წელსვე ჩავაბარე. სტუდენტობაში ბევრი ბიჭი მეპრანჭებოდა, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი ცოდნის მიღება იყო... მუშაობა ეკონომისტად დავიწყე. ტრაბახად არ ჩამითვალოთ, მაგრამ უფროსობამ უმალ მომაქცია ყურადღება. დამაწინაურეს კიდეც. როცა თანამშრომლები გაიკრიფებოდნენ სამსახურიდან, მე ვრჩებოდი, გვიანობამდე ჩავკირკიტებდი ციფრებს, ვსწავლობდი კომპიუტერზე მუშაობას, საბუღალტრო საქმეს... ცოტა ხანში ერთ-ერთმა თანამშრომელმა, გოგონებისგან გათამამებულმა გიორგიმ, ჩემთან დაახლოება მოინდომა. ეგონა, მეც იოლად „დამიმეგობრდებოდა“, მაგრამ შორს დავიჭირე თავი. მერე ტაქტიკა შეცვალა, ჩემთან სიახლოვე საქმით შემოფარგლა — ბევრ რამეზე რჩევას მთხოვდა. უარს არ ვეუბნებოდი და მართლაც გულწრფელად ვცდილობდი, საქმეში გამერკვია... ასე თანდათან დავახლოვდით — ჩვენი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა.



თუკი მთელი დღის მანძილზე ვერ მოახერხებდა ჩემს ნახვას, საღამოს აუცილებლად შინ მომაკითხავდა პროდუქტებით დატვირთული — ერთად ვივახშმოთო, — მეტყოდა და მართლაც, საათობით შეგვეძლო ათას რამეზე გვესაუბრა. ვატყობდი, უჩემოდ ვეღარ ძლებდა და მართალი გითხრათ, მეც ვეღარ წარმომედგინა უმისობა. ხშირად უთქვამს: არც კი იცი, როგორ განსხვავდები სხვებისგანო, მერე თავზე ხელს გადამისვამდა... მისგან ისეთ პატივისცემას ვგრძნობდი, რომ მეც უფრო და უფრო კეთილად ვიმსჭვალებოდი მის მიმართ. ვენდობოდი, უკვე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ შორს არ იყო ის დღე, როცა ჩვენ ერთად ვიქნებოდით, შევქმნიდით ოჯახს.

მალე ახალი თანამშრომელი გამოჩნდა — ეკა, დირექტორის ნათესავი, მდიდარი ოჯახის შვილი, რომელიც სამსახურში გასართობად უფრო დადიოდა. ეს ნებიერი გოგო, როგორც შინ იყო მიჩვეული ჭირვეულობას, ასევე იქცეოდა სამსახურშიც. აშკარა იყო, რომ იგი ბარიერებს არ იყო მიჩვეული, რადგან ფულის მეშვეობით ყველაფერს იოლად აღწევდა.

...მწარედ მეცინება, როცა მაგონდება გიორგის მიერ ხმამაღლა გამოთქმული შეხედულებები სიყვარულზე, სულიერ ღირებულებებსა და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებზე. იგი ამბობდა: სიყვარული აუხსნელი ფენომენია, გიყვარს და მორჩა, — წმინდა გრძნობა კი ყოველთვის კარგისკენ გიბიძგებს და გაკეთილშობილებს, ფული არ არის მთავარი, არსებობს სხვა სულიერი ღირებულებებიო... მეც ასე მჯეროდა და ამიტომაც შემიყვარდა იგი...

ეკამ მოსვლისთანავე გიორგის დაადგა თვალი. პირველ ხანებში ვატყობდი, გიორგი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, როცა ჩემი თანდასწრებით ეკა დაუფარავად რაღაცებს სთხოვდა, ავალებდა, ის კი, დირექტორის ხათრით, უარს ვერ ეუბნებოდა.

თბილი და ალერსიანი იყო გიორგი ჩემ მიმართ, დიდ პატივს მცემდა და ყურადღებას არ მაკლებდა... მაინც იმდენი ქნა ეკამ, რომ ნელ-ნელა ჩამომაშორა. ბოლოს ვატყობდი, შემთხვევით ჩემთან მარტო დარჩენასაც კი გაურბოდა, თითქოს ეშინოდა, ეკას ერთად არ დავენახეთ.

საშინლად დამწყდა გული, ხელი ჩავიქნიე და ბედს მივენდე — რაც მოსახდენია, მაინც მოხდება-მეთქი. მეგობრები მეჩხუბებოდნენ: არ შეიძლება ასე მშვიდად იყო, როდესაც საყვარელ ადამიანს ცხვირწინ გაცლიანო, მაგრამ არ გამოვდგებოდი „მებრძოლ ქალად“. რისთვის ან ვისთვის მებრძოლა — კაცისათვის, რომელმაც „უკეთესი“ და „სარფიანი“ საპატარძლო აირჩია? ძალიან ვწუხდი, მაგრამ გულს ვერეოდი და არაფერს ვიმჩნევდი.

მერე მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. გიორგი დარცხვენილი „მომიბრუნდა“ — მივხვდი, ჩემი ყველაზე ძვირფასი ადამიანი შენ ხარო და მეც ვაპატიე. იმდენად მიყვარდა, როგორც კი თავის მართლება დააპირა, შევაჩერე და აღარ გავაგრძელებინე.

ისევ გაგრძელდა ლამაზი და ბედნიერი დღეები (თითქოს ცუდი არც ყოფილიყოს). ყველგან ერთად დავდიოდით და აღარც ვმალავდით ჩვენს ურთიერთობას... ორიოდე თვის შემდეგ, გიორგის ისევ დაეტყო ცვლილებები. ეკა არ ასვენებდა, ურეკავდა, სთხოვდა, მასთან მისულიყო ან სადღაც გაჰყოლოდა საქმეზე. ერთი სიტყვით, ყველანაირად ცდილობდა, ჩვენი ურთიერთობა ჩაეშალა... მიზანსაც მალე მიაღწია. თავისი ამბიციური გავლენით მოახერხა პატარა ჯგუფი გადაებირებინა და მიემხრო. რას მემართლებოდნენ, ან რას მერჩოდნენ, ახლაც მიკვირს. ხან რას გამაგონებდნენ გიორგიზე, ხან — რას. გიორგი ისევ განზე გადგა.

ჩემი ყოველი სამუშაო დღე ცრემლით იწყებოდა და მთავრდებოდა...

ალბათ მკითხავთ, ნუთუ სხვა სადარდელი და საზრუნავი არ გქონდა, რომ „არაფრისაგან“ ტრაგედიას ქმნიდიო? ეჰ, ჩემო კარგებო, როგორ არ მქონდა, მაგრამ მეგონა, გიორგისთან ერთად ყველაფერს იოლად გავუმკლავდებოდი. ის იყო ჩემი პირველი (და ალბათ უკანასკნელიც) სიყვარული, მის გვერდით საწუხარი მავიწყდებოდა...

ახლობლები კიდევ დიდხანს მეჩიჩინებოდნენ, — ნუ ხარ ხელჩაქნეული, ეცადე, დაიბრუნო სიყვარული, ხომ ხედავ „სხვა“ როგორ იბრძვის ბედნიერებისთვისო, მაგრამ არა, მე არ შემიძლია „ასეთი ხერხით“ ვიცხოვრო... ისინი კვლავ ერთად არიან, ღმერთმა კარგად ამყოფოთ, ჩემთვის კი ის ამაღლებული წარმოდგენა ნამდვილ გრძნობაზე სამუდამოდ დასამარდა.

ალბათ დედამიწის ზურგზე იშვიათია ადამიანი, რომელსაც შეუძლია სიმდიდრესა და კარიერაზე უარი თქვას სიყვარულის გამო...

ბევრი მთავაზობს სიყვარულს, მაგრამ გული დახურული მაქვს... არ მიჭირს, ახალი სამსახურიც მშვენიერი მაქვს, მაგრამ ოჯახის შექმნა მაინც ნაადრევად მიმაჩნია, რადგან არც ის დიდი ტკივილი გამნელებია. ყველა მამაკაცი ანგარებიანი მგონია... ეგებ კვლავ შემიყვარდეს ვინმე წესიერი, კეთილი ადამიანი და გულის კარნახით გავთხოვდე.

მეგობრები ჭკვიან, წინდახედულ ქალად მიმიჩნევენ. არ ვიცი, რამდენად ვიმსახურებ ამ „წოდებებს“, მაგრამ ვიცი, ქალი მხოლოდ ოჯახის შესაქმნელად არ უნდა გათხოვდეს... ვიცი, შვილი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ შვილმა უნდა დაინახოს, რომ მის დედ-მამას ერთმანეთი ძალიან უყვარს, თორემ ბავშვობიდანვე დაიჩაგრება, ნერვიული გახდება...

ამის მაგალითი ბევრია... ამდენი წელია, ჩემი მეგობარი ლამის „კბილებით“ ინარჩუნებს ოჯახს, მაგრამ ეს რის ფასად უჯდება, ღმერთმა იცის. ხშირად უთქვამს ჩემთვის: არ შეიძლება ქალს ყველაფერში გაუმართლოს. მე თითქმის ყველაფერში გამიმართლა, გარდა ქმრისა, მაგრამ რაღას ვიზამ? რამენაირად უნდა ავიტანო ბავშვების გამოო... და იტანს უძილო ღამეების, ცრემლის, დარდის და დიდი ნერვიულობის ფასად. მე კი მინდა ბედნიერება მეღირსოს. ერთხელ, ერთმა მამაკაცმა მრავალმნიშვნელოვნად მკითხა: რა არის შენთვის ბედნიერებაო? გამეღიმა — ძნელი ასახსნელია, სამწუხაროდ, მამაკაცები მაინც ვერ მიხვდებით-მეთქი. ახლა კი მის გასაგონად და სხვებისთვისაც ხმამაღლა ვამბობ: ბედნიერი ხარ, როცა უსაზღვროდ გიყვარს და მასაც უყვარხარ. როცა გრძნობ, რომ შენთვის ძვირფას მამაკაცს ყოველთვის ენატრები და უშენოდ ერთ დღესაც ვერ გაძლებს, როცა ერთგულია შენი და უხარია შენ გვერდით გატარებული ყოველი წუთი. ამ ურთიერთობაზე დაშენებული ოჯახი ყოველთვის მყარი და ლამაზია. ანგარებიანი არასოდეს ვყოფილვარ, არც მხოლოდ მოვალეობებითა და აუცილებლობით მიცხოვრია, ამიტომაც ჯიუტად ველოდები სიყვარულს, რომელიც შვილებთან ერთად, ბედნიერებასაც მაჩუქებს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რა უნდა „აპოლონის“ მოხიბვლას!

***თურმე რა ხერხებს არ ხმარობენ ქალბატონები სასურველი მამაკაცის ჯერ ყურადღების მისაქცევად, მერე კი მისი გულის მოსაგებად. სიტყვების, მანერების, ჟესტების ტერორში აქცევენ ძლიერი სქესის „საბრალო“ წარმომადგენელს და მანამ არ ეშვებიან, სანამ ხელში არ ჩაიგდებენ. როგორ ახერხებენ მიწიერი „ვენერები“ მიწიერ „აპოლონთა“ დამარცხებას?***

**ლიკა (38 წლის):** — „აპოლონი“ პირველად თურმე სამი წლისას შემიმჩნევია. მამიდაჩემი იგონებს ხოლმე, — ეზოში სასეირნოდ დამყავდი. გული სულ იქით გეწეოდა, სადაც ბიჭები თამაშობდნენ. მთხოვდი, მზესუმზირა მეყიდა შენთვის, მიხვიდოდი ბიჭებთან და ერთს აძლევდი მხოლოდ მზესუმზირას, მას უხაროდა, რის გამოც შენ მორცხვად ხრიდი თვალებს, გაგეცინებოდა და ჩემკენ მორბოდი ხოლმეო. მერე ასაკის მატებასთან ერთად „აპოლონის“ გულის მონადირების ხერხებიც იცვლებოდა. 12 წლისას ბავშვურად მიყვარდა ჩემი კლასელი. მას სიფრიფანა გოგონები ხიბლავდა. ვცდილობდი, სულ უსუსურის და ნაზის შთაბეჭდილება შემექმნა. ის შეწუხებული იყო ხოლმე ჩემი სევდით, არადა რა იცოდა, გულში რა მედო. ბოლო აპოლონი ჩემი ქმარია. ერთხელ კი მოვხიბლე ისე, რომ ცოლად შემირთო, მაგრამ ახლა ძალიან მიშლის ნერვებს.



**მეგი (28 წლის):** — ლამაზი თვალები, ანგელოსივით სახე და აფროდიტას სხეული სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შენი ოცნების მამაკაცი შეხედვისთანავე ლამაზი თვალების მახეში გააბა. იწყება ფარული ომი, როგორც კატასა და თაგვს შორის. ორივე, ქალიც და კაციც ერთდროულად კატაც არის და თაგვიც. ორივე ფიქრობს, ვერ დამიჭეროო, არადა თვითონაც „მეტოქის“ დასაჭერად ილტვიან. აი, მე მყავს ერთი „აპოლონი“, „დაცემა“ კაცია, მაგრამ ჯერ არც ის აპირებს „დანებებას“ და არც მე, რა ხრიკებს არ ვხმარობ, მაგრამ მაგარი „კერკეტი კაკალია“. ისეთი სისუსტე ვერ ვუპოვე, რითაც მხრებზე დავცემ. ზოგჯერ მგონია, რომ მაზოხისტია. აბა რა ვიფიქრო, ვიცი, რომ მასაც მოვწონვარ და მაინც ცდილობს ისე მოიქცეს, თითქოს ვერც კი მამჩნევს.

**ლიდა (68 წლის):** — დიდი შვილიშვილები მყავს. გოგონები, თანაც დათხოვდნენ კიდეც. ვიცი, ჩემი ქალიშვილის თაობა როგორ ეპრანჭებოდა ბიჭებს და შვილიშვილების თაობასაც კარგად ვიცნობ. დროსთან ერთად საერთოდ, ადამიანები იცვლებიან. ქალის და კაცის ინტერესებიც სხვაფერდება. ჩემი ახალგაზრდობის ხანა შემდგომი დროისაგან მკვეთრად განსხვავდება. ჩემი შვილიშვილი ლუკა 19 წლისაა, ერთი გოგო მოსწონს, მე სულაც არ მომდის ის გოგო თვალში, მაგრამ ლუკას აგიჟებს. ასე რით გხიბლავს-მეთქი და — სიგარეტს ლამაზად ეწევა, ჯდომა და სიარულიც „დაცემა“ იცის, მის ჩაცმაზე კი ტვინი მეკეტებაო. არადა, ერთი ქალაბიჭა გოგოა და სულ ჩაჩანჩურებული დადის. ასე მგონია, ან ჩემს ლუკას არ აქვს გემოვნება, ან მართლა დაკარგეს ესთეტიკური აღქმის უნარი ჩვენმა ბიჭებმა.

ჩემს ქმარს ჩემი საქციელი, მოკრძალებულობა, კდემა, ჩემი სიმღერა და ცეკვა ხიბლავდა. შენს ცეკვაზე ტანში ჟრუანტელი მივლიდა, შენ რომ „განდაგანას“ ცეკვავდი, ძალას ვკარგავდი და ტაშის დაკვრაც აღარ შემეძლოო. განა არ ვიცოდი? მას ვუცეკვავდი. ასე მოვინადირე მისი გული.

**მიკა (19 წლის):** — ახლა ამბობენ, ბიჭებს „იოლი“ ქალები უფრო ხიბლავთ, ვიდრე ის, ვინც ბევრს აწვალებსო. სულაც არ არის ასე. ერთი ბიჭია, ყველა გოგო გიჟდება მასზე, რას არ აკეთებენ მისი გულის მოსაგებად, მაგრამ ზედაც არ უყურებს არც ერთს. აი, ჩემი სინაზე და მის მიმართ უინტერესობა კი მის გულგრილობას სამარეს „უთხრის“. სამი წლის წინ ულამაზესი თაიგული გამომიგზავნა ბარათით, რომელშიც ეწერა — „ასეთი რამე ცხოვრებაში არ გამიკეთებია“. ჯერ სად არის, უარესს გააკეთებს ჩემთვის. მე ნამდვილი ქალი ვარ.

**ლედი (34 წლის):** — კაცებს უპრობლემო ქალები ხიბლავთ. მით უფრო „აპოლონებს“. თუ შენს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად არის, ე.ი. ნებისმიერი მამაკაციც შენი მორჩილი ხდება. მე ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით ამას, თუ გაითვალისწინებთ, არ წააგებთ, ოღონდ აუცილებელია, ძალიან თავდაჯერებული და გაწონასწორებული იყოთ, თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ „აპოლონებზე“ ფიქრს თავი დაანებეთ. ის ვენერას ელტვის და არა დედაკაცს. მე დღემდე ვეპრანჭები ჩემს ქმარს, ამიტომაც დღემდე განუმეორებელი და ერთადერთი ვარ მისთვის.

***ეკა ლომიძე***

**გამოხმაურება**

# სიყვარულს ღმერთი გვჩუქნის და ხელი არ უნდა ვკრათ

ცოტა დაგვიანებით მივიღეთ ჩვენი მკითხველის, ფსიქოლოგ მ.ნ.-ს წერილი, რომელიც ეხმაურება თამუნას („კვირის პალიტრა“ №21). შეგახსენებთ, რომ თამუნა რამდენჯერმე მოყვა ავტოავარიაში, რასაც იგი ბედისწერას უკავშირებს და მიაჩნია, რომ მისი და ზაზას სიყვარული არ არის გამართლებული.

ამ წერილის ავტორი თურმე ფსიქოლოგია და ვფიქრობთ, მისი რჩევა „სულზე მისწრება“ იქნება აფორიაქებული გოგონასათვის.

„...გამარჯობა, თამუნა! ამ წერილს გწერ 40-ს გადაცილებული ქალი, რომელმაც 20 წლის წინ საყვარელი ადამიანი დაკარგა რაღაც სისულელეების გამო.

შემდეგ ძალიან გვიან, ზუსტად ორი წლის თავზე, შევხვდით ერთმანეთს და მივხვდით, რა ტყუილუბრალოდ გავუშვით ბედნიერება ხელიდან...

შეყვარებულებმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინონ, უპირველესად კი პატივი სცენ თავიანთ გრძნობას.

ნამდვილ სიყვარულს ღმერთი გვაძლევს, ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ მას, თორემ ადრე თუ გვიან უსათუოდ დავისჯებით.

ახლა რაც შეეხება შემთხვევითობას და ავარიებს, რაც ასე ადარდებთ თამუნას და ზაზას. მათ აწუხებთ „დამნაშავის“ კომპლექსი. ამის გამო ზიანდება მათი ემოციური ველი. როცა ადამიანი არ არის მშვიდად და ნერვიულობს, იგი იზიდავს ტრაგედიებს, ავარიებს, მძიმე შემთხვევებსა და წარუმატებლობას.

თამუნამ და ზაზამ უნდა გააცნობიერონ, რომ ეს მათი ბრალი სულაც არ არის. აღარ უნდა ინერვიულონ. ამის შედეგად მათი ემოციებიც დამშვიდდება და აღარ მიიზიდავენ უარყოფით მოვლენებს“.



# ნიღაბი ხელებისათვის

დიასახლისებს ყოველდღიური სხვადასხვა საქმიანობისას საგრძნობლად უზიანდებათ ხელის კანი, იგი უხეშდება და ფერსაც იცვლის. 1 ლ მდუღარე წყალში ჩაყარეთ ერთი სადილის კოვზი საჭმელი სოდა, ცოტა რომ გაგრილდება, მასში ათიოდე წუთით ჩააწყვეთ ხელები, არ შეიმშრალოთ, აცალეთ ვიდრე თავისით არ გაშრება და წაისვით მკვებავი კრემი.

# მოდაშია ბიბლიური მაცდური



აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, წელს მაიმუნის წელიწადია. მაგრამ, ეტყობა, არა პარიზში, რადგანაც იუველირებმა და მოდის მესვეურებმა ამ ზაფხულს გველს დაადგეს თვალი.

ჩინეთში გველი სიბრძნის სიმბოლოა. შეიძლება პარიზელებიც ბიბლიურ მაცდურს ასე აღიქვამენ, მაგრამ მათთვის ის უპირველესად, ნეტარებისა და ცდუნების სიმბოლოა.

და სრიალებენ ცეცხლოვანი პითონები და ბრჭყვიალა კობრები ვიტრინებსა და დახლებზე გამოფენილი სამოსლის ჯიბეებზე, ქამრებზე, ფეხსაცმელებზე, ჩანთებზე. მოდის მიმდევართა ყურადღებას იპყრობს გველის ფორმის გულსაბნევები, სამაჯურები, ყელსაბამები.

სეზონის სენსაცია კი არის ალმასებით მოოჭვილი გველი, რომელიც გუჩის შავ კაბაში გამოწყობილ ქალს მთელ სხეულზე შემოხვევია.



# ინგა გრიგოლიას მზე „იმედში“ ამოვა

## „არ მინდოდა პოლიტიკური მოვლენების მიღმა დარჩენა“

**ინგა გრიგოლიას** „ტელეოდისეა“ გრძელდება. მოულოდნელ, იძულებით ხანგრძლივ შვებულებაში გასული პოპულარული წამყვანი ეთერში ბრუნდება. თუმცა, ორიოდე თვის წინ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, გრიგოლია ამჯერად „იმედის“ ეთერში გამოეცხადება მაყურებელს. ტელეკომპანია „მზიდან“ წამოსვლის შემდეგ სტაჟიანი ტელეწამყვანის საეთერო „მზე“ ამჯერად „იმედის“ არხიდან ამოვა. გადაწყვიტა ინგა გრიგოლიამ არხის შეცვლა და რის იმედს მისცემს მაყურებელს ახალი ტელეეთერიდან, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:

— **ინგა, მართლაც მოულოდნელია შენი „იმედზე“ გადასვლა. ამბობენ, გრიგოლია ძველმა მეგობარმა გიორგი თარგამაძემ გადაიბირაო.**

— მოულოდნელია არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ ჩემთვისაც. სულ რამდენიმე თვის წინ დაგპირდით, პირველ არხზე მიხილავთ სექტემბრიდან-მეთქი. ახალი გადაცემის გაკეთებას ვაპირებდი და უცებ სულ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. „იმედზე“ აღმოვჩნდი.

— **რამდენადაც ვიცი, პირველ არხზე შენთვის სასურველი პროექტის გაკეთება არ მოხერხდა.**

**ჟურნალისტი ობიექტური უნდა იყო და სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდე. თუმცა, შეიძლება, ზოგჯერ მეც გადამილახავს ეს საზღვრები. მე ისეთივე ობიექტური ვიქნები, როგორიც ვიყავი „მზეზე“ და „პირველ არხზე“ და არა მგონია, ვინმემ მითხრას, ენას კბილი დააჭირეო. ამის თქმა ჟურნალისტისთვის ცუდის ნიშანია.**

— შეიძლება ასეც ითქვას, თუმცა არ იფიქროთ, რომ სიტუაცია კონფლიქტური იყო. პირველი არხის ხელმძღვანელობას უბრალოდ სურდა აპოლიტიკური გადაცემა გამეკეთებინა, მე კი არ მინდოდა პოლიტიკური მოვლენების მიღმა დარჩენა. „იმედზე“ ორი პროექტით გავალ ეთერში. ერთი წმინდა პოლიტიკური ხასიათის იქნება, მეორე კი სხვა სფეროებსაც შეეხება. მე პოლიტიკური ჟურნალისტი ვარ და ჩემი ინტერესის საგანი სწორედ პოლიტიკაა. ამიტომაც ვთქვი უარი პირველი არხის პროექტზე. რაც შეეხება გიორგი თარგამაძესთან ძველ მეგობრობას, ეს სიმართლეა. ჩვენი მეგობრობა ჯერ კიდევ მისი დეპუტატობის დროიდან დაიწყო, მაშინ ჩემი რესპონდენტიც ხშირად ყოფილა. რაც შეეხება გადაბირებას, ეს მარტივად მოხდა „იმედის“ საინტერესო პროექტებით. ერთი მათგანი უმოკლეს ვადაში გავა ეთერში, კვირაში ერთხელ. ეს იქნება გადაცემა ქვეყნის პირველი პირების მონაწილეობით. მე და რესპონდენტი ვიქნებით ერთმანეთის პირისპირ. როგორც ჟურნალისტს, ძალიან ბევრი კითხვა დამიგროვდა ახალ ხელისუფლებასთან. ისინი რომ მოვიდნენ, მე მაშინ წავედი ეთერიდან. სექტემბრიდან ტელეეკრანზე იხილავთ აგრეთვე ჩემს საავტორო ტოქშოუს. ეს გადაცემაც კვირაში ერთხელ გავა. მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მაყურებელი და ამ მხრივ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „იმედის“ მაუწყებლობა მთელ საქართველოში ვრცელდება.

— **როცა „მზეზე“ „ღამის მზერა“ დაიხურა, გავრცელდა ჭორი, რომ ქვეყნის ახალ ხელისუფლებს არ მოეწონათ კრიტიკული ტონი და ტელევიზიის ხელმძღვანელობა აიძულეს გრიგოლია თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინათ. თუ ეს ასე იყო, „ტერორი“ პირველ არხზეც ხომ არ გაგრძელდა? იქნებ ვიღაცას არ სურდა შენი პოლიტიკასთან ურთიერთობა?**

— მართალია, ასეთი ჭორები დადიოდა, მაგრამ არ ვიცი რა ხდებოდა სინამდვილეში. როგორი უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ, როცა ჩემ ირგვლივ რაღაც ხდება, მიზეზებს არ ვეძებ. როგორც ჟურნალისტისთვის, ჩემთვის მნიშვნელოვანია სიახლე, თუ რაღაც არ გამომდის, სასწრაფოდ უნდა შევცვალო გეზი და შევძლო განვახორციელო ჩემი ინტერესები.

— **„მზეზე“ შენი დარჩენის**

**ჩემი დაქალი იჯდა „სილამაზის სალონში“ და უსმენდა, ერთი ქალი როგორ ეუბნებოდა მეორეს, გრიგოლიას მეორე შვილი ჰყავს, თანაც ნაშვილებიო. გადარეულა ეს ჩემი დაქალი. რას ამბობთ, ინგას მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი ჰყავსო. მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა, არაფერი გამოსვლია. ის ქალი ჯიუტად იძახდა თურმე — შენ მასწავლი, ინგას რამდენი შვილი ჰყავსო? გავოგნდი, საიდან მოაქვთ ასეთი ზღაპრები, არ მესმის.**

**შემთხვევაში ვინ წაიყვანდა გადაცემას „არჩევანის ზღვარზე“, შენ თუ ირაკლი იმნაიშვილი?**

— როგორც ვიცი, ეს იყო ირაკლის პროექტი და ალბათ ის წაიყვანდა. „არჩევანის ზღვარზე“ ირაკლის სტილშია გაკეთებული და ძალიან უხდებიან გადაცემა და წამყვანი ერთმანეთს.

— **რატომ არ ჩანდი „მზის“ იუბილეზე? შენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანე ამ ტელეკომპანიის წარმატებებში.**

— არ ვიცი, რად არ ვჩანდი. შეიძლება უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ „მზის“ შექმნა მგონი, პირდაპირ კავშირში იყო რამდენიმე ცნობილ სახესთან და მათ შორის ჩემთან. მეც გამიჩნდა ეგ შეკითხვა, თუმცა, არავისთვის დამისვამს იგი და სიამოვნებით ვუყურე „მზის“ საიუბილეო გადაცემას.

— **„იმედის“ მშვიდ ეთერში შენი რიხიანი ტონი ხომ არ შერბილდება ან ენაზე კბილის დაჭერა ხომ არ მოგიწევს ზოგჯერ?**

— არა, ეს არის ჩემი ბუნებრივი ტონი და რაც არ უნდა ვეცადო, რბილად მაინც არ გამომივა. „იმედს“ ალბათ არ გაუჩნდებოდა ჩემი მიწვევის სურვილი, ჩემი თვისებებიდან რომელიმე რომ აღიზიანებდეს. სტუდია, სადაც მუშაობა მომიწევს, უფრო მეტი რიხის გამოვლენის საშუალებას იძლევა, ვიდრე ჩემი ძველი სტუდიები. ტოქშოუში ემოცია და რიხი ბევრი იქნება. მაგრამ გადაცემაში, რომელიც სულ მალე გავა ეთერში, ალბათ ემოცია პრაქტიკულად არ იქნება. ჩემი აზრით, დღეს ყველაზე ობიექტური და ნეიტრალური ტელეკომპანიაა „იმედი“ და ვეთანხმები მის პოზიციას. როცა გყავს სრულიად ახალი ხელისუფლება და პოლიტიკური სიტუაციაც სრულიად ახალია, გაუმართლებელია როგორც მისი ლანძღვა, ისე (უკაცრავად) „შეტენვა“. ჟურნალისტი ობიექტური უნდა იყო და სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდე. თუმცა, შეიძლება, ზოგჯერ მეც გადამილახავს ეს საზღვრები. მე ისეთივე ობიექტური ვიქნები, როგორიც ვიყავი „მზეზე“ და „პირველ არხზე“ და არა მგონია, ვინმემ მითხრას, ენას კბილი დააჭირეო. ამის თქმა ჟურნალისტისთვის ცუდის ნიშანია.

— **რთო იყავი დაკავებული ეთერს მიღმა 5 თვის განმავლობაში?**

— ვფიქრობდი სამომავლო პერსპექტივებზე და ძალიან ბევრს ვკითხულობდი. თვითონაც მიკვირს, რომ ნახევარზე მეტ დროს სახლში ვატარებდი. ოთხი-ხუთი პროექტი მაქვს უკვე მომზადებული.

— **ინგა, შენი აზრით, ჟურნალისტს რა აჩლუნგებს?**

— პატივმოყვარეობა, იმის დაჯერება, რომ ძალიან მაგარია. თვითკრიტიკულობის განცდას დაკარგავ თუ არა, ჩლუნგდები.

— **როგორ ფიქრობ, მასმედიას როგორი ზაფხული გველის?**

— ძალიან სერიოზული და ცხელი. წინ სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი და ასევე შიდასაპარლამენტო, სამთავრობო ურთიერთობების განხილვა გველის. მიხარია, რომ ამ საინტერესო პერიოდში ეთერში ვიქნები.

— **ამ ბოლო დროს შენზე ბევრი ჭორი გაჩნდა...**

— მე გეტყვი ყველაზე მაგარს. ჩემი დაქალი იჯდა „სილამაზის სალონში“ და უსმენდა, ერთი ქალი როგორ ეუბნებოდა მეორეს, გრიგოლიას მეორე შვილი ჰყავს, თანაც ნაშვილებიო. გადარეულა ეს ჩემი დაქალი. რას ამბობთ, ინგას მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი ჰყავსო. მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა, არაფერი გამოსვლია. ის ქალი ჯიუტად იძახდა თურმე — შენ მასწავლი, ინგას რამდენი შვილი ჰყავსო? გავოგნდი, საიდან მოაქვთ ასეთი ზღაპრები, არ მესმის. საერთოდ რატომ ჭორაობენ, ეგეც არ მესმის, სულ ვფიქრობ, ნუთუ ამ ხალხს მეტი საქმე არა აქვს?

# „უცნობი“ „ზორო“ დაბერებას არ აპირებს

ყველაზე ნაცნობი „უცნობი“ კვლავაც „საბრძოლო“ ფორმაშია. იგი ამჯერად სიურპრიზებს აწყობს — მაყურებელს სიმღერებთან და კლიპებთან ერთად საკუთარ კომპიუტერულ სავიზიტო ბარათსაც სთავაზობს (დაწვრილებით ინტერვიუში შეიტყობთ). ამ ბოლო ხანს „ზოროს“ მოდერნიზებული შავი სამოსით მოსიარულე **გია გაჩეჩილაძეს** მაყურებელი მალე ახალ ამპლუაშიც იხილავს. მწერალ აკა მორჩილაძის რომანის „გასეირნება ყარაბაღში“ მიხედვით გადაღებულ ფილმში „უცნობი“ ერთ-ერთ თბილისელ ქუჩის ბიჭს ითამაშებს. თუ როგორ, ამას მალე შეაფასებთ ფილმის პრემიერის შემდეგ. ამჯერად კი გთავაზობთ ყველასათვის კარგად ნაცნობ „უცნობთან“ ინტერვიუს.



## „მე ვიქნები ბავშვური მოხუცი“

**სისუფთავე კარგია, მაგრამ დაგვა-დასუფთავება დანგრეულ თბილისს იერს ვერ შეუცვლის. უპრიანი იქნება, დასხდნენ „თავები“, ქალაქის განვითარების არქიტექტურული ბიზნესგეგმა შეადგინონ და დედაქალაქის სხეული მახინჯი წანაზარდების გაჩენისაგან გადაარჩინონ. ძალიან მიყვარს ძველი თბილისი, რომელიც სამწუხაროდ ინგრევა, არ შეიძლება დანგრეულ ადგილზე თანამედროვე დიზაინის შენობა ჩადგა. ააშენე ახალი, ოღონდ ძველი არქიტექტურული ანსამბლის შესაფერისი.**

— **ახალი მუსიკალური დისკების პრეზენტაცია გასაგებია, მაგრამ ეს კომპიუტერული სავიზიტო ბარათი რაღაა?**

— მეგობრებმა გამიკეთეს კომპიუტერული მიკროდისკი, სადაც ჩემ შესახებ ყველა ინფორმაციაა მოთავსებული, — რა მაინტერესებდა ბავშვობაში, რას ვაშავებდი, რითი ვთამაშობდი, როგორ ვსწავლობდი და ა.შ. ჩემი კლიპების ფრაგმენტების ჩათვლით, ყველაფერს იხილავთ ჩემ შესახებ ამ სავიზიტო ბარათზე. ასეთი კომპიუტერული „ავტობიოგრაფია“ საქართველოში სიახლეა. ჩემი აზრით, ყველას უნდა ჰქონდეს, — მაგარია, მისცემ კაცს ამ სავიზიტო ბარათს, ისიც დაჯდება კომპიუტერთან და უცებ გაგიცნობს.

— **თბილისში პრეზენტაციებს ფეშენებელურ სასტუმროებში, რესტორნებში ან ღამის კლუბებში მართავენ. შენ კი სავაჭრო ცენტრის მუსიკალურ მაღაზიაში მიიწვიე ხალხი. ახალი ტრადიციების დამკვიდრებას ცდილობ?**

— ვცდილობ, ხალხს შევთავაზო საინტერესო სიახლე. ძველი ბაზრის ადგილას ისინი ნახავენ საერთაშორისო სტანდარტებით გაკეთებულ სავაჭრო ცენტრს, თვალს გაახარებენ. კარგ გარემოში კარგი იდეა გაუჩნდებათ. რად გვინდა „მარიაჟი“ სასტუმროებში. მუსიკალური დისკების პრეზენტაცია მუსიკალურ მაღაზიაში უნდა მოეწყოს. სანტანამ ოთხსართულიან მუსიკალურ მაღაზიაში გამართა თავისი ახალი ალბომის პრეზენტაცია. მიხარია, როცა კარგი საქმე კეთდება და თბილისი მშვენდება.

— **ბოლო დროს მოდაში შემოვიდა თბილისის შაბათური დაგვა-დასუფთავება. შენც ხომ არ აპირებ მსგავს აქციას?**

— სისუფთავე კარგია, მაგრამ დაგვა-დასუფთავება დანგრეულ თბილისს იერს ვერ შეუცვლის. უპრიანი იქნება, დასხდნენ „თავები“, ქალაქის განვითარების არქიტექტურული ბიზნესგეგმა შეადგინონ და დედაქალაქის სხეული მახინჯი წანაზარდების გაჩენისაგან გადაარჩინონ. ძალიან მიყვარს ძველი თბილისი, რომელიც სამწუხაროდ ინგრევა, არ შეიძლება დანგრეულ ადგილზე თანამედროვე დიზაინის შენობა ჩადგა. ააშენე ახალი, ოღონდ ძველი არქიტექტურული ანსამბლის შესაფერისი. მოდერნიზებულის ასაშენებლად ტერიტორიები არ გვაქვს, თუ რა. ნუ დავამახინჯებთ თბილისს, რაღაცის ასაშენებლად ნუ გავავლებთ მუსრს ხეებს. შეიძლება მათი გაჩეხვის გარეშეც ვაშენოთ. დარგეთ ხეები. საჩრდილობელი დაუტოვეთ მომავალ თაობას. საგურამოში, ჩემს ეზოში, 70-მდე ცაცხვის ხე დავრგე. მათი მოვლა და ბალახის კრეჭა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— **სიბერე ხომ არ „შემოგეპარა?“**

— სიბერე რა შუაშია, მომწონს შრომა, ბუნებასთან სიახლოვე. რაღაცას რომ რგავ, ახარებ, სიცოცხლის ფასს მეტად ხვდები. ისე კი, რომ დავბერდები, ვფიქრობ, მაშინაც ახლოს ვიქნები ბავშვობასთან. მე ვიქნები ბავშვური მოხუცი, ანუ არ დავბერდები.

— **გია, საარჩევნოდ მუსიკალური კლიპების გადაღებას კიდევ აპირებ?**

— არასოდეს საგანგებოდ წინასაარჩევნო კამპანიისათვის არ გადამიღია კლიპი. როგორც საზოგადოებაზე, ჩემზეც ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკური სიტუაცია. მიჩნდებოდა იდეა, რომელსაც ჯერ სიმღერის, მერე კი კლიპის სახით ვახორციელებდი. ამით ინტერესდებოდა პოლიტიკური პარტია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ კლიპი საგანგებოდ არჩევნებისთვის შეიქმნა. ნამდვილად არ ყოფილა ასე. აქედან გამომდინარე, თუ ჩემი რომელიმე ახალი კლიპი მოეწონებათ პოლიტიკოსებს წინასაარჩევნოდ, შეიძლება იგი იქცეს პოლიტიკური თვალსაზრისის გამომხატველად. ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც გულიდან მომდიოდა და მხოლოდ ჩემი იყო. ასე გავაგრძელებ კვლავაც და თუ ვინმეს ჩემი გულისნადები კარგ საქმეში წაადგება, რა სჯობს. იცი, რა მინდა? როგორც ჩემს ერთ ლექსშია — „მე არ მინდა პირველობა და არც სამი მისი სკამი, ჭკვიანი ქართველი მინდა და ნანატრი ჟამი“

— **ახლოს არის ეგ დრო? მოდაშია „ისევ გომიების მარიაჟი და ისევ არაყი და ღვინო“... თუ?**

— მოდი, ასე გიპასუხებ: „თუ გინდათ ქვეყნის სითბო და მადლი, იპოვეთ ჩქარა თქვენ სწორი კადრი“... ახლა ერთობის და სიმართლის დროა.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*




CMYK

## ორშაბათი 14 ივნისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ (პარიზი) 15.20 ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) (გაგრძ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 „ევრო-2004“ (დანია-იტალია) 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.40 მხ. ფილმი „ინდოჩინეთი„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 ეგვიპტოლოგიის პიონერები 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „დორიანი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.15 მხ. ფილმი „დანდი მეტსახელად ნიანგი“ (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „მაშველები„ 17.25 პერეკრესტოკი 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „შვედეთი“-„ბულგარეთი“ 02.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი“. მთ. რ-ში: მელ გიბსონი, დენი გლოვერი. (U).

18.00 სერიალი „გრაფინია დე მონსორო“ 1-ლი ს. 18.55 მულტფილმი 20.10 დოკ. ფილმი 21.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „სამურაი„ (18)

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 11.20, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი“ 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.30 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები“ 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ მე-5 ს. 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 23.00 სპორტ. პროგრამა „გოლი“ 23.30 მხ. ფილმი „ჩემი მეგობრის ქალი“ (U)

09.00 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“ (U) (მილა იოვოვიჩი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.10 სერიალი „მერლინი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომალაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.50 სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება“ 22.45 „მზერა დღის ბოლოს“ 00.00 მხ. ფილმი „იაკუძა“ (ტაკეში შიიკე) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა“

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ -ს პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„ -ს პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.30 ჩემი თანატოლები 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი“ 21.30 ინდ. ფილმი „მე მხოლოდ სიყვარული მჭირდება“ 00.00 "РТР Планета„ -ს პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი„ (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მხ. ფილმი „შემოდგომა ნიუ-იორკში“ (რ. გირი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ [illegible]

08.30, 02.20 საინფორმაციო [illegible]

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 "Ералаш" 07.20 Приключенческий фильм "ЖЕЛЕЗНАЯ ВОЛЯ" 09.20 Служу Отчизне! 09.50 Следствие ведет Колобок 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым 11.30 Пока все дома 12.00 "Дачники" 13.10 Евгений Матвеев в фильме "СУДЬБА". Фильм 2-й 14.30 "КВН-2004". Высшая лига. Первый четвертьфинал 16.50 "Ералаш" 17.00 Брюс Уиллис в фильме "МАЛЫШ" 19.10 Остросюжетный боевик "СПЕЦНАЗ" 21.10 Телевизионная нац. премия в области популярной музыки-2004 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Швеции - сборная Болгарии 01.30 Бокс. Мэни Пакуао - Хуан Мануэль Маркес 02.40 "Миллион Аниты Цой"

## სამშაბათი 15 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 „ამბობენ“ (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 „ევრო-2004“ (ჩეხეთი-ლატვია) 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „ჯერი და ტომი„ (12)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ნითური„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.15 მხ. ფილმი „თეთრი გრიგალი“ (12) 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „გერმანია“ — „ნიდერლანდები“ 02.00 მხ. ფილმი „ცეცხლის ძალა“. მთ. რ-ში: მ. მაკონახი, (18).

18.00 სერიალი „გრაფინია დე მონსორო“ 18.55 დოკ. ფილმი 19.40 კონცერტი 21.40 მხ. ფილმი „ოლივერი„ (12)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები“ 11.05 „იმედითა შენითა“ 11.30 სპ. პროგრამა „გოლი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „ჩემი მეგობრის ქალი“ (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 ლარის მაზე 23.00 „ერთხელ ჰოლივუდში“ 23.30 მხ. ფილმი „დაუპატიჟებელი სტუმარი“ (ნ. კინსკი) (12)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „მახე“ (U) (შონ კონერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მერლინი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომალაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ქალზე ნადირობა„ (ალექსანდრე პოლი) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 „საქმე და ეკონომიკა“ 18.00 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 მუს. პაუზა 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარულით გატაცებულნი“

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ნიღაბი„ (ჯიმ კერი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მხ. ფილმი „მოგზაურობა ამერიკაში“ (ედი მერფი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ [illegible]

08.30 საინფორმაციო [illegible]

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Евгений Сидихин в фильме "ЛИЧНАЯ ЖИЗНЬ ОФИЦИАЛЬНЫХ ЛЮДЕЙ" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.05 Петр Вельяминов в фильме "В НАЧАЛЕ ИГРЫ" 14.50 "Осколки "Красного фонаря". Дело 2001 года. 2-я с. 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 16.10 Сериал "ЗОЛОТО ЮГРЫ". 1-я с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.30 Сериал "КЛОН" 20.40 "Стирка на миллион" 20.50 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Латвии - сборная Чехии. 22.50 Время 23.15 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 00.20 Премьера. Кремль-9. "Личная охрана Бориса Ельцина" 01.10 Премьера. "Я шагаю по Москве". Док. фильм 01.50 Футбол. Чемпионат Европы.

## ოთხშაბათი 16 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია“ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 „მუსიკალური არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 „ევრო-2004“ (საბერძნეთი-ესპანეთი) 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.20 ვიდეო „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.40 მხ. ფილმი „პიანისტი“ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი საყვარელი ოჯახი“ 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „ბაგრატიონი„(U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.15 მხ. ფილმი „მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ“(U). 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „რუსეთი“ — „პორტუგალია“ 02.00 მხ. ფილმი „ჩიხში“. მთ. რ-ში: ბენისიო დელ ტორო (18).

18.00 სერიალი „გრაფინია დე მონსორო“ 18.55 დოკ. ფილმი 19.50 კონცერტი 21.30 მხ. ფილმი „შიშის საფასური„ (15)

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 13.15, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 „X-კლუზივი„ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.35 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15 ქრონიკა 17.25 „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 „პირველი ნახევარი“ 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „წყვდიადი“ (ლ. ოლინა) (18) 01.35 არტ-ბულვარი

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „მუშკეტერი„ (U) (კეტრინ დენევი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „ჯეკი და ლოგიოს ხე“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომალაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი“ (ბილი ზეინი) (15)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ -ს პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 მხ. ფილმი 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „ვესტი“ 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მხ. ფილმი „ერთი ნახვით“ 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბორნის იდენტ[illegible]

08.30 საინფორმაციო [illegible]

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.30, 19.50 Сериал "Клон" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.10 Сериал "Транссибирский экспресс" 15.00 Сериал "Женщины в любви" 16.10 Сериал "Золото Югры". 2 с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Прогулки с чудовищами". Док. сериал 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алексей Гуськов в фильме "Раскаленная суббота". 1-я с. 22.00 Время 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная России - сборная Португалии.

## ხუთშაბათი 17 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მაესტრო კლასი“ 15.15 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45„ევრო-2004“ (ინგლისი — შვეცარია)23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 23.30 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 23.50 მხ. ფილმი „ათასი მილიარდი დოლარი„ (12)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა“ 21.40 ჩემი მშვენიერი ლედი 22.00 მხ. ფილმი „მამაჩემი გმირია„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი „როკი 4“ (12) 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „ხორვატია“-„საფრანგეთი“ 02.00 მხ. ფილმი „მისის დაუტფაიერი“. მთ. რ-ში: რობინ უილიამსი (15).

18.00 სერიალი „გრაფინია დე მონსორო“ 18.55 მულტფილმი 19.45 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი „მეომარი„ (18)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.15 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.45 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.25 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „რუმბა“ (მ. პიკოლი) (U)17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა“ 23.30 მხ. ფილმი „მომღერალი დეტექტივი“ (რ. დაუნი) (18)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „რობინზონ კრუზო“ (პირს ბროსნანი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „ჯეკი და ლოგიოს ხე“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომალაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ენჯელის გული“ (რობერტ დე ნირო) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„ -ს პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინარული 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета„ -ს პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მეთაური“ (კრის როკი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 [illegible]

08.30 საინფორმაციო [illegible]

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" 13.10 Татьяна Догилева в фильме [illegible] Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 16.10 Сериал "Золото Югры". 3 с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Прогулки с чудовищами". Док. сериал 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алексей Гуськов в фильме "РАСКАЛЕННАЯ СУББОТА". 2-я с. 22.00 Время 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Хорватии - сборная Франции. 01.40 "Сканер"

## პარასკევი 18 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „ღმერთები და დემონები“ მე-2ს. 15.15 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.55 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.20 „მუსიკალური არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 „ევრო-2004“ (ბულგარეთი — დანია) 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.20 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.40 კონცერტი - ჯაზ-ფესტივალი — „კრის ბოტი“ 01.55 მხ. ფილმი „სამიზნე„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. სერიალი „მოდი ვიცეკვოთ“ 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „პროზაკის თაობა„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი „კანადური ბეკონი“ (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „იტალია“ — „შვედეთი“ 02.00 მხ. ფილმი „არმაგედონი„. მთ. რ-ში: ბრიუს უილისი (18). 02.30 მხ. ფილმი „ბრძნეული“. მთ. რ-ში: მიხაილ ზებროვსკი (18).

18.00 სერიალი „გრაფინია დე მონსორო“ 18.55 მულტფილმი 20.10 დოკ. ფილმი 21.00 კონცერტი 22.20 მხ. ფილმი „მეწამული მდინარეები„ (18)

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 13.15, 17.20, 02.50 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ 11.30 საქმე № 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 02.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X -კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „პრაქტიკანტი ქალი“ (გ. პელტროუ) (U) 01.30 „NBA“-ს ჟურნალი

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 სერიალი „დორის დუკის იდუმალი ცხოვრება“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „სმოკინგი“ (ჯეკი ჩანი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „ჯეკი და ლოგიოს ხე“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომალაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგაი“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.50 სერიალი „კამელოტის ქალები“ 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „სტრიპტიზი“ (დემი მური) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.30 ინდ. ფილმი „სიყვარულის გამოცდა“ 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 „სცენის ოსტატები“ 21.00 „ვესტი“ 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო“ 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „იშვიათი სიმამაცე“ (ჯ. ჰეკმანი) (12) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მხ. ფილმი „ცხოვრების მტკიცებულება“ (მ. რაიანი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ცუდებს სძინავთ წყნარად“ (U)

08.30, 02.15 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 ფილმი-ზღაპარი „ჰენსელი და გრეტელი„ 10.30 მუსიკა 11.00 სათავგადასავლო ფილმი „განძი„ 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „უგროშოდ ბევერლი ჰილზში„ 14.25 მუსიკა 14.55 თრილერი „ჯაშუში ვარ„ 16.45 მულტფილმი „მულანი„ 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 18.50 კომედია „დები ბენგერები„ 21.00 დრამა „ბაჭიების გალია„ 23.00 წინაარჩევნო პროექტი „არჩევნებამდე„ 00.00 მხ. ფილმი „პელიკანების საქმე„ 02.35 სათავგადასავლო ფილმი „მოკვდი, ოღონდ ახლა არა„ 05.40 მუსიკა

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.10 Михаил Ульянов в эпопее "Великий полководец Георгий Жуков" 15.35 "Ералаш" 16.10 Сериал "Золото Югры". 4 с. Закл. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.30 Док. детектив. "Покушение". Дело 2004 года 20.00 Открытие XXVI Московского международного кинофестиваля 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Золотой граммофон" 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Италии - сборная Швеции.

## შაბათი 19 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 საქართველო არის ესე-ლეხურას ხეობა 12.15 „გაზაფხულის ზარები“ 14.05 სერიალი „ძვირფასი მარიანა“ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.25 დოკ. სერიალი „ცხოველთა სტრატეგია“ მე-2ს. 17.30 იმღერე რამე 18.00 „ვესტნიკი“ 18.30 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 18.40 ცაიტნოტი 20.45 „ევრო-2004“. (ლატვია — გერმანია). 22.55 ფორტუნა 23.30 „სალამოს საუბარი“ 00.30 „მუსიკალური არჩევნები“ 01.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 01.20 მხ. ფილმი „მამები“ (12)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „წითელი მზე„ (12)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი“ 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 „სიმფსონები“ 12.45 მხ. ფილმი „გამორჩეულ ჯენტლმენთა ლიგა“ (U) 15.15 მხ. ფილმი „ჯონ კიუ“ (U) 17.05 „დისკავერი“ 18.00, 04.00 კურიერი 18.20 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ 19.15 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები“ 21.00 კურიერი 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 სერიალი „საჰარის საიდუმლო„ 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „ნიდერლანდები“ — „ჩეხეთი“ 02.00 „ფსიქო“ — „სიყვარულის გაკვეთილები„. რეჟ. ბუ ვიდერბერგი (18).

18.00 მხ. ფილმი „მშვენიერი ემილი„ 19.35 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.20 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი „ცისფერი ანგელოზი„ (15)

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები„ 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები„ 10.30 დილის ფოსტა 11.00 „იმედითა შენითა“ 11.15, 16.50, 18.00, 02.40 იმედის მელოდიები 11.30, 01.50 ტვ-მარკეტი 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „პრაქტიკანტი ქალი“ (U) 17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 20.00 სერიალი „მართლმსაჯულების 18 გორგალი“ 22.00, 02.20 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „დორზი“ (18)

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები„ 10.00 მულტფილმი „ალადინი“ 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 12.30 მხ. ფილმი „ტაქსი“ (U) (სემი ნასერი) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 14.30 მხ. ფილმი „ადამიანი ბორტს მიღმა“ (U) (კურტ რასელი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 17.10 ვესტერნი მზეზე „ლარედოს ქუჩები“ 18.05 სერიალი „წყალდიდობა“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 მხ. ფილმი „პარიზელი ქალი“ (12) (ბრიჯიტ ბარდო) 23.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ექო„ (15) (ჯონათან კოი)

17.00 მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი

08.00 "РТР Планета„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00"РТР Планета„ პროგრამა 19.00 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 "РТР Планета„ პროგრამა 22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი“ 22.30 მკურნალობა „პირამიდით“ 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета„-ს პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ჰამლეტი“ (მ. გიბსონი) (U) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ (ბ. აფლეკი) (U) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ნამცეც ნამცეცე“ (ვუდი ალენი) (18)

08.30, 01.50 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სათავგადასავლო ფილმი „ზვიგენები-2„ 10.30 მუსიკა 11.00 კომედია „ოჯახური გეგმა„ 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 თრილერი „სისხლიანი სპორტი„ 14.15 მუსიკა 14.30 ისტორიული ფილმი „ელისაბედი„ 16.45 მულტფილმი „ციური ჯარისკაცები„ 18.05 მუსიკა 18.20 მელოდრამა „სიცოცხლე და მეტი არაფერი„ 21.00 კომედია „აგენტი ჯონი ინგლისში„ 22.25 მუსიკა 23.00 წინაარჩევნო პროექტი „არჩევნებამდე„ 00.00 მხ. ფილმი „გუვერნანტი„ 02.10, 05.25 მუსიკა 02.25 ისტორიული ფილმი „სპარტაკი„

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО" 07.50 Георгий Жженов в фильме "ТРЕТЬЯ РАКЕТА" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 "Возвращение домой. Владимир Спиваков. Санкт-Петербург" 12.10 Концерт с участием Ларисы Долиной, Филиппа Киркорова. 13.10 История с географией. "Братья по крови: Всеядные" 14.10 "Дог-шоу" 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.40 Умницы и умники 16.20 "Пестрая лента". Юрий Визбор 17.10 Рутгер Хауэр в боевике "СЛЕПАЯ ЯРОСТЬ" 18.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 19.10 "Ералаш" 19.30 Песня года. Лето 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 "Розыгрыш" 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Голландии - сборная Чехии.

## კვირა 20 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 02.35 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 10.00 დილის პაემანი 10.35 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ 11.30 სპა 12.15 „ფორმულა-1“ (19 ივნისის ვიდეოჩანაწერი) 14.00 სერიალი „სანდრა და მისი გუნდი“ 1-ლი ს. 15.20 ქართ. ფილმი „ღიმილის ბიჭები“ 17.00 დოკ. ფილმი "ორიენტირი„-ბალი, ინდოეთი 17.55 „მათი შვილები“ 18.30 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 18.40 იმღერე რამე 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 ჩემი მშვენიერი ლედი 21.00 მუს. ფილმი „ბობ მაკფერინი-48“ 22.00 ტვ-ლოტო 22.50 ამბობენ 23.35 „ევრო — 2004„ (ესპანეთი-პორტუგალია) 02.45 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“.

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 მხ. ფილმი „მოვდივართ და მოვიმღერით“ 20.50 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით“ 21.00 მრავალსახეობა 22.00 მხ. ფილმი „ტყუპისცალი“ (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი“ 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.05 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 „სიმფსონები“ 12.45 მხ. ფილმი „ქარიშხლიანი მაღლობები“ (12) 15.15 მხ. ფილმი „თორმეტი სკამი“ 1-2ს. (U) 18.00, 21.00, 04.10 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი„ 18.50 მხ. ფილმი „ლამაზმანი„. მთ. რ-ში: ჯულია რობერტსი (18). 21.45 60 წუთი 22.15 ჩვენი ეზო 22.45 სერიალი „საჰარის საიდუმლო„ 23.45 ევროპის ჩემპიონატი. „რუსეთი“-„საბერძნეთი“ 02.00 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „სიყვარული წესებით და წესების გარეშე„ 877 45-79-25 ჯეკ ნიკოლსონი, დაიან კიტონი (12), „ფრანგი მეკავშირე„ 877 45-79-26 ჯინ ჰეკმანი, როი შაიდერი (18), „21 გრამი“ 877 45-79-27 შონ პენი, ნაომი უოტსი (18).

18.00 მხ. ფილმი „თეთრი შოგა„ 19.55 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.10 მხ. ფილმი „სასწაული 34-ე ქუჩაზე„.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.35, 01.45 ქრონიკა 09.10, 02.05 იმედის მელოდიები 09.15, 01.15 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი "მეზღაპრე ფაიფერი„ 1-ლი ს. 10.00 ნბა-ს ჟურნალი 10.30 „დილის ფოსტა“ 11.00 მხ. ფილმი „დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში“ 12.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები“ 14.30 სპ. პროგრამა „ასი“ 15.15 „რეტროსკოპი„-„პაიზა„ (რეჟ. რ. როსელინი) (U)17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.00 ამხანაგური შეხვედრა რაგბიში: საქართველოს ეროვნული ნაკრები - „ბლუბულზი“ 20.00 სერიალი „გაუხსნელ საქმეთა განყოფილება“ 22.00 დროება 23.30 მხ. ფილმი „გოია ბორდოში„ (U).

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები„ 10.00 მულტფილმი „ალადინი ქურდების მეფე“ 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 მხ. ფილმი „ტაქსი 2“ (U) 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება „მზერა“ 14.30 მხ. ფილმი „ქეითი და ლეო“ (U) (მ. რაიანი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 17.10 ვესტერნი მზეზე „ლარედოს ქუჩები“ 18.05 სერიალი „წყალდიდობა“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 მხ. ფილმი „კორონადო“ (U) (კ. დატილი) 23.00 მხ. ფილმი „თავისუფალი ვარდნა“ (15) (ბ. ტორნტონი).

12.00 გადაცემა „შამარერა“ 13.00მუსიკა13.30საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 17.00 მუსიკა 19.00 ინდ. მხ. ფილმი „მამაცი“ 22.00 „ჯაზ-პარნასი“ 22.30 მუსიკა

08.00 "РТР Планета„ -ს პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15."РТР Планета„ პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00"РТР Планета„ პროგრამა 22.00 „იდენ-ტვ“ 22.30 მკურნალობა „პირამიდით“ 23.45 მუსიკა 00.00 "РТР Планета„ პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო„

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „წმინდანი“ (ველ კილმერი) (U) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „მგლებთან მოცეკვავე“ (კ. კოსტნერი) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „სამი ხელმწიფე“ (ჯ. კლუნი) (18)

08.30 საინფორმაციო გამოშვება 09.00 სათავგადასავლო ფილმი „რთული ბავშვი-2„ 10.30 მუსიკა 10.55 კომედია „არ გაუშვა მხედველობიდან„ 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 დრამა „ჭრიჭინა„ 14.30 მუსიკა 14.40 თრილერი „მერია„ 16.45 მულტფილმი „იმპერატორის თავგადასავალი„ 18.00 მუსიკა 18.25 მელოდრამა „შემოდგომის ლეგენდები„ 21.00 კომედია „სასიამოვნო წყვილი„ 23.00 წინაარჩევნო პროექტი „არჩევნებამდე„ 00.00 მხ. ფილმი „3000 მილი გრეისლენდამდე„ 02.05 დრამა „მკვდარ პოეტთა საზოგადოება„ 04.10 კომედია „სასწაულებრივი გარდასახვა„

07.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 "Ералаш" 07.20 Юрий Визбор в фильме "ИЮЛЬСКИЙ ДОЖДЬ" 09.20 Армейский магазин 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Угадай мелодию" 12.30 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы" 13.10 Николай Еременко в фильме "Я ОБЪЯВЛЯЮ ВАМ ВОЙНУ" 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.20 "Большие родители". Юрий Визбор 15.50 "Дачники" 16.50 Воскресный "Ералаш" 17.20 "Призвание". 19.00 Времена 19.50 Арнольд Шварценеггер в комедии "ДЖУНИОР" 22.00 Время 22.45 Спецрасследование. "Цветочная мафия" 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная России - сборная Греции.

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა“*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მაქვს ქრონიკული პროსტატა. რომ გავიკეთო ოპერაცია და ამოვიკვეთო პროსტატის ჯირკვალი, გამივლის თუ არა ის ნიშნები, რაც ამ დაავადებას ახასიათებს და იმოქმედებს თუ არა უარყოფითად რამეზე, მაგალითად, შვილოსნობის უნარზე.**

*ზ. მერებაშვილი*

ვიდრე პასუხს გაგცემდეთ, არ შეიძლება ერთ მტკივნეულ საკითხს არ შევეხოთ. დღეს ჩვენს მოსახლეობაში მეტად სამწუხარო ტენდენცია დამკვიდრდა — ადამიანები არა მხოლოდ თვითდიაგნოსტირებას და თვითმკურნალობას ეწევიან, არამედ თავად წყვეტენ, მკურნალობის რომელი მეთოდი (მედიკამენტური თუ ოპერაციული) იქნება მათთვის უფრო ეფექტიანი და ეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები ყოველთვის როდია დაკავშირებული ფინანსურ პრობლემებთან. საქმე ისაა, რომ ჩვენში წესად იქცა ჩარევა იმ საქმეში, რომელიც მხოლოდ ექიმის კომპეტენციაა და სხვა ვერავინ (ვერც მეზობელი, ვერც ნათესავი და მეგობარი) მოგცემთ თქვენთვის სასიკეთო რჩევას, რადგან ექიმი სამედიცინო გამოკვლევის პასუხებზე დაყრდნობით, გასინჯვისა და გამოკითხვის საფუძველზე ადგენს ზუსტ დიაგნოზს. ითვალისწინებს თქვენს ზოგად მდგომარეობას და გინიშნავთ იმას, რაც მხოლოდ თქვენს კონკრეტულ შემთხვევაშია მისაღები.

თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ ქრონიკული პროსტატა. პროსტატა არის მამაკაცის წინამდებარე ჯირკვალი და იგი ყველა მამაკაცს აქვს. ალბათ გინდოდათ გეთქვათ, რომ გაქვთ ქრონიკული პროსტატიტი (ჯირკვლის ანთება), რომელიც ხშირ შემთხვევაში კონსერვატიულ მკურნალობას ექვემდებარება. ოპერაციული ჩარევა კი, უპირატესად პროსტატის ადენომის (წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნის) დროსაა ნაჩვენები, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მედიკამენტური მკურნალობა შედეგს აღარ იძლევა და პაციენტის მდგომარეობა თანდათან რთულდება.

ასე, რომ, გაზეთის ფურცლიდან შეუძლებელია, გირჩიოთ, რა იქნება თქვენთვის უკეთესი, მაშინ, როცა ჩვენთვის უცნობია თქვენი კლინიკური მონაცემები. გირჩევთ, მიმართოთ კვალიფიციურ უროლოგს, მიენდოთ მას და გაითვალისწინოთ მისი ყველა მითითება და დანიშნულება.

**— ვარ 40 წლის ქალი. დიდი ხანია, თავზე, თმის ქვეშ, რამდენიმე ცხიმგროვა (ე.წ. „ჟირავიკი“) გამიჩნდა. თითქოს იზრდება კიდევაც. გთხოვთ, განმიმარტოთ მათი წარმოშობის მიზეზი. როგორ მკურნალობენ? არსებობს თუ არა მათი პროფილაქტიკის (თავიდან აცილების) რაიმე გზა?**

*ე.ე.*

— ლიპომა კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნია. მისი გამომწვევი მიზეზი და პროფილაქტიკის საშუალებები უცნობია. რაც შეეხება მკურნალობას, იგი ოპერაციულია, მაგრამ ეს რადიკალური ჩარევა მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი, თუ ლიპომა ადამიანს კოსმეტიკურ პრობლემებს უქმნის ან მეტისმეტად იზრდება. სასურველია, წარმონაქმნს ექიმმა დინამიკური მეთვალყურეობა გაუწიოს, რათა თავიდან ავიცილოთ მისი გადაგვარება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოვაშოროთ.

**— ჩემს 18 წლის ვაჟს სახეზე წითელმა ლაქებმა გამოაყარა. წვერს ვერ იპარსავს, რადგან გაპარსვის შემდეგ კანი უფრო ულიზიანდება. სიწითლე წვერშიც ჩანს, კანი ექერცლება და ექავება. რომელი მალამო შეიძლება იხმაროს და როგორ მოუაროს სახის კანს?**

*ქ. ლ.*

— ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას, დროულად მიმართეთ დერმატოლოგს (კანის ექიმს). შეიძლება, ეს ალერგიული დერმატიტი, სოკოვანი პათოლოგია ან რომელიმე სხვა დაავადება იყოს, მკურნალობის კურსი კი კანის სხვადასხვა დაავადების დროს სრულიად სხვადასხვაგვარი გახლავთ.

**— ვარ 42 წლის. 1 თვეა, მოსვენებულ მდგომარეობაში გულისცემა უეცრად მიხშირდება, თითქოს ყელში ბურთი მაწვება. გულისცემა ხან შემინელდება, ხან ისევ გახშირდება. პულსი — 50-47, ჰგავს ამოვარდნას. განსაკუთრებით — ძილის წინ ან ჯდომისას. ვერაფერს ვერ ვუკავშირებ. რა ვილონო?**

*ქარისა მ.*

— პულსის სიხშირე 50-47 წუთში ნიშნავს, რომ გულისცემა გახშირებული კი არა, შენელებული გაქვთ. მაჯისცემის ნორმალური სიხშირე წუთში 75-80-ია. ამოვარდნის შეგრძნება ალბათ ექსტრასისტოლებს (რიგგარეშე შეკუმშვებს) უკავშირდება. კარდიოგრამის ნახვისა და პაციენტის გასინჯვის გარეშე რაიმეს თქმა ძნელია. თქვენ გამოკვლევის ჩატარება და კარდიოლოგის კონსულტაცია დაგჭირდებათ.

**— ვარ 56 წლის მამაკაცი. ორ წელზე მეტია, მაწუხებს გავის ძვლისა და უკანა ტანის ტკივილი, რომელიც უსიამოვნოა, მაგრამ აუტანელი არ არის. გთხოვთ, მითხრათ, რა შეიძლება იყოს მიზეზი და როგორ ვიმკურნალო.**

*ვ. ნ.*

— ასეთი ჩივილები ყველაზე ხშირად ნახეთქს, ჰემოროის და სწორი ნაწლავის სხვა პათოლოგიებს ახასიათებს. სასურველია, პროქტოლოგის კონსულტაცია ჩაიტაროთ.

შეიძლება ვივარაუდოთ კიდევ ერთი პათოლოგია: გავა-კუდუსუნის სახსრის ანთებით-დისტროფიული ცვლილება.

## კარაბადინი

**ვეხმაურები „კვირის პალიტრის“ მკითხველს, რომელიც ითხოვდა ართრიტის სამკურნალო ხალხურ საშუალებას. ეს რეცეპტი ბებიაჩემის ჩანაწერებში ამოვიკითხე. ახლა მხოლოდ ამ წამალს ვიყენებ — აღარც ექიმი მჭირდება და აღარც ქიმიური პრეპარატები.**

**ართრიტის დროს უნდა მოამზადოთ ასეთი საცხი: აიღეთ 50გ ქაფური, 50გ მშრალი მდოგვის ფხვნილი, 100გ სპირტი და 100გ კვერცხის ცილა. სპირტში გახსენით ქაფური, შემდეგ მდოგვი. ცალკე ათქვიფეთ ცილა, შემდეგ ორივე ნაერთი აურიეთ. მიიღებთ თხიერ საცხს, რომელიც მტკივნეულ ადგილებში უნდა შეიზილოთ ღამით, დაძინებამდე. შეზელვისას სულ ნუ შეიშრობთ სითხეს — ხელი სველი უნდა დაგრჩეთ. შემდეგ საცხიანი ადგილი მშრალი პირსახოცით დაიზილეთ. ასე მოიქეცით რეგულარულად და აუცილებლად იგრძნობთ გაუმჯობესებას.**

*ლენა ჯაშიაშვილი*

**ექიმის კომენტარი:** რეცეპტში შემავალი კომპონენტებით ანთებითი კერის გარეგანი დაზელვის შედეგად მოხდება სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება სასახსრე და ირგვლივ მდებარე ქსოვილებში, რაც გააუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და დაზიანებული კერის აღდგენას შეუწყობს ხელს. თუმცა გირჩევთ, ართრიტის შემთხვევაში, აუცილებლად ჩაიტაროთ სათანადო გამოკვლევები დიაგნოზის დასაზუსტებლად, თუ ანთება ინფექციითაა გამოწვეული, მხოლოდ ადგილობრივი მკურნალობა, შედეგს არ მოგცემთ.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## უძილობისაგან თავის დასაღწევად



უძილობა თანამედროვე ცივილიზაციის ნამდვილი უბედურება გახდა. მას ყველა თავისებურად ებრძვის — ვიღაცას ძლიერი საძილე წამალი ურჩევნია, ზოგი ბალახებსაა მინდობილი. ჯანმრთელი ძილისთვის სპეციალისტები იღვწიან: იაპონიაში ძილის მომწესრიგებელი და დამამშვიდებელი მოწყობილობა გამოიგონეს. უძილობასთან დაკავშირებით ინგლისელმა მეცნიერებმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს: გასულ კვირას ბირმინჰემის ცაზე „მუსიკალური“ საჰაერო ბურთები გამოჩნდა. მათ კალათებზე უზარმაზარი ბაკებია მიმაგრებული, საიდანაც ისმის დამამშვიდებელი მუსიკა. „ზეციური ორკესტრი“, რომელიც ქალაქელებმა ბურთებად მონათლეს, გამთენიისას იწყებს დაკვრას, ხალხმა დილის ტკბილი ძილით რომ იძინოს და მშვიდად გამოიღვიძოს. თითოეული თავის მუსიკალურ თემას უკრავს, გაჟღერების შემდეგ ულამაზეს მუსიკალურ ჰარმონიად იქცევა (ე.წ. მუსიკალურ ლანდშაფტად), რომელიც ღია ოკეანეების ვეშაპების გადაძახილს ჰგავს. ეს აქცია პოპულარული ბრიტანული ფესტივალის ცოცხალი ხელოვნების ნაწილად იქცა.

ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის მსვლელობისას დაღლილმა ტელედიქტორმა თავი ვერ შეიკავა და დაამთქნარა. მეორე დღეს სტუდიაში უამრავი სატელეფონო ზარი გაისმა. რეკავდნენ უძილობით გატანჯული ადამიანები. როგორც გაირკვა, ეს „ტელემთქნარება“ დაეხმარა მათ, მშვიდად დაეძინათ იმ ღამეს. ახლა ეს ტელეკომპანია სპეციალურად ამთავრებს თავის პროგრამებს მთქნარებით რომელიც 5 წუთს გრძელდება. ტელემაყურებელი, განსაკუთრებით კი მოხუცები, უზომოდ კმაყოფილნი არიან!

*ნიუ ზუიქი*

## სიმღერა ამაგრებს იმუნიტეტს

ფრანკფურტის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიმღერა ამაგრებს იმუნურ სისტემას. მსგავსი განცხადების გაკეთების მიზეზი გახდა მომღერლების სისხლის ანალიზი.

ანალიზმა აჩვენა ისეთი დამცავი ნივთიერების არსებობა სისხლში, როგორებიც არის იმუნოგლობულინი და კორტიზოლი.

*ოჯი*

## თუ დეპრესიამ „შემოგვიტია“

**დეპრესიის დროს, გარდა ექიმის მიერ დანიშნული წამლებისა (სინთეტიკური, ანტიდეპრესანტები, ფსიქოსტიმულატორები, ტრანკვილიზატორები), რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერ გვშველის და უკუჩვენებებიც გააჩნია, შეიძლება თავად დაამზადოთ წამლები სამკურნალო მცენარეებისგან. მათ არც უკუჩვენებები აქვთ და არც ძალიან ძვირი დაგიჯდებათ. გთავაზობთ რეცეპტებს:**

**1.** 1 ს/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ ძიძოს დაასხით 1 ჩ/ჭ გაცივებული ანადუღარი წყალი, გააჩერეთ 4 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**2.** 1ს/კ გამხმარი ძაღლმაყვალას ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 20 წუთი, გაწურეთ და დაამატეთ იმდენი წყალი, რომ ჩაის ჭიქა ისევ შეივსოს. მიიღეთ 2 ს/კ ნახარში 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**3.** 2ს/კ ბაღის ქინძის ხმელი თესლი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ, მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**4.** 3 ჩ/კ ბარამბოს ფოთოლი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 5 წუთი, გაწურეთ და დალიეთ ჩაის მაგივრად.

**5.** რაც შეეხება კრაზანით დამზადებულ წამლებს, დაიხსომეთ, რომ ეს მცენარე მაღლა სწევს არტერიულ წნევას, ამიტომ ჰიპერტონიკებმა ის უნდა მიიღონ სხვა მცენარეებთან ერთად, გარდა ამისა, კრაზანა აძლიერებს თეთრი და ნაზი (წითური და ქერა) კანის მქონე ადამიანების მგრძნობელობას მზის სხივებისადმი.

**რეცეპტი პირველი:** 3 ს/კ გამხმარი, დაქუცმაცებული კრაზანა ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთი ადრე.

**რეცეპტი მეორე:** 100გ გამხმარ, დაქუცმაცებულ კრაზანას დაასხით 70%-იანი სპირტი. გააჩერეთ 2 კვირა, გაწურეთ და მიიღეთ 20-30 წვეთი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე, შეინახეთ გრილ ადგილას.



**რეცეპტი მესამე:** შეურიეთ ერთმანეთს 2 წილი კრაზანა, 1 წილი ბარამბო და 5 წილი კუნელი. დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 15 წუთი წყლის ორთქლზე. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**რეცეპტი მეოთხე:** შეურიეთ ერთმანეთს 50 გ დაქუცმაცებული კრაზანა, 25გ ბარამბოს ფოთოლი, 25გ წყალნაწყენი (ნემსიყუნწა) და 50 გ გრაკალას (ბრაწი, ჩინჩხი) ყვავილები, ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით მდუღარე, გააჩერეთ 15 წუთი, გაწურეთ და დალიეთ, როგორც ჩაი დღის განმავლობაში.

*ტაინაია ვლასტ №7*

## ასეთი გახლავთ კივი

**ვირუსებსა და ყოველგვარ სტრესს** შესანიშნავად უმკლავდება კივი. ამ ხილს სასწაულის ჩადენა შეუძლია: ხელს უწყობს ორგანიზმის გაძლიერებას, უნარჩუნებს მას ტონუსს ავადმყოფობის დროსაც კი.



კივი შეიცავს იმ ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს შემაერთებელი ქსოვილის გამაგრებას. ამიტომ, ნაღრძობისა ან დაჭიმულობის დროს მიირთვით რაც შეიძლება მეტი კივი.

**საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.** თუ ნოყიერი სადილის შემდეგ გულძმარვა გაწუხებთ, სიმძიმეს გრძნობთ კუჭში — მაშინვე დააყოლეთ კივი. ის განსაკუთრებული ფერმენტები, რომელსაც შეიცავს ნაყოფი, ასტიმულირებს საჭმლის მონელებას და ძალიან მალე ამარცხებს მსგავს უსიამოვნო შეგრძნებებს.

**კივი — კოსმეტოლოგი:** ყველასათვის არის ცნობილი, რომ ვიტამინები და ორგანული მჟავები, რომელსაც შეიცავს ეს ტროპიკული ხილი, ძალიან სასარგებლოა სახის კანისთვის. იგი არა მარტო მატონიზებელი საშუალებაა, არამედ სამკურნალო ეფექტიც აქვს: კანს ამკვრივებს და აახალგაზრდავებს, შესანიშნავად წმენდს კანს და ორგანიზმს, თანაც ავსებს ვიტამინებით.

**ენერგიის წყარო.** რაიმე ფიზიკური დატვირთვის წინ, მიირთვით თუნდაც ერთი ცალი კივი და იგრძნობთ ძალის მოზღვავებას. კივი თვალის დახამხამებაში ხსნის გადაღლას.

*მედიცინა*

## ყვითელკაბიანი მკურნალი

ბაბუაწვერა ღვიძლის მუშაობას აუმჯობესებს, ორგანიზმიდან ზედმეტ ნაღველს გამოდევნის.

**ნაღველმდენი** საშუალების დასამზადებლად: 1ჩ/კ გამხმარ დაქუცმაცებულ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 1,5ჭ მდუღარე, ადუღეთ 5 წთ ცეცხლზე, გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ჭამამდე 20 წთ-ით ადრე.

**ბაბუაწვერას მურაბა:** დაახლოებით 300 ყვავილი (უღეროოდ) ჩაყარეთ მდუღარე ვაჟინში (1კგ შაქარი 2ჩ/ჭ წყალი), ადუღეთ 20წთ, გადმოდგმამდე 2-3 წუთით ადრე ჩააწურეთ ნახევარი ლიმონი. გადმოდგით ცეცხლიდან, გააჩერეთ 1 დღე-ღამე, გაწურეთ მარლაში და ისევ წამოადუღეთ.

*ოტდოხნი! №22*

## ვინ როგორ იხსნის სტრესს...

ბამბუკის ღეროები ანეიტრალებს ნეგატიურ ენერგეტიკას. აღმოსავლური მედიცინის თანახმად, როცა უარყოფითი ენერგია ბამბუკის ღრუში გაივლის, ცვლის „მინუსის“ ნიშანს „პლუსზე“. მცენარე სასარგებლოა, როცა მას მოათავსებთ იატაკზე დასადგმელ ფართო ლარნაკში, ოთახის კუთხეში.

სპეციალისტები გვირჩევენ სტრესის დროს მოვუსმინოთ კლასიკურ მუსიკას, სადაც წამყვან პარტიას ფლეიტა „ასრულებს“. ამ საინტერესო თეორიას მხარს უჭერენ ხმის თერაპიის სპეციალისტებიც. ძველთაგანვე შემჩნეული იყო, რომ სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის ხმა სასიკეთოდ მოქმედებს შინაგან ორგანოებზე და ხელს უწყობს მათ ნორმალურ მუშაობას.

**ოტდოხნი! №21**

**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**



შეიძინეთ!!! 95 ლარად
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

**პირველად საქართველოში!**
**მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**




**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ.: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**რამდენად ხშირია მამაკაცით განპირობებული უშვილობა? რა არის ამის მიზეზი და როგორ მოვიქცეთ?**

*კ.კ.*



# მამაკაცთა უნაყოფობა

სტატისტიკური მონაცემებით, ყოველი მეათე წყვილი — უნაყოფოა. ისიც დადასტურდა, რომ უშვილობის მიზეზი ქალთა მხოლოდ 40%-ია, მამაკაცთა — 45%, ხოლო 15% — ორგანიზმთა შეუთავსებლობით და სხვა იშვიათი ფორმებით აიხსნება.

მამაკაცთა სასქესო უჯრედები — სპერმატოზოიდებია. სპერმატოზოიდი შედგება თავის, ყელისა და კუდისგან. სწორედ თავშია მოთავსებული ის გენეტიკური ინფორმაცია, რაც მამიდან შვილს გადაეცემა, ხოლო კუდის საშუალებით სპერმატოზოიდი მოძრაობს და კვერცხუჯრედამდე აღწევს.

სპერმატოზოიდებს გამოიმუშავებს სათესლეს დაკლაკნილი მილაკები, რომლებიც დაფარულია სპერმატოგენური ეპითელიუმით. ეს არხები გადადიან პირდაპირ არხში, სადაც ხდება სპერმატოზოიდის მომწიფება. პირდაპირი არხები გადადის დანამატში, სადაც სპერმატოზოიდი საბოლოოდ მომწიფდება და ქალის ორგანიზმში მოხვედრის უნარით აღიჭურვება. დანამატებიდან იწყება თესლის გამომტანი სადინარი, რომელიც გადის საზარდულის არხს და ჩაედინება სათესლე ბუშტუკებში; აქ ხდება სპერმატოზოიდების დაგროვება და მათი სეკრეტში შერევა. სეკრეტი შეიცავს, ძირითადად მკვებავ ნივთიერებებს, რომელიც ესაჭიროება სპერმატოზოიდს კვერცხუჯრედამდე მისაღწევად. აქედან სპერმატოზოიდი გაივლის წინამდებარე ჯირკვალს, სადაც ერევა მის სეკრეტში. სპერმატოზოიდების მკვებავი ნივთიერებისა და ქიმიური ნაერთების ნარევს ეწოდება სპერმა. თესლის გამომტანი სადინარები იხსნება შარდგამომყოფ არხში, რომლებშიც სპერმა ხვდება ეაკულაციის დროს.

არსებობს მამაკაცთა უნაყოფობის ორი ძირითადი ფორმა: სეკრეტორული და ობსტრუქციული.

*სეკრეტორული ფორმის* დროს დარღვეულია სათესლეს დაკლაკნილ მილაკებში სპერმატოზოიდების წარმოქმნა, ხოლო ობსტრუქციული ფორმის დროს ადგილი აქვს დაბრკოლებებს სპერმატოზოიდის გასავალ გზაზე.

*მამაკაცთა უნაყოფობის სეკრეტორული ფორმა:* ამ დროს სათესლეები ვერ გამოიმუშავებენ განაყოფიერებისთვის საჭირო სპერმატოზოიდების რაოდენობას; სპერმატოზოიდებს დარღვეული აქვს მოძრაობის უნარი, ან უმრავლესობას გააჩნია რაიმე დეფექტი.

ყველაზე გავრცელებულ დაავადებას, რომელიც იწვევს სპერმატოზოიდების წარმოქმნის დარღვევებს, მიეკუთვნება სათესლე ვენების ვარიკოზული გაგანიერება — ვარიკოცელე.

ამ დროს გაგანიერებული ვენები ვერ აწვდიან სათესლეს სისხლის საჭირო რაოდენობას, რის შედეგადაც ხორციელდება შეგუბება, სათესლის ქსოვილის სისხლით მომარაგების დარღვევა და მისი ფუნქციის დათრგუნვა. უმრავლეს შემთხვევაში ვარიკოცელე მარცხენამხრივია, მაგრამ დროთა განმავლობაში პროცესი ჯანმრთელ მხარეზეც გადადის. საბოლოოდ, სპერმატოზოიდების პროდუცირება საგრძნობლად მცირდება და ვითარდება უნაყოფობა.

ანალოგიურ შედეგებს იწვევს სათესლეს წყალმანკი და საზარდულის თიაქარი, ხოლო უფრო იშვიათად — კრიპტორხიზმი (სათესლის გაჩერება მუცლის ღრუსა და საზარდულის არეში) და ეპიდემური პაროტიტი (ყბაყურა).

სათესლეს ფუნქციაზე გავლენას ახდენს მაღალი ტემპერატურა. ეს ეხება საუნის და ცხელი შხაპის მოყვარულებსაც. ასეთი პროცედურების შემდეგ, უმჯობესია, გადაივლოთ ცივი წყალი. უარყოფით შედეგებს იწვევს აგრეთვე რეგულარული ვარჯიშები ველოსიპედით.

*დიაგნოსტიკა და მკურნალობა:* უშვილობის სეკრეტორული ფორმის დიაგნოსტირებისთვის საჭიროა შემდეგი გამოკვლევების ჩატარება: სპერმოგრაფია, სათესლეების ბიოფსია (ქსოვილების აღება გამოკვლევისთვის).

მკურნალობის მიზანია დაავადებების მიზეზის აღკვეთა, ანუ ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების გამოვლენა და მათი სპეციფიკური მკურნალობა. ამის შემდეგ ტარდება საერთო თერაპიის კურსი, რომელიც მიმართულია სათესლეს სპერმატოგენური ფუნქციის აღდგენისკენ. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავენ მასტიმულირებელ ჰორმონულ თერაპიასაც. უშვილობის ამ ფორმის მკურნალობა ხანგრძლივი და რთულია, მაგრამ არა — უიმედო.

*ობსტრუქციული ფორმა:* უშვილობის ამ სახეობას ახასიათებს სპერმატოზოიდების გადაადგილების შეზღუდვა ერთ ან ორივე მხარეს. გამტარებლობის ცალმხრივი დარღვევის დროს სპერმაში სპერმატოზოიდების რაოდენობა შემცირებულია, ხოლო ორმხრივის დროს — ისინი საერთოდ არ აღინიშნება.

უშვილობის ობსტრუქციული ფორმის დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება სპეციალური მეთოდები, რომელთა მიხედვითაც ისაზღვრება ობსტრუქციის ადგილი, მისი ზრდა და განფენილობა. ოპერაციული ჩარევის შედეგად ხდება გამტარებლობის აღდგენა.

*წყვილთა იმუნოლოგიური შეუთავსებლობა:* უშვილო წყვილთა 10%-ს არ აღენიშნება არც ერთი დაავადება, რომლებიც უშვილობას იწვევს. უფრო მეტიც, თითოეულ მათგანს შესაძლოა ჰყავდეს კიდეც შვილები სხვა პარტნიორისგან. უშვილობის მიზეზს ამ დროს ძირითადად, იმუნოლოგიური შეუთავსებლობა წარმოადგენს. უფრო ზუსტად, ესაა ქალის ალერგია სპერმატოზოიდზე ან მამაკაცის სპერმის სხვა კომპონენტზე. ამ ფორმის დიაგნოსტირებისთვის მრავალი მეთოდი და ტესტი გამოიყენება, მათ შორის, ალერგიული სინჯიც. აღნიშნული ფორმის მკურნალობა დღეისათვის მთელ მსოფლიოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

*სპერმოგრამა:* მამაკაცური უშვილობის ძირითად სადიაგნოსტიკო მეთოდს წარმოადგენს ეაკულატის ანალიზი — სპერმატოზოიდების რაოდენობა და შემადგენლობა, ანუ კეთდება სპერმოგრამა. ზოგჯერ საჭირო ხდება მისი 2-3-ჯერ გამეორება. გამოკვლევის წინ აუცილებელია სქესობრივი ცხოვრებისგან, სულ ცოტა, 1 დღე-ღამით თავის შეკავება. გამოკვლევა სრულდება სწრაფად, ადვილად და არც ისე ძვირია.

*მკურნალობა:* ხელოვნური ინსემინაცია. ქალის საშოში შეჰყავთ მამაკაცის სათესლე ხსნარი. ამ დროს სპერმის მთელი მოცულობა აღწევს საშვილოსნოს ყელს, რაც ზრდის ჩასახვის ალბათობას. ამ მეთოდის დროს მამაკაცის სპერმატოზოიდი ცოცხალი და მოძრავი უნდა იყოს, ხოლო ქალი — ჯანმრთელი. იყენებენ გაყინულ სპერმასაც.

*ექსტრაკორპორალური განაყოფიერება:* ეს მეთოდი 70-იან წლებში შემუშავდა. სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერება ქალის ორგანიზმის გარეთ, სინჯარაში ხდება. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ქალის საშვილოსნოში შეჰყავთ. მეთოდი საკმაოდ ძვირია.

*სუროგატული დედობა:* ეს მეთოდი გამოიყენება ქალის საკვერცხეების ნორმალურად ფუნქციონირებისას, მაგრამ დაფეხმძიმება სხვადასხვა მიზეზით შეუძლებელია (მაგ. საშვილოსნოს ამოკვეთა). ამ დროს ორგანიზმის გარეთ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ინერგება სხვა ქალის ორგანიზმში. ამას თან სდევს უამრავი პრობლემა, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში სუროგატული დედობა აიკრძალა.

**მაია მუხიგული**

# რჩევები ახალგაზრდა დედებს



დიდი ხანი არ არის, რაც უარყვეს გავრცელებული აზრი, რომ პაწია ზედმეტად არ უნდა ავიყვანოთ ხელში, რათა არ მივაჩვიოთ ხელში ჭერას, რომ ტირილი ჩვენი პატარასათვის ძალიან სასარგებლოა, ვინაიდან ამ დროს „ვითარდება ფილტვები“. საბედნიეროდ, ბავშვების მკაცრი აღზრდის მოდა თანდათან გადის და დღევანდელ ახალშობილს მეტი შანსი აქვს, შეინარჩუნოს ჯანმრთელი ნერვული სისტემა.

ახალგაზრდა დედა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოეხმაუროს პაწიას ტირილს, დაადგინოს ამის მიზეზი და მიხედოს მას. მაშინ ბავშვი თანდათან უფრო ნაკლებს იტირებს. ყურადღებიანი დედა, როგორც წესი, მაშინვე უღებს ალღოს ახალშობილს და არკვევს, ტირილი რა მიზეზით არის გამოწვეული, შეუცნობლად განსაზღვრავს, უნდა თუ არა პატარას საჭმელი, სველია თუ სცივა, ან რამე თუ აწუხებს.

არის რამდენიმე წესი, რომელიც უნდა იცოდეს ყველა ახალგაზრდა დედიკომ: თუ ბავშვმა იტირა, მაშინვე უნდა აიყვანოთ ხელში და მიიკრათ მკერდზე. თუ ხელში გიკავიათ და მაინც ტირის, ძუძუ მიეცით და ოდნავ დაარწიეთ. შეამოწმეთ, ტირილი ხომ არ გამოიწვია სველმა საფენმა, ან იქნებ ახლა აპირებს მათ დასვრას. იქნებ მოუხერხებლად წევს?

დედა, რომელიც ცდილობს პაწიას დამშვიდებას, თავად უნდა იყოს მშვიდად. ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან და ხშირად ტირილით რეაგირებენ დედის ქცევასა და გრძნობაზე.

ჯანმრთელი და მოვლილი ბავშვი არ იტირებს. გამუდმებით ტირიან მხოლოდ ავადმყოფი ბავშვები ან ისინი, ვისაც უყურადღებო მშობლები ჰყავთ.

თუ თქვენმა ყურადღებამ არ გაჭრა და ბავშვი მაინც ტირის, ასეთ დროს აუცილებელია დასახმარებლად მიმართოთ ექიმს ან ფსიქოთერაპევტს.

რატომ ტირის პაწია?

1. შია;
2. ძილი უნდა;
3. გაზები აწუხებს;
4. სისველეში წევს;
5. რეაქცია აქვს ატმოსფერულ მოვლენებზე (მაგნიტური ქარიშხალი, მთვარის ფაზები);
6. დედასთან უნდა კონტაქტი;
7. შეუძლოდ არის.

**კრესტიანკა №8**

## დედოფალი პოლკოვნიკი გახდა

იორდანიის დედოფალ რანიე ალ-იასინს მეუღლემ — მეფე აბდულაჰ მეორემ პოლკოვნიკის წოდება უბოძა. მშვენიერ ქალბატონს ამიერიდან ვარსკვლავებიანი სამხრეები დაამშვენებს. სამხედრო წოდება დედოფალს საგანგებოდ უბოძეს, რათა უფლება ჰქონოდა, სათავეში ჩასდგომოდა სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე მზრუნველ საბჭოს. ეს საბჭო სამი თვის წინ დაარსდა დედოფლის ნებით და მისივე სახელობისაა.

წარმოშობით პალესტინელი 34 წლის რანიე ალ-იასინი სამი შვილის დედაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის საზოგადოებრივ საქმიანობაში. დედოფალი იორდანიის არმიის ოფიცერთა



კლუბის საპატიო თავმჯდომარეცაა. სხვათა შორის, მან შარშან მსოფლიოს ყველაზე ელეგანტური ქალბატონის ტიტულიც მოიპოვა.

***ლენტა რუ***

## ანტიკონტრტერორისტული ოპერაცია

მაკედონიაში დაიწყო სკანდალური სასამართლო პროცესი: განსასჯელის სკამზე სხედან ადამიანები, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმს ებრძოდნენ.

2002 წელს პოლიციელთა სპეცრაზმმა გაანადგურა საერთაშორისო ტერორისტთა ჯგუფი — ისინი მაკედონიის დედაქალაქში უცხოეთის საელჩოებზე თავდასხმას გეგმავდნენ. მაკედონიის ტელევიზიამ დახოცილი ტერორისტებიც აჩვენა, შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა ლუბე ბოსკოვსკიმ ამაყად განაცხადა, — ძალიან საშიში ბანდა მოვსპეთო. ეს ამბავი შესაძლოა ისტორიაში დარჩენილიყო, როგორც საერთაშორისო ტერორიზმთან მაკედონიის ხელისუფლების ბრძოლაში გამარჯვება, მაგრამ მოკლე ხანში მმართველმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები წააგო და ცნობილი გახდა, თუ რა მოხდა 2002 წლის 2 მარტს. გაირკვა, რომ ყველაფერი ლუბე ბოსკოვსკის მოწყობილი იყო თანამდებობის შესანარჩუნებლად. ბულგარეთიდან მაკედონიაში არალეგალურად გადმოსული ემიგრანტები ტერორისტებად გამოაცხადეს და ქვეყნის საზღვართან ჩახოცეს. ტელეჟურნალისტები ოპერაციის ადგილზე მიიყვანეს და ვითომდა ტერორისტების ცხედრები გადაალებინეს.

სამწუხაროდ, მხოლოდ ბოსკოვსკის თანამზრახველებს გაასამართლებენ, ყოფილ მინისტრზე კი ძებნაა გამოცხადებული. ის სავარაუდოდ, ხორვატიაში უნდა იმალებოდეს.

***ვლასტი №22***

## შარონი მომხრეებს კარგავს და... იძენს

ისრაელის კოალიციურ მთავრობას კიდევ ორი წევრი გამოაკლდა — მშენებლობის მინისტრი ეფი ეიტამი და მისი მოადგილე იცხაკ ლევი — ორივე ნაციონალურ-რელიგიური პარტია „მაფდალის" წარმომადგენელია. მათი წასვლა განაპირობა იმან, რომ არ ეთანხმებიან პრემიერ არიელ შარონის გეგმას, რომელიც 2005 წლის დამლევისთვის ითვალისწინებს ღაზის სექტორისა და იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ოთხი დასახლების დათმობას. პრემიერის წინადადებამ ისრაელის პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და პოლიტიკურ არასტაბილურობას დაუდო სათავე.

პრემიერის გეგმას არ ეთანხმება ბევრი მისი თანაპარტიელიც. ისინი აცხადებენ, რომ „ლიკუდელი დეპუტატები ქნესეთში მხარს არ დაუჭერენ შარონის გეგმას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შარონის წინააღმდეგ სხვა პარტიის წევრებმა კიდევ უფრო აშკარად გაილაშქრეს. ეფი ეიტამისა და იცხაკ ლევის მიერ კაბინეტის დატოვებამ ცუდ დღეში ჩააგდო „ლიკუდი" — ახლა მას ქნესეთში 59 მანდატი დარჩა (ოპოზიციას 61 მანდატი აქვს) და უმრავლესობას აღარ წარმოადგენს. მემარცხენე პარტია „ავოდმა" (შრომის პარტია) შარონს ერთხელ უკვე თავიდან ააცილა უნდობლობის ვოტუმი, როცა მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში. ახლაც მის გვერდით ყოფნას აპირებს, „ავოდის" ლიდერს შიმონ პერესს იმედი აქვს, რომ შესუსტებულ კაბინეტს თავის პირობებს უკარნახებს.

***ნიუ ზუიქი***

## ბუშმა აღიარა, რომ ნატოზე კონტროლს კარგავს

**აშშ-ის ჯორჯიის შტატის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კუნძულ სიაილენდზე, გაიმართა „დიდი რვიანის" — მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ლიდერების სამიტი. მონაწილეთა უმეტესობა აშშ-ში ნორმანდიიდან ჩავიდა, სადაც II მსოფლიო ომის II ფრონტის გახსნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიას დაესწრო.**



ერაყის ოკუპაციაში ნატოს ფართოდ მონაწილეობა სადღეისოდ სრულიად არარეალურია, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა „დიდი რვიანის" სამიტის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, — ნატოს შეუძლია ერაყის არმიას დაეხმაროს წვრთნაში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ალიანსს თხოვნით მიმართავს ერაყის მთავრობა. აშშ-ის პრეზიდენტმა აღიარა: — ჩვენ გვსურს, რომ ნატო ჩაერთოს ერაყის ოპერაციაში, მაგრამ ნატოში ბევრი ეწინააღმდეგება ამ ალიანსის როლის გაზრდას ერაყის ოკუპაციაში.

„დიდი რვიანის" სამიტზე გამოსული საფრანგეთის პრეზიდენტი ერაყის ოკუპაციაში ნატოს მონაწილეობას გადაჭრით შეეწინააღმდეგა: — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ქრისტიანული დასავლეთი მუსლიმანურ აღმოსავლეთს არ დაუპირისპირდესო. თუმცა, შირაკს არ გამოურიცხავს ერაყის შეიარაღებულ ძალთა მომზადებაში ალიანსის მონაწილეობა.

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი წინ აღუდგა ერაყში ნატოს ჯარის შესვლას, მაგრამ აღნიშნა, — გერმანიის მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ ალიანსის რომელიმე წევრი დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას ოკუპაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებითო. ბუშის მთავარმა ევროპელმა მოკავშირემ, ტონი ბლერმა განაცხადა, — ერაყის ოპერაციის გაგრძელებაზე აზრთა სხვადასხვაობას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ერაყთან დაკავშირებით გაეროს ახალი რეზოლუციის მიღებას.

სამიტის მონაწილეები სხვა საკითხებთან ერთად იმაზეც შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას დაეხმარებიან კორუფციასთან ბრძოლაში. ითქვა ისიც, რომ „რვიანისა" და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უახლოეს დროში შეხვდებიან ერთმანეთს სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რომლის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

***ნეზავისიმაია გაზეტა №116***

## თურქებმა ქურთი პოლიტპატიმრები გაათავისუფლეს

ათწლიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან გაათავისუფლეს თურქეთის პარლამენტის დეპუტატები, ოთხი ქურთი ქალბატონი: ორხან დოგანი, ჰათიფ დიკოლი, სალპიმ სადაყი და სახაროვის პრემიის ლაურეატი ლეილა ზანე.



*ლეილა ზანე*

პროკურორმა გაუქმა მათთვის 1994 წელს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ყოფილ დეპუტატებს მაშინ 15 წელი მიუსაჯეს ქურთ მუშათა პარტიის წევრობის გამო. ამ პარტიას თურქეთის ნომერი პირველი მტერი აბდულა ოჯალანი ედგა სათავეში.

4 ქურთი პოლიტპატიმრის გათავისუფლება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ორი თვის წინ ანკარის სასამართლომ მათი განაჩენი ძალაში დატოვა, იმის მიუხედავად, რომ ეს გახმაურებული საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ 1994 წლის ვერდიქტით უსამართლოდ მიიჩნია და საქმის თავიდან განხილვა მოითხოვა. განმეორებითი სასამართლო პროცესი ევროკავშირის ინიციატივით დაინიშნა, თურქეთი კი იქ შესვლაზე ოცნებობს.

თურქეთის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატების სარჩელი ოთხი პატიმრის გათავისუფლების თაობაზე, რაც ბრიუსელში გამოწვევად მიიჩნიეს. „ევროკავშირი შეურაცხყოფილია, ჩვენ ანკარისგან დემოკრატიას ვითხოვდით", — აღშფოთებას ვერ მალავდა ევროპარლამენტის წევრი ლუიჯი ვინჩი. სხვათა შორის, 1995 წელს სწორედ ამ საკანონმდებლო ორგანომ მიანიჭა პატიმარ ლეილა ზანეს სახაროვის პრემია.

ზანე — ქურთთა სამართალდამცავი მოძრაობის ლიდერია. ის არის პირველი ქურთი ქალი, რომელიც 1991 წელს თურქეთის პარლამენტის წევრი გახდა. ლეილა ზანემ ფიცი, კანონის თანახმად, თურქულ ენაზე დადო, მაგრამ ბოლოს მშობლიურ ენაზეც წარმოთქვა: — ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ქურთებმა და თურქებმა ერთად იცხოვრონ დემოკრატიულ საზოგადოებაშიო. ლეილა ზანე პარლამენტში ყოველთვის ქურთთა ტრადიციულ სამფეროვან (ყვითელი, მწვანე, წითელი) თავსაფარწაკრული მიდიოდა.

1994 წელს ლეილა, სამ დეპუტატ ქურთთან ერთად, მუშათა პარტიის პოლიტიკურ განშტოება — სახალხო დემოკრატიის პარტიაში შევიდა. მაშინ ანკარამ გადაწყვიტა, ანგარიში აღარ გაეწია მისი, როგორც დეპუტატის, ხელშეუხებლობისათვის და თანამოაზრეებთან ერთად დააპატიმრა, ქურთთა სახალხო დემოკრატიული პარტია კი აკრძალა.

ამ წლების მანძილზე ოთხი ქურთი პატიმარი ქალბატონი თურქთა უკანონობის სიმბოლოდ იქცა. ევროკავშირი მომენტს არ უშვებდა, რომ ანკარისთვის არ ესაყვედურებინა, — არა ხარ მზად ჩვენი წევრობისთვისო.

***კომერსანტი №114***

## სადამს ვერაფერი უპოვეს

ერაყის ყოფილი დიქტატორის საქმე ჩიხში მოექცა — ბრალმდებლები ვერ პოულობენ უშუალოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთებს. კოალიციის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ დასაპატიმრებელი 55 ადამიანიდან 40 უკვე დაჭერილი ჰყავს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აძლევს ჩვენებას ყოფილი პატრონის წინააღმდეგ. დაპატიმრებულებმა კარგად იციან, რომ თუ სადამის მიმართ ბრალდებას დაადასტურებენ, მათ ოჯახებზე შურს იძიებენ.

სადამი შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა — ყველა წერილობითი სამხილი გაანადგურა.

ბაღდადის შტურმის დროს ნაციონალური ბიბლიოთეკის ხანძარში ჩაიწვა სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდის დოკუმენტები. ჩაწერას აწარმოებდნენ 1977 წლიდან, როცა ჰუსეინი ქვეყნის მმართველი გახდა. ფაქტობრივად, აღარ არსებობს არც ერთი საბუთი, რომელიც ნათელს მოჰფენდა დიქტატორის საქმიანობას. ვინც ბიბლიოთეკაში საბუთები დაწვა, ძარცვის სცენაც გაითამაშა. იგივე მოხდა ნაციონალურ მუზეუმშიც.

ექსდიქტატორს, რომლის ადგილსამყოფელს არ ამხელენ, ბრალად ედება შიიტების გენოციდი, სამხედრო დანაშაული ქუვეითის წინააღმდეგ 1980-1988 წლებში, ომის დროს დატყვევებული ირანელი სამხედროების წამება.

***ტაიმსი***

## მოკლედ

**მოსკოვის** მეშჩანსკის სასამართლომ დააკმაყოფილა მიხაილ ხოდორკოვსკისა და პლატონ ლებედევის თხოვნა, მათი საქმის გაერთიანების თაობაზე. ორივეს ერთსა და იმავე ბრალდებას უყენებენ, სასამართლოშიც ერთი და იგივე მოწმეები გამოვლენ. მ. ხოდორკოვსკისა და ა. ლებედევს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია გაასამართლებს.

**ჩეხეთის** ატომურ ელექტროსადგურ „ტემელინში" დიდი აფეთქება მოხდა. გასკდა სამაცივრო სისტემის მილი და 3 000 ლ რადიოაქტიური წყალი დაიღვარა. ავარიის შესახებ პრაღამ ოფიციალურად აცნობა ბერლინსა და ვენას, რომელთა ეკოლოგიური ორგანიზაციები რამდენიმე წელია ითხოვენ ჩეხეთის ატომური ელექტროსადგურის დახურვას, რადგან საშიშად მიაჩნიათ, განსაკუთრებით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ. „ტემელინიც" საბჭოთა პროექტითაა აგებული.

**ხორვატიის** ქალაქ ვუკოვარის რაიონში ქარიშხლის შემდეგ ციდან პატარა ბაყაყების წვიმა წამოვიდა. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ მოსახლეობას სთხოვა, მოთმინება გამოიჩინოს და არ დახოცოს ბაყაყები, რომლებიც თავის გზას მოძებნიან.

**უკრაინაში** სიმძიმეების აწევის ახალი რეკორდი დამყარდა. დონეცკელმა დმიტრი ხალაჯიმ ცალი ხელით ასწია 150 კგ-იანი რკინაბეტონის ბლოკი. თანაც ორჯერ, მეორედ იმათთვის — ვინც ვერ მოასწრო ამ ფაქტის ფირზე აღბეჭდა. მიღწევას ალბათ გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ, მაგრამ ხალაჯიმ უნდა შეძლოს თუნდაც ორიოდე წამით, ბლოკის ჰაერში გაჩერება.

**ერ-რიადში** მოკლეს ტელეკომპანია ბიბი-სის ოპერატორი საიმონ კამბერსი, დაჭრილია კორესპონდენტი ფრენკ გარდნერი. პასუხისმგებლობა არ აუღია არც ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას, მაგრამ დამკვირვებლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს „ალ-ქაიდას" წევრების გაკეთებულია. ისინი ამ გზით ცდილობენ დააშინონ საუდის არაბეთში მყოფი უცხოელები და იქაურობის დატოვება აიძულონ.

**„სოთბის"** სააუქციონო სახლს II მსოფლიო ომის დროს რეპრესირებულმა ებრაულმა ოჯახებმა 1,8 მლრდ დოლარის სარჩელი წაუყენეს. მომჩივანები ირწმუნებიან, რომ აუქციონი უკვე მრავალი წელია, ყიდის ებრაელებისათვის წართმეულ ხელოვნების ნიმუშებს. ლაპარაკია რემბრანდტის, ელ გრეკოს, მონესა და ვან გოგის ტილოებზე. ებრაელთა ოჯახების ინტერესებს იცავს ადვოკატი ედვარდ ფაგანი, რომელმაც შვეიცარიის ბანკებს „ნაცისტთა ოქროსთან" დაკავშირებით მოუგო სარჩელი — 1,25 მლრდ დოლარი. შვეიცარიის ბანკებს ბრალდება წაუყენეს, რომ ისინი მესამე რაიხს ემსახურებოდნენ, თუმცა მშვენივრად იცოდნენ გერმანული ანაბრების ისტორია.

**ინგუშეთში** მოკლეს ტერორისტული დაჯგუფების წევრი ჰაკიმ აბაევი და მისი ორი თანამზრახველი. ამ ჯგუფმა 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ააფეთქა. დაიღუპა 246 ადამიანი და 300-ზე მეტი — დაშავდა.

**ბაღდადის** სუნიტებით დასახლებულ რაიონში მოკლეს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ბასასამ სალიჰ კუბა. სუნიტთა უმეტესობა დღესაც მხარს უჭერს სადამ ჰუსეინს.

**ესპანეთი** იტალიას სთხოვს მილანში დაპატიმრებული რაბეი ოსმან აჰმედის (იგი ცნობილია აგრეთვე როგორც მოჰამედ ეგვიპტელი) გადაცემას. ოსმან აჰმედი ეჭვმიტანილია 2004 წლის მარტში მადრიდში მომხდარი ტერაქტის ორგანიზებაში... ესპანელ გამომძიებელთა თქმით, ტერორისტი მაროკოს ისლამისტური დაჯგუფების წევრია. მას კავშირი უნდა ჰქონდეს სერხან ბენ ფარაჰეტთანაც, რომელსაც ესპანეთი მადრიდის აფეთქებათა ერთ-ერთ ორგანიზატორად მიიჩნევს.

**ისრაელის** სამხედრო ავიაციამ ბეირუთიდან 26 კმ-ით დაშორებული დასახლებული პუნქტი ნაამე დაბომბა. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, დარტყმა პროვოცირებულია ლიბანის ტერიტორიაზე თავშეფარებული ბოევიკების მიერ. მათ დაცხრილეს ისრაელელთა სამხედრო გემი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან, ტერიტორიულ წყლებში პატრულირებდა.

**ევროსაბჭოს** ქვეყნებში გრძელდება ევროპარლამენტის არჩევნები. საარჩევნო უბნები გახსნილია იტალიაში, ლატვიასა და მალტაზე. რამდენიმე დღეში დამთავრდება საარჩევნო კამპანია ევროსაბჭოს დანარჩენ ქვეყნებში. სულ აირჩევენ 732 დეპუტატს.

**დიდი ბრიტანეთის** მმართველი ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში დამარცხდა. ლეიბორისტებმა ხმათა მხოლოდ 26% მოაგროვეს და მესამე ადგილზე გადაინაცვლეს, პირველ ადგილზე არიან კონსერვატორები, მეორეზე — ლიბერალი დემოკრატები. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა აღიარა — ერაყის ომში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობამ ჩემი პარტიის რეიტინგი დასწიაო. ლეიბორისტთა ერთადერთ წარმატებად იქცა ლონდონის მერის არჩევნებში მათი წარმომადგენლის, კენ ლივინგსტონის გამარჯვება. ლივინგსტონი ერაყის ომის წინააღმდეგია.

**იტალიაში** ძალიან ცხელა, ტემპერატურამ $35^0$-ს მიაღწია. ეს ივნისისათვის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ხანში შესულებს შინიდან გასვლას არ ურჩევენ.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



**რამდენიმე თვის წინ მას არაფრის შანსი არ ჰქონდა. დღეს კი ჯონ ფორბს კერი დემოკრატების ვარსკვლავია. ეს კაცი აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტისგან რადიკალურად განსხვავდება. მისთვის სამშობლო მთელი მსოფლიოა, არის განათლებული, ნაკითხი, ომის გმირი, რომელსაც ომი ეზიზღება.**

# ჯ.ფ. კერი — კაცი, რომელსაც ბუშის დამარცხება შეუძლია...

ჯ.ფ.კ-ი — აშშ-ის ლეგენდარული პრეზიდენტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის ინიციალებია. ამჟამად ამერიკელთა გულების დაპყრობას სხვა ჯეკი ცდილობს, მას უკვე „ახალ კენედის“ უწოდებენ: ჯონ ფორბს კერი საპრეზიდენტო მარათონში დემოკრატების კანდიდატია და პარტიას მისი დიდი იმედი აქვს.

ვინ არის ეს კაცი, რომელიც შექსპირის ინგლისურით მეტყველებს, შესანიშნავად ლაპარაკობს ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად და ბევრ ამომრჩეველს ეიმედება, რომ იგი ბუშს თეთრი სახლიდან გააძევებს.

წლის დასაწყისში ჯონ ფორბსი საპრეზიდენტო მარათონის კუდში მიჩანჩალებდა. მასაჩუსეტის შტატის სენატორის ამომრჩეველთა შორის თაყვანისმცემლები ნამდვილად არ ჰყავდა და არც შეკრებებზეც ეგებებოდნენ აღფრთოვანებით.

გარდატეხა მოხდა აიოვაში. წინასაარჩევნო შეხვედრაზე მოულოდნელად სცენაზე ყოფილი ორეგონელი შერიფი ჯიმ რასმანი ავიდა და ვიეტნამის ომის ერთი ეპიზოდი გაიხსენა: „1969 წლის 13 მარტს მეკონგ-დელტაში ჩემს ნავს თავს ვიეტკონგოელები დაესხნენ და წყალში მომისროლეს. ამ დროს გვერდით მეორე ნავმა ჩამიქროლა და ტალღებიდან დაჭრილმა ოფიცერმა ამომათრია. დღეს რომ ცოცხალი ვარ, ლეიტენანტ ჯონ ფორბს კერის უნდა ვუმადლოდე“, — და თვალცრემლიანი რასმანი კერის გადაეხვია. კერიმაც ვეღარ შეიკავა ცრემლები. იმწუთს სცენაზე კანდიდატი კი აღარ იდგა, არამედ — ომის გმირი.

ამ ამბავმა მასმედიამდე და ამომრჩევლის ყურამდე მიაღწია და დაიპყრო კიდეც აიოვა.

...კერი დღესაც ვერ იხსენებს მშვიდად ვიეტნამის ომს, სადაც ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა. „ღამღამობით ახლაც კი ყვირის — დაწექით, დაწექითო,“ — იხსენებს კერის მეუღლე.

კერის თავგადასავალი ფილმის სიუჟეტად გამოდგებოდა. ეს იქნებოდა ფილმი ომსა და მშვიდობაზე, ბოსტონელ ბანკირებზე, ლამაზ ქალებზე, ჯონ ფ. კენედის თაყვანისცემაზე.

ჯონ ფორბს კერი დაიბადა 1943 წლის დეკემბერში, დენვერის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მამამისი, იმხანად პილოტი, ტუბერკულოზს მკურნალობდა. დედამისი ფორბსების შეძლებული ოჯახის შთამომავალი გახლდათ. ჯონი 11 წლისა იყო, როცა მამამისი გერმანიაში ელჩად გაამწესეს და ოჯახი საცხოვრებლად ბერლინში გადავიდა. მას ახლაც კარგად ახსოვს ომის შემდგომი გერმანია. „გრიუნვალდისა და იავარქმნილი ჰიტლერის ბუნკერის მიდამოებში ველოსიპედით დავქროდი. ქალაქი ის-ის იყო, შენდებოდა, ბრანდერბურგის ჭიშკარი ჯერაც არ იყო აღდგენილი. ერთხელ ველოსიპედით საბჭოთა ზონაში გადავედი. მაინტერესებდა, რას წარმოადგენდა სოციალიზმი. მამაჩემმა ამისთვის მაგრად მომცხო“, — იხსენებს კერი. იგი სიამოვნებით იგონებს შვეიცარიის ინტერნატში სწავლის წლებს და ბრეტანში გატარებულ არდადეგებს, სადაც ხშირად ნადირობდა ხოლმე.

კერის უყვარს ევროპა და ამერიკასა და ევროპას შორის ბოლო დროს დაძაბული ურთიერთობის გაუმჯობესება სურს. ბრწყინვალედ იცის გერმანული, ფრანგული, ესპანური და თუ სტუმრად შვედი ეწვევა, ერთ-ორ სიტყვას შვედურადაც ეტყვის. ბუშს ჰგონია, მექსიკელები მექსიკურად ლაპარაკობენო, ამ დროს კი კერი მათ უაქცენტო ესპანურით მიმართავს. ბუში თავის გამოსვლებში ბიბლიის ციტატებს იშველიებს, კერი კი პაბლო ნერუდას გამონათქვამებით ალამაზებს ხალხისადმი მიმართვებს. ბუშს მხოლოდ ამერიკული რომანები უყვარს, კერის — შექსპირი. ბუში ტრაბახობს — გაზეთებს არ ვკითხულობო, კერი კი „Le Monde“-ს კითხულობს. თუკი ბუში თავს „შინ“ მხოლოდ ტეხასის კროუფორდში გრძნობს, ფობსისთვის „შინ“ — მთელი მსოფლიოა.

კერი პოლიტიკოსობაზე 17 წლის ასაკიდან ოცნებობს. მაშინ ნიუჰემფშირის ერთ ელიტარულ ინტერნატში სწავლობდა. ერთხელ, კბილის ექიმთან მიმავალი, შემთხვევით ჯონ ფ. კენედის საარჩევნო შეკრებაზე მოხვდა. კენედიმ მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამის შემდეგ თავის წერილებს ინიციალებს აწერდა — JFK.

1962 წელს კერის შეუყვარდა ჯენეტ აუხინკლოსი, ჯეკი კენედის ნახევარდა. მისი წყალობით, კენედიმ ერთხელ იგი იახტაზეც მიიწვია. ჯეკი ჯეკს შეხვდა! ილაპარაკეს იელის და ჰარვარდის უნივერსიტეტებზე, პოლიტიკისადმი სიყვარულზე. მისი კერპივით — კერიც კათოლიკეა, ბოსტონელი, მაღალი წრიდან და მისი გზაც გაიარა: იმსახურა ფლოტში, შეისწავლა იურისპრუდენცია, გახდა მასაჩუსეტის სენატორი. დღესაც კი, კენედივით ძველმოდურ ინგლისურ გამოთქმებს ხმარობს და მის ფრაზებს იმეორებს: „მხოლოდ ამერიკელებმა კი არ უნდა იმუშაონ ეკონომიკისთვის, ეკონომიკამაც უნდა იმუშაოს ამერიკელებისთვის“.



როცა მისი თანატოლები (ჯორჯ ბუშიუმცროსი, ჰოვარ დინი, ბილ კლინტონი, დიკ ჩეინი) სამხედრო სამსახურს თავს არიდებდნენ, კერი ვიეტნამში მოხალისედ წავიდა. სამჯერ დაიჭრა. საკუთარი თვალით ნახა, როგორ იხოცებოდნენ მისი მეგობრები და ბავშვები. ვისკონსინში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე კერის უცნობმა მანდილოსანმა მიმართა: „სენატორო, მე თქვენ გენდობით. თქვენ იცით, რაც არის ომი და ჩემს ვაჟს ომში ხელაღებით არ გაგზავნით“. „არა, რა თქმა უნდა, არა“, — მიუგო კერიმ.

დემოკრატებს გმირი ენატრებათ. იმ დროს, როცა საარჩევნო ბრძოლაში მთავარი როლი ტერორიზმთან ბრძოლამ უნდა ითამაშოს, დემოკრატები მშიშარა ბუშს ვიეტნამის გმირ კერის უპირისპირებენ. გამოსვლებში კერი ვეტერანებს ესალმება და ხშირად იმეორებს სიტყვებს: „მისია“, „სამშობლოს სამსახური“. მისი დევიზია: „ვიბრძოლოთ ჩვენთვის. ჯონ კერი“.



მეორე მხრივ, ვიეტნამის თემა შეიძლებოდა კერისთვის პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებად ქცეულიყო, რადგან ვიეტნამის ომიდან დაბრუნებული ჯონი აწყობდა საპროტესტო დემონსტრაციებს, თავისი ორდენები კაპიტოლიუმის კიბეზე დაჰყარა და სენატში განაცხადა: „როგორ სთხოვთ ადამიანს, ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომის გამო მკერდი ტყვიას შეუშვიროს“.

რესპუბლიკელებმა იმდროინდელი ფოტოები ამოქექეს. ერთ-ერთ ფოტოზე ჯონი ჯეინ ფონდასთან ერთად ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო დემონსტრანტთა რიგებში მიაბიჯებს. მათი ფიქრით, ამ ფოტოებს კერი სამშობლოს მოღალატედ უნდა წარმოეჩინა. დემოკრატებმა მაშინვე საპასუხო დარტყმა მოამზადეს — ბუშის დეზერტირობის დამადასტურებელი საბუთი გამოამზეურეს.

დიახ, ბინძურია საარჩევნო ბრძოლა.

წინასაარჩევნო ღონისძიებაში, მართალია, ჯონ კერიმ დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ ნოემბრამდე დიდი დროა და ამ ხნის მანძილზე პოზიციის გამაგრება უნდა მოახერხოს. ბუშის მომხრენი პრეზიდენტობის კანდიდატს უპრინციპო ლიბერალს უწოდებენ. ეს სიმართლესთან ახლოსაა. ძნელი სათქმელია, ვისი ან რისი მომხრეა დემოკრატების ახალამობრწყინებული ვარსკვლავი. კერი სიკვდილის დასჯის წინააღმდეგია, მაგრამ ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხზე მოულოდნელად აზრი შეიცვალა — პრეზიდენტ ბუშს ერაყში ჯარის შესაყვანად გზა მისცა, თუმცა, საჯაროდ თავი ომის მოწინააღმდეგედ მოაქვს. მოქიშპეები ამბობენ, კერის სამი პოზიცია აქვს: 1. პრო, 2. კონტრა, 3. ბოლომდე გაუცნობიერებელი.

ცუდი კი ის არის, რომ მის წარსულში უხვადაა პიკანტური თავგადასავლები. მოქიშპეებმა პრაქტიკანტ ქალთან ორწლიანი რომანი ამოუქექეს და ატყდა მითქმა-მოთქმა „პლეიბოი კერიზე“.

ბუშიც შავ დღეშია. მან უნდა უპასუხოს ბევრ საჭოჭმანო კითხვას: 11 სექტემბრის მოვლენების გამოძიებასთან დაკავშირებულ ბევრ ორჭოფულ საკითხს; რას ერჩოდა ერაყს, თუ იქ მასობრივი განადგურების იარაღი არ იყო; რამ გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი უმუშევრობა...

ბუშის პოპულარობა სანახევროდ დაეცა. ამიტომ მისთვის სწორედ რომ მისწრება იყო კერის მისამართით სექსუალური ბრალდებების გამომზეურება. მაგრამ კერი იბრძვის და იბრძოლებს ისე, როგორც იბრძოდა ვიეტნამში, როგორც ერკინებოდა ხარებს და მაფიას პომპოლას ქუჩებში, როგორც აღუდგა წინ 80-იან წლებში ომს სპარსეთის ყურეში. და თუ ბინძური ბრძოლა კიდევ უფრო გაბინძურ— ხელი რომ ჩავიქნიე, ორი ბიჭი მოვიდა და მითხრეს — 100 ლარს თუ მოგვცემ, გავიკითხავთ და ნომრებს გაპოვნინებთო. მივხვდი, იმათი მოპარული იყო, მაგრამ ჩხუბს რა აზრი ჰქონდა? 70 ლარი აღმომაჩნდა ჯიბეში. მივეცი და ხუთ წუთში მომიტანეს ჩემი ნომრები. დება, კონტრშეტევას მისი მილიონერი ცოლი დააფინანსებს.

65 წლის ტერეზა ჰაინც კერი ამერიკაში ერთ-ერთი უმდიდრესი ქალია. ის ჰაინცის კეტჩუპის იმპერიის მთავარი მემკვიდრეა ქმრის, რესპუბლიკელი სენატორის, ჯონ ჰაინცის დაღუპვის (1991 წ.) შემდეგ.

ტერეზამ და ჯონმა ერთმანეთი 1992 წელს გაიცნეს რიო-დე-ჟანეიროში, ბუნების დამცველთა ყრილობაზე, სადაც ისინი იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა გაგზავნა. კაცი 4 წლის გაყრილი იყო თავის დეპრესიით დაავადებულ ცოლთან და ახალგაზრდა მსახიობ ქალებს ხელთათმანებივით იცვლიდა. ტერეზა და ჯონი ერთმანეთს ფრანგულად ესაუბრებოდნენ. მერე კერიმ ქალს ვაშინგტონში, მთვარის შუქზე, ვიეტნამის მემორიალი აჩვენა... 1995 წელს კი დაქორწინდნენ უფროსი ბუშის ხელშეწყობით.

ტერეზა ჰაინცი ინტელიგენტი, ნებიერი, ექსცენტრიკული ქალია. ლაურა ბუშისა და ჯეკი კენედისაგან განსხვავებით — პირველი ლედობა არ ხიბლავს. უყვარს იმის გახსენება, თუ როგორ იბრძოდა იგი, პორტუგალიელი ექიმის ქალიშვილი, სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის წინააღმდეგ.

როცა ტერეზა და ჯონი ერთად არიან, ხელიხელჩაკიდებულნი ახალშეყვარებულებს ჰგვანან, რომლებიც ერთმანეთს ლექსებს უძღვნიან და ბითლზების სინგლებს უმღერიან.

შეიყვანს კი ამომრჩეველი თეთრ სახლში ასეთ წყვილს — ცოლგაშორებულ, ორი ქალიშვილის მამას და ქვრივს, სამი ვაჟის დედას... კაცს, რომელიც მემარჯვენესავით ცხოვრობს და ამერიკელებს მემარცხენესავით ელაპარაკება და ქალბატონს, რომელსაც ამქვეყნად არაფერი გააკვირვებს, თეთრი სახლის ბრწყინვალებაც კი. ალბათ ეს ამერიკისთვისაც კი მეტისმეტი იქნება.

***შტერნი***

***მოამზადა დოდო თოფურიამ***


შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:

- ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
- ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.

მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)

☎ 95-00-97

ლუიზოლი Louise-all ნატურალური კოსმეტიკა

თქვენ მრავალი საშუალება გაქვთ ნაცადი ჭარბთმიანობისაგან განსაკურნებლად... გაგიცრუვდათ იმედი?! გულს ნუ გაიტეხთ!!!

ჩვენ გთავაზობთ ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემს და ლოსიონს — „ლუიზოლი“ — სრულყოფილი შედეგით!

ეს სიახლეა!!!

„ლუიზოლი“ დაგეხმარებათ ადვილი, უვნებელი და ძალზე ეფექტური საშუალებით სამუდამოდ გათავისუფლდეთ ჭარბთმიანობის უსიამოვნო კომპლექსისაგან.

—— კაბინეტი „ლუიზოლი“ —— ☎ 37-38-13; 92-17-10

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9200 |
| ევრო | 2,3005 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5017 |
| რუსული რუბლი | 0,0661 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2757 |

„[illegible]“ ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით

☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 36-64-02

საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას შემდეგ კვალიფიკაციებზე:

1. საგარეო ურთიერთობათა ეკონომისტ-მენეჯერი; 2. სამართალმცოდნეობა (იურისტი); 3. ფინანსისტ-ეკონომისტი, ფინანსისტ-აუდიტი; ბუღალტერ-ეკონომისტი; საბანკო საქმის მენეჯერი; 4. კომერციული, საბირჟო საქმის და ვაჭრობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი; 5. კვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; 6. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მენეჯერი; 7. სამედიცინო სამსახურის მენეჯერი.

მის: ჩიქოვანის (ყოფ. ხოლიანის) 26.

☎ 36-33-78; 22-75-50; 32-89-42; 899-71-35-55

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. კვერცხის გადასახადი



ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა ქუთაისის ოლქი. ოლქის მესვეურები დადიოდნენ სოფლად და აგიტაციას უტარებდნენ გლეხებს, რომ დროულად გადაეხადათ მთავრობის მიერ დაწესებული კვერცხის, ყველის, ხორცის და სხვა გადასახადი. სოფელ ქვიანის კლუბში შეკრებილ გლეხობას თავგამოდებით უხსნიდა აგიტატორი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადის დროულად გადახდას სახელმწიფოს განვითარებისათვის.

სიტყვით გამოვიდა კომუნისტი ნოე ასკურავა, რომელმაც სოფლის სახელით, პირობა მისცა მთავრობის წარმომადგენლებს, რომ დავალება შესრულდებოდა. თანაც აგიტატორს სთხოვა შუამდგომლობა ოლქის ხელმძღვანელობასთან — მდინარე ფიჩორზე ხიდი გვაქვს შესაკეთებელიო. ანიკოტე აბუსერიძემ ნოეს უთხრა: — დაჯექი, ძამა, ამ კვერცხის მათხოვარ მთავრობას ხიდის აშენებას თხოვო? სასწაულით გადარჩა ანიკოტე დაჭერას.

***ნოდარ აბუსერიძე, თბილისი***

## 2. ორიგინალური მეთოდი



მამა მყავდა სამხედრო ქირურგი, მაღალი ჩინის, ფრონტზე ნამყოფი. თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი რუსეთში გაატარა და, რა თქმა უნდა, რუსულიც კარგად იცოდა, მაგრამ მშობლიურ ენაზე წინ არასოდეს დაუყენებია. თუმცა ხშირად გვახსენებდა ცნობილ გამონათქვამს, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. ჰოდა, ჩემმა ბიჭმა ენა ამოიდგა თუ არა, ბაბუამ ხელი მოჰკიდა მისთვის რუსულის შესწავლის საქმეს. ბავშვიც დიდი ხალისით არა, მაგრამ ასე თუ ისე, ეუფლებოდა ჩვენი „უფროსი ძმების“ ენას. მოხდა კურიოზი, ბიჭუნამ ვერაფრით დაიმახსოვრა, რომ ხორცს რუსულად ჰქვია „მიასო“. რა არ იღონა ბაბუამ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მაინც „მიაგნო“ გამოსავალს და ბიჭს ადვილად რომ დაემახსოვრებინა, ასეთი მაგალითი მოუყვანა: — ბაბუ, ხორცი არის რუსულად „მიასო“, ე. ი. ვითომ კედელზე ვინმემ ლურსმანი მიასო! გაიგე? ეს გაიხსენე და ადვილად დაგამახსოვრდებაო! ერთხელაც, მამამ მოიყვანა თავისი მეგობრები სავახშმოდ. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, მოინდომა სტუმრებთან თავის გამოჩენა, — ნახეთ, რა ნიჭიერი შვილიშვილი მყავს, რუსული თითქმის ვასწავლეო. გამოიყვანა ბავშვი, დასვა სკამზე და დაიწყო შეკითხვები: — რა ჰქვია სპილოს? — სლონ! — იყო პასუხი. ძაღლს? — სობაკა! ქათამს? — კურიცა... და გააგრძელა, ხორცს ბაბუ, ხორცსო, და თვალი ჩაუკრა, მიანიშნა თავის ნასწავლ ხერხზე. ბიჭმა არც აცია, არც აცხელა და — დაარჭოო! გადაირივნენ მამას მეგობრები, რა კარგი რუსული გისწავლებია შვილიშვილისთვისო!..

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 3. რა ტკიოდა შენს დამსვენებელს?..



50-იან წლებში ქლუხორის რაიონის კურორტ თებერდაში გამანაწილეს თბილისის საფერშლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ. იქ თითქმის ყველა რუსი იყო, თანამშრომლებიც და დამსვენებლებიც. მე კი რუსული მიჭირდა.

ერთ დღესაც პალატაში რომ შევედი, მოსკოველი მსახიობი ქალი მეუბნება, — სესტრა, უ მენია ზდეს ბოლიტ! და თან მუცელზე ხელს იდებს. მთხოვს წამალს. საორდინატოროში შევედი, რომ ექიმს მოვახსენო. ექიმი ახალგაზრდა, სიმპათიური ალექსანდრ ალექსანროვიჩი ზის დივანზე, ფეხი ფეხზე აქვს შემოდებული, გაზეთი გაუშლია და კითხულობს. მივედი და წინ დავუდექი, თან მუცელზე ხელი დავიდე, რომ კარგად გავაგებინო. — ექიმო, მეთვრამეტე პალატაში ერთი ქალია, ჟ...ა ოჩენ ბოლიტ-მეთქი (რადგან მახსოვდა, რომ მუცელი ასო ჟ-ზე იწყებოდა). ექიმი მოულოდნელად წამოხტა, გაზეთი მოისროლა და ყურადღებით შემეკითხა, — ჩტო ბოლიტ? მე გაუმეორე, — ჟ...ა ოჩენ ბოლიტ-მეთქი. წამოდგა, მიდის დერეფანში და მეც უკან მივდევ. ვხედავ, რომ ისე იცინის, მხრები უცახცახებს. მეორე დილით ე.წ. 5-წუთიან კონფერენციაზე უთქვამს ჩემი ამბავი. ერთი კახელი რენტგენოლოგი გვყავდა და დილით დამსვენებლების ისტორიებით ხელში რომ მიდიოდა, ეზოდან გამომძახა, — სუსანა, შენს დამსვენებელს რა ტკიოდა?..

***სუსანა მაგრაქველიძე, თბილისი***

# ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 16 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 17 ივნისის 13 საათამდე.*

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——

______________________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №24

## 4. გურიაში ჩაწერილი ამბები



### ტელეფონი

ლადიკომ აიღო ყურმილი.

— გისმენთ!

— ვისი ბინაა?

— ვისი ბინა იქნება, ქალო, ჩემ ოჯახში?

### გამისწორე თვალი!..



მანასეს ცალი თვალი ხანდახან განზე გაურბოდა. ლადიკო მარჯვენა ფეხით კოჭლობდა.

მანასეს უთხრეს, რა დაუშავე ლადიკოს იმისთანა, თავმჯდომარესთან რომ გლანძღა გუშინო.

— რატომ მლანძღე თავმჯდომარესთან? — მიუვარდა მანასე ლადიკოს.

— ტყუილია მაგი!

— აბა, გამისწორე თვალი!

— გამისწორე ფეხი და კი.

### ავტობუსში



ლადიკო და მანასე ავტობუსით მგზავრობდნენ.

— რა ამბავია მთავრობაში, თუ იცი? — ჰკითხა მანასემ.

— იმფერი ამბავია, რაფერიც აგერ ავტობუსში: ზოგი ზის და ზოგიც დაჯდომას ელოდება!.. — უპასუხა ლადიკომ.

***გიზო ქელიძე, თბილისი***

## 5. შეუთანხმებელი წვლილება



შუაღამე გადასული იყო, როდესაც სოფელში საშინელი კივილის ხმა გაისმა. საშველად მისულ მეზობლებს ასეთი სურათი დახვდა: ცოლი მაგიდის ირგვლივ დარბოდა, ხოლო ქმარი უკან დასდევდა — „რა მოგივიდა, თამარას“ ძახილით.

თურმე ქმარი გვიან მისულა სახლში და მძინარე ცოლს გვერდით მისწოლია. ცოტა ხანში ცოლი „შეუღვიძებია“, რომელსაც ქმარი ველარ უცნია, რადგან მას თმა გადაუპარსავს და ულვაშებიც ზედ მიუყოლებია. ძლივს დააშოშმინეს მეზობლებმა თამარა.

***ავთანდილ ჯალაღონია, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** საბჭოთა ხელისუფლების დროს თუთიყუშების მოყვარულ კახელ მიტუას ჩვევად ჰქონდა, დილით სამსახურში წასვლის წინ უნდა შეეგინებინა, — ამ მთავრობის დედაო.

ერთხელაც, სამსახურიდან დაბრუნებულს ესმის თუთიყუშის გინება — ამ მთავრობის დედა! ამ მთავრობის დედა!.. გადაირია მიტუა, — ეს რომ გაიგონ, ხომ გამაციმბირებენო და დაუყოვნებლივ უკრა თავი თუთიყუშს საქათმეში.

აქ, მამალმა რომ დაინახა ლამაზი უცხო ფრინველი, „დაპადხოდება“ დაუწყო.

თუთიყუშმა ამრეზით შეხედა და შესძახა:

— შენ ეი, ვირიშვილო! მე აქ ბოზი არ გეგონო, პოლიტიკურზე ვზივარ...

***იური ცუცქირიძე, თბილისი***

**7.** საგიჟეთში კომისიაა. გაესაუბრნენ გიჟებს, დაინტერესდნენ მათი ჯანმრთელობით. ერთ-ერთმა ყველა კითხვას ნორმალურად უპასუხა. კომისიის წევრები გაოცდნენ, — კი მაგრამ, აქ რატომ აჩერებთ სავსებით ნორმალურ ადამიანსო. ექიმი შეიშმუშნა: — მოითმინეთ, ვნახავ მის პირად საქმესო. დაიკუზა, საწერი მაგიდის ქვედა უჯრა გამოხსნა და ამ დროს ნაქებმა პაციენტმა... წიხლი ამოჰკრა.

ექიმმა ამოისუნთქა: — ახლა გამახსენდა, წაკუზულ კაცს ვერ იტანსო.

***გივი გოგსაძე, თბილისი***



C M Y K

## მილოცვა



**ნათია ლაზაშვილს!**

ჩვენო სიცოცხლევ, გილოცავთ სკოლის დამთავრებას და ოქროს იუბილეს. გისურვებთ ყველა კეთილი მიზნის შესრულებას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. ლამაზი სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.

*შენი მშობლები, ბიძაშვილ-დეიდაშვილები, პაპა-ბებიები*

## ბინები

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი სააბაზანო-ტუალეტით, ეზო 1200 კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტელ: 899 94-11-94

იყიდება ქვიშხეთში, პრესტიჟულ უბანში 2-სართულიანი სახლი, 2000 კვმ ხეხილიანი ლამაზი ბაღით (კაკლები, ყურძენი), წყლით, ჭით. ბოლოში ჩამოუდის პატარა მდინარე. ტელ: 22-12-64; 899 490-497; 899 55-17-77

ქირავდება ყიფშიძის ქუჩაზე, გალაკტიონის ძეგლთან ოთახნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა, უცხოვრებელი ბინა, ახალაშენებულ სახლში, ბ/აირით, მუდმივი დენით და წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. მის: ყიფშიძის ქ. №5ა, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა №45. ფასი $200. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 893 96-00-42

ქირავდება 1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, ასევე 1 ოთახი დღიურად, სასტუმროსავით, თბილისის ცენტრში, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში. ერთდროულად მივიღებ 10-15-კაციან ჯგუფს და საჭიროების შემთხვევაში – მეტს. მიიღება ტურისტული ჯგუფები და წინასწარი შეკვეთები. ფასები ნომრების შერჩევითაა და 1-2 ადამიანისათვის ღირს: 15$, 30$, 40$, 50$ და 100$. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86; 899 91-69-98. სტუმრების მიღება სადღეღამისოა

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

პრესტიჟულ რესტორანსა და სასტუმროს ესაჭიროება მმართველის თანაშემწე, ადმინისტრატორები (ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნით), მაღალი კვალიფიკაციის მქონე მთავარი მზარეული და მზარეულები – ქართული და ევროპული სამზარეულოსთვის, ბარმენები, ოფიციანტები (სასურველია ინგლისური ენის ცოდნა), ჭურჭლის მრეცხავები და დამლაგებლები. შპს „ტფილისი". მის: თბილისი, შავთელის ქ. №13. ტელ: 93-26-40; 93-17-40

ჩინურ კომპანიას ესაჭიროება 4 თანამშრომელი მუდმივ სამუშაო ადგილზე. აუცილებელია უ/გ, ასაკი 30-დან 55 წლამდე. ტელ: 37-00-19

ჰოლდინგური კონცერნი აცხადებს თანამშრომელთა მიღებას, მაღალი ანაზღაურებით. შერჩევა კონკურსით. კონკურსის პირობებია: უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, ასაკი 30-45 წელი. ტელ: 95-79-32 (10-19 სთ)

საერთაშორისო ფირმას ოფისში სათანამშრომლოდ ესაჭიროება უ/გ მქონე ადამიანები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ. 33-59-23. ლეილა

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

რბილი ავეჯის რესტავრაცია, მეორად სამეულებზე შალითების გამოცვლა-დარბილება, ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების, მატრასების, სკამების განახლება, სამზარეულოების და სხვა, ნებისმიერი ავეჯის დამზადება ლამინატისგან, თანამედროვე ევროპული დიზაინით, ხარისხიანი შესრულების გარანტიით. ტელ: 96-22-59. ვიქტორი

Computer Company „BAZISI" – ახალი კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, ორგტექნიკა (მონიტორები, პრინტერები, ფაქსები და სკანერები), ქსელების მონტაჟი. მეორადი ტექნიკა შეკვეთით CD-ზე ჩაწერილი: პროგრამები, თამაშები. მის: ჭავჭავაძის №74. ტელ: 29-97-82 გამოძახება ადგილზე მომსახურებით

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე" გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასად გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №166. ტელ: 34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ (ბუბა) ხოტივარი

## მკურნალობა

В бальнеологическом курорте открыт лечебно-диагностический компьютерный центр. Запись на обследование по тел: 72-04-63 (дом); 99-73-09 (раб.)

გთავაზობთ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ძალზე ეფექტურ მკურნალობას, გვერდითი მოვლენების გარეშე (შესაძლებელია პაციენტისგან მალულად); აგრეთვე ვენების ვარიკოზული გაგანიერების, ინსულტის შემდგომი პერიოდის, ჰიპერტონიის, ნევროზების ეფექტურ მკურნალობას აკად. ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 77-71-22 (საღამოს); 99-75-90 (12-15 სთ). ლელა

ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება პაციენტისაგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ), კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატებით (აკ. ლიხარიოვი), სერტიფიცირებული, მაღალეფექტური მცენარეული, სამკურნალო პრეპარატებით. სამკურნალო მცენარეები მოყვანილია საპატრიარქოს ნაკურთხ მიწებზე, დამზადებულია ნაკურთხ წყალზე და აქვს სრულიად რუსეთის პატრიარქის ლოცვა-კურთხევა. ტელ: 899 22-63-90. ნინო

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება სწრაფად და ეფექტურად, ექსკლუზივის უფლებით თითოეული პაციენტისთვის, ЛООВИТ პროგრამებით. ემსახურება ორგანიზმის ეფექტურ გაჯანსაღებას, არა აქვს უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები. გამოიცადა წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში და გაიარა კლინიკური გამოკვლევები. ანალოგი არ გააჩნია. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით: ალკოჰოლიზმი, შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, პროსტატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, ასთმა, ალერგია. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

საზაფხულო 50%-იანი ფასდაკლება: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" – კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70 (ყოფ. კამოს ქ.). ტელ: 29-48-61

ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო-ჯაზურ, სიმღერისა და ვოკალურ განყოფილებაზე. სამუსიკო სკოლის (7 წლის) და სასწავლებლის (14 წლიდან) საფეხურებზე კოლეჯის კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს შესაბამისი კვალიფიკაციით. მისაღები გამოცდები ჩატარდება 14 ივნისს და სექტემბერში. მის: ბარნოვის ქ. №54 (სასტუმრო „საქართველოსთან"). ტელ: 22-19-49; 22-63-58

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. ვიზაჟისტი; 2. პარიკმახერი; 3. მასაჟისტი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის აგებულება, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, კანის გაწმენდა, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილთან"), I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 66-53-56; 893 33-09-66

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

## იყიდება

იყიდება ა/მ „მერსედეს-ბენცი ML-320", ჯიპი, 1998 წლის გამოშვება, შავი, სრული ელექტროპაკეტი, ტყავის სალონი, ავტომატიკა, კონდიციონერით, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი. ფასი $22.000. ტელ. 899 56-79-23

ახალი ირანულ-ამერიკული სტომატოლოგიური კაბინეტი „ფაპრესინა" მთელი კომპლექტით. ფასი $3000. ტ: 22-64-08; 877 47-46-00; 877 49-76-09

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 320; კომპლექტის ფასი – 140$; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 26 ტელეარხი – ფასი $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99






### თორნიკე მანწკავას!



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ძვირფასო. წელს მეორედ ვხვდები უშენოდ ამ დღეს. ვერავინ და ვერაფერი შემიმსუბუქებს იმ ტკივილს, თორნიკე მანწკავა რომ ჰქვია. შენმა აქედან წასვლამ განუზომელი მწუხარება დამიტოვა, რომელსაც ვერანაირი დრო ვერ გააქარწყლებს. იცოდე, ჩემს გულში ღრმა ჭრილობად, მარადიული სიკეთისა და კაცობის სიმბოლოდ დარჩები, ჩემო თორნიკე.

ზეციურ სასუფეველში გილოცავ დაბადების დღეს.

*შენი ოჯახი*

### თორნიკე (ბუდუ) მანწკავას გახსენება

15 ივნისს 53 წელი გისრულდება, ჩემო ძვირფასო თორნიკე. უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. რაც დრო გადის, უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა. გვენატრები ყველას – ენატრები შენს საყვარელ მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, რძალს, შვილიშვილებს, მეზობლებსა და მეგობრებს; შენ ხომ ყველასთვის კეთილი და საყვარელი კაცი იყავი, რომელმაც კაცურად განვლე შენი ცხოვრების ნახევარი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა კი გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

*მირზა დონაძის ოჯახი*

### მედიკო (ვერა) კომლაძე-ლაბუჩიძეს!



საყვარელო დედა! ორი წელია, უშენობით გულდაწყვეტილები გაუსაძლისი მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილო, სპეტაკო ქალბატონო, გვწამს, უფალმა ნათელში დაგიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი და იქიდან დაგვხარი ამჯერადაც შენს საფლავზე შეკრებილ ახლობლებს: საყვარელ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, და-ძმას, ნათესავებსა და კოლეგებს, ერთად რომ გიხსენებთ და ვლოცულობთ შენი სულის საცხონებლად. დედიკო, გვეამაყება შენს შვილებს, რომ არც შენს აღზრდილებს დავიწყებიხარ, სკოლის „ბოლო ზარზე" სანთლებითა და ყვავილებით მოეახლნენ შენს წმინდა საფლავს და მუხლი მოიყარეს თავიანთი პირველი მასწავლებლის ხსოვნის წინაშე. გვჯერა, მათაც დაულოცავ ცხოვრების გზას, როგორც მრავალთათვის დაგილოცნია. ჩვენ კი ყოველთვის აგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენთვის.

ძალიან გვიყვარხარ.

*შენს სითბოს მონატრებული მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

### ნათელში იყავ!

*ვალერიან ჭანიას გახსენება*



ნუთუ მართლა წამია სიცოცხლე ჩვენი, ნუთუ ასე მუხთლად გვისაფრდება სიკვდილი, რომ გულის ძარღვიდან სანდოდ მიყუჩებული სითბო მოგვგლიჯოს?!..

თქვენ აღარა ხართ, ბატონო ვალერიან! თქვენ, ვინც ზნეობის, ურთიერთნდობის, მიტევების, სიყვარულის, სიკეთისა და მშვენიერების ულამაზეს სიღრმეებში გვახედებდით; თქვენ, ვინც სენაკში დამკვიდრების გზიდან მშობლიურ მიწაზე დაბრუნების სურვილით გულანთებული, რწმენასა და იმედს გვისახავდით.

„როგორც მზის ამოსვლისა მჯერა, ასევე მჯერა, რომ ამ სექტემბერს მაინც სოხუმში შევხვდებით ახალ სასწავლო წელს" – ეს თქვენი ნაპერწკლიანი სიტყვა ჩვენც გვათბობდა და გვამხნევებდა, ჩვენც თვალში ცრემლს გვიშრობდა.

ჩვენი მშობლიური ინსტიტუტი ხომ ნანგრევებიდან აღდგა ფერფლით. იქ, სვანეთის მთებში, როცა ადამიანები სიკვდილზე ფიქრობდნენ, თქვენ თანამოაზრეებთან ერთად უკვე გადაწყვეტილი გქონდათ, რომ სენაკში დაიბუდებდა ინსტიტუტი.

არ გშინებიათ ქვათა სროლის, უგვანთა ქცევის, თქვენი ამაღლებული სული მიუტევებდა ყველას და ინსტიტუტი ფრთებს შლიდა..

რა უცებ გაირბინა ორმოცმა დღემ. გვიჭირს უთქვენოდ, რადგან თქვენ იყავით ადამიანი, ვინც სიცოცხლეს გაწირავდა სხვისი კეთილდღეობისთვის, ვისაც სხვისი უბედურება, სხვისი ჭირი და ცრემლი საკუთრად მიაჩნდა... და რამდენისთვის შეგიმშრალებიათ მწარე ცრემლები, ბატონო ვალერიან!.. რამდენისთვის ალალად გაგიწოდებიათ დახმარების, თანადგომის ხელი.

„ვინც მოიხადა ამ სოფლის ვალი, ის ცოცხალია, არ არის მკვდარი" – თქვენი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, როგორც ადამიანმა, უდიდესმა მეცნიერმა, პოლიტოლოგმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, არაერთი მხატვრულ-პუბლიცისტური თუ სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორმა, თქვენივე შემოქმედებითი მემკვიდრეობით სიცოცხლეშივე დაიდგით უკვდავების ძეგლი.

როგორ გვაკლიხართ, ბატონო ვალერიან! ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული. ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრებით, სულთათანა, ბატონო ვალერიან!

*სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლები*

### ლუიზა სარჯველაძე-ჩხაიძის მონატრება



18 ივნისს შენი დაბადების დღეა, ჩვენო უსაყვარლესო, შვილების უსაზღვროდ მოყვარულო დედა. შენ ხომ ყველასთვის ძვირფასი იყავი. ორი წელი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, რაც სამუდამოდ დაგვშორდი. უცრემლოდ ვერავინ გიხსენებს, ვერაფერს ვუხერხებთ მონატრების აუტანელ გრძნობას. საკუთარ თავზე მეტად სხვებზე ფიქრობდი, ყველას სატკივარი გულთან მიგქონდა და ამიტომაც ვერ გაუძლო მეტს შენმა დაღლილმა გულმა.

შენი ქმარ-შვილი ვცდილობთ, კიდევ უფრო კარგები ვიყოთ, რადგან შენს უკვდავ სახელს ჩრდილი არ მივაყენოთ.

ღმერთს ყოველთვის ვავედრებთ შენს უსათნოეს სულს.

დედები არ კვდებიან!!!

*ოჯახი*

### გივი ვარაზაშვილის ხსოვნას!



2004 წლის 13 ივნისს ორი წელი შესრულდა, მამა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უსაზღვროა შენი მონატრებით გამოწვეული ტკივილი. გვიყვარხარ, გვაკლიხარ...

*...ეს მერამდენედ გათენდა დილა,*
*დილა უღმერთო და უნუგეშო*
*წვიმს და წვეთები,*
*ფარფატით ცვივა*
*მითხარი, თავი რით ვინუგეშოთ.*
*ისე გათავდა ცხოვრება, მამა,*
*ვერც მოასწარი გეთქვა ბოლომდე,*
*რომ ყოველივე თავისით წავა*
*და გზა გრძელდება სასაფლაომდე.*
*ვერ შეგაშინებს შენ უფლის რისხვა*
*და ვერც ეშმაკთა ცილისწამება*
*შენ ხომ სიმართლით გიყვარდა წინსვლა*
*და სიყვარულის ტვირთის ტარება.*
*შენი ღიმილით ათბობდი ყველას,*
*ნუგეშსა ცემდი, დარდს გვიქარვებდი,*
*დღეს კი მდუმარედ შემოგცქერიან*
*შენი საფლავის თეთრი ვარდები.*
*კვლავ სევდიანად ვიხსენებთ წარსულს,*
*შენი ლამაზი ცხოვრების წამებს.*
*ყოველი სიტყვა ჩვენ დღესაც გვახსოვს,*
*ყოველი აზრი ჩვენ დღესაც თან გვდევს.*
*და მსურს, გვახსოვდე მხოლოდ ასეთი,*
*სავსე იმედით, სავსე ხალისით,*
*პატიოსნებით, კაცურკაცობით*
*მინდა გვახსოვდე სამარადისოდ.*
*მინდა იცოდე, როგორ გვიყვარხარ,*
*როგორ გვაკლიხარ დიდებს თუ ბავშვებს,*
*შენს შვილიშვილებს – ანის, მარიამს,*
*რომ ვერ იგრძნობენ ბაბუის ალერსს.*
*ტკივილით სავსე გულები დაგვაქვს*
*შენს სულს ვავედრებთ ანთებულ სანთლებს.*
*გვინდა გვჯეროდეს, რომ დღეს სადაც ხარ,*
*ყველგან ნათელი უფლისა თან გდევს.*
*იძინე მშვიდად შენს სარეცელში,*
*ნუ შეგაშფოთებს სიცივე, ყინვა,*
*შენ ხომ სულიც კი ისე დალიე,*
*არ გაგვაგონე არც ერთი გმინვა.*
*ზეცას გაჰყევი უფლის ანგელოზს*
*სულთმოფენობის უჩვეულ ღამეს*
*გეგებებიან უფლის რჩეულნი*
*და გაგიღებენ სამოთხის კარებს.*

*ეკა ვარაზაშვილი*

### გიორგი ქიმერიძის გახსენება



შენ ხომ ჯერ 19 წელიც არ შეგსრულებოდა, ჩვენო გიორგი! შენი თავი იმ საბედისწერო დღემ წაგვართვა. სიცოცხლე გიხაროდა, მეგობრებით ამაყობდი, ყველას უყვარდი. ამიტომაც იყო, მეგობრულმა სიყვარულმა არ დაგაშორათ და ოთხივენი ერთად წაგიყვანათ ზეციურ სასუფეველში.

დღეს შენი მეგობრები თავზარდაცემული შევყურებთ შენს მდუმარე სურათს. დაგვიტოვე მხოლოდ ტკივილი და ცრემლიანი თვალები.

დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის იმ ბედნიერი დღეების მოსაგონებლად, რომლებიც ერთად გაგვიტარებია.

იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. გწამდეს, ჩვენო გიორგი, რომ შენს საფლავზე ყოველთვის აყვავდება ია და ვარდი, კეთილი სულის საოხად.

*შენი მეგობრები – ლელა, გელა*

### ნუცა რურუა-პერტენავას ხსოვნას!



ძვირფასო დედა, საყვარელო, 1 მაისი შენი დაბადების დღე იყო. ყვავილები გიყვარდა და ყოველთვის შენს საფლავზე ყვავილებით მივდივართ. ქვაში გაცოცხლებულ შენს სახეს ვეფერებით, ვესიყვარულებით. საოცარი ძალის ქალბატონი იყავი. ვერაფერი შეგაშინებდა. მშრომელი დედა, მეგობარი და მრჩეველი ვაჟკაცურად გვედექი მხარში. ასეთი იყავი, ასეთად დარჩები ჩვენს გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*დედი, ჯაფაში თმაჩამოთოვლილს,*
*ადრე გაგეხსნა სამარის კარი.*
*სათნოვ და ტკბილო, ვნატრობთ გაგიხსნას*
*ცის სასუფევლის უფალმა კარი.*

*შვილები*

### ლუკა ბეგიაშვილის გახსენება



ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო შვილიშვილო, ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბედმა შენი სიკვდილით მესამე ლახვარი ჩამცა.

ნუგეშად ისღა დამრჩენია, რომ მანდ მარტო არ ხარ, ჩემი ორი შვილი – მამაშენი და ბიძაშენი კარგად მოგივლიან და ერთად იფრენთ ზეცაში, სულთა სამყაროში. ჩემო პატარავ, რა ქნას აქ, დედამიწაზე დარჩენილმა დედაშენმა, ჩემმა სოფომ, რომლის ერთი წლის ტანჯვა-წამებამ ფუჭად ჩაიარა და ბედმა შენი თავი მოსტაცა?!

ყველას ძალიან გვენატრები, ჩემო ლუკა, მაგრამ ვაი, რომ საშველი არ არის.

ძალიან მენატრებით სამივენი.

*ბებია – მარინა კაპანაძე*

### გია სტურუას გახსენება!



ჩემო გია! 1 წელი სრულდება, რაც მოულოდნელად წახვედი სამუდამო სასუფეველში.

დიდი გულისტკივილი და სევდა დაუტოვე ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს.

ძალიან გვენატრები!

დაუვიწყარია შენი ხსოვნა!

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი და სპეტაკი სულისთვის, აგინთოთ წმინდა სანთლები!

*დეიდა ანგელინა; დეიდაშვილები: ვიტალი, ნინო*

### სოსო თარგამაძის მონატრება



ჩვენო თბილი და უსაზღვროდ მონატრებულო მამიკო, მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. მეორე წელია იმ დღიდან, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, გული, რომელიც უსაზღვრო სიყვარულს იტევდა.

7 ივნისს 70 წლის გახდებოდი. თვალცრემლიანი გილოცავთ, მამა. შენ ხომ 2 წლის წინ 70 წლის იუბილეს გადახდა გქონდა დაგეგმილი, გინდოდა, თავი მოგეყარა შენი საყვარელი ადამიანებისთვის, მაგრამ ყველაფერი ნატვრად დაგიტოვა ულმობელმა სიკვდილმა.

ყველაზე ძნელი და გულდასაწყვეტი ისაა, რომ სიცოცხლე გინდოდა, გსურდა შენს ოჯახში, შვილებში და შვილიშვილებში ცოტა ხანს მაინც ყოფილიყავი.

დრო არ გვინელებს ტკივილებს, მამიკო და შენდამი მონატრებას. შენი მონატრება უსაზღვროა.

ღმერთს შევთხოვთ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში ამყოფოს.

*შენი შვილები: ალიკო, მარინე, მადონა*

### მურმან დარჯანიას ხსოვნას!



„წელიწად-ნახევარში 70 წლის გავხდები. რა უნდა გავაკეთო, არ ვიცი. არადა, მერე სიკვდილი მოდის დაბადების დღის მაგიერ" – ეს შენი სიტყვებია, მურმან, რომელიც შენი ხელით დაწერილი, მაგიდის უჯრაში ვიპოვეთ. მართლაც ამ წელს სიკვდილმა დაასწრო შენი დაბადების დღეს.

18 ივნისი შენი დაბადების დღეა, რომელსაც შენს საფლავზე მოსვლით აღვნიშნავთ შენი ოჯახის წევრები და ახლობლები. წუთიერიდან მარადიულში გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო საყვარელო მურმან.

მოულოდნელად წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი.

ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული ღმერთმა და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი და შენი დის ოჯახები; ახლობლები და ნათესავები*

### შუშანა დარსაძე-გაბადაძის მონატრება



გავიდა 40 ტკივილიანი დღე, ქალბატონო შუშანა. ყოველმხრივ რჩეული იყავით თქვენი ბუნებით, სიდარბაისლით, ქალობით. თქვენი მთელი შეგნებული ცხოვრება შრომით საქმიანობას და შვილების აღზრდას მოანდომეთ.

გულისტკივილით გიგონებთ და გვეამაყება თქვენთან ერთად გატარებული წლები.

*ახლობლების სახელით, ნათელა მდივნიშვილი*

### სულიკო ყელბერაშვილის მონატრება



5 წელი გავიდა იმ შემზარავი დღიდან, რაც მოულოდნელად წახვედი ამ წუთისოფლიდან და ყველას გულში დიდი ტკივილი დაგვიტოვე.

რაც დრო გადის, უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა.

გვენატრები ყველას – შენს საყვარელ მეუღლეს, შვილებს, ძმას, დებს და შვილიშვილებს.

ღმერთს შევთხოვ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში ამყოფოს.

*შენი ძმა ვალიკო ოჯახით*

## ნეკროლოგი



მეუღლე გოგიტა ლობჟანიძე, შვილი ნუგო ლობჟანიძე, მამა ანზორ ბერძენიშვილი, და ნანა ბერძენიშვილი, დეიდა ლია გაგუა, დეიდაშვილები ლოლა და თეა გაგუები, მულები მაია და მანანა ლობჟანიძეები, დედამთილ-მამამთილი დიანა ჟორდანია, ნუგზარ ლობჟანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანა ანზორის ასული ბერძენიშვილი**

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 16 საათზე.

*გამოსვენება:* ქაშუეთის ეკლესიიდან სამშაბათს, 14 საათზე.

*მისამართი:* გურამიშვილის გამზირი №72/ა, II სადარბაზო, V სართული, ბ. №22.

## სპარტაკ ბაღაშვილი ცხოვრებაშიც საოცრად მომხიბლავი ყოფილა



ყველა ქართველისათვის დაუვიწყარია გენიალური მსახიობი სპარტაკ ბაღაშვილი. ქუჩაში რომ გაივლიდა, ხალხი ჩერდებოდა და აღფრთოვანებულ მზერას აყოლებდა. მარტო ეკრანზე კი არა, ცხოვრებაშიც საოცრად მომხიბლავი ყოფილა – ჭკვიანი, მგრძნობიარე, თბილისზე უსაზღვროდ შეყვარებული. ამბობენ, მშვენიერი გარეგნობა მამისაგან დაჰყვა „მემკვიდრეობითო". დედამისი სიამაყით ამბობდა თურმე, – ვენაცვალე ჩემს სპარტაკს, ეგეთი ანგელოზი მეორე არ დადის ქვეყანაზეო.

სპარტაკ ბაღაშვილი ბავშვობიდანვე მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა. მიუჯდებოდა ფორტეპიანოს და უკრავდა. მისი ძაღლი ჯიპი იქვე ახლოს ცქმუტავდა და მელოდიას კუდს აყოლებდა... სპარტაკ ბაღაშვილი იხსენებდა, – პატარა რომ ვიყავი და ფული არ მქონდა, მუშთაიდის ბაღში დავუკრავდი და ისე ვიშოვიდი ხოლმეო.

მოუსვენარი ყმაწვილი ყველას უყვარდა. დეიდა ხუმრობით ქოთიას ეძახდა, რადგან კომოდის უჯრაში შენახული ჩურჩხელების „ამოქოთება" უყვარდა. სპარტაკს ბავშვობაში დუქნიდან პურის ამოტანას ავალებდნენ. მთელი თვე ეზიდებოდა. თვის ბოლოს კი მამამისი დანახარჯს ითვლიდა და იხდიდა. ერთხელ დიდი თანხა აღმოჩნდა დახარჯული. გაირკვა, რომ თავისთვის რომ ყიდულობდა, იქვე მცხოვრები ჭლექით დაავადებული კაცის ოჯახისთვისაც გამოჰქონდა პური. სკოლის დამთავრების მერე სამხარო-საინჟინრო ფაკულტეტზე გაუგრძელებია სწავლა. კარგი სტუდენტი ყოფილა. ერთხელ თანატოლებთან ერთად მიმავალი, მიხეილ ჭიაურელს დაუნახავს, რომელიც „არსენას" იღებდა. აღტაცებულს უთქვამს: ეს არის ჩემი არსენაო. შეუთავაზებია კიდეც ფილმში გადაღება, მაგრამ სპარტაკს მტკიცე უარი უთქვამს: მაგისთვის არა მცალიაო. მაშინ შუამავლად რეჟისორი შაქრო ბერიშვილი მიუგზავნია. ის სპარტაკის მამის – ლევანის მეგობარი იყო. მივიდა მოსალაპარაკებლად. მამის ნებას წინ ვერ აღუდგა სპარტაკ ბაღაშვილი...

1936-37 წლებში „არსენა" გადაიღეს. ეს გახდა მისი მომავლის განმსაზღვრელიც. მაყურებელმა შეიყვარა არსენა, რომელიც მართლაც მითური გარეგნობით გამოირჩეოდა. ბავშვები უკან დასდევდნენ და ძია არსენას ეძახდნენ. ერთი ქურთის გოგო კი ყელგამოწეული ეხვეწებოდა, – ძია არსენ, წამიყვანე რა, კინოში მათამაშეო. „არსენაში" უნახავს ჯერ კიდევ პატარა სერგო ფარაჯანოვს და უთქვამს: აუცილებლად რეჟისორი გამოვალ და ამ კაცს ფილმში გადავიღებო. გადაიღო კიდეც „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილებში". გადაღებები უკრაინაში მიმდინარეობდა. იქ ბევრი ღარიბი, ფეხშიშველი ბავშვი უნახავს, მეუღლისათვის უთხოვია: ოღონდ ამათ ფეხსაცმელი უყიდე და მე პაპიროსს აღარ მოვწევო.

სტალინური პრემია ორჯერ მიიღო. სტალინი დიდ პატივს სცემდა აკაკი ვასაძეს, აკაკი ხორავას და სპარტაკ ბაღაშვილს. ერთხელ სტალინმა ითხოვა მათი ჩაყვანა გაგრაში. იმდროინდელ ცეკას მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს შეუბედავს ბელადისათვის, – სპარტაკს ვერ ჩამოვიყვან, ნერვული სტრესი აქვსო. – როგორ, ქიზიყელი კაცი და ნერვიული სტრესი? მაგას ვერ დავიჯერებო!

იძულებული გახდნენ, სპარტაკ ბაღაშვილიც ჩაეყვანათ გაგრაში. მას სტალინისათვის წაუკითხავს „ოტელოს" ნაწყვეტი, „ჰამლეტის" მონოლოგი. სტალინს უთქვამს: რა კარგ ქართულს ლაპარაკობ, შვილო, შენში ქართველი ერის ღირსებაა, მეორე ლადო მესხიშვილი ხარო.

არანაირი განსაკუთრებული სიმდიდრე არ ჰქონია. ნორმალური ბინაც კი არ გააჩნდა. 1937 წელს მიუციათ რეპრესირებული ოჯახის ბინა შეროზიას ქუჩაზე. შიგ ბებია და შვილიშვილები დახვედრია. სპარტაკ ბაღაშვილს გული მოუკვდა და უთხრა თურმე: ქალბატონო, მე ამ ბინას გავიფორმებ, რომ აღარ შეგაწუხონ, თქვენ კი იცხოვრეთ მშვიდად; თუკი ვინმე მიკითხავს, უთხარით გადაღებაზეა-თქო. იმ დროს ასეთი საქციელი ვაჟკაცობის ტოლფასი იყო და შეიძლებოდა შეწირვოდა კიდეც თავის კეთილშობილებას. ამიტომაც თავის თავში ჩაიკეტა. გარშემო მყოფთათვის აუხსნელი დარჩა მისი ქცევა. მოსკოველ ფსიქიატრს კი ასეთი დიაგნოზი დაუსვამს: თქვენ ამბობთ, ის ავად არის, არა, ბატონებო, ეს ფსიქიკური კი არა, სოციალური დაავადებააო.

სპარტაკ ბაღაშვილი რომ გარდაიცვალა, კინოსტუდიაში დაასვენეს. უცნობი ქალი მისულა ტირილით: თქვენ არ იცით, ვინ იყო ეს ჩემთვის, ომის დროს პურის ბარათები დავკარგე და მან თავისი მომცა, მე სპეცმაღაზიაშიც ავიღებო. ასეთი კაცი მარტო ხელოვანი, არტისტი როდი იყო... ლექსებსაც წერდა. მათგან ერთ-ერთი თითქოს ყველაფერს გვეუბნება ავტორზე:

*ნავი თეთრფრთა აფრიანი,*
*ვით თოლია ტალღებსა სდევს,*
*ზოგს გადივლის გადაფრენით,*
*ხან ყვინთავს და ქიმს შიგ გახვევს,*
*ფუძე მიწას ცა გახურავს,*
*ღელვით ზღვასაც შესადარო,*
*შენ იალქნით ვინ გაგცურავს*
*მომავლის შესართავო.*

**ლელა ჯიყაშვილი**

**ჩვენ გვწერენ**

# ყაჩაღების მსხვერპლმა ყაჩაღებისაგან მიხსნა...



ორი კვირის წინ, გვიან ღამით მომიხდა შინ დაბრუნება. ის იყო, სადარბაზოში შევდგი ფეხი, მოულოდნელად სიბნელიდან ახალგაზრდა კაცი გადმოხტა, ყელთან დანა მომადო — ფული და სამკაული მომეციო. შიშით სისხლი გამეყინა. უკან დავიხიე. უცებ, უკნიდანაც მოძალადის ხელი ვიგრძენი — ჩანთაზე დამეჯაჯგურა. თურმე ორნი ყოფილან! მათთან რას გავხდებოდი? დღესაც არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, შევწინააღმდეგებოდი. თითქოს ჩემი სხეული და სული გაიყო. შეშინებული და ფარხმალდაყრილი ხელებს გამეტებით ვიქნევდი, წიხლსაც არ ვიშურებდი...

— ამას უყურე, — წაისისინა ერთ-ერთმა ყაჩაღმა და ლავიწის ძვალში ჩამაფრინდა.

არაადამიანური ტკივილისგან თვალთ დამიბნელდა. მუხლი მომეკვეთა. უცებ ვიგრძენი, ვილაც იდგა ჩემთან ახლოს, ჩემი მაჯა ეკავა და მაიძულებდა, არ დავცემულიყავი. არა, ის თავდამსხმელი არ იყო, პირიქით, მე მშველოდა. ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა. ერთ-ერთმა ყაჩაღმა საყურეზე წამატანა ხელი და ჩამოქაჩა. ვიდრე რამეს ვილონებდი, დავინახე, უცნობმა „მაშველმა" როგორ ნელ-ნელა ასწია ხელი ჩემს ყურთან ახლოს... მოძალადე შეცბა და უკან გადახტა, მერე ამფსონს დაუძახა — წავედითო! სადარბაზოსთან კი „ის" დახვდათ. ახლაღა დავაკვირდი, ძალიან ნაცნობი სახის, საფეთქლებშევერცხლილი კაცი იყო... მისი მკრთალად განათებული სილუეტი დღემდე თვალწინ მიდგას. ორივე ხელი გაშალა და გასასვლელი გადაღობა. ვხედავდი, როგორ ამაოდ ებრძოდნენ ნაქურდლით ჯიბეგატენილი ჯიბგირები... ვერაფრით ძვრა ვერ უყვეს.

მაშინ არაფერ არარეალურზე არ ვფიქრობდი, მეგონა, ვიღაც ღვთისნიერი ნაცნობი დამეხმარა-მეთქი. მხოლოდ ერთი რამ მიკვირდა, „ის" ძალიან ნელა ირჯებოდა. იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ გამოერთმია ჩემი ხელჩანთა, მხოლოდ ხელგაშლილი იდგა...

ერთ-ერთმა ყაჩაღმა დანა მოუქნია. ის კი არ დაიჭრა... მოუქნია მეორედ, მესამედ... მერე ყვირილიც მორთო, ხელებს თვალებზე იფარებდა. მეორე ყაჩაღმა რაღაც ჩაიბუტბუტა, ჩანთა მესროლა და ჩაიმუხლა...

როგორც კი მათ წართმეული დამიბრუნეს, ჩემი მშველელი გაიცრიცა და გაქრა...

ორი კვირა არ მიძინია. სულ იმაზე ვფიქრობდი, რა გადამხდა, რამე ხომ არ მომელანდა-მეთქი. გუშინღა გავიხსენე, ის კაცი სად მენახა. პიონერთა ბანაკში გავიცანი. ჩვენი ხელმძღვანელი იყო, ახალგაზრდა კაცი, ოლეგი ერქვა (გვარი არ მახსოვს), კარგი სპორტსმენი და გულღია ადამიანი. მეორე ზაფხულიც იმ ბანაკში გავატარე. იქ გავიგე საშინელი ამბავი: ოლეგი ქუჩაში მოუკლავთ ყაჩაღებს.

დარწმუნებული ვარ, „ის" ჩემთან არ მოსულა, ალბათ არც ვეხსომებოდი, ჩემნაირი რამდენი ჰყოლია! მჯერა, დადის და ყველა განსაცდელში ჩავარდნილს, როგორც შეუძლია, ისე ეხმარება.

***ელენე შოშიაშვილი, რუსთავი***

# „დარწმუნებული ვარ, ჩემს ბედში მფარველი ანგელოზი ჩაერია!.."

ეს ამბავი ერთმა ახალგაზრდა მშვენიერმა ქალბატონმა მიამბო:

— 25 წელი ისე შემისრულდა, შეყვარებული არ მყოლია. ასპირანტურას ვამთავრებდი, გადამეკიდნენ ცალკე მშობლები და ცალკე მამიდა-დეიდები: — დარჩები გაუთხოვარი ამ წიგნების გადამკიდე და რა თავში იხლი მერე მაგ შენს სწავლა-განათლებასო...

დატრიალდნენ, საქმეში ნაცნობ-მეგობრები ჩარიეს და ხელად გამომიძებნეს „შესაფერისი" საქმრო.

ლაშა ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი, ბიზნესს ეწეოდა და უცოლოდ იმიტომ დარჩენილა, რომ „პატიოსანი ქალი ჩვენს დროში ძნელი სანახავია..."

გაგვაცნეს ერთმანეთი და დავიწყეთ შეხვედრები. ერთი შეხედვით კაცს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, არც ქცევის წესები დაეწუნებოდა, არც ლაპარაკის მანერა, ყოველთვის გემოვნებით შერჩეულ საჩუქრებს მიძღვნიდა. და... მაინც არ მომწონდა რაღაც, განსაკუთრებით თვალები: მზერა გაურბოდა, არასოდეს გაგისწორებდა თვალს...

ეს რომ ვთქვი, ჩემიანებმა გაგონებაც არ ისურვეს — იმ ასაკში ხარ, განსაკუთრებით წუნიები რომ ხდებიან ქალებიო და ჩემი თანხმობის გარეშე დანიშნეს ქორწილი.

ნიშნობის მეორე დღეს ეკლესიაში წავედი, ყველა ხატის წინ ავანთე სანთელი და რატომღაც ერთი რამ ვთხოვე: — გული ცუდს მიგრძნობს, და თუ ღირსი ვარ, ავისგან დამიფარეთ-მეთქი.

იმ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე — ჩემი საქმრო დანით გამომიდგა და თავისთვის რომ მეშველა, ჭაში ჩავხტი. ის იყო, წყალში უნდა ჩავვარდნილიყავი, რომელიც რატომღაც სისხლივით წითელი იყო, რომ თეთროსანი არსება გაჩნდა და ხელებით დამიჭირა. მერე ჭის კედელზე რაღაც შვერილებზე მიმითითა და მითხრა: — რადგან უცოდველი ხარ და რწმენაც შეინარჩუნე, უფალმა შეისმინა შენი თხოვნაო. იმ შვერილს მოვეჭიდე და რომ დავაკვირდი, ორიანის ფორმა ჰქონდა, ზემოთაც ორიანი ეკიდა, იმის ზევით — შვიდიანი, სულ ექვსი რიცხვი იყო — ისინიც გათავდა და ჭიდანაც ამოვედი.

...გამოღვიძებულს საოცარი სიცხადით მახსოვდა ექვსივე ციფრი და მაშინვე ჩავიწერე, რომ არ დამვიწყებოდა!..

ლაშას რომ შევხვდი, ის საშინელი სიზმარი გამახსენდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თავს გავიუბედურებდი, თუ ამ კაცს არ ჩამოვშორდებოდი.

ქორწილამდე ერთი თვე რჩებოდა, მაისის ჩათავებას ველოდებოდით...

სიზმარში ნანახი ციფრები მოსვენებას არ მაძლევდა და რადგან რიცხვი ექვსნიშნა იყო, რატომღაც ტელეფონის ნომრად მივიჩნიე და ერთ საღამოს ავკრიფე. მამაკაცმა მიპასუხა და ბავშვობაშიც რომ არ გამიკეთებია მსგავსი რამ, ლაპარაკი გავუბი...

ერთი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ვურეკავდი დათოს (ასე გამეცნო) და როცა შეხვედრა მთხოვა, უარი არ მითქვამს...

თუმცა განათლებით არ გამოირჩეოდა და არც საკუთარი ბიზნესი ჰქონდა (იგი ერთ-ერთი პროფილაქტიკის თანამშრომელია, უბრალო მუშაკაცი), მაინც ბევრად კეთილად განვეწყვე მის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ბავშვობაში ერთ სოფელში ვისვენებდით ზაფხულობით — გორის რაიონში, სადაც დეიდაჩემი ცხოვრობდა და დათოს დედულეთი ყოფილა. გავიხსენეთ ერთმანეთი და დათომ ისიც კი მითხრა: გეპრანჭებოდი, მაგრამ შენ არ მაქცევდი ყურადღებასო. ბევრი ვიცინეთ და ვიხალისეთ ბავშვობის მოგონებებით. მერე კი, არ დამიმალავს და ვუთხარი, დანიშნული რომ ვიყავი და საქმრო არ მიყვარდა...

ქორწილამდე სამი დღით ადრე შევხვდი დათოს და დავპატიჟე კიდევაც. მოულოდნელად მითხრა, — ახლავე უბედური ხარ ამ ქორწილის გამო და იტანჯები, მე კი მართლა მიყვარხარ... იფიქრე ამაზე და თუ გაბედავ, ხვალ მანქანით მოგაკითხავო.

...დამაბნია დათომ. მთელი ღამე არ მიძინია. თუ წამთვლემდა, ისევ თეთრსამოსიანი არსება მელანდებოდა და დათოსკენ მითითებდა.

გავრისკე და გავყევი დათოს.

ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. ლაშამ „ჩემს ჯიბრზე" მალე შეირთო ცოლი, ძალიან კარგი და ჩემზე ახალგაზრდა გოგონა, მაგრამ... ექვსი თვის ფეხმძიმე დანით მოკლა. რას ერჩოდა, დღემდე არავინ იცის, რადგან ამის შემდეგ შეიშალა და დღემდე ერთ-ერთ ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობენ.

თურმე შიზოფრენია ბავშვობიდან ტანჯავდა, მიუხედავად ამისა, მშობლების თანადგომით და მუდმივი მკურნალობით ბევრს მიაღწია...

მშობლები მხოლოდ ამის შემდეგ შემირიგდნენ.

მე და დათო ბედნიერები ვართ, უკვე ორი შვილი გვყავს და დარწმუნებული ვარ, ჩემს ბედში მფარველი ანგელოზი ჩაერია და ავისგანაც დამიცვა!..

***ინგა ჯაყელი***

# კვარცის სასწაულმოქმედი ენერგია

**ხალხი უძველესი დროიდანვე, სხვა სამკურნალო ქვებთან ერთად, იყენებდა კვარცს, რომელიც თითქმის ყველგან მოიპოვება და მრავალნაირია. მის კრისტალებში, ისე, როგორც წყალში, აისახება მთელი კოსმოსი. მასში დავინახავთ „ნისლს", „გალაქტიკას" და „ცისარტყელას" ლამაზ ფერებს. კვარცი ძალიან ლამაზი ქვაა, რომელიც შეუცვლელია მწუხარებისა და დეპრესიის მკურნალობისას.**

**მთის ბროლი** — უფერო, გამჭვირვალე კვარცია, რომლის მაგიური ძალა საქვეყნოდ ცნობილია. ის შემოქმედ ადამიანთა საყვარელი ავგაროზია. ის უნდა ატარონ ვერძებმა. დაწახნაგებული, თლილი მთის ბროლი ეხმარება ადამიანებს სიძნელეების დაძლევაში, არიდებს მათ უსიამოვნო სიტუაციებს.

მრგვალ კვარცს მიიჩნევენ „მეცნიერთა ქვად", რომელიც თავისი ენერგიით კვებავს პატრონს. უმჯობესია კვარცის ამულეტის ტარება მკერდზე ან შარვლის ჯიბეში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კვარცისთვლიანი ბეჭდის გაკეთება. საუკეთესო მფარველია კვარცის ბებიისეული წახნაგოვანი მძივი.



**მოყვითალო-ნარინჯისფერი კვარცი (ე.წ. ციტრინი)** სიმდიდრისა და წარმატების ქვაა, იფარავს ბიზნესმენებსა და აქტიურ ადამიანებს. ძველ რომში მიაჩნდათ, რომ ის ეხმარებოდა ადამიანებს აზრის ჩამოყალიბებასა და მეტყველების დეფექტის დაძლევაში. პლატინაში ჩასმული ციტრინი უნდა ატარონ მარჩბივმა და ლომმა.

**კვამლისფერი (მონაცრისფრო, ნისლისფერი) კვარცი** ძლიერი მფარველია, ადამიანს ანიჭებს მოვლენათა საღად და ფხიზლად შეფასების უნარს. ის უნდა ატარონ მეოცნებე და მგრძნობიარე ადამიანებმა, რომელთაც მცირედი წარუმატებლობაც კი აღიზიანებთ. რეკომენდებულია ქალწულისა და მშვილდოსნისთვის.

**ვარდისფერი კვარცი** განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის: ის იცავს მათ ემოციებისგან, გადაღლისგან. კარგია ასევე სახის კანისთვის. ვარდისფერი კვარცი ჩადეთ სახის კრემში. ამით გაძლიერდება მისი სამკურნალო თვისებები. ეს ქვა კირჩხიბისა და მარჩბივის თილისმაა.

**„ამურის ისრები" ანუ „ვენერას თმა"** — ასე ეწოდება გამჭვირვალე კვარცისგან დამზადებულ სამშვენისებს, ამულეტებს. ვინც ამგვარ სამკაულს ატარებს, უმალ იპყრობს ხოლმე საზოგადოების ყურადღებასა და მის მიმართ მეგობრულად განაწყობს ყველას. ეს სასწორისა და კუროს ქვაა.

**ქალცედონი** ადამიანებს იცავს ჩხუბისა და აყალმაყალისგან, სასამართლო დავისგან, მოგზაურობისას უბედური შემთხვევისაგან. თუ ამ ქვაზე ამოკვეთთ შუბოსან მხედარს, ის დაეხმარება მის მფლობელს მტერზე გამარჯვებაში, განძისა და დაკარგული ნივთების პოვნაში. ქალცედონი რეკომენდებულია თხის რქის ზოდიაქოში დაბადებულთათვის.

**იასპი** კვარცის ყველაზე ლამაზი სახეობაა, იფარავს შემოქმედ, შრომისმოყვარე ადამიანებს, აძლიერებს მეხსიერებას, მატონიზებელია, ძალის მიმცემია. ის მერწყულის ქვაა.

**ამეთვისტო** უნდა ატარონ ან ბალიშის ქვეშ დაიდონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც უძილობა და საშინელი სიზმრები აწუხებთ. ამეთვისტოს პატრონი ადვილად არ თვრება და ყოველთვის ყველგან იმარჯვებს. სასურველია ამეთვისტო ატარონ თევზებმა.

***ლიზა-გოროსკოპი №2***

# ბეჭდების მბრძანებელი



ბეჭედს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული — ის უსასრულობის სიმბოლოა, „გველი, რომელიც თავის კუდს კბენს". მართალია, ბეჭედი მატერიალური საგანია, მაგრამ ამბობენ, ნაწილობრივ მიღმა სამყაროს ძალებთანაც აქვს კავშირიო. იმის მიხედვით, თუ რომელ თითზე გაქვს ჩამოცმული, მყარდება კავშირი ამა თუ იმ ძალასთან.

**საჩვენებელ თითზე** გაკეთებული ბეჭედი ამაღლებს თვითშეფასების უნარს, ეხმარება ადამიანს საოცნებო გეგმების შესრულებაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბეჭედი თუჯისაა, რომელიც იუპიტერის ლითონია.

**შუა თითზე** — ანათებს გონებას, კეთილგონიერს ხდის ადამიანს და ეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ერთგულება და სიბრძნე შეემატება, თუ ტყვიის ან რკინის ბეჭედს იხმარს — ეს ხომ სატურნის ლითონია.

**უსახელო თითს** ტრადიცია გულთან და ხელოვნების სიყვარულთან აკავშირებს. ოქროს ბეჭედი უსახელო თითზე დაეხმარება ადამიანს სიმდიდრისა და სახელის მოპოვებაში, სიყვარულის განმტკიცებაში.

**ნეკა თითი** მერკურის წილხვედრია, რომელიც განაგებს მწერლობის, მათემატიკურ, სამედიცინო, ვაჭრობისა და დიპლომატიურ ნიჭს.

იშვიათად ატარებენ ბეჭედს **ცერა თითზე**, რომელიც ვენერას — სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის — გამგებლობაშია. ამიტომაც ჩვენს დროში იშვიათად გვხვდება რომანტიკული სიყვარული...

***ტალისმანი №10***

# ხეზე დააკაკუნე



ხშირად გაიგონებთ ამგვარ თქმას — „ხეზე დააკაკუნე". რა არის ამ ჩვეულების სათავე?

ეს ადათი ძველისძველია. დრუიდებს სწამდათ, რომ თუ ბებერ მუხას შეეხებოდა ადამიანი, ხე დაიცავდა უსიამოვნებებისგან, ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა საქმეში წარმატების მისაღწევად მუხის ხელით შეხება წესად აქციეს.

დრუიდები ჭეშმარიტებისგან შორს არ იყვნენ — თანამედროვე დენდროთერაპია ამტკიცებს, რომ მუხას მძლავრი ენერგეტიკა გააჩნია, განსაკუთრებით, შუა წელში. ასე რომ, მასზე დაკაკუნება კი არა, ჩახუტება სჯობს.

მისგან მიღებული ენერგია თვალისცემისგან, ჯადოსგან დაიცავს ადამიანს, აძლიერებს ენერგეტიკას, რაც წარმატების საწინდარია.

ნელ-ნელა ყველამ დაივიწყა, რომ მხოლოდ მუხას შეუძლია მათი დაცვა, და ნებისმიერი ხის შეხება დაიწყეს.

ეძებეთ მუხის ხე ან მუხის ნაკეთობა. ის იქნება თქვენი ენერგეტიკული ფარი, საიდუმლო აკუმულატორი.

***ტაინაია ვლასტი №10***

## „საზალღო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. ღამურა.

II. მე-2 და მე-6 ფრაგმენტები.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — ბ); 3) — ბ); 4) — დ); 5) — ა); 6) — ბ); 7) — დ); 8) — დ).

# იგლესიასმა ფეხმძიმე კურნიკოვა შეირთო



ამერიკის პრესას სენსაციური ცნობა მოედო — ახლახან მაიამიში მომღერალმა ენრიკე იგლესიასმა და რუსმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ ჯვარი ჩუმად დაიწერესო. შეგახსენებთ, რომ თებერვლის ბოლოს შეყვარებულებმა პრესას განუცხადეს — ერთმანეთს დავშორდითო. ამის მიზეზი, ჟურნალისტების თქმით, იყო კურნიკოვას შურისძიება — მან არ აპატია ენრიკეს ღალატი და სამაგიერო გადაუხადა, მაგრამ ვერც ცხელსისხლიანმა ესპანელმა შეუნდო თვალის სხვისკენ გაპარება.

ახლა პრესა იტყობინება, რომ ანა ფეხმძიმედ არის და ეს გახდა მათი შეუღლების მიზეზი. ენრიკეს არ დაუფარავს, რომ შვილს ელოდება და დაუმატა, — დაგაგვიანდათ, ჩემო ძვირფასო ჟურნალისტებო, უკვე 5 თვეა, რაც ჩვენ ვიქორწინეთო. „კვირის პალიტრის“ მკითხველს კი შევახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ (შესაძლოა 5 თვის წინაც) ჩვენს ერთ-ერთ ნომერში, ბოლო 36-ე გვერდში გვქონდა ინფორმაცია ამ სკანდალური წყვილის ქორწინების შესახებ, რომელსაც არ დაესწრო ენრიკეს მამა — ცნობილი მომღერალი ხულიო იგლესიასი.

*7 დღე №24*

# უგვირგვინო მეფეს პატივი მიაგეს



საფრანგეთის მეფეთა ძვალთშესალაგში ლუდოვიკო მე-17-ის გულის დამკრძალავი ცერემონია გაიმართა. ევროპის მონარქიული სახლების წარმომადგენლები პარიზთან ახლოს, სენ-დენის ბაზილიკაში შეიკრიბნენ, რათა პატივი ეცათ საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მეფის ხსოვნისათვის.

საფრანგეთის რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯილი ლუდოვიკო მე-16-ისა და დედოფალ მარია-ანტუანეტას ვაჟიშვილი, ტუბერკულოზისგან 9 წლის ასაკში გარდაიცვალა ციხე ტამპლში. მართალია, ბიჭი მეფედ არასოდეს უკურთხებიათ, მაგრამ ისტორიკოსებისა და მეფეთა სახლების წარმომადგენლები მას მეფედ აღიარებენ მისი წარმოშობის გამო. ტახტის მემკვიდრე რევოლუციონერებმა უბრალო ორმოში დაასაფლავეს. ექიმმა, რომელიც გვამის გაკვეთაში მონაწილეობდა, მისი გული მოიპარა და სპირტის ხსნარში შეინახა. საფრანგეთში მონარქიის რესტავრაციის შემდეგ, ლუდოვიკო მე-17-ის გული ბურბონთა საგვარეულო რელიკვია გახდა. და აი, ახლახან უგვირგვინო მეფეს, ბოლოს და ბოლოს, ღირსეული პატივი მიაგეს.

*პარი მატჩი*

# ჟან-პოლ გოტიე — მოდელიერი-ხაბაზი

სახელგანთქმულმა ფრანგმა დიზაინერმა ჟან-პოლ გოტიემ საზოგადოებას მეტად უჩვეულო კოლექცია წარუდგინა.

მოდელების მასალად მან ქსოვილი კი არა, ჩვეულებრივი საფუვრიანი ცომი გამოიყენა.

პარიზის ხელოვნების სახლი დროებით უზარმაზარ საცხობად იქცა. თანამედროვე სტილით ნაშენი შენობა ცომისგან გამომცხვარი სკულპტურებით, ოთხი ათასი ბაგეტით (ფრანგული პური) და ხრაშუნა კარტოფილით იყო დეკორირებული. კუტიურიეს რამდენიმე ათეული ხაბაზი ეხმარებოდა. როგორც 52 წლის მოდელიერი აღიარებს, ბავშვობაში სწორედ პურის ცხობაზე ოცნებობდა და მხოლოდ ახლა მოახერხა ოცნების ასრულება.

*ვოკრუგ სვეტა*

# ლოცვა ინტერნეტით



„თუკი ისინი ვერ მიდიან ეკლესიაში, მაშინ ეკლესია შევა მათ კომპიუტერში“, — ასე შეიძლება ეწოდოს იმ ინტერნეტსაიტს, რომელიც დიდი ბრიტანეთის მეთოდისტურმა ეკლესიამ ინტერნეტში განათავსა. საიტზე შემსვლელები ხვდებიან ვირტუალურ ეკლესიაში, სადაც ყველაფერი — ლოცვები თუ სხვა საეკლესიო რიტუალი, ვირტუალურად ტარდება.

სასულიერო პირები წუხდნენ — თანდათან მცირდება ეკლესიაში მომსვლელ ახალგაზრდათა რიცხვიო. ამიტომ დიდი ბრიტანეთის მეთოდისტურმა ეკლესიამ ახალგაზრდების ეკლესიისაკენ მისაბრუნებლად ინტერნეტი აირჩია. ივლისში ანალოგიურ საიტს ინგლისის ანგლიკანური ეკლესიაც გახსნის. მისი „ვებ-პასტორი“ ალისონ ლესლი აცხადებს: — „ეკლესია უნდა იყოს იქ, სადაც ხალხია, ხალხი კი დროის დიდ ნაწილს ინტერნეტში ატარებს. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ, ეკლესიას ხალხთან საუბარი ინტერნეტით გაება“.

საგულისხმოა, რომ ამ წამოწყებამ ინგლისელთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ინტერნეტსაიტის გახსნიდან ორიოდე დღეში მას 68 000 ვიზიტორი ეწვია.

თუმცა აღწევს თუ არა ღმერთთან ინტერნეტით ნალოცი, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

*ნიუ ზუიქი*

# არაჩვეულებრივი გამოფენა



უნგრეთში მრავალი ცნობილი მოქანდაკის მიერ შექმნილი ძეგლისა თუ ბიუსტის ერთად ნახვა შესაძლებელია არა მარტო მუზეუმებსა თუ გამოფენებზე, არამედ ბუდაპეშტის კერეპესის სასაფლაოზე. სასაფლაო სამი ასეული წელიწადია არსებობს. ქვეყანაში სოციალისტური რეჟიმის დამყარებამდე, აქ მხოლოდ დიდგვაროვნებს და უცნობილეს ადამიანებს ასაფლავებდნენ. ერთგვარი ტრადიციაც იყო — საფლავზე ძეგლი ან ბიუსტი უნდა დაედგათ. ჭირისუფალნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოქანდაკეების შერჩევაში. სახელგანთქმულ ხელოვანთ ხშირად ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევდნენ. სწორედ ასე, სამი ასწლეულის მანძილზე, კერეპესის სასაფლაოზე ნამდვილი „მუდმივმოქმედი გამოფენა“ გაჩნდა, სადაც ევროპის ცნობილი მოქანდაკენი იყვნენ წარმოდგენილნი.

ერთ დღეს უნგრელ ფოტოგრაფს, კლარა აიჩს, მოაფიქრდა, სურათები გადაეღო სკულპტურებისათვის და გამოფენა მოეწყო. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. გამოფენამ უნგრეთის მრავალი ქალაქი მოიარა, ის ასიათასობით ადამიანმა დაათვალიერა. ეს უცნაური ვერნისაჟი შეერთებულ შტატებსა და ევროპის ბევრ ქვეყანაშიც მიიწვიეს. საგულისხმოა ისიც, რომ გამოფენის „უცხოურ ტურნეს“ აფინანსებს სახელმწიფო, კერძო ტურისტული კომპანიები და თვითონ კერეპესის სასაფლაოს ადმინისტრაცია. ისინი ამ ნაბიჯით ფინანსურ ეფექტს ელოდებიან. სრულიად შესაძლებელია, რომ მრავალმა უცხოელმა, ვინც ფოტოგამოფენას ნახავს, გადაწყვიტოს ორიგინალების ნახვა. უნგრელებს იმედი აქვთ, რომ კერეპესის სასაფლაო მალე ტურისტულ ცნობარებში შევა და ქვეყნის სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, ტურისტულ მარშრუტებში დაიკავებს ადგილს.

*ნიუ ზუიქი*

# ბეჰემოთი რეკორდს ამყარებს



ბეჰემოთი, სახელად მერი, მიუხედავად თავისი მოწიფული ასაკისა — უკვე 47 წლისაა — აოცებს კენიგსბერგის (ყოფილი კალინინგრადის) ზოოპარკის თანამშრომლებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მერისაგან შთამომავლობას უკვე აღარავინ ელოდა. როგორც კი მერის პაწაწინა ბეჰემოთი გაუჩნდა, მაშინვე გინესის წიგნზე დაიწყეს ფიქრი — ეს ხომ დედისთვის 24-ე შვილი იყო. „ბეჰემოთი ტყვეობაში საშუალოდ 40-50 წელს ცოცხლობს. მერი უკვე ხანდაზმულობის ასაკშია. ადამიანური საზომით მისი ასაკი 70 წელია. მისგან შვილის გაჩენა უჩვეულო მოვლენად ჩაითვლება“ — ამბობს კალინინგრადის ზოოპარკის პრესმდივანი. ჩვილთან დედა არავის უშვებს, ამიტომ ახალშობილის სქესის დადგენა ჯერჯერობით არ ხერხდება.

ბეჰემოთი ზოოპარკის სიმბოლოდაა მიჩნეული. 1945 წელს კენიგსბერგის შტურმისას ქალაქის ზოოპარკში ყველა ნადირი დაიხოცა, გარდა ბეჰემოთი ჰანსისა. საბჭოთა მედიკოსებმა მას 7 ტყვია ამოუღეს და ამის შემდეგ კიდევ 15 წელი იცოცხლა. სწორედ მის შემცვლელად მოიყვანეს მერი. „მერის შვილები ამჟამად რუსეთის ზოოპარკებში ცხოვრობენ და არა მხოლოდ რუსეთისა, ისინი არიან სხვაგანაც, მაგ. ერევანში, თბილისში“ — ამბობს ზოოპარკის პრესმდივანი.

ახალშობილი დედის მზრუნველობის ქვეშ თავს მშვენივრად გრძნობს. როგორც ამბობენ, გვიანშობილი შვილი ყველაზე საყვარელია.

# ავაზამ ზონა დახურა



სამხრეთ საფრანგეთში, მარსელის მახლობელი საკურორტო ქალაქი კასი საყოველთაო პანიკამ მოიცვა — დღისით-მზისით სანაპიროზე ავაზა დასეირნობდა. როგორც ტურისტები ამბობენ, მტაცებელი „დამსვენებელი“ საკმაოდ ზორბა ყოფილა. კურორტის ხელისუფლება მახლობელი ზოოპარკებისა და მოხეტიალე ცირკების ხელმძღვანელებთან ცდილობს, დაადგინოს, საიდან არის იგი გამოქცეული. ავაზის კვალი კურორტის სხვა რაიონებშიც აღმოაჩინეს.

ხელისუფლება იძულებული შეიქნა, მის დაჭერამდე ხმელთაშუა ზღვის დიდი რაიონი, მარსელიდან ქალაქ კასამდე ტურისტებისთვის დახურულ ზონად გამოაცხადოს.

*ლიბერასიონი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ზურაბ ფირცხალავას სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| რ | ა | ს | ი | დ | მ | ჯ | ნ | ი | ა | ნ | ლ | შ | | ა | ე | | ნ | ი | ა | | ი | ო | | რ | ი | უ | ი |

**გ.** შავი ფერის ქვა, რომელიც თითქოსდა მფლობელს იცავს ავი თვალისაგან; **ა.** რა ერქვა სიონიის მგელთა ხროვის მეთაურს კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **რ.** მანძილი, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **თ.** რა ერქვა აქილევსის დედას, ქალს, რომელსაც განბანვის დროს საკუთარი შვილი ქუსლით ეჭირა; **ე.** ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **დ.** ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; **ა.** ქვითკირის სამარე; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ვ.** ... კოტეტიშვილი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ჩ.** ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** ნიკოლოზის როლის შემსრულებელი ფილმში „უდიპლომო სასიძო“; **თ.** რა ჰქვია ლაფერაძის პერსონაჟს ფილმში „ღვინის ქურდები“; **ა.** გათავისუფლებული ყმა; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** დესპანი; **რ.** მონეტის ან მედლის უკანა მხარე; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **დ.** მევენახეობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ი.** იაგო; **კ.** კრუიზი; **ი.** იალაღი; **თ.** თაფლი; **ხ.** ხრიკი; **ე.** ელცინი; **თ.** თოხი; **მ.** მროველი; **ხ.** ხაბაზი; **ო.** ოტავა; **ლ.** ლუწი; **ო.** ონასისი; **დ.** დერბი; **კ.** კიმონო; **ვ.** ვუალი; **ი.** ისტორია; **რ.** რვეული; **ი.** იუბილე; **ს.** სეინერი; **პ.** პასტორი; **ა.** ასმათი; **ლ.** ლატვია; **ი.** იკებანა; **ტ.** ტერტერა; **რ.** რეიგანი; **ა.** ატამანი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: გულფიცხობა წარმატების მტერია.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**14 ივნისი:**
**ნატო ვაჩნაძე**, მსახიობი; **ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ**, მწერალი; **ერნესტო ჩე გევარა**, რევოლუციონერი; **შტეფი გრაფი**, ჩოგბურთელი; **ბოი ჯორჯი**, მომღერალი.

**15 ივნისი:**
**ირმა ნიორაძე**, ბალერინა; **ჯეიმს ბელუში**, მსახიობი; **ედვარდ გრიგი**, კომპოზიტორი; **ჰელენ ჰანტი**, მსახიობი.

**16 ივნისი:**
**დანიელ ჭონქაძე**, მწერალი; **ეკატერინე გაბაშვილი**, მწერალი; **ოტია იოსელიანი**, მწერალი; **თუფაქ შაკური**, მუსიკოსი.

**17 ივნისი:**
**შარლ გუნო**, კომპოზიტორი; **კარლ XII**, შვედეთის მეფე; **ჯეისონ პატრიკი**, მსახიობი; **იგორ სტრავინსკი** კომპოზიტორი.

**18 ივნისი:**
**მაქსიმ გალკინი**, პაროდისტი; **ფაბიო კაპელო**, იტალიის „რომას“ მწვრთნელი; **პოლ მაკარტნი**, მომღერალი და კომპოზიტორი; **იზაბელა როსელინი**, მსახიობი.

**19 ივნისი:**
**პოლა აბდული**, მომღერალი, მოცეკვავე და ქორეოგრაფი; **ბლეზ პასკალი**, მათემატიკოსი, ფიზიკოსი; **კეტრინ თერნერი**, მსახიობი.

**20 ივნისი:**
**ნიკოლ კიდმანი**, მსახიობი; **ლაიონელ რიჩი**, მომღერალი.

# სიტყვათა კონა

**კვეჟო** — ხის სოკო, რომლისგანაც კეთდება აბედი.

**კვერთხი** — საგანგებო ჯოხი, რომელიც ხელთ ეპყრა დიდი თანამდებობის პირს (მაგ. პატრიარქს, მონარქს), როგორც ნიშანი ძალაუფლებისა.

**კვიმატი** — 1. ავი, ბოროტი, უკუღმართი, ფათერაკიანი. 2. მოსწრებული, ენამახვილი.

**კვინიხი** — თავის სარქველი, — თხემი.

**კვირაცხოვლობა** — ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაული: პირველი კვირა აღდგომის შემდეგ.

**კვირაძალი** — კვირა დღის წინა საღამო, შაბათ საღამო.

**კვირიონი** — იგივეა, რაც მესკია (პატარა ჩიტი ერთგვარი).

**კვირისტავი** — 1. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი სამძიმი (რგოლი) თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად. 2. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი.

**კვირჩხლა** — პატარა თევზი ერთგვარი: გამრავლების დროს თავზე უჩნდება ღომის მარცვლის ოდენა ხორკლები (სინონ. კუთხ. — ღომა).

**კვნიტი** — პატარა ნატეხი (შაქრისა, მარილისა).

**კვნიწი** — იგივეა, რაც კვნიტი.

# ოლიმპიადაზე 32 ქართველი სპორტსმენი მიემგზავრება

**— გთხოვთ ამიხსნათ, რატომ გამოჰყავთ დიდ ქვეყნებს მსოფლიო ოლიმპიადაზე სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, პატარა ქვეყნებს კი საკმაოდ მოკრძალებული. ეს დამოკიდებულია ფინანსებზე თუ მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სიდიდეს.**

*ერეკლე კაშია*

კითხვაზე უპასუხებს **კახა ბერიძე**, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის უფროსი.

— რა თქმა უნდა, ფინანსებს სპორტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ლიცენზია, მას კი სახელმწიფო კი არა, თავად სპორტსმენი მოიპოვებს სპორტული მიღწევის მიხედვით — ანუ 4 წლის მანძილზე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული შედეგების გათვალისწინებით. ამ პერიოდშივე ტარდება ასევე სალიცენზიო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. შესაბამისად, ამ ასპარეზობებში მონაწილეობისათვის აუცილებელია დაფინანსება.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ 32 სპორტსმენი გაემგზავრება. ქართველმა სპორტსმენებმა განვლილი ოთხი წლის მანძილზე ვერ მოახერხეს მთელ რიგ ჩემპიონატებსა თუ შეჯიბრებებში მონაწილეობა დაუფინანსებლობის გამო.

რაც შეეხება ქვეყნის „ზომას“, ეს ნამდვილად არ მოქმედებს ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა რაოდენობაზე. თუმცა ისეთ ქვეყანას, რომელსაც თითქმის მთელი კონტინენტი უჭირავს (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს), რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი წარმატებული სპორტსმენი ეყოლება, ვიდრე საქართველოს. თანაც მნიშვნელობა აქვს თუ როგორ პროპაგანდას ეწევა ესა თუ ის ქვეყანა სპორტის განვითარების საკითხებში. პოტენციურად ჩვენ გაცილებით მეტი წარმატებული სპორტსმენი უნდა გვყავდეს. ყველაფერს ხომ ხელშეწყობა უნდა.

# ბაზარში შეყვანილ გარე მოვაჭრეებს გადასახადისგან არ ათავისუფლებენ

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია „დეზერტირების“ ბაზარში შეყვანილი გარე მოვაჭრეებისგან ყოველდღიური გადასახადის მოთხოვნა, რომელიც ჯერ ერთი ლარი იყო, ხოლო 1-ლი ივნისიდან ბაზრის ადმინისტრაციამ 2 ლარამდე გაზარდა. არადა, დაგვპირდნენ, ერთი წლის განმავლობაში არ გადაგახდევინებთ არავითარ გადასახადსო.**

*ლუბა ერაძე*

კითხვაზე უპასუხებს **თემურ პაპუაშვილი**, სააქციო საზოგადოება „ცენტრალური სუპერმარკეტის“ დირექტორი.



— „დეზერტირების“ ბაზარი ანუ „ცენტრალური სუპერმარკეტი“ კერძო დაწესებულებაა. ამდენად, მან უნდა გადაიხადოს როგორც კომუნალური, ასევე სახელმწიფო თუ სხვა სახის გადასახადები. ჩვენს ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ყოველდღიური ქირა, რომელსაც მოვაჭრეები იხდიან (რაც 2 ან 3 ლარს შეადგენს). 15 იანვრიდან გარე მოვაჭრეები მართლაც შემოვუშვით ბაზრის ტერიტორიაზე ადგილობრივი გამგეობისა და მერიის შუამდგომლობით. მათივე თხოვნით, „ცენტრალური სუპერმარკეტის“ ადმინისტრაციას აღნიშნული მოვაჭრეებისთვის ორი თვე არ უნდა გადაეხდევინებინა ქირა. ეს ვადა გავზარდეთ კიდეც და მხოლოდ 1-ელი მაისიდან შემოვიღეთ მათთვის გადასახადი. გარდა ამისა, „ცენტრალურ სუპერმარკეტში“ სხვებიც ვაჭრობენ, რომლებიც ასეთი დიფერენცირებით უკმაყოფილონი არიან.

გადასახადი ნამდვილად არ გახლავთ დიდი, თანაც არ არსებობს არავითარი ნორმატიული აქტი, არც პრეზიდენტის ბრძანებულება და არც თბილისის მერიის გადაწყვეტილება ამ მოვაჭრეთა გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. „ცენტრალურმა სუპერმარკეტმა“ სამთვე-ნახევრის მანძილზე (უსასყიდლოდ ამუშავა გარე მოვაჭრეები) სერიოზული მატერიალური ზარალი განიცადა — დაახლოებით 100.000 ლარი. ამდენად, ამიერიდან შეღავათს ვერ გავუწევთ მათ.

# ბულანოვას სერიოზული პრობლემები ჰქონდა, მე კი სიყვარულზე ვმღერი...

**— გიგა კვენეტაძეს ამ ბოლო დროს ხშირად აქილიკებენ, რუს მომღერალ ბულანოვასაც კი ადარებენ... არ სწყინს? ხომ არ აპირებს იმიჯის და სიმღერის სტილის შეცვლას. რატომ მღერის სულ სევდიან მელოდიებს, შეყვარებულია?**

*მაიკო ხომერიკი*

კითხვაზე უპასუხებს **გიგა კვენეტაძე**, მომღერალი.



— არა, არ მწყინს. მაქილიკონ რამდენიც უნდათ. იხუმრებენ და მოჰბეზრდებათ. ზოგიერთისთვის ეს სამსახურიცაა. მე ვმღერი სიყვარულზე, ანუ იმაზე, რაც გადამხდა თავს და რაც ჩემს სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. ამჟამად შეყვარებული არა ვარ, თუმცა ერთი გოგო კი „მესიმპათიურება“. თანაც ახლოს არც ვიცნობ... ვინ არის? გეტყვით მხოლოდ, რომ დამწყები მომღერალია...

მელოდიურად მინორული ნამღერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიმღერა სევდიანია. სევდიანი შეიძლება იყოს ტექსტი. კატია ბულანოვას თავისი პრობლემები ჰქონდა, მე კი, უბრალოდ, სიყვარულზე ვმღერი. ჩემი ბოლო სიმღერა შესაძლოა სევდიანი იყო. კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდებოდა, რომელთანაც ახლა მხოლოდ მოგონება მაკავშირებს. სტილისა და იმიჯის შეცვლას ჯერჯერობით ნამდვილად არ ვაპირებ. აკი გითხარით, მე ვმღერი იმაზე, რაც ჩემს სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, ამჟამად ამ განწყობაზე ვარ და სულ სიყვარულზე ვმღერი, შემდეგში რა იქნება, ვინ იცის...




# ულიცენზიო აფთიაქები მალე დაიხურება...

**— მივმართავ კითხვით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს, ბატონ ლადო ჭიპაშვილს, იქნებ გვიპასუხოს, როდემდე გაგრძელდება ფალსიფიცირებული და უვარგისი მედიკამენტების ბუმი საქართველოში?**

*თინა ნებიერიძე*




კითხვაზე უპასუხებს **ნინო ქოჩორაშვილი**, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მთავარი მრჩეველი პრესის საკითხში.

— ჯანდაცვის სფეროში ამ კუთხით მდგომარეობა მართლაც სავალალოა. საქართველო აივსო ფალსიფიცირებული მედიკამენტებით. პროდუქცია ხშირად უვარგისი და ვადაგასულია. ამიტომ ჩვენთვის სრულიად გასაგებია მოქალაქის წუხილი. სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრას უახლოესი სამი თვის ვადაში გეგმავს. ამ მიზნით იქმნება სპეციალური სააგენტოები, რომლებიც გააკონტროლებენ როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი აფთიაქების მუშაობას. დაიხურება ყველა არალიცენზირებული და ასევე ფალსიფიცირებული და არალიცენზირებული მედიკამენტებით მოვაჭრე აფთიაქი. სააგენტოების მუშაობაში ჩაებმებიან ფარმაცევტები, სამინისტროს წარმომადგენლები, ხოლო მეტი გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობისათვის — სხვა ორგანიზაციებიც. ასე რომ, პრობლემა, რომელიც თქვენს მკითხველს აღელვებს, მართლაც გვაწუხებს და მისი გადაჭრა დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**



# მთელი ევროპა — პორტუგალიისაკენ!

**უ**ახლოესი სამი კვირის მანძილზე უძველეს კონტინენტს დიდი ფეხბურთი დაიპყრობს. გასულ შაბათს პორტუში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის მე-12 ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც დაწყებამდე კარგა ხნით ადრეც გვპირდებოდა ბევრ საინტერესოს, თუმცა რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, უშუალოდ მატჩები გვიჩვენებს. მანამდე კი მოკლედ იმასაც შეგახსენებთ, თუ რა ხდის ამ დონის ტურნირებს საინტერესოს და რა მატებს მათ ინტრიგებს...

## ყველაზე, ყველაზე...

ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში მონაწილეთაგან ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია შვეიცარიელი 36 წლის იორგ შტილი.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა რუსეთის ნაკრების 19 წლის მეკარე იგორ აკინფეევი.

ყველაზე მეტი ლეგიონერით ხორვატიის ნაკრებია წარმოდგენილი — 22 ფეხბურთელი.

არც ერთი ლეგიონერი არ ჰყავს იტალიის ნაკრებს.

მონაწილეთაგან ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ფრანგ მარსელ დესაის — 115.

ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი გატანილი აქვს ჰოლანდიელ პატრიკ კლიუვერტს — 40.

ყველაზე ხანგრძლივი სანაკრებო კარიერით შტეფან შაპუიზა იწონებს თავს. ის ეროვნულ გუნდში 1989 წლის 21 ივნისიდან გამოდის.

ყველაზე მაღალი ფეხბურთელია ჩეხი იან კოლერი — 202 სმ.

ყველაზე დაბალია ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი 168 სმ.

საკლუბო გუნდებიდან ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩემპიონატზე მივლინებული ჰყავს გერმანიის „ბაიერნს“, ესპანეთის „ბარსელონასა“ და იტალიის „იუვენტუსს“ — 9-9 ფეხბურთელი.

ეროვნული ჩემპიონატებიდან ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ევროპის ჩემპიონატზე მივლინებული ჰყავს ინგლისის პრემიერლიგას — 57 ფეხბურთელი.

## ვინ გახდება საუკეთესო დებიუტანტი?

ნებისმიერ საფეხბურთო ფორუმს გამორჩეული მოთამაშე ჰყავს. საერთაშორისო ასპარეზი დებიუტანტებისთვის წარმატებული კარიერის დასაწყისს ნიშნავს, ამიტომაც ბევრი ელის ახალი სახელების წარმოჩენას მიმდინარე საფეხბურთო ზეიმიდან.

საინტერესოა, ვინ გახდება მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა? ამაზე ექსპერტები საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ. ასახელებენ ათ ფეხბურთელს, რომელთაგანაც, მათი აზრით, საუკეთესო დებიუტანტი შეირჩევა: **მილან ბაროში (ჩეხეთი), მარის ვერპაკოვსკისი (ლატვია), ანდრეი კარიაკა (რუსეთი), ანტონიო კასანო (იტალია), კევინ კურანი (გერმანია), ფრენკ ლამპარდი (ინგლისი), უეინ რუნი (ინგლისი), ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია), ფერნარდო ტორესი (ესპანეთი), კიმ ჰელსტრემი (შვედეთი).**

ევროპის წინა ჩემპიონატებისას საუკეთესო დებიუტანტები გახდნენ:

**2000 — ნუნუ გომეში (პორტუგალია)**
**1996 — კარელ პობორსკი (ჩეხეთი)**
**1992 — ჰენრიკ ლარსენი (დანია)**
**1988 — პაოლო მალდინი (იტალია)**
**1984 — მიქაელ ლაუდრუპი (დანია)**
**1980 — ბერნდ შუსტერი (გფრ)**
**1976 — ანტონ ონდრუში (ჩეხოსლოვაკია)**
**1972 — ული ჰიონესი (გფრ)**
**1968 — დრანგან ჯაიჩი (იუგოსლავია)**
**1964 — ულე მადსენი (დანია)**
**1960 — ვიქტორ პონედელნიკი (სსრკ)**

## რატომ არის მომგებიანი გერმანია-ჰოლანდიის ფინალი ეკონომისტებისთვის



ნიდერლანდების ეკონომიკის დეპარტამენტი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატიდან მოყოლებული, სისტემატურად აწარმოებს სიტუაციის მეცნიერულ შეფასებას, რომელიც ეხება ფეხბურთისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთს ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. გამოქვეყნდა კვლევის შედეგები, რომელიც ეხება მიმდინარე ევროპის ჩემპიონატს.

დასკვნაში ნათქვამია, რომ ეკონომიკური აღმავლობის მქონე ქვეყნები ევროპის ჩემპიონატზე წარმატების შემთხვევაში, მცირედით თუ იგრძნობენ ეკონომიკის გაუმჯობესებას. იმ ქვეყნებში კი, რომელთა ეკონომიკაც სტაგნაციის პროცესშია, ნაკრების ტრიუმფისას ბევრად ამაღლდება სამომხმარებლო დონე.

თუკი ევროპის ჩემპიონატს გამორჩეულად ეკონომიკური კუთხით მივუდგებით, ექსპერტების აზრით, საუკეთესო ვარიანტია ფინალში გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრებების გასვლა, რადგანაც ამ ქვეყნებში ბოლო ხანს ეკონომიკური სტაგნაცია შეიმჩნევა. იმასაც ითვალისწინებენ, რომ ევროკავშირში ეს ორი ქვეყანა სწორედაც რომ წამყვანი ძალაა და მათი ეკონომიკური განვითარება ბევრად განსაზღვრავს იმ კლიმატს, რაც რეალურად ევროპაშია.

საინტერესოა, რამდენად დაემთხვევა ჰოლანდიელი ეკონომისტების გათვლები რეალობას. ნებისმიერი საფეხბურთო ზეიმი კი სწორედ იმით არის მომხიბლავი, რომ მისი წინასწარ პროგნოზირება რთულია.

## რუსი ცოლების მხარდაჭერა

მშვენიერი საჩუქარი მოუმზადეს ფეხბურთისა და ქალების მოყვარულთ „ევრო-2004“-ში მონაწილე რუსეთის ეროვნული ნაკრების წევრების ცოლებმა და მეგობარმა გოგონებმა. თავიანთი ქმრებისა და მეგობარი ვაჟების თანადგომის ნიშნად, რუსი ლამაზმანები ადგნენ და, არც მეტი არც ნაკლები, ფოტოკამერის წინ დედიშობილა დადგნენ...

იდეის ავტორი რუსეთის ნაკრების გოლკიპერის სერგეი ოვჩინიკოვის მეუღლე ინგა ოვჩინიკოვაა (მარცხნიდან პირველი), ხოლო ფოტოები „კომსომოლსკაია პრავდის“ ფოტოგრაფმა სვეტლანა ერიკლინცევამ გადაიღო.









ეს სპორტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ფოტოკამერების წინ თითქმის მთელი გუნდის ფეხბურთელთა (უფრო ზუსტად 9 ფეხბურთელის) ცოლები გაშიშვლდნენ.

„მე ზოგიერთი ფეხბურთელის მეუღლესთან ვმეგობრობ, ისინი ჩემთან ფოტოებს იღებენ. ერთხელაც, ინგასთან ერთად ნორვეგიელებთან ამხანაგურ მატჩს ვუყურებდი. ის შეხვედრა წავაგეთ, რაც ძალიან განვიცადეთ, შემდეგ კი დავფიქრდით, თუ როგორ შეგვეძლო დავხმარებოდით ჩვენს ბიჭებს. სწორედ ამ დროს მოუვიდა ინგას თავში აზრად ფოტოკამერის წინ გაშიშვლება. ამით გოგონები ხაზს უსვამენ, რომ თავიანთი ქმრებისთვის ამაზეც კი წავლენ“, — ამაყად აღნიშნა სვეტლანა ერიკლინცევამ, რომლის თქმითაც, მას ამ გოგონებიდან ჰონორარი არავისთვის გადაუხდია.

და კიდევ, ამ ჟესტით ფეხბურთელთა ცოლებს მთელი მსოფლიოსთვის უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ რუსეთის ნაკრების წევრებს ყველაზე ლამაზი ცოლები ჰყავთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ერიკლინცევა...

# ფეხბურთის ფედერაცია ბოლნისელთა დამშვიდებას ცდილობს

„ოქროს მატჩში“ მომხდარი ინციდენტების განმხილველი სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე, რომელიც გასულ კვირაში, ორდღიანი ინტერვალით, ორჯერ შედგა, თითქმის ყველა საკითხი გადაწყვიტეს, თუმცა, ბოლნისის „სიონისთვის“ მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში 10-მატჩიან დისკვალიფიკაციაზე მოწოდებული ინფორმაცია, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის — გურამ ძაგანიას თქმით, იმიტომ არ განიხილეს აღნიშნული საკითხი, რომ მათთვის ცნობილი გახდა ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, „სიონის“ 10-მატჩიან დისკვალიფიკაციაზე დამატებით მსჯელობის შესახებ. ანუ, ფეხბურთის ფედერაცია საკუთარი აღმასკომის მიერ, „ოქროს მატჩის“ მეორე დღეს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვას აპირებს და ჩვენ მანამდე რა უნდა განვიხილოთო, — ლოგიკურად ახსნა გურამ ძაგანიამ.



რამდენად ლოგიკურად ახსნის თავის ახალ ჩანაფიქრს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, ძნელი სათქმელია, რადგან კარგად გვახსოვს 31 მაისის პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიას ნათქვამი: „სამწუხაროდ, ჩვენ გვიწევს ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილების მიღება, რადგან შემდგომში ეს ყველა ქართული გუნდისა და მათი გულშემატკივრებისთვის მაგალითი გახდეს. მხოლოდ ერთი რეგიონის ინტერესებზე ვერ ვიფიქრებთ, როდესაც მთლიანად ქართული ფეხბურთის ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი“. როგორც ჩანს, „უპრეცედენტო“ მხოლოდ „სიონის“ უეფაზე არგაშვებას შეეხო, ეროვნულ ჩემპიონატში კი, ყველაფერი ძველებურად რჩება.

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, 30 მაისს, თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და ბოლნისის „სიონს“ შორის გამართულ „ოქროს მატჩში“ მომხდარ ინციდენტებში მონაწილეთა დასჯის შესახებ კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია:

1. „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელს რევაზ გოცირიძეს, პირველი გოლის გატანის შემდეგ მაყურებელთა მიმართ გამოხატული უხამსი ჟესტის გამო (რამაც შემდგომში ინციდენტის გაღვივებას შეუწყო ხელი), მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი ჯარიმა.

2. ბოლნისის „სიონის“ მთავარ მწვრთნელს თემურ მახარაძეს, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარი ჯარიმა.

3. ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელს შალვა ისიანს, სათამაშო მინდვრის თვითნებურად დატოვების გამო, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

4. ბოლნისის „სიონის“ მეორე მწვრთნელს გიორგი ყიფშიძეს, მსაჯისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გამო, 5 თამაშით დისკვალიფიკაცია, სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი ჯარიმა.

5. ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელებს ავთანდილ ლაბაძესა და აქვსენტი გილაურს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 2500-2500 ლარი ჯარიმა.

როგორც გურამ ძაგანიამ განმარტა, გიორგი ყიფშიძის შემთხვევაში, კომისიის წევრები მსაჯების განმარტებით ბარათში მითითებულ ფაქტებს დაეყრდნენ, ხოლო ლაბაძისა და გილაურის შემთხვევაში, მათ თავად იხილეს მსაჯისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. სწორედ ამან განაპირობა სხვაობა მწვრთნელისა და მოთამაშეთა დასჯის ხარისხი.

კომისიამ სამომავლოდ გადადო „სიონის“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, ელდარ გვასალიას საკითხის განხილვა. ძაგანიას თქმით, კომისია ამასთან დაკავშირებით მაშინ შეიკრიბება, როდესაც „ოქროს მატჩის“ ერთ-ერთი მსაჯის, მიქელაძისა და ფეხბურთელ გვასალიას დაპირისპირება მოხერხდება.

კომისიამ აგრეთვე აუცილებლად ჩათვალა თხოვნით მიემართა სფფ-ის მსაჯთა კომიტეტისთვის „ოქროს მატჩის“ მთავარი არბიტრის ალექსანდრე კრიჟაშვილისა და მეოთხე, სათადარიგო მსაჯის, მეშკოვის შემდგომი საქმიანობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ისე, კომისიის წევრების თქმის არ იყოს, კრიჟაშვილს რომ გოცირიძე დროულად დაესაჯა, შეიძლება ყველაფერი ეს არც მომხდარიყო...

# თორთლაძე "K2"-ის დაპყრობას გეგმავს



"K2"-ის ხსენებისას მთამსვლელებსა თუ ალპინიზმის მოყვარულებს დადებითზე გაცილებით მეტი უარყოფითი ემოცია ეუფლებათ და სხვაგვარად ვერც იქნება. ციფრები თავად მეტყველებენ ყველაფერზე — 50 წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც 1954 წელს იტალიელებმა ახილე კომპანიონიმ და ლინო ლაჩიდელიმ "K2" პირველად დაიპყრეს, 8611 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე ასვლა სულ 192-მა მთამსვლელმა მოახერხა, ამათგან ყოველი მეოთხე უკან დაბრუნებისას დაიღუპა(!). გაცილებით მეტია ამ მწვერვალზე ასვლის დროს დაღუპულ მთამსვლელთა რიცხვი. სწორედ ამიტომაა, რომ "K2"-ს მსოფლიოში ურთულეს მწვერვალად მოიხსენიებენ და ალბათ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ქართველი მთამსვლელის გია თორთლაძის სიტყვები: „მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის ორჯერ დაპყრობის მიუხედავად, ვგრძნობ, რომ "K2"-ზე წლევანდელი ასვლა ჩემს ბიოგრაფიაში ურთულესი იქნება“.

გია თორთლაძეს „წლევანდელი“ ტყუილად არ უხსენებია, მან "K2"-ს შარშანაც შეუტია, მაგრამ შარშანდელი ექსპედიციის წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი უამინდობა და ძალიან ძლიერი ქარები იყო. „თავიდან 50-მდე ალპინისტი ვცდილობდით მწვერვალზე ასვლას, მაგრამ 7800 მეტრზე სიმაღლეს 7-8 კაცი შემოვრჩით. ამ სიმაღლეზე და მის ზემო მონაკვეთზე, დიდთოვლობის გამო, ზვავსაშიში მდგომარეობა იყო და იძულებულნი გავხდით, უკან დავბრუნებულიყავით. რაც შეეხება წლევანდელ ექსპედიციას, მასში ჩემთან ერთად 11 უცხოელი მთამსვლელი მიიღებს მონაწილეობას. თუ 10 აგვისტოსთვის "K2" ვერ დავლაშქრეთ, შემდგომ ცდებს უკვე აზრი აღარ ექნება და პაკისტანიდან უკან დავბრუნდებით“ — ამბობს გია თორთლაძე.

აღნიშნული ექსპედიცია "K2"-ის გარდა, კიდევ ერთი მწვერვალის — „ბროუდ-ტიკის“ (8048 მეტრი) დაპყრობასაც გეგმავს.

პარლამენტარმა გია თორთლაძემ გასულ კვირაში შვებულება აიღო და გზას გაუდგა...

***მოამზადა***
***გიორგი ბაკურაძემ***

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

## №23 (401) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 479 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 157-მა ქალმა და 315-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ სფეროში აქვს ხელისუფლებას წარმატებები?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ ყველაზე დიდ წარმატებას კორუფციასთან ბრძოლაში მიაღწია. რესპონდენტთა 47%-მა მიაკუთვნა ამ გრაფას მაქსიმალური — 9 ქულა. მინიმალური — 1 ქულით კი არც ერთ მკითხველს არ შეუფასებია.

**8,01** საშუალო ქულით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა“ პირველ ადგილზეა.

მკითხველებს ასევე აკმაყოფილებთ ხელისუფლების ბრძოლა კრიმინალების წინააღმდეგ. დაახლოებით 20%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური ქულით, მინიმალური ქულა კი მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა.

მიუხედავად იმისა, რომ „ხელფასებისა და პენსიების დროული გაცემა“ რეიტინგში მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მეორეზეა — რესპონდენტთა 24% თვლის, რომ ხელისუფლება ყველაზე კარგად ამ პრობლემას აგვარებს.

ადამიანთა უფლებების დაცვა, ენერგოკრიზისის აღმოფხვრა და სამუშაო ადგილების შექმნა — ეს ის სფეროებია, სადაც ჩვენი მკითხველების აზრით, ხელისუფლება მოიკოჭლებს. ყველაზე წარუმატებელი კი იგი სამუშაო ადგილების შექმნაშია — რესპონდენტთა 73%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. ეს იმას ნიშნავს, რომ უმუშევრობა ისევ და ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება.

როგორც ვხედავთ, მკითხველი სათანადოდ აფასებს ხელისუფლების წარმატებულ ნაბიჯებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თითქმის სამივე ფაქტი — კორუფციასთან და კრიმინალებთან ბრძოლა და ხელფასებისა და პენსიების დროული გაცემა — ძალოვნების ეფექტურ მუშაობასთანაა დაკავშირებული. ხალხი თავისი რჩეული ხელისუფლებისგან დანარჩენი, მეტ-ნაკლებად წარუმატებელი სფეროების გაუმჯობესებასაც ელის.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 64 წლის **გენო მშვენიერაძე** და 48 წლის **თამაზ გაბიტაშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 16 ივნისს, 17 საათზე.

## №24 (402) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№24 (402) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 16 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 17 ივნისის 13 საათამდე. © თბილისი**

**თემა №24(402) — ნდობა**

**ვის ენდობით ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№24(402) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ჟვანია | |
| 2 | ლევან ბარამიძე | |
| 3 | ნინო ბურჯანაძე | |
| 4 | დავით ბერძენიშვილი | |
| 5 | შალვა ნათელაშვილი | |
| 6 | მაია ნადირაძე | |
| 7 | მიხეილ საააკაშვილი | |
| 8 | კობა დავითაშვილი | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებისთვის მზად ხართ თუ არა, რომ სახელმწიფო მოხელეს მისცეთ ქრთამი?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი __________ ტელეფონი __________

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## დამატებითი კითხვის შედეგები

### უყურებთ თუ არა ტელესერიალებს?




1. დიახ
2. არა

### რომელ ტელესერიალს უყურებთ ყველაზე ხშირად?

| | | |
|---|---|---|
| 1. | „კლონი“ (იმედი) | 27.9% |
| 2. | „ცხელი ძაღლი“ (იმედი) | 18.8% |
| 3. | „შურისძიება“ (რუსთავი 2) | 17.0% |
| 4. | „მაშველები“ (რუსთავი 2) | 4.2% |
| 5-6. | „სოლედადი“ (I არხი) | 3.6% |
| 5-6. | „მუსკულები“ (202) | 3.6% |
| 7. | „რვაფეხა“ (I არხი) | 2.4% |
| 8. | „ველური მთვარე“ (მზე) | 1.8% |
| 9-11. | „ეშმაკუნა“ (II არხი) | 1.2% |
| 9-11. | „ყავა და ლუდი“ (იმედი) | 1.2% |
| 9-11. | „ტყუპები“ (იმედი) | 1.2% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 11.5% |
| | სხვა სერიალები | 5.6% |

**ქალების** 47,2% არ უყურებს ტელესერიალებს. 52,8% კი საპნის ოპერების მოყვარულია, მათი 34,7% ყველაზე ხშირად უყურებს „კლონს“, 21,3% — „შურისძიებას“, ხოლო 10,7% — „ცხელ ძაღლს“;

**მამაკაცების** მხოლოდ 29,0% უყურებს ტელესერიალებს და მათი რჩეული სერიალების პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. „ცხელი ძაღლი“ — 25,6%, 2. „კლონი“ — 23,3%, 3. „შურისძიება“ — 12,8%.

***დამატებით კითხვას 441-მა რესპონდენტმა (144 ქალი, 297 მამაკაცი) უპასუხა***

# ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

**სიახლე**

ფოტოპალიტრაში სიახლეა. გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების მხიარულ ფოტოკოლაჟს, რომელიც ჩვენი აზრით, მეტ გასაქანს მისცემს თქვენს ფანტაზიას და ეს რუბრიკაც, ვფიქრობთ, უფრო სახალისო გახდება. პასუხები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________




წინა ნომრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ფოტოანტიკვარის პატარა გმირი გვაუწყებდა — მატარებლით მგზავრობა ბავშვობაშიც მიყვარდაო... როგორც ჩანს, საქართველოს რკინიგზის ახალი შეფის თანამდებობის გამო „ამოიცნო“ მკითხველთა უმრავლესობამ (38,3%) ამ პატარა ბიჭუნაში დავით ონოფრიშვილი. დასახელებულთა შორის მოხვდნენ: აკაკი ჩხაიძე, გია ბურჯანაძე, ნუგზარ შევარდნაძე, ნიკო ლეკიშვილი, კახა ბენდუქიძე, „უცნობი“, თემურ თათარაშვილი, ზურაბ ტყემალაძე და, წარმოიდგინეთ, ქეთი დოლიძეც კი...

თუმცა მკითხველთა 21,3%-მა სწორად მიაგნო ადრესატს და მატარებლის მოყვარულ ბიჭუნაში პოპულარული მსახიობი და „ღამის მატარებლის“ ტელეწამყვანი **გია როინიშვილი** ამოიცნო.





**გია როინიშვილი, 2 წლის**



***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***

## ᲤᲝᲢᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ



40 წლის სპილო მარტის ძალიან უყვარს მძიმე სამუშაო დღის შემდეგ გამამხნევებელი შხაპის მიღება. ყოველ საღამოს ბენზინგასამართ სადგურს აკითხავს ხოლმე, რადგან იცის, ელოდება სასიამოვნო პროცედურა — ბანაობა და მძლავრი მასაჟი მანქანების გასარეცხი ავტომატური ჯაგრისებით...

17/VI ახალი მთვარე

მაგნიტური დღეა

17/VI 12-დან 15 საათამდე

### ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**თარაზულად:** 1. ბენდენა; 4. კორსიკა; 6. ლეპრა; 7. ბანჯო; 8. რაინი; 9. ალისა; 10. იასონი; 13. გრაცია; 16. „ჩაიკა“; 18. მეტრიკა; 19. ლუმბაგო; 20. კონკა; 22. ატონია; 23. კილიტა; 25. გაგრა; 27. ნიცშე; 28. ტლაპო; 29. კიტრი; 30. ისტორია; 31. არიზონა;

**შვეულად:** 1. ბრილიანტი; 2. ალებარდა; 3. აპენდიციტი; 4. კაროლინა; 5. ავსტრალია; 11. სიტრო; 12. „ნაიკი“; 14. რომბი; 15. ცვარი; 16. ჩაკ; 17. ალა; 21. ნეგოციანტი; 22. ალგორითმი; 24. ახეჯაკოვა; 25. გენეტიკა; 26. ალეგორია.



**თარაზულად:** 1. ნაპოლეონის მშობლიური კუნძული; 4. ამერიკელი მომღერალი, მსახიობი და დიდი მექალთანე; 6. მოედანი ძველ პარიზში, სადაც სიკვდილით დასჯას აღასრულებდნენ; 7. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი; 8. შექსპირის ტრაგედია; 9. ეგვიპტის უზენაესი ღმერთი; 10. ბულატ ოკუჯავას საყვარელი მოედანი მოსკოვში, სადაც მას ძეგლი დაუდგეს; 13. ორგანიზმში ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება; 16. გერმანელი მგოსანი; 18. გრაფზე მაღალი და ჰერცოგზე დაბალი ტიტული; 19. ქიმიური ჭურჭელი; 20. სუბტროპიკული მცენარე; 22. არევ-დარევა, ალიაქოთი, აურზაური; 23. ფრინველი, რომელმაც აითვისა თერძის პროფესია; 25. დასის უპირველესი ბალერინა; 27. ბალტიის რესპუბლიკა; 28. პერსონაჟი რომანისა „ქალი კამელიებით“; 29. ქართველი კინომსახიობის, ნუცა კუხიანიძის ამერიკელი პარტნიორი; 30. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; 31. ქვეყნის საჰაერო ფლოტი.

**შვეულად:** 1. ეროვნებით სერბი, რჯულით მუსლიმანი, რომელიც თავის თავს ჯიუტად უწოდებს იუგოსლაველს, მსოფლიო კინოს ერთ-ერთი ლიდერი; 2. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი (40-93 წ.); 3. ბოკაჩოს რომანი; 4. ქალთევზა; 5. გაზის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერების მიერ; 11. ქალთა გერმანული ჟურნალი; 12. გოგენის კუნძული; 14. ჩეხური ავტომობილი; 15. ბამბის ქსოვილი — უხეში მიტკალი; 15. ამერიკელი მსახიობი ... გრანტი; 17. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში; 21. ბერძენი ფილოსოფოსი; 22. ინგლისური ფირმა, განთქმული არა მარტო პრესტიჟული ავტომობილებით, არამედ თვითმფრინავის ძრავებითაც; 24. ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდება; 25. სამხედრო იარაღისა და ტექნიკის გამოსაცდელი მოედანი; 26. ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება.

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ




## ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲘ...



10 ივნისს, თავის მამულში — ბევერლი-ჰილზში, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიო ჯაზის ლეგენდა რეი ჩარლზი. მომღერალმა და მუსიკოსმა ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში დალია სული...

მსოფლიოში ცნობილი პიანისტი და საქსოფონისტი არა მარტო ბრწყინვალედ უკრავდა, დიდებულადაც მღეროდა — მას მართლაც უნიკალური ხმა ჰქონდა. იყო 12 „გრემის“ მფლობელი. მაესტრო მუშაობდა ისეთ მუსიკალურ მიმდინარეობებში, როგორებიც არის ჯაზი, ბლუზი, რიტმ-ენდ-ბლუზი, ჰოსპელი და ქანთრი.

რეი ჩარლზ რობინსონი დაიბადა 1930 წელს 23 სექტემბერს ოლბანში (ჯორჯიის შტატი). მამა — ბეილი რობინსონი მექანიკოსი გახლდათ, ხოლო დედა ხის მჭრელი. 7 წლისა დაბრმავდა, 15 წლისა — დაობლდა და ახლობლებმა მოუმართეს ხელი. რეი ჩარლზი თავის მასწავლებლებად მიიჩნევდა შოპენს, სიბელიუსს, დიუკ ელინგტონს, ჯაზის გიგანტებს — კაუნტ ბეისს, ტეიტუმს...

რეი ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო. ამბობდა: „მუსიკა დიდი ხანია არსებობს სამყაროში და ჩემს შემდეგაც იარსებებს. მე ვცდილობდი ჩემი კვალის დატოვებას, რაღაც კარგის გაკეთებას...“

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©

### 24 ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

განცხადების ტექსტი ________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№24 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 17 ივნისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲮᲝᲑᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲕᲐᲜᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘ, ᲮᲝᲜᲘ, ᲑᲐᲜᲫᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ, ᲝᲜᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ**
**ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ © 1518**
**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“**
**ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.